ფრედერიკ ბეგბედერი
Windows on the world

მთარგმნელები სიბილა გელაძე, ია ბერსენაძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2014

მთარგმნელისგან

რა მოხდა 2001 წლის 11 სექტემბერს „მსოფლიო სავაჭრო ცენტრში“? „ამის გასარკვევად ერთადერთი გზა არსებობს, – ამბობს ფრედერიკ ბეგბედერი, – უნდა გამოვიგონოთ“. ასე იწყება ეს წიგნი, რომელიც მოგვითხრობს მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ტერაქტის შესახებ, ხსნის მის გამომწვევ მიზეზებს და საუბრობს მოსალოდნელ შედეგებზე.

ბეგბედერის რომანები ჩემთვის ერთი მნიშვნელოვანი თვისების გამოა ფასეული: მათში ვირტუოზულად ერწყმის ერთმანეთს თანამედროვე ლიტერატურის ორი უმთავრესი იარაღი: გულწრფელობა და ცინიზმი. Windows on the world-ი, სიუჟეტის მიუხედავად, სულაც არ არის დრამატული და დამთრგუნველი. გარწმუნებთ, რომანის წაკითხვისას არაერთხელ გადაიხარხარებთ ხმამაღლა და გულიანად, თუმცა ფინალი ნებისმიერს შეძრავს. ერთ ფრაზაში, პატარა ბიჭის ერთ, რამდენიმესიტყვიან წინადადებაში იმდენია ნათქვამი, რამდენსაც ზოგი მწერალი ათობით გვერდს ან სულაც მთელ რომანს დაუთმობდა.

რატომ არის მსოფლიო ასეთი დღეს? ყველაფერი გასული საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო, ნელ-ნელა სახე იცვალა და 2001 წლის 11 სექტემბერს მთელი თავისი სიცხადით წარდგა ჩვენ წინაშე. „რა არის, მამა, ფრანგი?» – კითხულობს პატარა ამერიკელი ბიჭუნა, რომელსაც მამა უყვება, რომ ერთხელ ერთმა ფრანგმა „მსოფლიო სავაჭრო ცენტრის» ტყუპ ცათამბჯენს შორის ბაგირი გააბა და ზედ გაიარა. „ეს ერთი პატარა ევროპული სახელმწიფოა, – უხსნის მამა, – რომელიც ადრე, 1776-1783 წლებში, დაეხმარა ამერიკას ინგლისელების ბატონობისგან თავის დაღწევაში, მადლობის ნიშნად კი ჩვენმა ჯარისკაცებმა 1944 წელს ისინი ნაცისტებისგან

გაათავისუფლეს». რომანში ბევრია ნათქვამი ფრანგულ-ამერიკულ ურთიერთობებზე და იმ ანტიამერიკანიზაციის მიზეზებზე, რომელიც ასეთი პოპულარულია დღეს საფრანგეთში. „იცით, რატომ ვწერ ამ წიგნს? იმიტომ, რომ დავიღალე იმ ანტიამერიკანიზაციით, რომლითაც ჩემი ერია შეპყრობილი. და თუკი ეს ომი უკვე გამოცხადებულია, მოდი, კარგად დავფიქრდეთ, ვის ბანაკში აღმოვჩნდებით ჩვენ, რომ მერე სანანებელი არ გაგვიხდეს“, – ამბობს მწერალი.

ბეგბედერი წერს ამერიკული ჰეგემონიის მიზეზებსა და შედეგებზეც: „აშშ-ის მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ის თან მსოფლიოს პატრონია და თან ვეღარ პატრონობს მას“; წერს დემოკრატიაზე: „დემოკრატიაში ცხოვრების ერთადერთი უპირატესობა მისი კრიტიკის საშუალებაა. მხოლოდ ამით განსხვავდება იგი დიქტატურისგან. დემოკრატიამ მაშინაც კი, თუ მას უტევენ, ემუქრებიან და აბუჩად იგდებენ, უნდა დაამტკიცოს, რომ ნამდვილია, ამისთვის კი მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს: ყველას მისცეს მისი გაკრიტიკების უფლება“; ასევე წერს გლობალიზაციასა და ტელევიზიის როლზე დღევანდელ ცხოვრებაში: „ახლა ბრძოლის ველი მედიასაშუალებებია. ამ ახალ კონფლიქტში ცუდისა და კარგის ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან ჭირს. ვერ გაიგებ, ვინ არის ბოროტი და ვინ – კეთილი! ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ისინი როლებს ცვლიან და ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბიან, როცა ჩვენ ერთი არხიდან მეორეზე ვრთავთ. საფრანგეთში რევოლუცია ბევრად ადრე მოხდებოდა, ყმებს ტელევიზორები რომ ჰქონოდათ, რომლის საშუალებითაც მეფეებისა და დედოფლების ცხოვრებას ნახავდნენ. ამ ახალ მოვლენას ჩვენ გლობალიზაციას ვეძახით, სინამდვილეში კი მას ტელევიზია ჰქვია. გლობალიზაციაა ეკონომიკაში, აუდიო და ვიდეოსაშუალებებში, კინემატოგრაფიასა და რეკლამაში, სხვაგან კი არაფერი შეცვლილა: არც პოლიტიკაში და არც საზოგადოებაში“.

Windows on the world-ს ორი ძირითადი პროტაგონისტი ჰყავს: რომანის ფრანგი ავტორი და ამავე რომანის ამერიკელი პერსონაჟი, რომელთა თხრობაც იმდენად გადაჯაჭვულია, რომ რიგ შემთხვევაში პასაჟის დასაწყისში ცოტა რთულიც კი არის იმის გარკვევა, თუ ვინ საუბრობს. ამგვარი ლიტერატურული ხერხი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. „ამ რომანის დაწერა მისი ჰიპერრეალურობის გამოა ძნელი“, – ამბობს

ავტორი. სწორედ ამ რეალობის მძაფრად და მთელი სიცხადით გასააზრებლად ერწყმის ნაწარმოებში წარსული აწმყოს, ხოლო გამოგონილი პერსონაჟის თხრობა გამომგონებლის ნაამბობს. უჩვეულოა წიგნის ფინალიც, სადაც ერთი მთხრობელის სიკვდილს მეორის Happy end მოჰყვება.

მაშ ასე, 2001 წლის 11 სექტემბერი. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩრდილოეთ ცათამბჯენზე მდებარე რესტორან Windows on the world-ში ქართიუ იორსტონი თავის ორ პატარა ვაჟიშვილთან ერთად სასაუზმოდ მიდის...

ია ბერსენაძე

* * *

როგორ შეიძლება გავიგოთ, რა მოხდა 2001 წლის 11 სექტემბერს, 8:30-დან 10:29 საათამდე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩრდილოეთ ცათამბჯენის 107-ე სართულზე? ამისთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: გამოვიგონოთ.

«ჰოი, შენ, სიმბოლოვ, დღეს რომ ასე მაღლა დგახარ და ამაყად ლივლივებ!

მოგმართავ სიტყვით, დამსხვრეულო მშვენებავ, (ვინძლო ეს სიტყვა შენი მშველელიც კი გახდეს).

დაიხსომე: განა ყოველთვის ასე თავმომწონედ ფრიალებდი ამ ქვეყანაზე? მახსოვხარ, დროშავ, ძვირფასო, სულ სხვაგვარ ვითარებაშიც, როცა ასე ამაყად წელგამართულს კი არ გაფარფარებდა ქარი, უზადო აბრეშუმის აღკაზმულობით, არამედ დამტვრეულ ტარზე ძონძებად ჩამოკონკილი, სასიკვდილოდ განწირულ მებაირაღეს ჰყავდი მკერდში ჩაკრული, რადგანაც შენთვის იბრძოდა იგი, შენთვის სწირავდა ნორჩ სიცოცხლეს;

და არ უჩანდა ბოლო ამ ბრძოლას, ზარბაზნების გრიალს, კვნესასა და გმინვას, კბილების ღრჭიალს, თოფების ქუხილს, თავგანწირულ იერიშს, როცა გგონია, რომ ხალხი კი არა, ეშმაშეპყრობილნი უტევენ;

არ ჰქონდა ბოლო დაღვრილ სისხლს, მოცელილ სიცოცხლეს, რომელიც ტალახიდან და სისხლის გუბიდან ნაკუწებად ქცეულს აგიტაცებდა, ისევ აღგმართავდა, ისევ აგაფრიალებდა,

რათა ერთ მშვენიერ დღეს ამაყსა და თავდაჯერებულს კვლავაც ლივლივით გემცნო შენი გამარჯვება!

აი, ასეთიც მახსოვხარ!“

უოლტ უიტმენი,[164] „ბალახის ფოთლები“. 1871 წლის 7 სექტემბერი

„ჩვენ აქ ვართ, დამარცხებულნი, ამერიკავ!“

ჯონ დოს პასოსი,[165] აშშ, 1936

Kill the Rockfellers![166]

კურტ კობეინი,[167] 2002

მაპატიე, კლოე,

რომ ამ უკაცრიელ მიწაზე მოგიყვანე.

08:30

ფინალი უკვე იცით: ყველა კვდება!! ერთი შეხედვით, ამაში განსაკუთრებული არაფერია. უამრავი ადამიანი კვდება ყოველდღე. გამორჩეული ეს ამბავი იმითაა, რომ მისი ყველა გმირი კვდება ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას. ნეტავ, სიკვდილი თუ ეხმარება ადამიანებს ურთიერთობაში? არა მგონია! ისინი ერთმანეთს თითქმის არ ელაპარაკებიან. სხედან მდიდრულ რესტორანში გამტკნარებული სახეებით და საუზმეს ზანტად ღეჭავენ, ისე, როგორც ეს უთენია გაღვიძებულთ სჩვევიათ. მათგან ზოგიერთი ხედებს უღებს ფოტოებს. ხედები კი, იცოცხლე, მსოფლიოში ულამაზესებია. მართკუთხა შენობების თავზე რკალად იკვრება ზღვა, რომელზეც გემების ნაკვალევი გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავს. თოლიებიც კი არ დაფრინავენ ასე მაღლა. Windows on the world-ის კლიენტების უმრავლესობა ერთმანეთს არ იცნობს. თუ უცაბედად ერთმანეთის მზერა დაიჭირეს, უხერხულად ჩაახველებენ და სასწრაფოდ გაზეთში ყოფენ თავს. სექტემბრის დასაწყისია. ადრიანი დილა. ყველა ცუდ ხასიათზეა. რას იზამ, შვებულებები დასრულდა, ისევ სამსახურში დაბრუნებაა საჭირო. მორჩა დასვენება! არ გინდა ახლა შობამდე გაქაჩო? ამინდი არაჩვეულებრივია, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს.

რამდენიმე წამში მსუქანი პუერტორიკოელი ქალი კივილს მორთავს. კოსტიუმში გამოწყობილი ჰალსტუხიანი ჩინოვნიკი პირღია დარჩება: „ღმერთო ჩემო! Oh, my God!» ერთად სასაუზმოდ მოსული თანამშრომლები გაოცებისგან დამუნჯდებიან. ვიღაც მოხეული წითური მამაკაცი წამოიძახებს – Holy Shit![168]. მიმტანი ქალი, გაშტერებული, ჩაის დასხმას მანამდე გააგრძელებს, სანამ სასმელი ფინჯანს არ აავსებს და ლამბაქზე არ გადმოიღვრება. არსებობს წამები, რომლებიც უსაშველოდ დიდხანს გრძელდება, გეგონება, ვიღაცამ DVD ფლეიერზე Pause-ის ღილაკს დააჭირა თითი. ამ რამდენიმე ამოსუნთქვაში დრო რეზინივით იწელება. სულ მალე ყველა ერთმანეთს გაიცნობს, აპოკალიფსის მხედრებად იქცევა და სამყაროს დასასრულს შეუერთდება.

08:31

იმ დილით ჩვენ მსოფლიოს მწვერვალზე ვიყავით, მე კი სამყაროს ცენტრად გადავიქეცი.

დილის ცხრის ნახევარია. ვიცი, რომ ჯერ ბიჭების ცათამბჯენზე წაყვანა ცოტა არ იყოს, ნაადრევია, მაგრამ ჩემი შვილები მოუთმენლად ელოდნენ ამ საუზმეს და მეც ენა ვერ მომიბრუნდა, უარი მეთქვა. ისედაც დანაშაულის გრძნობა მღრღნის, რომ მათი დედა მივატოვე. თანაც ადრე ადგომას თავისი უპირატესობაც აქვს: რიგში დგომას ავცდებით. 1993 წლის ტერაქტის შემდეგ კონტროლი ამ შენობებში ძალზე გამკაცრებულია. სამსახურში მოსახვედრად სპეციალური ბეიჯებია[169] საჭირო, დაცვა საგულდაგულოდ ამოწმებს ყველა შემომსვლელის ჩანთას. ლითონის დეტექტორის კარი ჯერის ქამრის ჰარიპოტერიან ბალთაზეც კი წკრიალს იწყებს. ფოიეში, რომელიც ჰაიტექის, ანუ მაღალი ტექნოლოგიების სტილშია მოწყობილი, შადრევანი ჩუმად ჩუხჩუხებს. საუზმე წინასწარი ჩაწერითაა. Windows on the world-ის შესასვლელში ჩემს სახელს ვეუბნები: Good morning, my name is Carthew Yorston.[170] გარემო შესვლისთანავე იგრძნობა: წითელი ხალიჩა, დაგრაგნილი ხავერდის თოკი, საგანგებო ლიფტი. ამ მოსაცდელ დარბაზში, რომელსაც 30-მეტრიანი ჭერი აქვს, რესტორნის პიუპიტრი[171] პირველი კლასის დახლის როლს ასრულებს. მშვენიერი იდეაა, ასცდეთ პიკის საათს. ტელესკოპში ჩასახედადაც ნაკლები ლოდინი დაგჭირდებათ (25 ცენტად

დაინახავთ, როგორ შერბიან ახლომდებარე შენობებში მდივანი ქალები, ყურებზე მობილურებაკრულნი, ნაცრისფერ კოსტიუმებში გამოკვართულან, თმა ქიმიურად დაუხვევიათ, ფეხზე სპორტული «სნიკერსი» აცვიათ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი კი ფალსიფიცირებულ Prada-ს ჩანთებში ულაგიათ. იმ დღეს პირველად ავედი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ბოლო სართულზე. ბავშვები გაგიჟდნენ ჩქაროსნულ ლიფტზე, რომელმაც 43 წამში 78 სართული აიფრინა. ისე მიგაქროლებს, რომ გრძნობ, როგორ გიხტება გული საგულედან. ბიჭები სკაილობიდან[172] უკვე ვეღარ გამომყავს. მეოთხე შესვლა-გამოსვლის მერე ვხვდები, რომ ტონი უნდა გავამკაცრო:

– კარგი, საკმარისია! ეს ლიფტი აქ მომუშავე პერსონალისთვისაა. სადმე ხედავთ წარწერას: კოსმოსური გორაკები?!

რესტორნის თანამშრომელი, რომელსაც საყელოზე საფირმო ემბლემა უბნევია, იმ ლიფტისკენ მიგვიძღვის, რომელმაც 107-ე სართულზე უნდა აგვიყვანოს. დღევანდელი განრიგი თავიდან ბოლომდე «გაწერილი» გვაქვს: Windows on the world-ში საუზმის მერე ბეტერიპარკში ვსეირნობთ, იქიდან ბორნით (უფასოდ!) სტეიტენაილენდზე თავისუფლების ქანდაკების სანახავად მივდივართ, იქიდან მე-17 პირსზე, მერე საუთსიტის პორტში ცოტას წავიშოპინგებთ, ბრუკლინის ხიდის ფონზე ერთი-ორ სურათს ჩავაჩხაკუნებთ, თევზის ბაზარს ვეწვევით, რომ ოდნავ ავყროლდეთ და ბოლოს ბრიჯკაფეში გემრიელ ჰამბურგერს გეახლებით. ბიჭებს სული მისდით მსხვილად დაჭრილ, წვნიან, კეტჩუპმოსხმულ სტეიკზე, დიდი ჭიქით ყინულის ნატეხებიანი „კოლა» რომ მოჰყვება (ოღონდ არა დიეტური!). ასეა, ბავშვები მხოლოდ ბუსკნაობაზე ფიქრობენ, მათი მშობლები კი – ჟიმაობაზე. ამ მხრივ, გმადლობთ, არაფერს ვუჩივი: ცოლს გავშორდი თუ არა, ქენდეისი გავიცანი, რომელიც „ელიტ ნიუ-იორკში» მუშაობს. იცით, რა არის?! მის გვერდით პამელა ანდერსონი ბებერ ჩვრად მოგეჩვენებათ. ყოველ საღამოს „ალგონქუინში“[173] მოდის, ზემოდან მაჯდება და ხრიალით ათავებს (ისე, ფილიპ სტარკის[174] „როიალტონი“[175] ურჩევნია, რომელიც იმავე ქუჩაზეა). (ეს იმიტომ, რომ დოროთი პარკერს[176] არ იცნობს). (არა, აუცილებლად „ცხოვრება ორისთვის“[177] უნდა წავაკითხო, იქნებ გათხოვებაზე ფიქრს შეეშვას).

08:32

ცოტა რამ ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმ დილით Windows on the world-ში. „ნიუ-იორკ თაიმსი» იტყობინებოდა: «8 საათსა და 46 წუთზე American Airlines-ის მე-11 რეისის თვითმფრინავი ცათამბჯენს შეასკდა. შეჯახება შენობის 94-ე და 97-ე სართულებს შორის მოხდა. ამ დროს სახურავის ქვეშ მდებარე რესტორანში 171 კაცი იმყოფებოდა, რომელთაგან 72 მომსახურე პერსონალი იყო. ვიცით ასევე, რომ იმ დილით ერთ-ერთ ფირმას (The Water Risk Group-ს) შეკვეთილი ჰქონდა კორპორაციული საუზმე რესტორნის 106-ე სართულის დახურულ დარბაზში. ჩვეულებისამებრ სავსე იყო 107-ე სართულის დარბაზიც. დანამდვილებით ცნობილია, რომ თვითმფრინავი პირველად ჩრდილოეთ ცათამბჯენს შეეჯახა (იმ ორს შორის უფრო მაღალი რომელიც იყო და თავზე დადგმული ანტენის გამო შპრიცს რომ ჰგავდა). ამ შენობამ მეორეზე დიდხანს, ზუსტად 10:28 საათამდე გაძლო და ბოლოს დაინგრა. მაშ ასე, დაჯახებიდან ჩამონგრევამდე საათი და ორმოცდახუთი წუთი გავიდა. საათი და ორმოცდახუთი წუთი! ამდენი ხანი გრძელდება ეს ჯოჯოხეთი... და ეს წიგნი!

ამ სტრიქონებს „პარიზის ცაში» ვწერ. ეს არის მონპარნასის კოშკის 56-ე სართულზე განთავსებული რესტორანი (პარიზი, 75015, დუ მენის პროსპექტი, 33, ტელ.: 01 40 64 77 64, ფაქსი: 01 43 22 58 43. მეტროს სადგური: „მონპარნას ბიენვენიუ“). რესტორანი 08:30 საათზე იღება. უკვე მერამდენე კვირაა, ყოველ დილით აქ მოვდივარ და ფინჯან ყავას ვუკვეთ. აქედან ეიფელის კოშკის დასანახავად მაღლა არ უნდა აიხედო. ხედი მართლაც უზადოა, იმიტომ, რომ მთელ პარიზში ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც მონპარნასის კოშკი არ ჩანს. ჩემ ირგვლივ საქმიანი ადამიანები სხედან, რომლებიც მობილურებზე ყველას გასაგონად გაჰყვირიან.

– მისმინე რა, თავს დავდებ, მაგაზე ბოლოს რომ შეხვდნენ, მაშინ იბაზრეს!

– არა, არა, გამორიცხულია, ჟან-ფილიპიც მაგ აზრზეა: ეგ არ არის იოლად მოსაგვარებელი თემა!

– რაღაცას გვაბოლებენ...

– კი, მაგრამ რამე რომ იყოს, სიტუაციიდან გამოძრომაც ხომ უნდა შეგვეძლოს.

– გაგიგიათ, ალბათ, როგორ ამბობენ: როკფელერმა ფული იმით იშოვა, რომ ყველაზე გვიან ყიდულობდა და ყველაზე ადრე ყიდდა!

– ე.ი. შევთანხმდით. ჩემი მდივანი დაგიმეილებთ და მერე კიდევ ერთხელ გავიაროთ ყველაფერი.

– არც ერთი და არც მეორე: ფასიანი ქაღალდები დაისპლიტა[178], ვალუტა კი მერყეობს და თან დეფიციტშია.

– რას გეტყვი, იცი, თუ ინვესტორები ფულს არ ჩამოვლენ, ბაზრის სტიმულირება დაივიწყონ.

– CAC-ის ინდექსზე ვჩალიჩობდი, მაგრამ ფასი დაეცა და მაგრა გავასხი.

თანაც ყოველი მესამე სიტყვაა – აბსოლუტურად. სანამ ბიზნესის მამების მიერ ნასროლ ამ მარგალიტებს რვეულში ვიწერ, მიმტანს კრუასანები, ერთი ფინჯანი ნაღებიანი ყავა, „ბონ მამანის» ხილფაფა და ორი ცალი თოხლო კვერცხი მოაქვს. ნეტავ, Windows on the world-ის მიმტანებს რა ეცვათ? აღარ მახსოვს, იქ ერთხელ ვიყავი და ისიც ღამით. მიმტანებად, ალბათ, აჰყავდათ ფერადკანიანი, სტუდენტი გოგონები, უმუშევარი მსახიობი ქალები ან სასიამოვნო გარეგნობის ნიუჯერსელი ქალიშვილები, რომლებსაც ვიწრო წინსაფრები დიდ, სიმინდზე დაზრდილ ძუძუკებზე აუკრავთ. ოღონდ არ აგერიოთ: ეს „მაკდონალდსი» არ არის, ეს Windows on the world-ია, ძვირად ღირებული რესტორანი, მაღალი ფასნამატით (საუზმე 35$, მომსახურების ტარიფის გარეშე). ტელ.: 212-938-1111 ან 212-524-7000. დაჯავშნა სასურველია რამდენიმე დღით ადრე. კოსტიუმის გარეშე არ უშვებენ. ძველ ნომერზე დარეკვა ვცადე. ავტომოპასუხე ჩაირთო, რომელიც სპექტაკლების შესახებ ინფორმაციას მაწვდის. ვფიქრობ, მიმტანები საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა ქალები უნდა ყოფილიყვნენ, მოხდენილ სამოსში გამოწყობილნი. მაგალითად, ხორცისფერ კოსტიუმებში ინიციალებით WW ან მოკლე შავ კაბებში. აი, ისეთებში, ადრე მოახლე ქალებს რომ ეცვათ ხოლმე, რომ უყურებდი და წამოხდა გინდებოდა; შეიძლება სულაც შარვალსა და პიჯაკს ატარებდნენ ან გუჩის სმოკინგს, ტომ ფორდის[179] დიზაინით. ახლა ამის გარკვევა რთული იქნება. ამ ჰიპერრეალისტური რომანის წერაც ხომ სწორედ ამ სიცხადის გამძაფრებული შეგრძნების გამოა რთული. 2001

წლის 11 სექტემბრის მოვლენები არა მარტო გასცდა წარმოსახვას, არამედ მან სამუდამოდ დაამსხვრია იგი. ამიერიდან ვერც მსგავს თემაზე შევთხზავთ რაიმეს და ვერც – სხვაზე. რამ უნდა შეგვძრას ამის მერე?

ფანჯრიდან ვიყურები და პარიზის ცაში თვითმფრინავების მიმოსვლას ვადევნებ თვალს. იმისთვის, რომ აღვწერო, რა მოხდა იმ დღეს ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს, ცხადად უნდა წარმოვიდგინო, რას ვიგრძნობ, ამ თვითმფრინავმა ახლა ეს შავი კოშკი ჩემს ფეხებქვეშ რომ გაფატროს. შენობა რყევას იწყებს... ალბათ, უცნაური გრძნობაა, როცა მიწაზე მყარად მდგარი ცათამბჯენი უცბად მთვრალი გემივით იწყებს ყანყალს. ტონობით შუშა და ფოლადი ერთ წამში ჩალის ზვინივით იშლება. ქვაც რბილია. აი, რა გვასწავლა მსოფლიო სავაჭრო ცენტრმა: ჩვენი უძრავი ქონებაც მოძრავია. ის, რაც აქამდე ურღვევი გვეგონა, თურმე სულ ადვილად იმსხვრევა, მუდმივი – წარმავალია, მყარი – თხევადია, კოშკები მოძრაობენ, ხოლო ცათამბჯენები ცას კი არა, მიწას ებჯინებიან. როგორ შეიძლებოდა ამხელა მაქინის თვალის დახამხამებაში დანგრევა? ეს წიგნიც ამაზეა: როგორ ჩამოიშალა ხუხულასავით საკრედიტო ბარათებისგან ნაგები ციტადელი! ახლა «ბოინგი» რომ ფეხებქვეშ შემივარდებოდეს, ბოლოს და ბოლოს, ვიგრძნობდი იმას, რასაც აგერ უკვე ერთი წელია ვცდილობ წარმოვიდგინო: როგორია, როცა იატაკიდან შავი კვამლი ამოდის, სიცხისგან კედლები ლღვება და მინები იმსხვრევა, როცა ხალხი შენ თვალწინ იგუდება და თავს იკლავს, როცა ყველგან პანიკა და ისტერიკაა, როცა ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის ალმოდებული კიბისკენ, როცა ირგვლივ კივილი, ტირილი და ტელეფონზე სასოწარკვეთილი ლაპარაკი ისმის. ამას ვფიქრობ და თან თეთრ ცაში გაუჩინარებულ თითოეულ თვითმფრინავს მადლიერების თვალით ვუყურებ. და მაინც, ასეთი რამ ერთხელ მოხდა. მოხდა ის, რისი აღწერაც კი შეუძლებელია.

„ფანჯრები მსოფლიოზე“. ეს სახელი პირველად ცოტა არ იყოს, პრეტენზიული მეჩვენა. განდიდების მანიას წააგავდა, განსაკუთრებით კი რესტორნისთვის, რომელიც ცათამბჯენში საბროკერო ოფისების, ბანკებისა და საფინანსო ბირჟების გვერდით მდებარეობდა. ამ სახელწოდებაში ტიპური ამერიკული აროგანტულობა იკითხებოდა: „ჩვენი შენობა მსოფლიო კაპიტალიზმს ზემოდან გადმოჰყურებს, რათა

ყველას გულითადად გაგეჩხიროთ თვალში». ისე კი აქ მხოლოდ სიტყვების თამაშია და მეტი არაფერი. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი და „ფანჯრები მსოფლიოზე“. ეს არის და ეს. მე კი, რა ვქნა, ერთი ჩვეულებრივი ენაგესლიანი ფრანგი ვარ და უბრალო ირონიაშიც კი თვითკმაყოფილებას ვხედავ. საინტერესოა, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, რას დავარქმევდი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ბოლო სართულზე განთავსებულ რესტორანს? Roof of the World – «მსოფლიოს სახურავი»? თუ Top of the World – «მსოფლიოს მწვერვალი»? ამას ისევ ის სჯობს. არა, უკეთესს გეტყვით! King of the World – «მსოფლიოს მეფე“! როგორია?! ვის არ ახსოვს ლეონარდო დი კაპრიო ფილმში „ტიტანიკი». – მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ჩვენი «ტიტანიკია», – ასე არ განაცხადა ნიუ-იორკის მერმა, რუდოლფ ჯულიანიმ ტერაქტის მეორე დღეს?). აი, ჩემი ექსჟურნალისტური გამოცდილება კი დღეს უკვე სულ სხვა დასახელებას მკარნახობს. ამ ადგილს სწორედ ასეთი ამაღლებული, მოკრძალებული და პოეტური სახელი მოუხდებოდა: END OF THE WORLD – მსოფლიოს დასასრული! ინგლისურად „ენდ» არა მხოლოდ დასასრულს ნიშნავს, არამედ – ზღვარს, კიდეს. რამდენადაც რესტორანი ბოლო სართულზე მდებარეობდა, ამ სახელწოდებას „ცათამბჯენის წვერის» მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ ასეთი სახელის დარქმევა ვერავინ გაბედა. ამერიკელებს არ უყვართ შავი იუმორი. ისინი ძალიან ცრუმორწმუნენი არიან. ალბათ, ამიტომაა, რომ მათ შენობებში არასდროსაა მეცამეტე სართული. ბოლოს და ბოლოს, რას ვერჩით ამ Windows on the world-ს. მშვენიერი და შესაფერისი სახელი იყო, თანაც კომერციული თვალსაზრისით საკმაოდ მომგებიანი. ასე რომ არ ყოფილიყო, ბილ გეითსი ამ ტრაგედიიდან რამდენიმე წელიწადში თავისი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემას Windows-ს არ დაარქმევდა, არა? ახალგაზრდების ენაზე რომ ვთქვათ, „ფანჯრები მსოფლიოზე» მაგარი პრიკოლი სახელია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ ყოფილა ყველაზე მაღალი შენობა მთელ მსოფლიოში: მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სიმაღლე 422 მეტრი იყო, მაშინ როცა „პეტრონას» ცათამბჯენი კუალა-ლუმპურში 452 მეტრია, ხოლო „სიერს ტაუერი» ჩიკაგოში – 442. ყველაზე მაღალი შენობა კი მაინც შანხაის მსოფლიო ფინანსური ცენტრი იქნება (460 მეტრი), რომელიც ჩინეთში შენდება. იმედია, ეს სახელი ჩინელებს არ მოუტანს უბედურებას. მაგრა მევასება ეს ჩინელები! ერთადერთი ხალხია, ერთდროულად

კაპიტალისტებიც რომ არიან და კომუნისტებიც!

08:33

ტაქსები აქედან კვადრატულ ლაბირინთებში მოფუთფუთე ყვითელ ჭიანჭველებს ჰგვანან. ტყუპი-ცათამბჯენი როკფელერთა ოჯახისა და ნიუ-იორკის პორტის მმართველების ინიციატივით არქიტექტორმა მინორუ იამასაკიმ (1912-1982) ააგო, რომელიც ფირმა „ემერო როთ ენდ სანსის» ერთ-ერთი თანამფლობელი იყო. ეს ორი 110-სართულიანი ფოლადის კარკასის მქონე ბეტონის კონსტრუქციაა. თითოეული მათგანის ფართობი 406 000 კვადრატული მეტრია, აქვს 21 800 ფანჯარა და 104 ლიფტი. საოფისე ფართობი თითოეულ სართულზე 2 700 კვადრატულ მეტრს იკავებს. ეს ყველაფერი იმიტომ ვიცი, რომ ამ სფეროში მეტ-ნაკლებად რაღაც გამეგება. ლითონის გადაბმებს სამკუთხა სექციის ამობრუნებული ჯაჭვის ფორმა აქვს, ძირი – 16,5 მეტრი, მწვერვალი – 5,2 მეტრი, საძირკვლის გაგანივრება 192 მეტრია 91-დან 19,7 სანტიმეტრამდე სისქის ორმაგი ტიხრებით, წონა 290 000 ტონა (რომლისგანაც 12 127 ტონა ბეტონია). ღირებულება: $400 მილიონი. ასეთია ეროვნული სამშენებლო მიღწევებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების ფასი (აფსუს, რატომ არ გავხდი არქიტექტორი! მე ხომ უძრავი ქონების ერთი უბრალო აგენტი ვარ!). მის გარემონტებაზე ყოველწლიურად 250 000 ქილა საღებავი იხარჯება, კონდიცირებას კი 49 000 ტონა დანადგარი ხმარდება. WTC-ს ყოველწლიურად ორ მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. კომპლექსის მშენებლობა 1966 წელს დაიწყო და ათ წელზე მეტხანს გაგრძელდა. ბოროტმა ენებმა მას „ლეგოს კუბიკები» შეარქვეს, ზოგი კი „დევიდს და ნელსონს“[180] ეძახის. აი, მე კი ეს ტყუპი შენობა სრულიადაც არ მაღიზიანებს, პირიქით, მომწონს, როგორ ირეკლება მის ზედაპირზე ღრუბლები. თუმცა დღეს უღრუბლო ცაა. ჩემი შვილები ნეკერჩხლის სიროფმოსხმულ ბლინებს პირში იტენიან, კარაქის გამო კი ერთმანეთს ხოცავენ. რა კარგი იქნებოდა, გოგო მყოლოდა. მაშინ მაინც ვიგრძნობდი, რას ნიშნავს გყავდეს დამჯერი შვილი, რომელიც ჯიბრში არ უდგას მთელ მსოფლიოს. კონდიციონერებისგან აქაურობა გაყინულია. ამის ატანა შეუძლებელია. მსოფლიოს დედაქალაქში რესტორან Windows on the World-ში, ისე, როგორც არსად სხვაგან, VIPკლიენტებს ეძლევათ უნიკალური

საშუალება, დატკბნენ დასავლური ცივილიზაციის მიღწევებით და გაიყინონ კვერცხები! ვენტილაციის სისტემები მოგუდულად ზუიან, გეგონება, თვითმფრინავის ძრავა გუგუნებს დაბალ ხმაზე. ძალიან დამღლელია მუდმივი ხმაური! ჩვენთან, ტეხასში, ამას ურჩევნიათ სიცხისგან დაიხრჩონ. ჩვენ შეჩვეულები ვართ. ჩემი ოჯახი ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის ჩამომავალია. იორსტონების დიდი ბაბუა, უილიამ ჰარბენი ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდგენის შვილთაშვილია. ამიტომ ვითვლები მე ასოციაცია Sons of the American Revolution-ის („ამერიკული რევოლუციის შვილების“) წევრად (ასოციაციის ინიციალები SAR, სხვათა შორის, ზუსტად ისევე იწერება, როგორც Son Altesse Royale-ისა („მისი სამეფო უდიდებულესობა“). აი, ახლა კი ყურადღებით! ამერიკელებსაც გვყავს ჩვენი არისტოკრატები! და მე ერთ-ერთი მათგანი ვარ. მართალია, ჩემი ოჯახი გაკოტრებულია, მაგრამ მაინც არისტოკრატები ვართ! ბევრი ამერიკელი იწონებს თავს იმით, რომ დეკლარაციის „ხელმომწერთა» შთამომავალია. ისე, რომ იცოდეთ, ამაში არაფერი ყრია. უბრალოდ საკუთარი თავის რწმენას გმატებს, ეგაა და ეგ. ბატონო ფოლკნერ,[181] მე მაპატიეთ, მაგრამ აშშ-ის სამხრეთში მხოლოდ ლოთები და შფოთები არ ცხოვრობენ! როცა ნიუ-იორკში ვარ, განგებ ვიწყებ ტეხასური აქცენტით ლაპარაკს. Yeap-ს ვამბობ Ya-ს მაგივრად. ისეთივე სნობი ვარ, როგორიც გადაშენების გზაზე მდგარი ნამდვილი ევროპელი. ჩვენ აქ მათ Eurotrash-ს[182] ვეძახით. მათ შორის არიან: ღამის კლუბ „ო ბარის» პიჟონი კლიენტები, მარკ დე გონტონ-ბირონის კარტოთეკასა და გაზეთ „ფეიფერ მეგეზინის» ფოტოებზე განფენილი პეწენიკი ბიჭები. ეგენი, სიმართლე გითხრათ, ჩვენ ფეხებზე გვკიდია, ჩვენ ჩვენი... ე.წ. American Trash-ი[183] გვყავს. მე Red Neck-ი[184] ვარ, «ამერიკული ნაგვის» თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოღონდ ჩემი სახელი არ არის ისეთი ცნობილი, როგორიც გეტი[185], გუგენჰაიმი[186] ან კარნეგი[187], რადგანაც ჩემი წინაპრები იმის ნაცვლად, რომ საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად მუზეუმები დაეფინანსებინათ, ფულის ფლანგვით იყვნენ დაკავებულნი.

ფანჯრებზე ცხვირპირმიჭყლეტილი ჩემი შვილები შიშობანას თამაშობენ.

– ნახე, ნახე რა, ხელები უკან როგორ მიაქვს, შიშით ქვემოთ

ვეღარ იყურება!

– ვაიმე, დედა! ფრიკი!

– ქათამი ხარ, ქვეშაფსია ქათამი!

მე ვუყვები, რომ 1974 წელს ერთმა ფრანგმა თოკზე მოსიარულემ, ფილიპ პეტიტმა ამ ორ ცათამბჯენს შორის, ზუსტად ამ სიმაღლეზე, ბაგირი გააბა და ქარის, სიცივისა და თავბრუდახვევის მიუხედავად, მასზე წარმატებით გადაიარა. „რა არის ფრანგი?» – მეკითხებიან ბავშვები. მე კი ვუხსნი, რომ საფრანგეთი ერთი პატარა ევროპული სახელმწიფოა, რომელიც ადრე, 1776-1783 წლებში, დაეხმარა ამერიკას ინგლისელთა ბატონობისგან თავის დაღწევაში, მადლობის ნიშნად კი ჩვენმა ჯარისკაცებმა 1944 წელს ისინი ნაცისტებისგან გაათავისუფლეს (პედაგოგიკურ მოსაზრებათა გათვალისწინებით, შეგნებულად გამარტივებულად ვყვები ამ ამბავს).

– აი, ხომ ხედავთ თავისუფლების ქანდაკებას იქ? ეს საფრანგეთმა აჩუქა ამერიკას. ცოტა გოიმობაა, მაგრამ რა უჭირს?! მთავარია, გულითაა მიძღვნილი.

ბიჭებს აშკარად ფეხებზე ჰკიდიათ საფრანგეთი, იმისდა მიუხედავად, რომ გიჟდებიან french fries-სა[188] და french toasts-ზე[189]. აი, მე კი, მაგალითად, უპირატესობას french kiss-ს[190] და french rubbers-ს[191] ვანიჭებ. და კიდევ french connection-ს, [192] მანქანების გიჟური რბოლებით საჰაერო მეტროს ქვეშ.

„მსოფლიოს ფანჯრებიდან» ქალაქი გიგანტური ჭადრაკის დაფას ჰგავს, სწორი კუთხეებით, პერპენდიკულარული კუბებით, მომიჯნავე კვადრატებით, ლიმიტროფული[193] მართკუთხედებით, პარალელური ხაზებით და საგზაო ზოლების დაქსელილი ბადეებით. მოკლედ, ერთი დიდი, შავ-თეთრ-ნაცრისფერი ხელოვნური გეომეტრიაა. პროსპექტები საჰაერო დერეფნებს ჰგავს, განივი ქუჩები – მარკერით გავლებულ ხაზებს, გვირაბები კი – წითელი აგურით ნაშენ თხუნელას სოროებს. სველი ასფალტი, რომელიც ქუჩის სარეცხი ავტომანქანების გავლის მერე ზოლად რჩება, ლორწოვან კვალს წააგავს, რომელსაც ლოკოკინა ფარანზე გავლის შემდეგ ტოვებს.

08:34

მე ხშირად მოვდივარ აქ, ჟაკობის ქუჩის № 56-ში, რათა ამ მარმარილოს დაფას შევხედო. ჩემი აზრით, ყველა ამერიკელი ტურისტისთვის სწორედ ეს ადგილი უნდა იყოს ყველაზე ღირსშესანიშნავი მთელ პარიზში. ისინი კი, ამის ნაცვლად, ალმას გვირაბის სანახავად გარბიან, რომ დოდისა და დიანას ხსოვნის პატივსაცემად ფოტო გადაიღონ. სწორედ აქ, იორკის სასტუმროში 1783 წლის 3 თებერვალს ჯონ ადამსმა და ბენჟამინ ფრანკლინმა ხელი მოაწერეს „პარიზის შეთანხმებას“, რომელმაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლას და ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა. აქვე ახლოს დედაჩემი ცხოვრობს. იქ კი, იმ ხის უკან, გამომცემლობა „სოი» მდებარეობს. გამვლელები ისე კვეთენ ქუჩას და გვერდს უვლიან ამ ძველ შენობას, რომ აზრადაც არ მოსდით, რომ ამ ადგილას, კაფე „ფლორადან» ორ ნაბიჯში დაიბადა ამერიკის შეერთებული შტატები. ან, იქნებ, ურჩევნიათ, დაივიწყონ ამის შესახებ?

ისევ „პარიზის ცას» ვუბრუნდები. skyscrapers-ის, ანუ ცათამბჯენების მთავარი პლუსი ის არის, რომ ისინი ადამიანს საკუთარ თავზე ამაღლების საშუალებას აძლევენ. ყველა ცათამბჯენი უტოპიაა. ადამიანები ოდითგანვე შეპყრობილნი იყვნენ საკუთარი ხელით აღმართული მთების ან ცად ატყორცნილი კოშკების შენების მანიით. ამით ისინი თავის თავს უმტკიცებენ, რომ ბუნებაზე უფრო ძლევამოსილნი არიან. ეს შეგრძნება მართლაც დაგეუფლება, როცა ამ რკინა-ბეტონისა და შუშა-ალუმინისგან ნაშენი რაკეტის მწვერვალზე მოხვდები: აქ ჰორიზონტიც შენი გგონია; აქ არ არის საცობები, კანალიზაციის ჭები, ტროტუარები; მიწას შორდები და ცაში მაღლდები. ძალაუფლებით – არა, უფრო სიამაყით გევსება ამ სიმაღლეზე გული. და არ არის ამაში არანაირი ამპარტავნება, უბრალოდ გიხარია, რომ ყველა ხის წვერზე მაღლა დგახარ.

ღრუბლებო, მე თქვენს შუაგულში ამოვდიოდი,

რომ შორეული კონტინენტებისკენ გამოგყოლოდით

და იქ წვიმად დავღვრილიყავი,

მე თქვენთან ერთად დავქროდი, ქარნო,

ყველა ნაპირს თქვენთან ერთად ვეხეთქებოდი, წყალნო,

თქვენს კალაპოტს მივუყვებოდი, მდინარენო,

ნახევარკუნძულის თავზე, კლდოვან მწვერვალზე

ვყოვნდებოდი,

რათა მეყვირა:

სალამი მსოფლიოს!

ყველა ქალაქში, სადაც კი სითბო და სინათლე აღწევს,

მეც ვაღწევ,

ყველა კუნძულს, რომელსაც ფრთოსანი ჩიტი გადაუფრენს,

მეც გადავუფრენ,

ყველას ამერიკის სახელით მოგესალმებით,

ხელს მაღლა აღვმართავ, ისე, რომ

ნებისმიერმა ადამიანმა,

ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში დამინახოს!

უიტმენის ამ ლექსის სახელწოდება არის Salut au monde! (სახელწოდება ფრანგულადაა ორიგინალშიც). მოგეხსენებათ, მეცხრამეტე საუკუნეში ამერიკელი პოეტები ფრანგულად ლაპარაკობდნენ! იცით, რატომ ვწერ ამ წიგნს? იმიტომ, რომ დავიღალე იმ ანტიამერიკანიზაციით, რომლითაც ჩემი ერია შეპყრობილი. ჩემი საყვარელი ფრანგი მოაზროვნე პატრიკ ჟუვეა,[194] I love America. და თუკი ეს ომი უკვე გამოცხადებულია, მოდი, კარგად დავფიქრდეთ, ვის ბანაკში აღმოვჩნდებით ჩვენ, რომ მერე სანანებელი არ გაგვიხდეს.

ჩემი საყვარელი მწერლები ამერიკელები არიან: უოლტ უიტმენი, მაგრამ ასევე ალან პო, ჰერმან მელვილი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, ჯონ ფალტე, ჯეკ კერუაკი, ჰენრი მილერი, ჯ.დ. სელინჯერი, ტრუმენ კაპოტე, ჩარლზ ბუკოვსკი, ლესტერ ბენგსი, ფილიპ დიკი, უილიამ ვოლმანი, ჰანტერ ტომპსონი, ბრეტ ისტონ ელისი, ჩაკ პალანიკი, ფილიპ როთი, ჰიუბერტ სელბი-უმცროსი, ჯერომ ჩარინი (რომელიც, სხვათა შორის, მონპარნასზე ცხოვრობს).

ჩემი საყვარელი მუსიკოსებიც ამერიკელები არიან: ფრენკ

სინატრა, ჩაკ ბერი, ბობ დილანი, ლეონარდ ბერნსტაინი, ბერტ ბაკარაკი, ჯეიმს ბრაუნი, ჩეტ ბრეიკერი, ბრაიენ უილსონი, ჯონი ქეში, სტივ უანდერი, პოლ საიმონი, ლუ რიდი, რენდი ნიუმენი, მაიკლ სტაიპი, ბილი კორგენი, კურტ კობეინი.

და ჩემი საყვარელი რეჟისორებიც ამერიკელები არიან: ჰოვარდ ჰოუქსი, ორსონ უელსი, პობერტ ალტმანი, ბლეიკ ედვარდსი, სტენლი კუბრიკი, ჯონ კასავეტესი, მარტინ სკორსეზე, ვუდი ალენი, დევიდ ლინჩი, რას მეიერი, სემ რეიმი, პოლ თომას ანდერსონი, ლარი კლარკი, დევიდ ფინჩერი, მ. ნაით შიამალანი.

ამერიკულმა კულტურამ ფულით კი არ დაჩრდილა მსოფლიო, არამედ ნიჭით. რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იქნებოდა, მისი დომინანტობა პოლიტიკური მანიპულაციებით აგვეხსნა, როგორც ამას დემაგოგები აკეთებენ, რომლებიც დისნეის ჰიტლერს ადარებენ, ხოლო სპილბერგს – სატანას. ამერიკული კულტურა მუდმივ განახლებაშია და ამავდროულად არასდროს სწყდება რეალობას. ამერიკელი ხელოვანები სულ ახლის ძიებაში არიან, რაც საკუთარი თავის შეცნობაშიც გვეხმარება. მათ აქვთ შესაშური უნარი ნოვატორული იდეა ადვილად გასაგები გახადონ, ხოლო ორიგინალური შემოქმედება – მისაღები და მოსაწონი. მოლიერიც მუდმივად ხეირს ეძებდა, ხოლო მოცარტი – საჯარო აღიარებას. ასე რომ, ამაში დასაძრახი არაფერია. ამერიკელი ხელოვანები, მათი ევროპელი კოლეგებისგან განსხვავებით, ნაკლებად არიან გატაცებულნი თეორიული წიაღსვლებით, მათ ამის დრო უბრალოდ არა აქვთ, იმიტომ, რომ პრაქტიკული სამუშაოთი არიან დაკავებულნი. ისინი იპყრობენ მსოფლიოს, შეიცნობენ, აღწერენ და ამ აღწერით ცვლიან ამავე მსოფლიოს. ამერიკელი მწერლები თავს ნატურალისტებად მიიჩნევენ, სინამდვილეში კი – მარქსისტები არიან. ისინი ძალიან კრიტიკულნი არიან საკუთარი ერისადმი. არავინ მსოფლიოში არ აკრიტიკებს ისე თავის დემოკრატიას, როგორც – ამერიკული მწერლობა. არც ერთი სხვა ქვეყნის კინემატოგრაფია არ არის ისეთი მეამბოხე, როგორიც დამოუკიდებელი და იატაკქვეშა ამერიკული კინო. ამერიკელი მსახიობები ახერხებენ, მთელი მსოფლიოს საოცნებო გმირებად იქცნენ, იმიტომ რომ, ისინი უფრო გამბედავნი და შრომისმოყვარენი არიან და რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნის გაკილვის არ ეშინიათ. ხალხს ჰგონია, რომ ევროპელებს თავისი ამერიკელი კოლეგების წინაშე უპირატესობის შეგრძნება ეუფლებათ, სინამდვილეში კი ეს

არასრულფასოვნების კომპლექსია. მათი ანტიამერიკანიზაციის მიზეზი დიდწილად ეჭვიანობა და იმედგაცრუებული სიყვარულია. სიმართლე ვთქვათ, ამერიკული შემოქმედება ყველას მოსწონს, მათი ძირითადი პრეტენზია კი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკაც იმავეთი არ უხდის. მაგალითი გნებავთ? მოგახსენებთ. საკმარისია გავიხსენოთ, როგორ მიიღო ბერნარდ პივომ თავის Bouillon de Culture-ის[195] ბოლო გადაცემაში Actor's studio-ს[196] წამყვანი ჯეიმს ლიპტონი. საფრანგეთის ტელევიზიის ისტორიაში კულტურის პროგრამების საუკეთესო ჟურნალისტი დადნა და დაპატარავდა მლიქვნელი და გაბღენძილი ამერიკელი კოლეგის წინაშე, რომელიც რომელიღაც მეორეხარისხოვან საკაბელო ტელევიზიაზე გაუგებარ ჰაგიოგრაფიულ ლექციებს კითხულობს ჰოლივუდის მსახიობების წინაშე. პივო! გადაცემა „აპოსტროფის» ავტორი, რომელიც თანამედროვეობის ყველა მწერალსა და მოაზროვნეს პირადად შეხვედრია! აი, ეს პივო გონზე არ იყო ბედნიერებისგან, როცა ვიღაც დამანჭულმა ამერიკელმა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს მისი სახელი ახსენა.

ჩვენ ამერიკული იმპერიალიზმი კი არ გვაღიზიანებს, არამედ მისი განსაკუთრებული სახის შემოქმედებითი შოვინიზმი, რაც კულტურული იზოლაციონიზმით[197] და დანარჩენი მსოფლიოს შემოქმედებითი მიღწევების მიმართ სრული იგნორირებით გამოიხატება (გამონაკლისი მხოლოდ ნიუ-იორკი და სან-ფრანცისკოა). საფრანგეთის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დღესდღეობით ისეთივეა, როგორიც საფრანგეთის პროვინციისა – პარიზის მიმართ: ეს არის ნაზავი აღფრთოვანებისა და გაუცხოების, მისდამი ლტოლვისა და იმავდროულად მისგან დისტანცირების სურვილის. ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს ამერიკელებზე, ოღონდ იმისთვის, რომ თვალები ავატრიალოთ და მხრები ავიჩეჩოთ, როცა მათზე საუბარი ჩამოვარდება. გვინდა ვიცოდეთ უკანასკნელი ტენდენციები, მოდური ადგილები და ცხელ-ცხელი ნიუიორკული ჭორები, რომ ეს ყველაფერი მერე ფრანგული რეალობის ღრმა და საფუძვლიან ცოდნად წარმოვაჩინოთ. ამერიკელები კი თითქოს ევროპელთა საპირისპიროდ მოძრაობენ: მათი არასრულფასოვნების კომპლექსი (გუშინ შექმნილი ნუვორიშების სახელმწიფო, ორიგინალური ისტორიისა და კულტურის გარეშე) ძალიან

მალე შეიცვალა უპირატესობის შეგრძნებით (ეფექტიანი უნარ-ჩვევები, კულტურული ქსენოფობია, კომერციული უპირატესობა და სარეკლამო პრესინგი).

რაც შეეხება ფრანგული კულტურის გამორჩეულობას, როგორც ერთმა, ამჯერად უკვე სამსახურიდან დათხოვნილმა დირექტორმა განაცხადა: „ის არ მომკვდარა!» ის მართლაც ცოცხალია და გამოიხატება გამორჩეულად მოსაწყენი ფილმების გადაღებაში, გამორჩეულად გახალტურებული წიგნების წერასა და საერთოდ ხელოვნების გამორჩეულად უგემოვნო და ყეყეჩი ნიმუშების შექმნაში.

08:35

Windows on the world-ის შესასვლელი ჩალისფერია. ამ „მაღლითა ამერიკაში» საერთოდ ყველაფერი მოხორცისფრო-ჩალისფერია. კედლები – მშვიდ, ჩამქრალ ფერებშია შეღებილი, კვერცხის ნაჭუჭისფერ ხალიჩაზე გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული. ის ისეთი სქელი და ფუმფულაა, რომ მოკასინები სიარულის დროს მისი შალის ხაოში ეფლობა. იატაკი რბილია. გარემო შესვლისთანავე მშვენიერ განწყობილებას ქმნის.

– keep quiet![198]

დილის ცხრის ნახევარზე ჩემი შვილები უკვე ჰიპერაქტიურები არიან. ნეტავ, რა ასაკიდან ვიღვიძებთ დილიდანვე დაღლილები? მე მთქნარებით ლამის პირი გამეხეს, ამათ კი შეხედე: ადგილზე არ ჩერდებიან, მაგიდებს შორის სლალომით დაქრიან და ვიღაც ხანში შესული ქალი იასამნისფერი თმით ლამისაა სკამიდან გადმოაყირაონ.

– stop it, kids![199]

სულ ტყუილად ვუქაჩავ თვალებს. აღარ მიჯერებენ. ჩემი შვილებისთვის მე აღარანაირ ავტორიტეტს აღარ წარმოვადგენ. რომ ვუბრაზდები, ჰგონიათ, რომ ვლაზღანდარობ. ისე, არ ცდებიან, ჩემი თაობის ყველა მშობლის მსგავსად, არც მე გამომდის მკაცრი და სერიოზული მამის როლის თამაში. ჩვენი შვილები ცუდად არიან გაზრდილნი, იმიტომ, რომ ისინი საერთოდ გაუზრდელები არიან. რაც უნდა იყოს, ჩვენ მათ აღზრდაში ყველაზე ნაკლებად ვმონაწილეობთ. ისინი მულტფილმების არხების შვილები უფრო არიან. ამიტომ

მადლობა Disney Channel-ს[200], ის მსოფლიო ძიძაა. ჩვენ გავაფუჭეთ ჩვენი შვილები, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონვე გაგვაფუჭეს ჩვენმა მშობლებმა. მართალია, ჯერი და დევიდი სულ ნერვებს მიშლიან, მაგრამ მათსა და დედამისს შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ისინი მე ჯერ კიდევ მიყვარს. ამიტომ იყო, რომ უარი ვერ უთხარი და ერთი კვირა გაკვეთილები გავაცდენინე. რა ბედნიერები იყვნენ, სკოლაში რომ არ ივლიდნენ! აქეთ-იქით ვტრიალებ ჩემს მოუხერხებელ ჟანგისფერ სკამში და უმშვენიერეს ხედებს ვუცქერი. Unbelievable[201] – წერია სარეკლამო ბროშურაში. ეს, მე მგონი, ერთადერთი გამონაკლისია, როცა რეკლამა არ ტყუის. ატლანტის ოკეანე ისე ბრწყინავს მზეზე, რომ თვალებს გიბრმავებს, ცის კამარაში აჭრილი ცათამბჯენები პაპიე-მაშეს[202] დეკორაციებს ჰგავს. როცა ამერიკაში ხარ, თავი რომელიღაც ფილმის გმირი გგონია, მით უმეტეს, რომ უმრავლესობა ფილმებისა აქ არის გადაღებული. უბრალო ამერიკელიც კი ჰოლივუდის მსახიობივით იქცევა. მათი სახლები, მანქანები და სურვილები კი თითქოს დადგმული და გამოგონილია. სინამდვილე ყოველ ცისმარე დილით აქ, ამერიკაში იწერება. ამ ქვეყანამ გადაწყვიტა, რომ ცელულოიდის ფანტაზიას დაემსგავსოს.

– სერ!..

მიმტანი აშკარად უკმაყოფილოა. ჩემ გამო იგი საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ფუნქციას ითავსებს. მას ჯერი და დევიდი მოჰყავს, რომლებმაც რამდენიმე წუთის წინ ტრეიდერების წყვილს დონათსი[203] აწაპნეს, რათა მფრინავი თეფშობანა ეთამაშათ. წესით, ერთი კაი უნდა მომეცხო ორივესთვის, მაგრამ რა ვქნა, ღიმილი ვერ შევიკავე. ვდგები, რომ დონათსის მეპატრონეებს ბოდიში მოვუხადო. აღმოჩნდა, რომ ისინი Cantor Fitzgerald-ის თანამშრომლები არიან: ქერა, საკმაოდ სექსუალური გარეგნობის ქალი, რალფ ლორენის[204] სასწაულ „კოსტიუმჩიკში» (ნუთუ კიდევ არიან ნაშები, რომელთაც ასე აცვიათ?!) და შავგვრემანი, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი (საკმაოდ cool-ი[205]), რომელსაც კენეტ კოლის[206] კოსტიუმი აცვია. დეტექტივობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ საყვარლები არიან. თქვენ დაპატიჟებდით დილით ცოლს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის რესტორანში? არა... ცოლი – სახლში, რესტორანში კი – თანამშრომელი, რვიდან – ათამდე („იაპი“[207] ვერსია: ხუთიდან შვიდამდე). ყური

ვცქვიტე, ვგიჟდები კართან მიყურადებაზე, მით უმეტეს, თუ კარი საერთოდ არ არის.

– ჰაი-ტექის „ბულიშზე“[208] ვდებ, – ამბობს ქერა ქალი რალფ ლორენში.

– „მერილმა» სპეცომ „დააააფგრეიდა» აქციები, სპეკულაციურ პონტში, – ამბობს შავგვრემანი მამაკაცი კენეტ კოლში.

– გაშორდი ცოლს! – ეუბნება რალფ ლორენიანი ქალი.

– იმისთვის, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყოთ? ნორმალური ადამიანებივით? – პასუხობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– ნორმალური ადამიანებივით ჩვენ ვერასდროს ვიქნებით, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი.

– მე არ მითხოვია, ქმარი მიატოვე-მეთქი, – ამბობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– მერე მთხოვე! – რალფ ლორენიანი ქალი.

– ჩვენი სიყვარული იმიტომაა კარგი, რომ ის შეუძლებელია! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– დავიღალე ამ დილისა და შუადღის შეხვედრებით! – რალფ ლორენიანი ქალი.

– ღამე ბევრად უარესი ვარ! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– მაიკლ უოლეტმა დამპატიჟა ამ შაბათ-კვირას ლოს-ანჯელესში, – რალფ ლორენიანი ქალი.

– საინტერესოა! და შენს ქმარს რა უნდა უთხრა? – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– It’s none of your business[209] – რალფ ლორენიანი ქალი.

– იცოდე, თუ წაჰყვები, ჩემს სახელს დაივიწყებ! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– აჰა, ე.ი. მაიკზე ეჭვიანობ და ჩემს ქმარზე არა? – რალფ ლორენიანი ქალი.

– შენ და შენს ქმარს უკვე ორი წელია სექსი არა გაქვთ! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– გაშორდი ცოლს, გეუბნები! – რალფ ლორენიანი ქალი.

– მართლა ჰაი-ტექის „ბულიშზე» დებ? – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

08:36

„Windows on the world» ჰქვია სიმღერას, რომელიც ბერტ ბაკარაკმა და ჰოლ დევიდმა დაწერეს. 1967 წელს იგი დაიონ უორვიკმა შეასრულა. სიმღერა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ შეიქმნა.

The windows of the world are covered with rain,

Where is the sunshine we once knew?

Ev’rybody knows when little children play

They need a sunny day to grow straight and tall.

Let the sun shine through.

The windows of the world are covered with rain,

When will those black skies turn to blue?

Ev’rybody knows when boys grow into men

They start to wonder when their country will call.

Let the sun shine through.

The windows of the world are covered with rain,

What is the whole world coming to?

Ev’rybody knows when men can not be friends

Their quarrel often ends where some have to die.

Let the sun shine through.

The windows of the world are covered with rain,

There must be something we can do.

Ev’rybody knows whenever rain appears

It’s really angel tears.

How long must they cry?

Let the sun shine through.[210]

ნეტავ, რესტორნის მეპატრონემ თუ იცოდა ეს სიმღერა?

08:37

ბავშვები კარგად ვერ ერთობიან. ჩემი ბრალია, ბებრულ ადგილას მოვიყვანე, მაგრამ, რა ვქნა, თვითონ მოინდომეს. ვიფიქრე, ლამაზი ხედებით გაერთობიან-მეთქი. მათ კი ერთ შემორბენაში დაათვალიერეს ყველაფერი. ორივე ზედგამოჭრილი მამამისია. ყველაფერი უცებ ჰბეზრდებათ. ასეთი თაობაა, ტელეარხების გაუთავებელი გადართვითა და ეგზისტენციალური შიზოფრენიით დაავადებული. რა ეშველებათ ამ ბავშვებს, როცა აღმოაჩენენ, რომ ვერც ექნებათ და ვერც იქნებიან ყველაფერი ამქვეყნად?! ძალიან მეცოდებიან, იმიტომ, რომ მე, მაგალითად, მაგ აღმოჩენის მერე ჯერაც ვერა ვარ ჭკუაზე მოსული.

საერთოდ, როცა ჩემს შვილებს ვუყურებ, თავს ცოტა არ იყოს უცნაურად ვგრძნობ. ერთი მხრივ, სულ მინდა, რომ ვუთხრა: „მიყვარხართ, მამიკო“, მეორე მხრივ კი, მესმის, რომ ამის დრო უკვე გავიდა. როცა სამი წლის იყვნენ, ამ სიტყვებს ყოველღამე ძილის წინ ვუმეორებდი. დილაობით ფეხისგულებზე ღიტინით ვაღვიძებდი. ფეხები სულ გაყინული ჰქონდათ, იმიტომ, რომ საბანს იხდიდნენ. ახლა უკვე დიდები არიან და ვიცი, რომ აღარ მოეწონებათ ჩემი მოფერება. თან არც მე ვარ მათთან ყოველდღიურად და არც ისინი არიან მიჩვეულნი ჩემთან ყოფნას. მიყვარხარ კი არა, ახლა წესით, უკვე სხვა რამე უნდა ვუთხრა. მაგალითად, რომ მამის არყოლაზე უარესი შეიძლება მამის ყოლა გახდეს. ერთ დღეს თქვენ ყველაფერს მიხვდებით და მადლობას მეტყვით იმისთვის, რომ არ გთრგუნავდით. საშუალება მოგეცით თავისუფლად გადაგედგათ პირველი ნაბიჯები, მე კი შორიდან ვტკბებოდი თქვენი ყურებით. თუმცა ისიც მესმის, რომ ამის თქმა ჯერ ძალიან ნაადრევია. ისინი ამას მაშინ მიხვდებიან, როცა ჩემნაირად 43 წლის გახდებიან. უცნაური რამ არის, საერთოდ, ძმობა: უერთმანეთოდ ვერ ძლებენ და თან სულ ხოცავენ ერთმანეთს. თუმცა დღეს რა

შედარებაა, მაინცდამაინც ბევრი არ უჩხუბიათ. „რაის კრისპის» ბურბუშელათი გაერთნენ: Shap! Crackle! Pop![211] ჩვენს იმპროვიზებულ არდადეგებზე ვლაპარაკობთ. დევიდი ამბობს, რომ „სტუდიო უნივერსალში» უნდა კიდევ ერთხელ წასვლა. მას მთელი წელი გაუხდელად ეცვა მაისური, რომელსაც გულზე I survived Jurassic Park[212] ეწერა. გასარეცხადაც კი არ იხდიდა. 7 წლის ბიჭს სნობობაში ხომ ვერავინ აჯობებს. მერე უკვე, ასაკთან ერთად, ამ თვისების დამალვას ვსწავლობთ. აი, შეხედეთ ჯერის, ორი წლით უფროსია და უკვე კაცია! ცდილობს თავი გააკონტროლოს და ყოველთვის კომპრომისული გამოსავალი გამონახოს. მართალია, ესეც კარგად მარიაჟობს თავისი ემინემიანი სვიტერით, მაგრამ ასე აშკარად მაინც არ გამოხატავს: უფროსია, მეტი ესმის! დევიდი სულ ავად არის. მის გამუდმებულ ხველას ჭკუიდან გადავყავარ. ოღონდ ბოლომდე მაინც ვერ გამირკვევია, რა არის ჩემი წუხილის მიზეზი: ხველების ხმა თუ მამის ინსტინქტი? ეს იმიტომ, რომ გულის სიღრმეში არა ვარ დარწმუნებული ჩემს კაიკაცობაში. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცი, რომ ეგოისტი ვარ.

ვიღაც ბრაზილიელი ბიზნესმენი სიგარას უკიდებს. რა უბედურებაა ამ დილაუთენია მოწევა?! მეტრდოტელს ვანიშნებ, რომელიც მას სიგარის ჩაქრობას სთხოვს. Windows-ში, ისევე, როგორც ნიუ-იორკის ნებისმიერ სხვა თავშეყრის ადგილას, მოწევა აკრძალულია. ბრაზილიელი ისეთ სახეს იღებს, ვითომ პირველად გაიგო და საშინლად შეურაცხყოფილი დარჩა. იგი მწეველთა განყოფილებას კითხულობს. მეტრდოტელი უხსნის, რომ მოწევა მხოლოდ ქუჩაშია შესაძლებელი. სიგარის ჩაქრობის ნაცვლად, მწეველი დგება და ცერემონიულად მიემართება ლიფტისკენ. ღირსების ამბავია, ალბათ...

08:38

აი, როგორ გადაარჩინა სიგარამ სიკვდილს ადამიანი. უპრიანი იქნებოდა სიგარეტის კოლოფზე შემდეგი სახის გაფრთხილებაც დაგვემატებინა: „მოწევას ადამიანი შენობის აფეთქებამდე გარეთ გაჰყავს!“

როგორ მინდა, რომ რაღაც მოვიმოქმედო, რაც ძალი და ღონე მაქვს ვიყვირო: ქართიუ, გაიქეცი! ჩქარა! დაიკიდე ყველაფერი

და დაახვიე აქედან! ჩქარა! ბავშვები წაიყვანე! უთხარი ყველას, რომ გაიქცნენ! ეს დედააფეთქებული შენობა საცაა ჰაერში აიწევა. GET THE FUCK OUT OF THIS BUILDING!![213]

აი, ამაშია რომანისტის უძლურება, წიგნის ამაოება. ეს წიგნი ისეთივე უსარგებლოა, როგორიც ყველა სხვა. მწერალი კავალერიასავითაა, რომელიც ყოველთვის მაშინ მოდის, როცა უკვე ძალიან გვიანაა. „მენ-მონპარნასის» კოშკი დეპარის ქუჩიდან უფრო ფართოა, ამიტომ თუ ვინმე გადაწყვეტს თვითმფრინავით მასში შევარდნას, აქედან აჯობებს დამიზნება. ძალიანაც მომწონს ეს შენობა, რომელიც ყველას სძულს. მე მიყვარს იგი ღამით და მეზიზღება დღისით. ღამის ფერები მას ძალიან უხდება. დღისით კი კოშკი რაღაცნაირად იკარგება, მორუხო და ტლანქი ხდება. აი, დაბნელების მერე კი პარიზის შუქურას ემსგავსება: მბზინავი, ელექტრიკი, წითელი ნათურებით კიდეებში. მზის ჩასვლის შემდეგ მონოლითივით ხდება, „კოსმოსური ოდისეა 2001“-დან[214]: შავი, ვერტიკალური მართკუთხედი – უსასრულობის სიმბოლო. გუშინ საღამოს ჩემი საცოლე ღამის კლუბში წამოვიყვანე, რომელიც კოშკის ქვემოთაა. ადრე ამ დისკოთეკას „ჯოჯოხეთი» ერქვა, ახლა კი ახალი სახელი შეურჩიეს: Red light – წითელი შუქი. Jurnal VSD-ის ოცდახუთი წლისთავს აღვნიშნავდით. ხალხი დისკოს უბერავდა, ტევა არ იყო. სპონსორები, დიჯეები, ერთი-ორი ვიპპერსონა, მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული. „ფრანგული გრაუნდზეროს»[215] ქვეშ შეყვარებულს ფერება და კოცნა დავუწყე. მინდოდა, ტუალეტში შემეპატიჟებინა, მაგრამ უარი მითხრა:

– დღეს არ გამოვა! ჩემს ფისოს რამადანი დაეწყო.

წინასწარ ბოდიშს ვუხდი მუსლიმანური ქვეყნების ხელისუფალთ. მშვენივრად ვიცი, რომ რამადანის დროს საღამოს ჭამა ნებადართულია. მიმტევებლობისკენ მოგიწოდებთ, ბატონებო! არ გვინდა ახლა ეს ფეტვა[216] და ეგეთები. პოპულარობა ისედაც არ მაკლია. 2002 წელი ძალიან რთული მქონდა. მეც კარგად გავერთე და ჩემზეც ბევრი იხალისეს. საკმარისია! აღარ მინდა 2003 წელსაც იგივე განმეორდეს. წესით, მონპარნასის ცათამბჯენი ფანატიკოსთა სამიზნე არ უნდა გახდეს, რადგან აქ ალ-ჯაზირას არხის ფრანგული ბიუროს ოფისია. გახუხულ პურს ყავაში ვაწობ და ვცდილობ მხოლოდ ამ მეხამრიდზე ვიფიქრო.

მონპარნასის სიმაღლე 200 მეტრია. იმისთვის, რომ წარმოიდგინოთ, რამხელა იყო მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, გეტყვით, რომ ორი მონპარნასის კოშკი ერთმანეთზე რომ შევადგათ, მაინც World Trade Center-ზე[217] დაბალი გამოვა. „პარიზის ცაში“, 56-ე სართულზე ჩქაროსნულ ლიფტს 35 წამში ავყავარ. დრო დავინიშნე, ვგრძნობ, ლიფტის კაბინაში როგორ მიმძიმდება ფეხები და მიგუბდება ყურები. დაახლოებით ისეთივე შეგრძნებაა, როგორიც თვითმფრინავში, როცა საჰაერო ორმოში უსაფრთხოების ღვედის გარეშე ვარდები. „პარიზის ცა» ერთადერთია, რაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან დარჩა. ორივეს ერთი და იგივე უაზრო და პრეტენზიული ჩანაფიქრი ჰქონდა: ქალაქის უმაღლეს წერტილში მოეწყო რესტორანი, საიდანაც მთელი მეგაპოლისი ხელისგულივით გამოჩნდებოდა. დეკორი აქ სულ შავია: ჭერზე თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი ცაა. ამჯერად ბევრი ხალხი არ არის, რადგან დილიდან მოჟამული ამინდია. ხალხი, როგორც წესი, ცუდი ხილვადობის დროს ჯავშანს აუქმებს. პანორამა არ არის. „პარიზის ცა» ნისლშია ჩაფლული. ფანჯრებიდან თეთრი ბურუსის გარდა არაფერი ჩანს. თუ შუშას შუბლს არ მიადებ, ახლომდებარე ქუჩებსაც კი ვერ დაინახავ. ბავშვობისას ხშირად მსაყვედურობდნენ, ღრუბლებში დაფრინავო. გავიზარდე და იმავეს ვაკეთებ. Knoll-ის ფირმის ეს სავარძლები ალბათ 70-იან წლებში დადგეს აქ. ცოტაც და ასეთი ავეჯი ისევ მოდაში შემოვა. მისი ფორთოხლისფერი და შავი გადასაკრავი ჟან-პიერ მოკის[218] ფილმებს მაგონებს. კონდიციონერები ბირთვული რეაქტორებივით უწყვეტად გუგუნებენ. ცხვირი ფანჯარას მივადე. დაორთქლილი შუშა რენის ქუჩას ფარავს. ყავისფერ ტყავგადაკრულ კუთხეში მოვთავსდი, რომელიც Drugstore Publicis Saint Germain-ს[219] ჰგავს (ეს ადგილი ისევე ჩაჰბარდა ისტორიას, როგორც მსოფლიო სავაჭრო ცენტრი), ფორთოხლის ფრეში და ვენური ფუნთუშები (სამი მოცუცქნული შოკოლადიანი პური) შევუკვეთე. მიმტანს ფორთოხლისფერი ფორმა აცვია (რომელიც ალბათ ისევ მალე შემოვა მოდაში). მას ჩალისფერ ხელსახოცში გახვეული კრუასანები მოაქვს. ალბათ, ალ-ქაიდას ტერორისტებსაც ამოუვიდათ ერთ დღეს ყელში ეს ჩალისფერი, ეს ფორთოხლისფერი და მიმტანების ეს კომერციული ღიმილი?!

„პარიზის ცაში» გამოკიდებული ვარ და თავს მარტოსულად ვგრძნობ. ჩვეულებრივ მოკვდავებს 200 მეტრის სიმაღლიდან

დავცქერი, კინოთეატრ „მონპარნასის» წინ საცობში გაჩხერილ მძღოლებსა და ბანკში მიმავალ თანამშრომლებს ზემოდან დავყურებ. ჩემი ცხოვრება ერთი დიდი გაუგებრობაა, მაგრამ ამას ჩემს მეტი ვერავინ ხვდება, იმიტომ, რომ მე სულ ვიღიმი. ვიღიმი, რადგან მგონია, რომ თუ ჩემს უბედურებას დავმალავ, იგი გაქრება. და ეს გარკვეულწილად ასეც არის: რაც არ ჩანს, ის არც არსებობს, იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც ყველაფერი ხილული და მატერიალურია, სადაც ყველაფერს შეგიძლია ხელით შეეხო. ჩემი ტკივილი კი უხილავია.

მე საკუთარი თავს უარვყოფ.

08:39

რესტორანში ვზივარ, კაპუჩინოს ვსვამ და ხალხს ვათვალიერებ. იქით რამდენიმე წითური, სპორტული აღნაგობის ადამიანი ზის; აქეთ მაგიდასთან იაპონელები სხედან, რომლებიც ერთმანეთს ფოტოებს უღებენ; აი, საბირჟო ბროკერების წყვილი: აშკარად საყვარლები არიან. ჩემნაირი ამერიკელი ტურისტიც კარგა, ბლომადაა, გამდიდრებული და თვითკმაყოფილი „რედნექებიც» (Redneck) არიან, ბრეტელებიანი WASP-ები[220] და ბროლისკბილებიანი „იაპები“. მამაკაცებს ზოლიანი მაისურები აცვიათ, ქალებს დაყენებული „პრიჩოები“, ლამაზი ხელები და გრძელი, ლაქწასმული ფრჩხილები აქვთ (ბრიტნი სპირსს ჰგვანან ოცი წლის შემდეგ). ვის არ ნახავთ: არაბებს, ინგლისელებს, პაკისტანელებს, ბრაზილიელებს, იტალიელებს, ვიეტნამელებს, მექსიკელებს. თან ყველანი მსუქნები არიან. Windows on the world-ის კლიენტებს ერთი საერთო ნიშანი აქვს: ყველას დიდი ღიპი ადევს. ჯობდა ბავშვები სადმე სხვაგან წამეყვანა, მაგალითად NBC Building-ის 65-ე სართულზე Rainbow Room[221]-ში. „ცისარტყელას ოთახი» 24-სარკიანი დარბაზია. სხვათა შორის, „როკფელერცენტრის» არქიტექტორებს ამ შენობისთვის „სტრატოსფეროს» დარქმევა უნდოდათ. თუმცა, იქაც არ მოეწონებოდათ ჩემს შვილებს. რას გაიგებდნენ 30-იანი წლების სარკეებში, მანჰეტენის ანარეკლებში, ჯაზის ლეგენდებსა და „გიჟური წლების» ატმოსფეროში. დევიდს და ჯერის ერთი სული აქვთ, როდის გადაყლაპავენ სოსისს, მაფინს და ფრანგულ ტოსტს ნიუ-იორკის ყველაზე მაღალ რესტორანში. ჩემს საფულეს დღეს ტუზი დაეცა: სათამაშოების მაღაზია

Toys’R Us-ი პირველ სართულზე დაკეტილი იყო, თორემ ნახავდით, როგორ გამოზიდავდნენ იქიდან ყველაფერს. ჩემი შვილები დიქტატორები არიან, მე კი მათი ყურმოჭრილი მონა. ვჭამ და თან ქვემოთ ვიყურები, ქუჩაში. ამ სიმაღლიდან ადამიანები თითქმის აღარ ჩანან. მოძრავი ობიექტები, რომელიც „ქვედა მანჰეტენიდან» შეიძლება დაინახო, მანქანებია, რომლებიც ბრუკლინის ხიდზე გადადიან და კუნძულზე მოძრაობენ, ტურისტული ვერტმფრენები, რომლებიც ისტრივერის თავზე დაფრინავენ და ბარჟები, რომლებიც დაკიდული ხიდების ქვეშ დაცურავენ. რომელიღაც ტურისტული გზამკვლევიდან კაფკას ეს სიტყვები ამოვიწერე: „ბრუკლინის ხიდი ისტრივერზე დაკიდებულ ბეწვის ხიდს ჰგავდა, თუ თვალს დახუჭავდი, იგი შენს ფეხქვეშ თრთოლას იწყებდა. გეგონებოდა, სულ მთლად ცარიელიაო. მდინარე აქედან ლაპლაპა, გლუვ თასმას ჰგავდა“. უცნაურია, როგორ აღწერა ასე ზუსტად ის, რაც არასდროს ენახა. მე ახლა აქ ვზივარ, ვუყურებ „ჩეიზმანჰეტენ ბანკის» შენობას, მანჰეტენის ხიდს, „საუთსტრიტ სიპორტს» ფულტონის ქუჩის ბოლოში, მაგრამ ასე ვერაფრით აღვწერდი. უცებ ვხვდები, რომ მიყვარს ჩემი გიჟი ქვეყანა, ეს შერეკილი ეპოქა და ჩემი აუტანელი შვილები. გული სითბოთი მევსება. ალბათ, წუხანდელმა არაყმა დამკრა ტვინში. ქენდეისმა წამიყვანა გუშინ ბარში „პრავდა» და როგორც ეტყობა, ხილის არაყი ცოტა ზედმეტი მოგვივიდა. ქენდეისს ადრე „ვიქტორია სეკრეტის» კატალოგისთვის იღებდნენ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მიხვდეთ, how hot she is![222] ახლა ცოტა დაგვეძაბა ურთიერთობა, იმიტომ, რომ ქენდეისს უნდა, ცოლად მოვიყვანო, ბავშვი გამიჩინოს და ერთად ვიცხოვროთ; ეს კი ზუსტად ის სამი შეცდომაა, რომელიც აღარ მინდა დავუშვა ცხოვრებაში. ამის გამო მან ჩემი დასჯა გადაწყვიტა და სექსის დროს აღარ ათავებს. ამბობენ, რომ ზოგი ქალი, როცა არას ამბობს, გულში კის ფიქრობს. ქენდეისი კი პირიქითაა: როცა იგი ამბობს კის, გულში არას ფიქრობს.

– რატომ დებ ჰაიტექის „ბულიშზე“? – კითხულობს ქალი რალფ ლორენის კოსტიუმში.

– იმიტომ, რომ „ბული» იქნება! – პასუხობს მამაკაცი კენეტ კოლის კოსტიუმში, – ნახავ, ფასები როგორ ავარდება!

– „ქეშ-ფლოუს“[223] დონე ვნახე. კინაღამ ჭკუიდან გადავედი.

ჩათვალე, რომ უკვე „ლუზერი» ვარ! – რალფ ლორენიანი ქალი.

– Enron-ის „ფიუჩერსები» ვიყიდე. მაგარი „ბენეფიტურია“! ნახე, რა „რევენიუ» აქვთ?! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– აჰა, მართალი ხარ. ჩემი „თარგეთი» WorldCom-ია. აუცილებლად უნდა დავითრიო! მაგათი EBITDA მილიონი დოლარივითაა. იქნებ მაგან მიშველოს, თორემ მაგარი „გასხმული» მაქვს! – რალფ ლორენიანი ქალი.

– მოკლედ, 2001 წელი მაგარი უიღბლო იყო. ბონუსებსაც, ხომ იცი, ტყუილად ელოდები. ჰავაის ვილას შეგიძლია დაემშვიდობო! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– აუ, მაგრა თუ არ მეკიდოს ეგ ვილა... და „პორშეც» ზემოდან. მაგრამ დარწმუნებული ვარ, 2002-ში საქმეები უკეთესად წავა. ვნახოთ ერთი, რას მოუხერხებს გრინსპენი[224] ფასებს? – რალფ ლორენიანი ქალი.

– მიყვარხარ. შენი საკრედიტო ხაზის გამოყენება მინდა! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– გაშორდი რა იმ შენს ნაბოზარ ცოლს! – რალფ ლორენიანი ქალი.

– კაი, გეფიცები, დღეს, სპამასაჟის მერე ყველაფერს ვეტყვი.

და ისე ვნებიანად ლოშნიან ერთმანეთს, ლოკვით და ენების ტრიალით, კაი კალიფორნიულ პორნოფილმს შეშურდებოდა.

08:40

ტურისტული გზამკვლევები Windows on the world-ისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ. მონპარნასში ვზივარ და ბროშურებს ვფურცლავ. დღეს, 2002 წლის სექტემბერში, ტრაგედიიდან ერთი წლის თავზე, მათი შინაარსი უკვე ძალიან უცნაურად აღიქმება. „ვერ მიშლენის გზამკვლევი – 2000» წერს: Windows on the world – მსოფლიო სავაჭრო ცენტრის პირველი შენობა (107-ე სართული). ამ ელეგანტური რესტორნიდან ერთ-ერთი საუკეთესო ხედი იშლება მთელ ნიუ-იორკზე. 1993 წელს მომხდარი ტერაქტის შემდეგ, რესტორანმა მთლიანად შეიცვალა იერსახე, ინტერიერი ბევრად მდიდრული და დახვეწილი გახდა». მსოფლიო სავაჭრო ცენტრი აშკარად

სამიზნე იყო და ეს ტურისტულ გზამკვლევებშიც კარგად ჩანდა. აქ არანაირი საიდუმლო არ იყო. 1993 წლის 26 თებერვალს, 12 საათსა და 18 წუთზე რესტორნის მიწისქვეშა პარკინგზე სატვირთო მანქანაში ბომბი აფეთქდა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ სავაჭრო ცენტრის სარდაფი თითქმის მთლიანად დაინგრა. ექვსი კაცი დაიღუპა, ათასამდე დაიჭრა. შენობის შეკეთებას ერთ თვეზე ცოტა ნაკლები დასჭირდა.

ტურისტული გზამკვლევი „ფლომერს – 2000» უფრო შორს წავიდა: „Windows on the world (შესასვლელი უესტსთრითიდან. ლიბერთისა და ვიზის ქუჩებს შორის), ცხელი კერძები – $25-35, Sun-set მენიუ (მზის ჩასვლა, 18 საათამდე) – $35, brunch (გვიანი საუზმე) – $32, 50, CB (საკრედიტო ბარათები მიიღება), მეტროს სადგური: World Trade Center, C და E ხაზები, დაცული პარკინგი უესტსთრითის მხრიდან: $18. ინტერიერი საკმაოდ მინიმალისტურია, თუმცა სასიამოვნო. მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ, რომ „ფანჯრის» მიღმა, ექსტერიერში მთელი ნიუ-იორკია. ეს რესტორანი უზადო, თვალუწვდენელ ხედს გთავაზობთ. მას შემდეგ, რაც ქურასთან „კლუბ-21“-ის ყოფილი შეფ-მზარეული მიშელ ლომონაკო ტრიალებს, აქაური სამზარეულო უბრალოდ შეუდარებელი გახდა. სარდაფი სავსეა სხვადასხვა სახის ღვინით. არა აქვს მნიშვნელობა, ღვინის მცოდნე ხართ, თუ უბრალოდ მოყვარული, გამოცდილი სომელიე თქვენს განკარგულებაშია: იგი მიგითითებთ იმ სასმელზე, რომელიც ლომონაკოს ორ საფირმო კერძს მოუხდება: გრილზე შემწვარ დაბეგვილ ხორცს და „მენური» ომარების მობრაწულას. რომელიღაც სტატიაში კი წავიკითხე, რომ სამზარეულოში მუშაობს ორი განუყრელი მუსლიმანი ძმა, რომლებიც კიბორჩხალებს რეცხავენ.

დღეს, როცა უკვე ვიცით, რა მოხდა, გონება, გინდა, არ გინდა, ყველა სიტყვაში ავის მომასწავებელ მინიშნებებს ეძებს. სისულელეა, რა თქმა უნდა, როცა 2000 წლის გასტრონომიულ ბუკლეტში წინასწარმეტყველება გინდა ამოიკითხო, მაგრამ თუ ტექსტს სიტყვასიტყვით გავშიფრავთ, ნოსტრადამუსს აღმოვაჩენთ! „ფანჯრის მიღმა“? – ანუ, საიდანაც თვითმფრინავი შემოვარდება? „თვალუწვდენელი ხედი?» – თვალითაც მისწვდნენ და ხელითაც! „სარდაფი სავსეა“? – რა თქმა უნდა, სავსეა, იქიდან 600 000 ტონა ნანგრევი გაიტანეს. „სომელიე მიგითითებთ» – კი, მიუთითა საჰაერო

დისპეტჩერმა. „გრილზე შემწვარი დაბეგვილი ხორცი» – ღმერთო ჩემო! 1500 გრადუსი იყო, აბა, რა იქნებოდა?! „მენურ» ომარებში» რას გულისხმობთ? მოლა ომარს? ვიცი, ეს არ არის სასაცილო. სიკვდილს არ ეხუმრებიან. მაგრამ, მაპატიეთ, ეს ადამიანის თავდაცვითი რეფლექსია. ახლა პარიზის ცათამბჯენის ბოლო სართულზე ვზივარ და ასეთივე ცათამბჯენის სარეკლამო ბუკლეტების მთელ დასტას ვათვალიერებ, თავში კი მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს: ეს ადგილი სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. შეუძლებელია, ყველაფერში ფარული გაფრთხილება, წარსულის გამოძახილი და კოდირებული სიტყვები არ ეძებო, იმიტომ, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც Windows on the world-ი შეიძლება ნახო, – წარსულია. მსოფლიოში ამ უნიკალურ რესტორანს, სადაც შეგეძლო გემრიელად გესადილა, საუცხოო ხედით დამტკბარიყავი, მაგიდის წინასწარ დაჯავშნის შემთხვევაში საყვარელი წაგეყვანა, მისი დეკოლტირებული მკერდისკენ გაგეპარებინა თვალი, სანამ ის ხელჩანთაში პრეზერვატივებს ამოწმებდა, ამ მშვენიერ, უნიკალურ და დაცულ ადგილს ახლა უკვე წარსული ჰქვია.

აი, ტურისტული გზამკვლევის „აშეტ-2000“-ის შინაარსი კი დღეს უკვე ბოროტ ხუმრობას ჰგავს: „დილის საათებში რესტორანი კლუბური პრინციპით ფუნქციონირებს. დამატებითი თანხის გადახდის შემთხვევაში თქვენც ისევე მოგემსახურებიან, როგორც კლუბის წევრებს“.

Sic![225]

უცნაური იყო, რომ Twin Towers-ი, ნიუ-იორკის ერთ-ერთი ყველაზე ულტრათანამედროვე შენობა მდებარეობდა ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ძველ უბანში, მანჰეტენის სამხრეთით, ახალ ამსტერდამში. დღეს უკვე ნიუ-იორკის პეიზაჟი აღარაფრით განსხვავდება იმდროინდელისგან, როცა ჰოლდენ კოლფილდი სკოლიდან გაიქცა. „ტყუპის» დანგრევამ ნიუ-იორკი 1965 წელში დააბრუნა, ჩემი დაბადების წელში. უცნაურია, არა? მე და „ტყუპი» ტოლები ვიყავით. ეს ის მანჰეტენია, სადაც სელინჯერმა თავისი ცნობილი „თამაში ჭვავის ყანაში» (1951), ამერიკული „დიდი მოლნი“[226] დაწერა, რომელშიც მოქმედება 1949 წელს ხდება. იცით, ამ რომანის სათაურის ისტორია? რობერტ ბერნსი[227] ერთ-ერთ ლექსში ამბობს: „თუ ვინმე ვინმეს ხვდება ჭვავის ყანაში“. ჰოლდენ

კოლფილდმა (მთხრობელმა) ლექსი არასწორად გაიგო. მან იფიქრა, რომ იქ ეწერა: „თუ ვინმე ვინმეს იჭერს ჭვავის ყანაში» და საკუთარ თავს The catcher in the rye, ანუ „ჭვავის ყანაში დამჭერი» უწოდა. ის ხომ ამაზე ოცნებობდა მთელი ცხოვრება. 208-ე გვერდზე, ჰოლდენი თავის უმცროს დას, ფების ეუბნება, რომ წარმოუდგენია, როგორ დარბის ჭვავის ყანაში და იჭერს კლდიდან ჩამოვარდნილ ასობით პატარა ბავშვს. რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო კეთილშობილური, ვიდრე ჭვავის ყანაში სირბილი, – ამბობს იგი, – და იმ უამრავი უმანკო ბავშვის გადარჩენა, რომელიც უფსკრულისკენ მიექანება, სიცარიელეში ვარდება. ქარი შორს გაიტაცებს მათ კისკისს მზით გამთბარ და განათებულ ჭვავის ყანაში. „ყველამ იცის, როგორ სჭირდებათ მოთამაშე ბავშვებს მზე, რათა გაიზარდონ“. მართლაც, რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი: დაიჭირო, სანამ ძირს დაენარცხება. როგორ მინდა, მეც ფანჯრების ქვეშ ვმდგარიყავი და დამეჭირა.

The catcher in the Windows.[228]

08:41

ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო ამ ხალხს, ჩემ ირგვლივ რომ ზის. ეს ჩემი საყვარელი სპორტია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შვილებზე ვარ გაბრაზებული. ამათზე იშალე ახლა ნერვები, ამ პარვენიუებზე[229], ამ ახალგამოჩეკილ „ამერიკოზებზე“! ეტყობა დაავიწყდათ, რომ ჰოლანდიელი, გერმანელი, იტალიელი, ესპანელი, ირლანდიელი, ფრანგი და ინგლისელი კოლონიზატორების შთამომავლები არიან, რაღაც სამი-ოთხი საუკუნის წინ ატლანტის ოკეანის მეორე ბოლოდან რომ ჩამოსახლდნენ. Yeeehaa, მაგარი ვარ! ლონგ აილენდზე სახლი მაქვს! მათი ვარდისფერლოყება შვილები Shit-ის მაგივრად Shoot-ს ამბობენ! მაგარია, უკვე აღარა ვარ საიდანღაც ჩამოთრეული ემიგრანტი! რბილი და ძვირფასი თეთრეული მაქვს, რბილი და ძვირფასი ტუალეტის ქაღალდი, ყვავილებით მოჩითული რბილი და ძვირფასი ფარდები და ელექტროტექნიკა, რომელზეც გიჟდება ჩემი თმაზე ლაქწასმული ცოლი. ამერიკული ბედნიერება: American beauty! ხანდახან მგონია, რომ ლესტერ ბერნემი[230] ვარ, ამ ფილმის გმირი. ის გამძღარი, მოყირჭებული ცინიკოსი, რომელიც მიხვდა, რა აუტანელია მისი „იდეალური ოჯახი“, როგორც მე,

სო მე[231] ორი წლის წინ. როცა ქართიუ იორსტონი ამას მიხვდა, ყველა და ყველაფერი დაიკიდა და გაიქცა. მართალია საკუთარი სახლი ცოლს დაუტოვა, არ ვიცი სიმხდალის თუ მერის პატივისცემის გამო. ფილმში ლესტერს ცოლი კლავს ბოლოში. ჩავთვალოთ, რომ მე საწყალ ლესტერთან შედარებით ჯერჯერობით მაგრად მიმართლებს. მართალია, ხელები გადავიტყავე შხაპის ქვეშ მასტურბაციით, მაგრამ მაგას ვინ ჩივის. ერთი ფრაზა მომწონს იმ ფილმში: „ერთ წელიწადში მე მოვკვდები, ან იქნებ უკვე მკვდარი ვარ“. ჩემსა და ლესტერ ბერნემს შორის ბევრი საერთოა. იმედია, ჩემი შვილები მალე გამაცნობენ თავიანთ შეყვარებულებს. არა მგონია, ცდუნებას გავუძლო და გახრწნილი ბებერივით ორივე არ მივაძიგძიგო. ნეტავ, რა პროფესიას აირჩევენ ჯერი და დევიდ იორსტონები: მსახიობები გახდებიან, როკვარსკვლავები თუ ტელეწამყვანები? იქნებ მეწარმეები, ბანკირები ან ცნობილი ბიზნესმენები? როგორც მზრუნველი მამა, მე მათ ამ უკანასკნელს ვურჩევდი, თუმცა როგორც ჭეშმარიტ ამერიკელს, ის პირველი ვარიანტი მირჩევნია. ისე კი, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მათაც მამასავით უძრავი ქონების აგენტობაზე მეტი არაფერი ეჯღანებათ. ერთ ორმოც წელიწადში კი მოუწევთ უკვე პამპერსების გამოცვლა ჩემთვის, როცა ფორტ ლოდერდალში[232] გადავსახლდები და ერთი ლოგინად ჩავარდნილი შარდის შეუკავებლობით გატანჯული ბებრუხანა ვიქნები. ვიცხოვრებ ასე ამ ფლორიდულ გულაგში, თან ორცხობილას ჩავახრამუნებ და თან ჩემი შვილების ქონებას დავანიავებ. უკვე წარმოვიდგინე სურათი: შოპინგს სახლიდან გაუსვლელად ჩავატარებ, სათოხლაოს ინტერნეტით გამოვიწერ, მეძავიც, ფარა ფოსეტის ორეული („ჩარლის ანგელოზებიდან“) ადგილზე მესტუმრება და მოღიმარი სახით მინეტს დამირტყამს. I love my country[233]! ჰო, დამავიწყდა, თუ სიარული შემეძლება, აუცილებლად გოლფსაც ვითამაშებ. ჩემს გოლფის ჯოხებს კი დევიდი და ჯერი ატარებენ.

დურბინდით ქვემოთ ყურებისას თეთრი სამკუთხედი დავინახე. ეს ტერასაა, რომელზეც რესტორნის მიმტანებს სკამები გამოაქვთ, რათა მსურველებმა საუზმე ღია ცის ქვეშ მიირთვან. ნაყინის გამყიდველები ალბათ მალე პრეისკურანტების გამოლაგებას დაიწყებენ, ხოლო ჰოთდოგებითა და მარილიანი კრენდელებით მოვაჭრეები

თავიანთ ურიკებს WTC Plaza-სკენ წაარიხინებენ. ეს რა ოთხკუთხედია იქ? აა, ეს ესტრადაა, რომელიც როკკონცერტის ჩასატარებლად მოაწყვეს. ეს ლითონის ბურთი რაღაა? ბრინჯაოს დედამიწა, მოქანდაკე ფრიტც კიონიგის ნამუშევარი. ზოგი თანამედროვე სკულპტურა უბრალოდ სიმახინჯეა და მეტი არაფერი, მაგალითად, ერთმანეთზე გადახლართული, დაღრანჯული ლითონის ძელები. გაუგებარია, რის თქმას ცდილობს ამით ავტორი?

ადრეული შემოდგომაა. მე ვზივარ და Autumn in New York-ს, შემოდგომა ნიუ-იორკში, ვღიღინებ:

Autumn in Neew Yooork,

Whyyyy doest it seem so invitiiiing?

Glittering crowwwwds and chimering clouuuuds,

In canyons of steeeeeel,

Autuuumn in Neeeew Yorrrk,

Is often mingled wiiith painDreaaamers with empty haaands,

May sigh for exoootic lands.[234]

ოსკარ პეტერსონი – ფორტეპიანო, ლუის არმსტრონგი – საყვირი, ელა ფიცჯერალდი – ვოკალი.

არა, გადაწყვეტილია, ვაზექტომია[235] უნდა გავიკეთო.

თავიდან ქენდეისთან ყველაფერი გადასარევად მიდიოდა. ინტერნეტით გავიცანი, www. match.com-ზე. ეგეთი date-ები[236] ახლა მაგარ ხოდშია. მარტო ამ საიტს ჰყავს რვა მილიონი მომხმარებელი. უცხო ქალაქში ჩასვლამდე, შეგიძლია წინასწარ რამდენიმე პაემანი დანიშნო. ეს ისეთივე მარტივია, როგორიც სასტუმროს დაჯავშნა. პირველი შეხვედრის მერე შევთავაზე, საუბარი ჩემთან, ნომერში გაგვეგრძელებინა, თან ცოტა სასმელი მოგვეწრუპა. როგორც წესი, ამ დროს ქალი უარს ამბობს. ასეთი date-ების დაუწერელი კანონია, რომ პირველ საღამოსვე არ უნდა იჟიმაო. აბა, ქენდეისმა რა ქნა?! პირდაპირ თვალებში ჩამხედა და მითხრა: თუ შენთან ამოვედი, საუბარს არ დავიწყებო! ააა, როგორია! ერთი სიტყვით, რაც ჩვენ ყირაზე გადავსულვართ, იმდენი თქვენ იყავით კარგად! რა არ გაგვიკეთებია: სასტუმროს ნომერში პორნოფილმების

ყურებით დაწყებული, სოდომებით, ხელოვნური პენისებისა და ვიბრატორების ტრიალით დასრულებული. სვინგერების კლუბშიც კი წავედით, თუმცა იქ დამაგლიჯა ნერვები: ბიჭო, რომ მიაჯდა ვიღაც საყურიან თავგადაპარსულ როჟას, ვეღარ ავახიე რა!.. არა, ისე, აბა მიხვდით, რითი იცნობ ტეხასელს სვინგერების კლუბში? მარტო ეგ აწყობს იქ ეჭვიანობის სცენებს! მას მერე სექსი ყოველთვის მაგარი გვქონდა, უბრალოდ უფრო ჰიგიენური. ესეც ორი ეგოცენტრიკული მარტოსულის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო. ჩვენ ერთმანეთის სხეულებს სიამოვნების მისაღებად ვიყენებდით, ოღონდ ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეს ძალადობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიამოვნებას. ნეტავ ხომ არ მღალატობს?! ახლა დაწყვილებას ვერ ასწრებენ, რომ უკვე ერთმანეთს რქებს ადგამენ.

08:42

ერთი პრობლემა მაქვს: ჩემი მეხსიერებიდან მთლიანად ამოშლილია ბავშვობის წლები.

ერთადერთი, რაც ზუსტად მახსოვს, ის არის, რომ ბურჟუაზიის წარმომადგენლობა არ ნიშნავს ბედნიერებას.

ღამეა. ბნელა. ჩემი მაღვიძარა რეკვას იწყებს. რვა საათია. მაგვიანდება. ცამეტი წლის ვარ. ჩემს ყავისფერ Kicker-ებს[237] ვიცვამ. ბურთულიანი საწერ-კალმებით, საშლელებით და დებილური, ტყვიასავით მძიმე სახელმძღვანელოებით გამოტენილ ზურგჩანთას ვიღებ, რომელსაც ზემოდან U.S. აწერია. დედა უკვე ადგა და რძეს გვიდუღებს, რომელსაც მე და ჩემი ძმა ხმაურით სულს ვუბერავთ. ძლივს ვყლაპავ, იმიტომ, რომ ნაღები ყელში მეჩხირება. მერე ლიფტში შევდივართ და ქუჩაში გავდივართ, სადაც 1978 წლის ერთი ბნელი და მოჟამული დილა თენდება. Luis le Grand-ის სახელობის ლიცეუმი[238] ჩვენგან შორსაა. ეს ყველაფერი პარიზში ხდება, კოეტლოგონის ქუჩაზე, IV კვარტალში. სიცივისა და სევდისგან მობუზული მივაბიჯებ. ხელები მოჩლაჩული ქურთუკის ჯიბეში მაქვს ჩაყოფილი, ცხვირი კი – ყვითელ შარფში, რომელიც მჩხვლეტს და მაწუხებს. საცაა წვიმა დასცხებს, 84-მა ნომერმა კი გამასწრო. მე ჯერ არ ვიცი, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, რომ ეს ძალისხმევა სრულიად უსარგებლოა; არ

ვიცი, რომ ეს მოღუშული დილა ჩემი ბავშვობის ერთადერთ მოგონებად იქცევა; ისიც კი არ ვიცი, რატომ ვარ ასეთი სევდიანი. იქნებ იმიტომ, რომ მათემატიკის გაკვეთილიდან შატალოზე წასვლა მინდა და ვერ ვბედავ. ჩემი ძმა ჩარლი ავტობუსს ელოდება, მე კი გადავწყვიტე, ლიცეუმში ფეხით წავიდე. გზად ლუქსემბურგის პარკს და ვოჟირარის ქუჩას გავივლი, სადაც 1928 წლის აპრილიდან აგვისტომდე სკოტ და ზელდა ფიცჯერალდები ცხოვრობდნენ (ბონაპარტის ქუჩის კუთხეში); ოღონდ მაშინ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ახლა უკვე გიინმერის ქუჩაზე ვცხოვრობ. იქვეა, შორს არ წავსულვარ. ჩემი აივნიდან ყოველდღე ვხედავ, როგორ მიიჩქარიან თავიანთი სკოლებისკენ სიცივისგან მობუზული, ჩანთებმოკიდებული ბავშვები, თან ცხვირ-პირიდან ორთქლს უშვებენ. ისინი პატარა, წელში მოხრილ ურჩხულებს ჰგვანან, რომლებიც ცდილობენ ისე გაიარონ, რომ ფილებს შორის ხაზებს ფეხი არ დაადგან. ამას ისეთი მოწადინებით აკეთებენ, გეგონება, დანაღმულ მინდორზე გადარბიანო. სიტყვა „მოჟამული» ყველაზე კარგად აღწერს ჩემს იმდროინდელ ცხოვრებას: ისეთივე მოჟამული, როგორიც ეს ცივი, სუსხიანი დილა. მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ცხოვრებაში არასდროს არაფერი კარგი არ მოხდებოდა. მე მახინჯი, გამხდარი და მარტოსული ადამიანი ვარ. წვიმა კი ისე ასხამს, იფიქრებ, ცა გაირღვაო. გაწუწული ქათამივით ვდგავარ სენატის შენობისა და ჩემი ლიცეუმის წინ, სადაც ყველაფერი ერთნაირად მძულს: კედლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. სუნთქვას ვიკავებ. რატომაა ყველაფერი ასე ცუდად ჩემს ცხოვრებაში?! იმიტომ, რომ ცამეტი წლის რაქიტიანივით გამხდარი ბავშვი ვარ, წვეტიანი, წინ გავარდნილი ნიკაპით. ასეთ ჩონჩხივით სიგამხდრეს სიკვდილი ჯობია! ავტობუსი მოდის. მე წამით ვყოვნდები და ვფიქრობ, – მართლა ვფიქრობ, – ბორბლებში ხომ არ შევუვარდე. ეს ის 84 ნომერია, რომელშიც ჩარლი ზის. ავტობუსის საბურავებიდან ტალახის შხეფები ისხმება და შარვალზე მეწუწება (ჩალისფერი ველვეტის შარვალი, ქვემოთ სასაცილოდ აკეცილი). ბოლოს ნაბიჯს „ნორმალურობისკენ» ვდგამ. ვგრძნობ, რომ ჰაერი არ მყოფნის, ვიხრჩობი ამ სიცივეში. არც ერთი გოგო არასდროს არ შემიყვარებს. და მე სრულიად მესმის მათი. არ მწყინს, მადმუაზელ, თქვენს ადგილას, მეც იმავეს ვიზამდი. გაკვეთილზე მაგვიანდება. მადამ მინუა, მათემატიკის მასწავლებელი თვალებს ისევ ზემოთ ასწევს და

დორბლმორეული დაიწყებს ლაპარაკს, ხოლო ჩემი კრეტინი კლასელები ხმამაღლა, მასწავლებლის გასაგონად ხვნეშას მოჰყვებიან. ფანჯრებზე წვიმის წვეთები დაიკლაკნება და საკლასო ოთახში უიმედობის მძაფრი სუნი დადგება (ახლა უკვე ვიცი, რომ უიმედობას ცარცის სუნი აქვს). რა მაწუხებს ასე ძალიან? ჩემს ცხოვრებაში ხომ არაფერი განსაკუთრებით ცუდი არ მომხდარა, არც ძალადობა, არც ცემა, არც ნარკოტიკები. უბრალოდ, ჩემი მშობლები გაშორდნენ, ისევე როგორც თითქმის ყველა ჩემი თანაკლასელის მშობლები. მაგრამ ორივე ძალიან კარგად მექცევა. მოკლედ, უტრავმობით ტრავმირებული ვარ. ამ დილით გადაწყვეტილება ისევ სიცოცხლის სასარგებლოდ მივიღე და ლიცეუმის კარში ისე შევაბიჯე, როგორც მგლის ხახაში. შენობის შესასვლელი შავი დაფჩენილი პირივითაა, ფანჯრები კი ჩაყვითლებული თვალებივით. სკოლამ გადამყლაპა, რომ როგორც საჭიროა ისე გადამამუშაოს და მომინელოს. მე არავითარ წინააღმდეგობას არ ვუწევ, მთლიანად ვემორჩილები. მზად ვარ გავხდე ის, რაც მათ უნდათ. ჩემი ბავშვობის სიმხდალეს თვალს ვუსწორებ.

რომ მოვინდომო, მონპარნასის ცათამბჯენიდან ჩემი გამწარებული ბავშვობის ლიცეუმს დავინახავ. ცხოვრებით კი ისევ იქ ვცხოვრობ, სადაც ამდენი რამ გადავიტანე. ფესვებს ვერ ვშორდები. რა წინააღმდეგობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ამდენი ხანი საცხოვრებელი ადგილიც კი ვერ შევიცვალე. ჩემი სახლიდან გამომცემლობა „ფლამარიონში» რომ მივიდე, ისევ ის ვოჟირარის ქუჩა უნდა გადავკვეთო, სადაც დღემდე დადიან თავჩახრილი და გათოშილი ბავშვები. მეც ძველებურად დავაბიჯებ ზამთრის ქუჩებში და ყოველ ამოსუნთქვაზე ცხვირ-პირიდან ისევ ძველებურად ვუშვებ ორთქლს, ისევ ძველებურად ვცდილობ ფილებს შორის ხაზებს ფეხი არ დავაბიჯო. არაფერი შეცვლილა და ის დილაც ჩემთვის ჯერ არ დასრულებულა.

08:43

აი, ჩემმა ბავშვობამ კი ტეხასის შტატში, ოსტინის ერთ-ერთი გარეუბნის მწვანედ მობიბინე სამოთხეში ჩაიარა: სახლი, რომელიც არაფრით განსხვავდება მეზობლის კარ-მიდამოსგან; ეზო, რომელშიც ბავშვები შლანგებით წუწაობენ და „შევროლე» კაბრიოლეტი, რომელიც ოჯახს ზღვისკენ მიაქროლებს. საღამოს

დივანზე ვსხედვართ და ტელევიზორს ვუყურებთ. ვიღაცამ ეზოდან ფანჯარაში რომ შემოიხედოს, დაინახავს, როგორ ციმციმებს ცისფრად ორი ბავშვის სახეზე ტელევიზორის გამოსახულება. ამ დროს მსგავს სურათს ნახავთ მთელ ქალაქში, მთელ ქვეყანაში. ჩემი მშობლები თავს არ ზოგავენ, რომ ჩვენი ცხოვრება ამერიკულ კინოს ჰგავდეს: ისინი „კოქტეილფართებს» აწყობენ, რომელზეც დედები ერთმანეთს სახლების მოწყობაზე ესაუბრებიან. ყოველ წელს საშუალოდ ოთხ ტონა საწვავს მოვიხმართ. ისეთ კოლეჯში დავდივართ, სადაც მხოლოდ მუწუკებიანი თეთრკანიანები სწავლობენ, რომლებსაც თავზე ბეისბოლის ჩაფხუტები ახურავთ და Grateful Dead[239]-ს უსმენენ; მზე, cofee shop-ები[240], ფეხბურთის გუნდები, დიდძუძუება cheerleader-ები[241], რომლებიც ორ სიტყვაში ერთხელ i mean და like-ს[242] ამბობენ და არავითარი ზანგები (დიდი-დიდი, ეკლესიაში ვნახოთ კვირაობით). უხ! მაპატიეთ, უნდა მეთქვა აფროამერიკელები-მეთქი. ჩემს ბავშვობაში ყველაფერი clean[243] იყო. Lapdancing-ი[244] ჯერ არ არსებობდა, სასტუმროებში კი არასრულწლოვანებს არ უშვებდნენ. ბალახზე საუზმე, ჩოგბურთის თამაში და ჰამაკში წამოწოლილი კომიქსების კითხვა – აი, როგორი იყო ჩემი ბავშვობა. მამაჩემს ხელში სკოჩის ჭიქა უჭირავს, რომელშიც ყინულის ნაჭრები, კლინკ-კლინკ, წკარუნობენ. ყოველკვირა ჩემს შტატში ერთ-ორ პატიმარს სიკვდილით სჯიან. ჩემმა ბავშვობამ მწვანე გაზონზე გაიარა. ოღონდ არ გეგონოთ, რომ ეს პატარა სახლი იყო პრერიაში[245], არა, ეს ვილა იყო ქალაქის პრესტიჟულ გარეუბანში. მე კბილებზე ბრეისები მიკეთია, ოთახში რადიო მაქვს ჩართული და სარკის წინ ჩემი Dunlop-ის ფირმის ჩოგბურთის ჩოგნით ხელში გიტარისტს ვასახიერებ. ზაფხულის არდადეგებს Summer camps-ში, საზაფხულო ბანაკებში ვატარებ: მდინარეზე გასაბერი ნავით ვეშვები, ჩაწოდებას ვამუშავებ, წყალბურთის მატჩებს ვიგებ და ჟურნალ hustler magazin-ის მეშვეობით საოცარ აღმოჩენას ვაკეთებ: მასტურბაციას! მართალია, ლოლიტებს კეტ სტივენსები[246] უყვართ, მაგრამ მათი იქ არყოფნის გამო, გოგონებს ქალიშვილობას ჩოგბურთის ტრენერები აკარგვინებენ. ჩემი ბავშვობის უდიდესი ტრავმა ფილმი „კინგ-კონგია» (1933 წლის ვერსია). ერთხელ, როცა მშობლები სახლში არ იყვნენ, მე და ჩემმა დამ, ძიძის აკრძალვის მიუხედავად, ამ ფილმს ჩვენი მშობლების საძინებელში ვუყურეთ. გიგანტური გორილის შავ-თეთრი გამოსახულება, რომელიც Empire State

Building-ზე მიძვრება და სამხედრო თვითმფრინავებს ხელით იჭერს: აი, ჩემი ბავშვობის ყველაზე მძიმე მოგონება. 80-იან წლებში ამ ფილმის რიმეიკი გადაიღეს, ამჯერად ფერადი ფილმი, სადაც გორილა უკვე მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე ადიოდა. წუთით წარმოვიდგინე, ახლა აქ უშველებელი მაიმუნი რომ გამომეცხადოს! ხომ გამისკდა გული და ეგ არის! რა უაზროდ ამეკვიატა ახლა ეს აზრი!

ლიცეუმის yearbook-ებს[247] ვფურცლავ და ბავშვობის წლებს ვიხსენებ. მაშინ მიმაჩნდა, რომ ბედნიერი ვიყავი, ახლა კი ასე აღარ მგონია. შეიძლება იმიტომ, რომ არ მინდა თავს გამოვუტყდე: ის დრო აღარასდროს დაბრუნდება, მე სამუდამოდ დავტოვე ჩემი ძველი ოჯახი, რათა ბედი უძრავ ქონებაში მეცადა. წარმატებას ამ საქმეში მხოლოდ მაშინ მივაღწიე, როცა ერთი მუღამი დავიჭირე: მაყუთი დიდი კი არა, პატარა ბინების გაყიდვაზე კეთდება (იმიტომ, რომ პატარა ბინები ლიწინ-ლიწინით იყიდება). მაგრამ, მოგეხსენებათ, საშუალო კლასის ოჯახები იმავე ჟურნალებს კითხულობენ, რასაც მდიდრები, ამიტომ ზუსტად უოლფეიფერებისნაირი[248] ინტერიერი უნდათ ან მაინცდამაინც ლენი კრავიცის მსგავსი მანსარდა! მეც ავდექი და საკრედიტო ორგანიზაციას მოველაპარაკე, რომ ჩემს კლიენტებს ერთი-ორი მილიონი დოლარი ოცდაათწლიანი სესხის სახით დაუმტკიცონ. მერე წავედი და დალასელი კოვბოების ძველ უბნებში მიტოვებული ბოსლები მოვქექე და ელიტარულ სტუდიოებად გადავაკეთე. მთელი ჩემი ნიჭი და უნარი კი იმას მოვახმარე, რომ ჩემი კლიენტები მათი ბინების ერთადერთობასა და განუმეორებლობაში დამერწმუნებინა. ასე ვიჯიბავდი ყოველწლიურად დაახლოებით ოცდაათი ათასს. ნელ-ნელა სააგენტოში გავიქაჩე, მერე იმ ტიპის ადგილი დავითრიე, რომელმაც სამსახურში ამიყვანა და ბოლოს საკუთარი სააგენტო გავხსენი: Austin Maxi Real Estate. სამ მილიონ-ნახევარზე უკვე ავედი, მალე ოთხიც მექნება. დონალდ ტრამპამდე, რა თქმა უნდა, ბევრი მიკლია, მაგრამ იცხოვრებ, რა... როგორც მამაჩემი ამბობდა, ყველაზე ძნელი პირველი მილიონის შოვნაა, დანარჩენი თავისით მოვაო. მოკლედ, დევიდი და ჯერი უზრუნველყოფილნი არიან, ოღონდ ჯერ არ ვეუბნები, იმიტომ, რომ მერის წინაშე ისევ იმ ჯიბეგამოფხეკილი არისტოკრატის როლს ვთამაშობ, თორემ, ხომ ვიცი, დივიდენდების გაოთხმაგება ზედ მაქვს. ისე,

სიმართლე გითხრათ, ჩვენი გაყრის მიზეზიც ფული გახდა. რაღა მინდოდა საღამოობით სახლში, როცა ჯიბეში ამდენი მაყუთი მედო. რა აზრი აქვს ფულის შოვნას, თუ ყოველღამე ერთსა და იმავე ქალს ხერხავ? მინდოდა ჯორჯ ბებიტის[249] ანტიპოდი გავმხდარიყავი, იმ საცოდავის, რომელიც ვერ იქნა და ვერ გათავისუფლდა თავისი ოჯახისა და მშობლიური ქალაქის ტყვეობისგან.

– მომე ფოტოაპარატი! – ამბობს დევიდი.

– არ მოგცემ, ჩემია! – პასუხობს ჯერი.

– შენ არ იცი სურათების გადაღება.

– უფ, შენ ხო იცი...

– „ფლეში» მაინც ჩართე.

– რად გინდა, ბიჭო, „ფლეში» დღისით?

– დისტანცია დააყენე!

– აუ, დაიკიდე რა, მაინც ერთჯერადი აპარატია.

– თავისუფლების ქანდაკება გადაიღე! – ამბობს დევიდი.

– გადავიღე უკვე! – პასუხობს ჯერი.

– შენი ბოლო სურათები სულ გათხაპნილი გამოვიდა! – არ ცხრება დევიდი.

– აუ, მოკეტე რა...

– დებილო!

– დებილი თავი გაბია!

– ბუტიაა! ბუტია!

– თავი გაბიაა! გაბია!

– აუ, მომე რა, აპარატი!

08:44

ჯერი და დევიდი იმ ფოტოებს ყურადღებით რომ დაჰკვირვებოდნენ (რომელსაც, სამწუხაროდ, გამჟღავნება არ

ეწერა), აუცილებლად დაინახავდნენ Impire State Building-ის თავზე მოძრავ, თეთრ წერტილს. ცისფერ ცაზე აშკარად რაღაცა, დიდი, მბზინავი, თოლიას მსგავსი ობიექტი იკვეთებოდა. მაგრამ ჩიტები არც ასე მაღლა დაფრინავენ და არც ასე ჩქარა. მზის სხივები ისე ირეკლება მის მოვერცხლისფრო ზედაპირზე, როგორც „მისია შეუსრულებელია“[250]-შია, როცა ფარული ჯაშუში ყველასთვის შეუმჩნევლად კოლეგის გაფრთხილებას ცდილობს და პატარა სარკით სახეში მიანათებს.

„პარიზის ცაში» ყველაფერი გათვლილია იმისთვის, რომ მუდმივად გახსოვდეთ: თქვენ ყველაფერ ნორმალურზე უფრო მაღლა დგახართ. ტუალეტის კედლებზეც კი სახლის სახურავები ხატია, რომ რესტორნის მამაკაც კლიენტებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ქალაქს ზემოდან აფსამენ. აქ ერთხელ უნდა ვისადილო, მენიუ ერთობ მაცდურად გამოიყურება: „შემოდგომა „პარიზის ცაში» – ჟან-ფრანსუა უაიონის და მისი გუნდის თვალით დანახული“ ცივი კერძები: ფუა გრას ესკალოპი სუნელებიან პურზე გამომცხვარი თეთრი სოკოს სოუსით (25 ევრო 50), ასთაკვის სალათი თხილითა და ოხრახუშით (32 ევრო), ფუა გრა „ან ტრუა კუისონ» (27 ევრო 50); თევზეული: ბარაბულკა გრილზე, „ბუიაბესის» სოუსით და ბადრიჯნის პიურეთი (26 ევრო), ლანგუსტის „ფრიკასე“[251], ბოსტნეულით და ქონდრიანი კარაქით (36 ევრო), შემწვარი ქორჭილა კამით, ლიმონის წვენით და მჟავე პამიდვრით (32 ევრო 50), შემწვარი თევზი ოხრახუშში მოშუშული სალათით (30 ევრო); ხორცის კერძებიდან ჟან-ფრანსუა უაიონი გვთავაზობს: სუნელები და თაფლში შემწვარი მტრედის ხორცი კრისტალიზებულ კომბოსტოსთან ერთად (33 ევრო), ჩაშუშული საქონლის კუდი ცხელ ფუა გრასთან (27 ევრო), თხლად დაჭრილი ხბოს თირკმლები მდოგვით, კანელონი ველური სოკოთი (28 ევრო). გული ხომ არ გერევათ? დესერტზე მე შოკოლადის „გუანახასკენ» ვიხრები, ნაღების ნაყინით და თხილით. ვიცი, რომ ეს არ არის კვების სწორი რეჟიმი და კარლ ლაგერფელდისგან[252] ამის გამო საყვედური არ ამცდებოდა, მაგრამ რა ვქნა, ისევ ეს მირჩევნია ბურბონიან ვანილის კარაქში შემწვარ კუმარუს, მჟავე ალუბალს ან ლეღვს.

ამასობაში ჩვენს უკანა მაგიდაზე დიდი ვნებათაღელვა შეიმჩნევა. ამერიკელი წყვილი საუზმეზე ერბოკვერცხს ითხოვს ლორითა და სოკოთი. მიმტანი ფორთოხლისფერი, სახეზე მიკერებული ღიმილით უხსნის: „I am sorry, ჩვენს რესტორანში

მხოლოდ კონტინენტური საუზმის შეკვეთაა შესაძლებელი“. კონტინენტური საუზმე კი, მოგეხსენებათ, შედგება ტოსტების, ფუნთუშების, ხილის წვენისა და ცხელი სასმლისგან და ისეთი ნოყიერი არ არის, როგორიც ის საკვები, რომელსაც ამერიკელები შთანთქავენ ყოველ დილას. ამიტომაც წყვილი დგება და ხმამაღალი ბუზღუნით ტოვებს რესტორანს. ისინი ვერ ხვდებიან, როგორ შეიძლება ტურისტებით ასეთ სავსე ადგილას არ იყოს ნორმალური, ადამიანური საჭმელი. კომერციის ზოგადი პრინციპებისა და მომხმარებლის პოზიციიდან გამომდინარე, ისინი მართლები არიან. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ აქაც იმავეს შეჭამ, რასაც შინ, მაშინ რაღა აზრი აქვს ამ სიშორეს წამოსვლას?! ერთი სიტყვით, ამ საშინელ გაუგებრობაში ორივე მხარე თავისებურად მართალია. ჩემი აზრით, „პარიზის ცის» საუზმე მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა მომხმარებელს საშუალება ჰქონდეს თავად აირჩიოს, რას მიირთმევს, ხოლო ამერიკელები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეშვან საკუთარი ცხოვრების წესის მთელ პლანეტაზე დანერგვას. ამ წყვილს, მაგალითად, გაუმართლებდა, დღეს 08: 45 საათზე მონპარნასის ცათამბჯენს თვითმფრინავი რომ შესკდომოდა, როგორც ეს 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრში მოხდა.

ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ცათამბჯენს ერთხელ უკვე შეეჯახა თვითმფრინავი. ეს 1945 წლის ერთ ნისლიან ღამეს მოხდა. მაშინ ამერიკული სამხედრო-საჰაერო ძალების ბომბდამშენი ბ-25, Empire State Building-ის შენობას 78-ე და 79-ე სართულებს შორის შეასკდა. ამის შედეგი 14 დაღუპული და უდიდესი ხანძარი იყო, როცა ცეცხლი რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევდა. მაგრამ Empire State Building-ი არ დანგრეულა, იმიტომ, რომ ფოლადის კონსტრუქცია, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობისგან განსხვავებით, არ დამდნარა (ფოლადი სიმყარეს 450 გრადუსამდე ინარჩუნებს, 1400 გრადუსიდან კი დნობას იწყებს, მაშინ როცა „ბოინგის» ავარიის დროს ტემპერატურამ 2000 გრადუსს მიაღწია). 2001 წელს 40 000 ლიტრმა აალებულმა საწვავმა შენობის ლითონის კარკასი მთლიანად ჩამოშალა და ზედა სართულების ქვედაზე დაცემა გამოიწვია. ტყუპის მშენებლობის დროს იამასაკიმ ახალი ტექნოლოგიები გამოიყენა: მან უარი თქვა შიდა საყრდენი სვეტების ლაბირინთულ კონსტრუქციაზე და მის მაგივრად სიმძიმის ძირითადი ძალა გარე კედლებზე

გადაიტანა. ერთმანეთთან ახლო-ახლო განლაგებულ ფოლადის ვერტიკალურ სვეტებს ფოლადის ჰორიზონტალური კოჭები კვეთდა, რომლებიც ყველა სართულს ქამარივით ერტყა. ასეთი არქიტექტურა შიდა პერიმეტრის მაქსიმალურად გამოთავისუფლების საშუალებას იძლეოდა (რაც სამშენებლო კომპანიისთვის, უდავოდ, მომგებიანი იყო). სწორედ ამ საყრდენი სვეტების გამო, რომელსაც ზემოდან ფოლადის თხელი ფენა ჰქონდა დადებული, ორივე ცათამბჯენი შორიდან ზოლებიანი გეგონებოდათ და სტერეოფონულ ხმის გამაძლიერებელს ჰგავდა.

დასკვნა: ტყუპი ისე იყო აშენებული, რომ თვითმფრინავის შეჯახებისთვის უნდა გაეძლო, ოღონდ თვითმფრინავი საწვავის გარეშე უნდა ყოფილიყო!

მაშ ასე, ყურადღებით! ბოლო 60 წამის ათვლა იწყება. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება: კატასტროფამდე ზუსტად ერთი წუთი რჩება. ეს ის წუთია, როცა ჯერ კიდევ ყველაფერი შესაძლებელია, მაგალითად, უცებ თავში რაღაცამ დაგარტყას, წამოხტე და გაიქცე. მაგრამ ქართიუ ასე არ იქცევა, ის ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვს, ბავშვებიც ერთობიან, ამიტომ აპირებს, ამ ნიუიორკული გასეირნებით ბოლომდე ისიამოვნოს. რესტორანში ახალი კლიენტები შემოდიან, ზოგმა კი უკვე ისაუზმა და გადის. აი, ის იასამნისფერთმიანი მოხუცი ქალბატონიც, რომელსაც დევიდმა და ჯერიმ ნორმალურად ჭამა არ აცადეს, დგება, იხდის ფულს (ისე, რომ მიმტანისთვის 5-დოლარიანის დატოვებაც არ ავიწყდება) და ნელი ნაბიჯით ლიფტისკენ მიემართება. ამ ორი პატარა შფოთისთავის შემყურეს ახსენდება, რომ შვილიშვილისთვის დაბადების დღის საჩუქარი აქვს საყიდელი. Have a nice day![253] – ეუბნება ადმინისტრატორს და თითს აჭერს ღილაკს, რომელსაც Mezzanine აწერია. ღილაკი ინთება და ლიფტის კარიც წკრიალით იღება. ბარემ აქ ვარ და საყიდლებზე გავივლიო, – გადაწყვეტს, ახსოვს, რომ სადღაც Toys RU-ს მაღაზია მოხვდა თვალში, მაგრამ ვერ იხსენებს, პირველ სართულზე იყო თუ Mezzanine-ში. ამ ფიქრში გართული ლიფტის კაბინაში შედის, რომლის კარიც ნელა იხურება. მერე მთელი ცხოვრება ეს მოხუცი ქალი იტყვის, რომ ღვთის ნება იყო, ზუსტად იმწამს რომ ადგა და ქვემოთ ჩავიდა; რომ ღმერთმა იგი სასიკვდილოდ არ გაიმეტა და რომ ვერაფრით გაუგია, რატომ აირჩია უფალმა მაინცდამაინც იგი, მოხუცი ქალი და არა ის ორი პატარა ბიჭუნა.

08:45

ერთი წუთის წინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა რაღაცის შეცვლა. მერე კი უცებ მთელი სხეული ცახცახმა აიტანა.

– იცი, რა განსხვავებაა დევიდ ლინჩსა[254] და მერილ ლინჩს[255] შორის? – კითხულობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– აზრზე არა ვარ, – ეუბნება რალფ ლორენიანი ქალი.

– არანაირი! ორივე სისულელეებს აკეთებს და ორივე ჰაერში ყრის ფულს, – პასუხობს კენეტ კოლიანი კაცი.

წყვილი ხმამაღლა იცინის და ისევ პროფესიულ თემაზე იწყებს საუბარს.

– ლიკვიდურობა კი გაიზარდა, მაგრამ მოცულობები დავარდა, – რალფ ლორენიანი ქალი.

– Standard’s & Poors-ის ფიუჩერსები რომ ნახო, გული გაგისკდება. დედა აღარ ჰყავთ! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– ამ Edge-მა არ გაგვიხურა ცხოვრება?! – რალფ ლორენიანი ქალი.

– Nasdaq-ის ქოლებზე ვარ მიერთებული, – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– ჩარტები საშიში გახდა, – რალფ ლორენიანი ქალი.

– თავს დავდებ, მაგრა დაგვენძრევა! – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– აბა რა ეგონათ! მოგხვდათ იენა ბებერ ყბაში? – რალფ ლორენიანი ქალი.

– მე Nikkei-ს პოზიცია დავხურე! – კენეტ კოლიანი მამაკაცი

– ღმერთო! – ყვირის რალფ ლორენიანი ქალი, – ღმერთო! ეს რა არის?!

თვალებდაქაჩულმა და პირღიამ აკანკალებული ხელები ტუჩებზე აიფარა.

– რა იყო? რა ხდება? What’s the problem? – ეკითხება მამაკაცი და უკან იხედება.

ისეთი უღრუბლო ცა იყო, რომ ჯერი თავისი ბინოკლით მოქლონებს დაითვლიდა თვითმფრინავის ფიუზელაჟზე[256]. უცებ ძალიან შეშინებული ჩემთან მოვარდა:

– Look Dad ! You see the plane?[257]

მე კი უკვე ხელებაკანკალებული ფანჯარაში ვიყურებოდი. ერთ წამში პარკინსონის დაავადება ავიკიდე. ყველაფერი გასაგები იყო: „ამერიკან ეარლაინსის» დედააფეთქებული «ბოინგი» ნიუ-იორკის თავზე ზედმეტად დაბალ სიმაღლეზე დაეშვა და პირდაპირ ჩვენკენ მოექანებოდა!

– გამაგებინეთ, რა ხდება! როგორ შეიძლება ასე დაბლა ფრენა. ამან ხომ არ გააფრინა!

ვერ ვიტან ფილმებს კატასტროფებზე: სიმპათიური გარეგნობის ქერა მამაკაცებით, კვადრატული ნიკაპით; ფეხმძიმე ქალებით, რომლებიც სასწრაფოდ წყლებს ღვრიან; პარანოიკებით, რომლებიც ისტერიკაში ვარდებიან; მშიშრებით, რომლებიც უცბად გულადებად გადაიქცევიან და მღვდლით, რომელიც ბოლო ზიარებას იძლევა. ამ დროს აუცილებლად ვიღაც იდიოტი ავად ხდება, ბორტგამცილებელი კი მგზავრებს მიმართავს:

– ექიმი ხომ არა ხართ ვინმე?

სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ბევრი ფიქრის გარეშე ხელს იწევს და თან სახეზე საკუთარი უკიდეგანო საჭიროების შეგრძნება ეწერება. ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება!

გინდათ გითხრათ, რაზე ფიქრობს ადამიანი, როცა «ბოინგი» პირდაპირ მისკენ მიექანება? რა, ტრაკში ვარ! – სხვა არაფერზე და სავარძლის სახელურებს აფრინდება. საკუთარ თვალებს არ უჯერებს, იქნებ ის, რაც ახლა უნდა მოხდეს, არ მოხდება, ფიქრობს გულში. გვინდა, რომ ვცდებოდეთ. პირველად ცხოვრებაში, გვინდა, რომ არ ვიყოთ მართლები, ვერ ვხვდებოდეთ, არასწორად ვგრძნობდეთ, თვალი გვატყუებდეს. წესით, ჩემი პირველი რეაქცია ჯერისა და დევიდის დაცვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა! მაგიდის ქვეშ როცა მივძვრებოდი, მარტო ჩემს ქვეშაფსია თავზე ვფიქრობდი.

08:46

დღეს უკვე ზუსტად ვიცით, რა მოხდა 8 საათსა და 46 წუთზე. კომპანია «ამერიკან ეარლაინსის» კუთვნილი «ბოინგი»-767, რომლის ბორტზეც 119 მგზავრი იმყოფებოდა (მათგან 11 ეკიპაჟის წევრი), შეეჯახა პირველი ცათამბჯენის ჩრდილოეთ ფასადს 94-ე და 98-ე სართულებს შორის. ავარიის შედეგად დაღვრილმა 40 000-მა ლიტრმა საწვავმა Marsh & McLennan Companies-ის ოფისებში ხანძარი გააჩინა. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს ბოსტონი-ლოს-ანჯელესი. იგი ლოგანის აეროპორტიდან 7:59 საათზე აფრინდა და 800 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდებოდა. დარტყმის ძალის სიმძლავრე 240 ტონა ტროტილის აფეთქების ეკვივალენტური იყო (დარტყმის ამპლიტუდა – 0,9, ხანგრძლივობა – 12 წამი). ასევე ცნობილია, რომ არც ერთი იმ 1344 ადამიანს შორის, რომელიც ამ დროს ზედა სართულებზე იმყოფებოდა, არ გადარჩენილა. გასაგებია, რომ ეს ფაქტი მთლიანად განსაზღვრავს ამ წიგნის ფინალს. მით უკეთესი. ეს თრილერი არ არის. ეს არის მცდელობა (შეიძლება წარუმატებელი), აღიწეროს აღუწერელი.

„ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰპოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ. ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი» (ძველი აღთქმა. დაბადება თავი XI, 1-3).[258]

08:47

როცა ფეხებქვეშ „ამერიკან ეარლაინსის» «ბოინგი» გივარდება, ორნაირი შეგრძნება გეუფლება: ჯერ გგონია, რომ ცათამბჯენში კი არა, მეტრონომში ხარ; თუმცა ამაზე უარესი მერე იწყება, როცა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი უცბად პიზის კოშკად იქცევა. ის, რასაც სპეციალისტები shock wave-ს[259] ეძახიან, სინამდვილეში შტორმის დროს გემბანზე ყოფნას ჰგავს. ანდა, ბავშვებისთვის უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, ასე ვიტყოდი: წარმოიდგინეთ, რამდენიმე წამით გიგანტური მილქშეიქის ჭურჭელში რომ მოხვდეთ: წვენით სავსე ჭიქები იატაკზე ცვივა, კედლის განათებები ადგილიდან წყდება და ელექტრომავთულზე დაკიდებული აქეთ-იქით ქანაობს, შეკიდული ჭერი თავზე გემხობა, სამზარეულოდან თეფშების

ლეწვის ხმა ისმის, ბარიდან ბოთლები იყრება, ზოგი ტყდება, ზოგი იატაკზე გორავს, ყვავილების ლარნაკებს ლაწალუწი გაუდით და ირგვლივ შუშის ნამცეცებად იბნევა, შამპანურის ვედროები ხალიჩაზე ცვივა, ფუნთუშეულით სავსე ურიკები კი მაგიდებს შორის ყირავდება. სახეები და კედლები ზემოთ-ქვემოთ დახტიან.

როდესაც ფანჯრის იქით ცეცხლის ბურთი ავარდა, ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ყურებში ხანძარი გაგვიჩნდა, მერე ცოტა ხანში იქაურობა შავი კვამლით აივსო. ბოლი ყველა მხრიდან გვიტევდა: იატაკიდან, კედლებიდან, ჭერიდან, ლიფტის შახტიდან, სავენტილაციო გისოსებიდან. აღმოჩნდა, რომ ირგვლივ უამრავი ხვრელი და ჭუჭრუტანა იყო, საიდანაც წესით სუფთა ჰაერი უნდა შემოსულიყო, ახლა კი სრულიად საპირისპირო ხდებოდა. ერთი სიტყვით, ვენტილაციის სისტემა ფუმიგაციის სისტემად გადაიქცა. ირგვლივ ყველა ხველებას იწყებს და პირზე ხელსახოცებს იფარებს. როგორც იქნა, გამახსენდა დევიდისა და ჯერის არსებობა და მაგიდის ქვეშ, სადაც სამივენი ვსხედვართ, ბავშვებს ფორთოხლის წვენში დასველებულ ხელსახოცებს ვუწვდი.

– აიფარეთ და ისე ისუნთქეთ. ეს ტესტია, ბიჭებო, ნიუ-იორკში ასეთი რამეები ხშირად ხდება, ამას fire-drill ჰქვია, – სასწავლო განგაში. საშიში არაფერია! მე თუ მკითხავთ, სახალისოც კია, არა?!

– მამა, თვითმფრინავი დაგვეჯახა?

– არა, შვილო, რა თვითმფრინავი! – ვცდილობ გავიცინო, – არ მინდოდა თქვენთვის წინასწარ მეთქვა. სიურპრიზია: ეს თვითმფრინავი ახალი ატრაქციონია, სამგანზომილებიან ფილმს იღებენ, ჯორჯ ლუკასის[260] მოგონილი სპეცეფექტებით, აქ ყოველდღე ასეთ ცრუ განგაშს აწყობენ. ჰა, მგონი, თქვენ მართლა შეგეშინდათ?

– კი, მაგრამ, მამა, ყველაფერი ყანყალებს, მიმტანებიც კი ისტერიკულად კივიან.

– Don’t worry! ნუ ნერვიულობთ! რესტორანს სპეციალური ჰიდრავლიკური დომკრატებით აყანყალებენ, როგორც ატრაქციონების პარკშია. ეს მიმტანები კი მსახიობები არიან. ძველი ხერხია, მამიკო. ფილმის გმირებს ჩვეულებრივ მომხმარებლებს შორის სვამენ, როგორც „კარიბის ზღვის

მეკობრეებშია“. დეივ, ხომ გახსოვს „კარიბის ზღვის მეკობრეები?“

– კიიი, მა... და ამ ატრაქციონს რა ჰქვია?

– Tower inferno – «ჯოჯოხეთის ციხე“

– ეგრეც ვიცოდი, შე ჩემა...

– დეივ, შე ჩემას ნუ ამბობ... მაშინაც კი, როცა ჯოჯოხეთის ციხეში ხარ, კაი?!

ჯერიმ, როგორც ეტყობოდა, ჩემი ზღაპრები არ დაიჯერა. რა ვქნა, ამაზე უკეთესი უცბად ვერაფერი მოვიგონე, მერე კი პირველ ჩვენებას მივაწექი, რომ არ ეტირა; იმიტომ, რომ ჯერიმ რომ ტირილი დაიწყოს, მეც ავსლუკუნდები და დევიდიც მოაფჩენს პირს. დევიდი კი არასდროს ტირის. და რაღა მაინცდამაინც დღეს უნდა დაიწყოს?

– ნახე, ნახე, რა ტრიუკებია! ეს დაქირავებული ხალხი, ფულის გულისთვის რომ პანიკობენ, რა მაგრა თამაშობენ! ბოლი, ბოლი, ნახე, ყველა მხრიდან რომ შემოდის! მაგარია! უნდა ვაღიაროთ, რომ ძაან გამოუვიდათ!

ხალხი ჩვენ ირგვლივ შიშისგან გაშეშებელი დგას და ერთმანეთს გაოცებული სახით უყურებს. მათ, ვინც ჩვენსავით მაგიდის ქვეშ შეძვრნენ, ჯერ ჩუმად თავი გამოყვეს, მერე ნელ-ნელა წამოდგნენ, ცოტა შეცბუნებულნი იმის გამო, რომ მთლად გმირულად ვერ მოიქცნენ. ჯერის ბლინები მაგიდის ქვეშ დაჭყლეტილი ყრია და ზედ ფაიფურის ნამსხვრევები აქვს მიმობნეული, ამოყირავებულ სკამებს შორის ნეკერჩხლის სიროფი მოწვეთავს. «მსოფლიოს ფანჯრებიდან» კი აღარაფერი ჩანს, ირგვლივ სქელი, შავი კვამლის ფარდაა. დაღამდა, ნიუ-იორკზე სიბნელე ჩამოწვა, ქვემოდან კი უჩვეულო გუგუნის ხმა ამოდის. ყველას თავში ერთი აზრი გვიტრიალებს, რომელსაც ბოლოს ხმამაღლა შეფ-მზარეული წარმოთქვამს:

– We’ve got to get the hell out of here! აქედან უნდა დავახვიოთ!

ნეტავ, ახლა კატასტროფებზე რომ დებილურ ფილმებს იღებენ, იმაში ვიყო. Happy end-ი მაინც მექნებოდა გარანტირებული!

08:48

Windows on the world-ს შეიძლება ერქვას:

– Windows on the Planes.

– Windows on the Crash.

– Windows on the Smoke.

– Broken Windows.[261]

ბოდიშს გიხდით შავი იუმორისთვის. ეს მხოლოდ კოშმარიდან თავის დაღწევის უმწეო მცდელობაა.

„ნიუ-იორკ თაიმსმა» თვითმხილველთა ჩვენებები შეაგროვა. სამოყვარულო ვიდეოჩანაწერზე კარგად ჩანს, რა სისწრაფით ვრცელდება კვამლი შენობის მაღალ სართულებზე. უჩვეულო ის არის, რომ შენობის ზედა ნაწილი თითქმის მთლიანად ბოლშია მოქცეული, მაშინ როცა ქვემოთ, ანუ აფეთქების უშუალო ადგილთან ახლოს, კვამლი ბევრად ნაკლებია. შეჯახებიდან რამდენიმე წამში სქელი შავი ღრუბელი ელვისებური სისწრაფით მაღლა ავარდა. არსებობს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელზეც Data Synapse-ის თანამშრომელი რაჯეშ მირპური თავის ბოსს, პიტერ ლის ელაპარაკება. ის განუწყვეტლივ ახველებს და ამბობს, რომ ხუთ მეტრში უკვე აღარაფერი ჩანს. მდგომარეობა ყოველ წამს უარესდებოდა. 104-ე სართულზე Cantor Fitzgerald-ის ოფისში ცეცხლმა კიბეებისკენ გასასვლელი ჩაკეტა. ორმოცდაათამდე თანამშრომელი იძულებული გახდა ჩრდილოეთ ფასადისკენ გაქცეულიყო და საკონფერენციო დარბაზისთვის შეეფარებინა თავი.

ამ დროს ხალხი ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ ეს რაღაც უბედური შემთხვევა იყო. დღეს უკვე ცნობილია, რომ შენობის ჩამონგრევამდე, ანუ 10:28 საათამდე შენობაში მყოფთა უმრავლესობა ცოცხალი იყო. მათი ტანჯვა 102 წუთი გრძელდებოდა. საშუალოდ ამდენ ხანს გრძელდება ჰოლივუდური ფილმებიც.

ნაწყვეტი ჰუისმანსის[262] რომანიდან „პირიქით“:

„ამერიკულმა კატორღამ ჩვენს კონტინენტზე გადმოინაცვლა. აღარ უჩანდა ბოლო ამ ბანკირებისა და პარვენიუების უსაშველო, ენით აუწერელ, გამაოგნებელ დაუდევრობას. იგი მზესავით კაშკაშებდა და ქალაქიც მუხლმოყრილი და

თვალებდაბინდული თაყვანს სცემდა, ჰიმნს უმღეროდა და ძღვენს სწირავდა!

მაშ, ამოწყდით, ხალხნო, დაიქეცი, ევროპავ! – შეჰყვირა დეზ ესენტმა, შეძრწუნებულმა იმ სანახაობით, რომელიც თავად დახატა».

ასეც ვიცოდი! ნამდვილი დამნაშავე უსამა ბინ ლადენი კი არა, ეს თავზე ხელაღებული დეზ ესენტია[263]. ამ დეკადენტ დენდის ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებდი. თავგასულ ბავშვებსაც ხომ მეტი არ უნდათ, ეზიარებიან ნიჰილიზმის ესთეტიკას და mass murderer-ებს[264] ემხრობიან. ამიერიდან ყველა ექსცენტრიკულ ახალგაზრდას, რომელიც ღიად და აგდებულად სიძულვილს ქადაგებს, გულისპირი სისხლში აქვს ამოსვრილი. ვერანაირი ქიმწმენდა ვეღარ ამოიყვანს ჰემოგლობინის შხეფებს მათი გაფითქინებული პერანგებიდან. დენდიზმი არაადამიანობაა. ეს ყეყეჩი ღლაპები იმდენად მშიშრები არიან, რომ ვერასდროს გადავლენ სიტყვიდან საქმეზე, ამიტომ თვითმკვლელობის ნაცვლად ყოველთვის სხვას მოკლავენ. ისინი ცუდად ჩაცმულ ხალხს ხოცავენ, თავისი თეთრი, სათუთად მოვლილი ხელებით უდანაშაულო ადამიანებს სიცოცხლეს უსწრაფებენ. მიზეზად კი მხოლოდ იმას ასახელებენ, რომ თურმე ისინი ბანალური ადამიანები ყოფილან. მათი სნობური ზიზღი ცეცხლმტყორცნია. მაპატიეთ, რომ ჩემს ერთ-ერთ რომანში მოხუცი ფლორიდელი ქალი მოვკალი. ეს მკვლელები ვიღაც ეფემერული დამნაშავეებისკენ იშვერენ თითს: ანონიმური და უსახური საპენსიო ფონდებისკენ, ვირტუალური სტრუქტურებისკენ. თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგება, ტირიან, იტანჯებიან და სისხლისგან იცლებიან ნამდვილი და არა ეფემერული ადამიანები. ქვეყნის დასასრული მაშინ იწყება, როცა სატირა რეალობად იქცევა, მეტაფორა – სინამდვილედ, კარიკატურისტები კი თავს ლაწირაკებად იგრძნობენ.

08:49

პირველი, რასაც ამ დროს ადამიანი აკეთებს, მობილურით დარეკვაა. რადგან ეს აზრი ყველას ერთდროულად მოსდის თავში, ხაზები გადატვირთულია. ისტერიკულად ვაჭერ ხელს ნომრის ხელახალი აკრეფის ღილაკს და თან ვცდილობ, ბიჭები

დავარწმუნო, რომ ეს შავი კვამლი, რომელიც დახრჩობას გვიქადის, სხვა არაფერია, თუ არა ხალხის გასართობად მოგონილი თამაში.

– ახლა ცოტა ხანში, ასე ვთქვათ, მაშველებიც მოვლენ. აუ, რა მაგარი იქნება! არა, ეს შავი კვამლი მაინც როგორი გაკეთებულია! ნამდვილისგან ვერ გაარჩევ! ყოჩაღ, ბიჭებო, ყოჩაღ!

ბროკერი-საყვარლები თანაგრძნობით მიყურებენ.

– Fuck! – ამბობს ქალი რალფ ლორენში, – დროზე დავახვიოთ ამ ბუღიდან, თორემ დავიხრჩვე და ეგ არის!

კაცი დგება, საყვარელს ხელს ჩასჭიდებს და ორივე ლიფტებისკენ გარბიან. ჩვენც უკან მივყვებით. მაგრამ ლიფტები out of order[265] არის. რეცეფციასთან ადმინისტრატორი ქალი დგას და ქვითინებს: „ჩემთვის არ უსწავლებიათ, როგორ უნდა მოვიქცე ასეთ სიტუაციაში... კიბით ჩავიდეთ... წამომყევით».

მაგრამ ადმინისტრატორს ვინ დაუწყებს ლოდინს. ხალხი კვამლით სავსე კიბის უჯრედს აწყდება და ერთიმეორეს ასწრებს. ყველა ახველებს. შავკანიანი დაცვის თანამშრომელი ურნაში აღებინებს. მან უკვე სცადა ოთხი სართულით ქვემოთ ჩასულიყო.

– აზრი არა აქვს, – გვეუბნება იგი, – დაიხრჩობით, თან ყველაფერს ცეცხლი უკიდია.

ნამდვილი ქაოსია. აფეთქების გამო გარე სამყაროსთან კავშირი მთლიანად გაწყვეტილია. მე ჯერისა და დევიდს გავხედე, რომლებიც უკვე ჩუმად ტირიან.

– ბავშვებო, მისმინეთ! თუ გვინდა, რომ ამ თამაშში გავიმარჯვოთ, პირველ რიგში უნდა ვაჩვენოთ, რომ არ მოვტყუვდით. არავითარი პანიკა, ძალიან გთხოვთ, თორემ წავაგეთ და ეგაა! გამომყევით, ქვემოთ ჩასვლა ვცადოთ, გასაგებია? ხომ მიგიღიათ მონაწილეობა „ციხესიმაგრეები და დრაკონების» მსგავს თამაშებში? ჰოდა, აქაც ასეა: იმარჯვებს ის, ვინც მოწინააღმდეგის მოტყუებას შეძლებს. ოდნავაც რომ შეგეტყოთ შიში, დამთავრებულია, წაგებული გვაქვს! got it? გასაგებია?

ბიჭები მორჩილად მიქნევენ თავს.

ახლაღა მივხვდი, რომ ჩემი გარეგნობის შესახებ არაფერი მითქვამს. თავიდან ძალიან კარგი შესახედავი ვიყავი, მერე – კარგი, ახლა კი – არა უშავს. ბევრს ვკითხულობ, ფრაზებს, რომლებიც მომწონს, წიგნშივე ვინიშნავ (ეს თვითნასწავლი ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა. ისე, უნდა ითქვას, რომ განათლებული ხალხის უმრავლესობა თვითნასწავლია, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება იმ წარმოსახვითი გამოცდისთვის ემზადება, რომელსაც არასდროს ჩააბარებს). როცა კარგად გამოვიყურები, მსახიობ ბილ პულმანს მამსგავსებენ (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის როლს თამაშობს „დამოუკიდებლობის დღეში“), როცა ცუდად – რობინ უილიამსს, თუ იგი დათანხმდება მოუქნელი ტეხასელი რიელტერის როლი ითამაშოს, გამელოტების აშკარა პერსპექტივით და თვალების ირგვლივ ჩიტის ნაფეხურების მსგავსი ნაოჭებით (მზეზე ზედმეტად ყოფნის ბრალია. Yeah!), რამდენიმე წელიწადში კი George W.Bush lookalike contes-ის (ჯორჯ ბუშის ორეულთა შეჯიბრების) რეალურ კანდიდატად გადავიქცევი, თუ, რა თქმა უნდა, აქედან გავაღწიე.

ჯერი ჩემი უფროსი შვილია, ამიტომაა იგი ასეთი სერიოზული. რაღაცით დედაჩემს მაგონებს. ყველაფერს იჯერებს. ისე გადაყლაპავს ბობოლა ტყუილს, ეჭვიც არ შეეპარება. მერე კი ბრაზდება, რატომ მომატყუეო. პირდაპირია, გულწრფელი და მამაცი. მოკლედ, ჯერი ისეთია, როგორიც წესით, მე უნდა ვყოფილიყავი. ხანდახან მგონია, რომ ვძულვარ. ალბათ, მის მოლოდინს ვერ ვამართლებ. რას იზამ, ეს ყოფილა მამების მთავარი დანიშნულება: იმედი გაუცრუონ შვილებს. თვით ლუკ სკაიუოკერის[266] მამაც კი დარტ ვაიდერი იყო! ჯერი ახლა ზუსტად ისეთია, როგორიც მე ვიყავი მის ასაკში: ნერვიულობს, როცა ყველაფერი როგორც წესი და რიგია, ისე არ ხდება. ვწუხვარ, რომ ეს ილუზიები ცოტა ხანში დაემსხვრევა. მე კი ძალიან მინდა, მისი თვალები ყოველთვის ასეთი გულწრფელი და ასეთივე ცისფერი დარჩეს. ჯერი, მე შენ ძალიან მჭირდები. ამბობენ, ბავშვებისთვის მშობლები ყოველთვის მაგალითია! აი, ჩემთვის კი ჩემი შვილია მისაბაძი.

დევიდი ძმაზე ორი წლით უმცროსია, შუბლზე ჩამოყრილი ქერა თმა აქვს და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს: მათ შორის სკოლაში სიარულის აუცილებლობას, თოვლის პაპისა და ძმები

ჰენსონების[267] არსებობას. იგი თითქმის სულ ჩუმადაა, იმ იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა მისი ძმის მოთმინებიდან გამოყვანა უნდა. თავიდან მე და მერი ძალიან ვნერვიულობდით. გვეგონა, ნორმალური არ იყო, იმიტომ, რომ არასდროს ტიროდა. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დაიბადა, მაშინაც კი არ უტირია. იგი არასდროს არაფერს ითხოვს, არაფერს ამბობს და მუდამ მრავლისმეტყველად დუმს, თუმცა, მგონი, სხვაზე ნაკლებს არ ფიქრობს. დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერულ თამაშებს უთმობს და ხანდახან იგებს კიდეც. მისი საყვარელი საქმიანობა ჯერის გაბრაზებაა, თუმცა ვიცი, რომ მისი გულისთვის თავს დადებს. რას იზამდა თავისი ძამიკოს გარეშე! ალბათ, იმავეს, რასაც მე ვშვრები მას შემდეგ, რაც ჩემს უფროს დას აღარ ვნახულობ. დევიდი ფრჩხილებს იკვნეტს, და როცა ხელის ფრჩხილები აღარ ჰყოფნის, ფეხზე გადადის. კიდევ კაი, სადმე სხვაგან არა აქვს ფრჩხილები, იდაყვზე ან მუხლზე, თორემ იმასაც დაიჭამდა. და ყველაფერს ამას აკეთებს ჩუმად, ულაპარაკოდ. უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვი, რომელიც არასდროს ტირის, იდეალურია, თუმცა ამაში არის რაღაც შემაშფოთებელი. მიყვარს, როცა ჩაფიქრდება ხოლმე და თან თავს იფხანს. ამ დროს განახვებს, რომ ფიქრობს, აზროვნებს. 43 წლის ვარ და ამას წინათ თავი იმავე საქციელზე დავიჭირე. ამიტომ ვამბობდი: მშობლები ხშირად ჰბაძავენ შვილებს. იცით რაიმე ამაზე ეფექტური, რომ მუდამ ახალგაზრდა დარჩეთ?! დევიდი ცელქია, ბუზღუნა, გაჩხინკული, ფერმკრთალი, მშიშარა და მიზანთროპი[268]. ზედგამოჭრილი მამაჩემი! ისე, მგონი, მართლა მამაჩემია! ჰო, მართალია, ჯერი დედაჩემია, დევიდი კი – მამაჩემი!

– დე... მა... მოდით ჩემთან!

– დეივ, მგონი დაგვენძრა, – ამბობს სახტად დარჩენილი ჯერი, – მამას დაუცურდა.

დევიდი შუბლშეკრული მიყურებს, მაგრამ ჩვეულებისამებრ, არაფერს ამბობს.

105-ე სართულზე ჩავდივართ.

08:50

მამამ და შვილებმა ჯერ არ იციან, ჩემთვის კი დღეს უკვე

ცნობილია, რომ შეჯახების მერე ყველა გასასვლელი ჩაიხერგა, კიბეები დაინგრა, ხოლო ლიფტები გაფუჭდა. ქართიუ და მისი ორი შვილი დარჩნენ აგიზგიზებულ ღუმელში გამოკეტილნი.

ხელმოწერა: ყოვლისმცოდნე

(ინგლისურად: Mister Know-it-all).

მონპარნასის კოშკი 1974 წელს აშენდა, თითქმის იმავე დროს, როცა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი. იგი 10,5 ჰექტარს იკავებს, თითოეული სართულის ფართობი 2 011 კვმ-ია, მათგან 103 000 კვმ ოფისებს უჭირავს, 30 000 კვმ – მაღაზიებს, 16 000 კვმ – საწყობებს, 100 000 კვმ – საერთო მოხმარების ფართობია, 21 000 კვმ – საგანგებო დანიშნულების სათავსები, 1 850 კვმ მანქანის სადგომია. სიგანე 32 მეტრია, აქვს 25 ლიფტი და 7 200 ფანჯარა. წონა: 120 000 ტონა. საძირკველს წარმოადგენს 56 ხიმინჯი, რომელიც მეტროს ოთხ ხაზს შორის 70 მეტრის სიღრმეშია ჩარჭობილი.

აი, რატომ მაშინებს ეს შენობა. გეფიცებით, 11 სექტემბრის მერე მონპარნასის კოშკს სულ სხვა თვალით ვუყურებ: როგორც კოსმოსურ ხომალდს ან რაკეტას, რომელიც სადაცაა ცაში ავარდება. იცით, რომ თავიდან, როცა მენ-მონპარნასის კოშკი ჯერ კიდევ დაპროექტების ფაზაში იყო, პომპიდუს ამ ადგილას ორი ტყუპი შენობის დადგმა უნდოდა. ხანგრძლივი სჯა-ბაასის მერე კი გადაწყვეტილება შეცვალა.

მონტენის ლიცეუმში ჩემი მტერი დისციპლინა იყო, დაშტამპული აზროვნება, დაუსრულებელი, უინტერესო ლექციები და გულის გამაწვრილებელი დასავლური დემოკრატია. დაუმორჩილებლობა უფრო რომანტიკული იყო. მე აღფრთოვანებით შევყურებდი „აქსიონ დირექტის“[269] ქმედებებს ტელეეკრანზე. ისინი თავისუფლად მოქმედებდნენ: ბომბებს აფეთქებდნენ, გაზულუქებულ ექსპლუატატორებს იტაცებდნენ. ნატალი მენიგონი[270] უფრო სექსუალური იყო, ვიდრე ალის სონიე-სეიტე[271]. კლასში ყველაზე მაგარი ტიპი ის იყო, ვინც პალესტინური თავსაფრით მოვიდოდა, მე კი Burberry’s-ში გამოწყობილი დავდიოდი. კიდევ იტყვის ვინმე ჩემზე, მეამბოხეაო?! ტერორიზმი ბევრად უფრო გლამურული იყო, ვიდრე პარასკევის საკონტროლო ისტორიაში. წესით, სახლიდან უნდა გავქცეულიყავი და სადმე იატაკქვეშეთში მეცხოვრა, მაგრამ, ვერ ვქენი; მიტოვებულ სახლებში ისე არ

თბილოდა, როგორც დედაჩემის ბინაში. ლუი ლე გრანის ლიცეუმში უკვე რევოლუციური მანიფესტების კითხვა დავიწყე, თუმცა არც სწავლისთვის მიმინებებია თავი. ეს ყველაზე დაზღვეული ვარიანტი იყო: არც პოლიცია მიკრავდა თავს ციხეში და თან რამე რომ იყოს, რაულ ვანეგეიმის[272] სიტყვების ციტირებასაც შევძლებდი, რომ დონე ტიპი გამოვჩენილიყავი. მე ისეთივე მეამბოხე ვიყავი, როგორიც Canada Dry – ალკოჰოლური სასმელი. მთელი ჩემი რევოლუციური სული გარეგნობითა და მანერებით შემოიფარგლებოდა. ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ბოჰემურ ბურჟუაზიას „ბობუები» შეარქვა, აი, მე კი ჯიბესქელ „ბუნტარობაზე» ვოცნებობდი, ამიტომაც უფრო „ჯიბუების» რიგს განვეკუთვნებოდი.

08:45

გაგვიმართლა (თუ შეიძლება ამას გამართლება ერქვას). 105-ე სართულზე მობილური იჭერს. ეგრევე მერისთან ვრეკავ:

– მერი, ქართიუ ვარ. ბოდიში, ბევრს ვახველებ, მაგრამ არ შეგეშინდეს, ბავშვები კარგად არიან. ვცდილობთ აქედან რამენაირად გამოვიდეთ!

– ქართიუ, რატომ ჩურჩულებ? რა ხდება? ვერ გავიგე.

– მაგარ შარში ვართ, მერი! ავარია, თუ რაღაც ოხრობა მოხდა. ტელევიზორი ჩართე და გაიგებ!

ცოტა ხანი სიჩუმეა, ნაბიჯების ხმა მესმის, ტელევიზორს რთავს და უცებ – განწირული ხმით: Oh Lord, tell me this is not happening! [273]

– ქართიუ, არ მითხრა, რომ იქ ხართ!

– რა ჯანდაბა ვქნა, რა?! შენ არ მითხარი, ადრე გააღვიძე ბავშვები, რომ სკოლის რეჟიმს არ გადაეჩვიონო? აქ ვართ, აქ! ნეტავ სხვაგან ვიყოთ! მერი, ეს რა ვნახე! ჩემი თვალით დავინახე, ეს დედააფეთქებული თვითმფრინავი როგორ შეგვივარდა ფეხებში! ძაან ცხელა, ყველგან ბოლია, მაგრამ ბავშვები ნორმალურად არიან. არ დაკიდო, ჯერის უნდა შენთან ლაპარაკი.

– დე...

– ჯერი, დედიკო, როგორ ხარ? რამე ხომ არ გტკივა, ჩემო საყვარელო? დეივი როგორაა?

– დე, არ მომწონს ეს ატრაქციონი... ძაან ცუდი სუნია... მოიცა დეივს ელაპარაკე.

– კხა! კხა! (ახველებს) დედიკო, ჯერი ფოტოაპარატს არ მაძლევს. უთხარი რამე!

– მერი, ისევ ქართიუ ვარ. იქნებ გაიგო, გამოგზავნეს უკვე მაშველები თუ არა? აქედან ადმინისტრაციას ვერ ვუკავშირდები. ამათი დედა ვატირე, ევაკუაციის გეგმაც კი არა აქვთ. გაიგე და დამირეკე, ჰო?

ნეონით განათებულ კიბეს ვერ გავცდით. ხალხი ისე ჩარბის ქვემოთ, როგორც ცხვრის ფარა, რომელსაც სასაკლაოსკენ ერეკებიან. სოლჟენიცინი[274] გულაგის პატიმრებს კრავებს ეძახდა. რა მარაზმი იყო, ბავშვების ასეთ ადგილას წამოყვანა. ხომ თავიდანვე აშკარა იყო, რომ ვერც ისინი გაერთობოდნენ და ვერც მე ვისიამოვნებდი. რა უბედურებაა, სულ რაღაც სისულელეების კეთებას ვაძალებთ თავს, თან ამას კეთილი განზრახვით ვხსნით. დავისაჯეთ იმისთვის, რომ დილით კარგად, ადამიანურად არ გამოვიძინეთ. შეხედეთ ამ დილაუთენია წამომხტარ, კისერზე ჰალსტუხწაჭერილ, გაპარსულ ტიპებს, ამ სუნამონაპკურებ გოგონებს, working-girls, Wall Street Journalის თავგამოდებულ მკითხველებს. დარჩენილიყავით, შვილო, სახლში!

– ბიჭებო, როგორ ხართ? ხელსახოცი პირზე და ცხვირზე კარგად აიფარეთ და არ შეეხოთ მოაჯირებს, გავარვარებულია, ხელს დაგწვავთ.

კიბეები თვალსა და ხელშუა ხალხით ივსება. ყოველ სართულზე ახალი შეშინებული რუხი პიჯაკები და ვარდისფერი კოსტიუმები გვემატება. ჩამოვარდნილი შეკიდული ჭერის ნაწილებს ვაბიჯებთ, რომლებმაც გასასვლელი ჩახერგეს. ისეთი სიცხეა, გული წაგივა. ზოგი ცდილობს მის გვერდით მყოფს დაეხმაროს, ზოგი – ტირის, სხვები პირქუშად და მდუმარედ მიაბიჯებენ, ახველებენ, იმედოვნებენ.

08:52

ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი ბასკეთის სანაპიროზე გაიცნეს, მალე კი ორივე ამერიკაში სასწავლებლად გაემგზავრა. მაშინ ამერიკულ უნივერსიტეტებს და განსაკუთრებით ბიზნესსკოლებს ბრწყინვალე ფრანგი დიპლომირებული ახალგაზრდების თვალში განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. ერთი სიტყვით, მამაჩემი, ჯორჯ W. ბუშის მსგავსად, MBA-ის ხარისხის ასაღებად ჰარვარდში გაემგზავრა. დედაჩემიც თან გაჰყვა, თანაც შემთხვევით ისარგებლა და «მაუნთ ჰოლიოკში» ისტორიის მაგისტრის წოდება მიიღო. 50-იანი წლების ამერიკა ზუსტად ისეთი იყო, როგორც შავ-თეთრ დოკუმენტურ ფილმებშია აღწერილი. ამერიკული ოცნება მთელ დასავლეთს მოსდებოდა. გრძელი, ფრთებიანი „კადილაკები“, გრანდიოზული ზომის ნაყინები, buttered pop-corn-ები კინოებში და მეორე ვადით არჩეული ეიზენჰაუერი, – ამ სიმბოლოებისგან შედგებოდა მაშინდელი ნანატრი ცხოვრება. ეს ის დროა, როცა ამერიკა ასრულებულ ოცნებათა სამყაროს წარმოადგენდა, როცა სიმპათიური, მზეზე გარუჯული ფილიპ ლაბრო[275] გატაცებით მოგვითხრობდა ამ აღთქმულ ქვეყანაზე. პროტესტი და გაუცხოება ცხოვრების დასავლური სტილისადმი ჯერ უცხო ხილი იყო. არავის ეგონა მაკდონალდსის ჰამბურგერები ფაშისტური. მამაჩემი ბობ ჰოუპის[276] სატელევიზიო ხუმრობებზე ჩაბჟირებამდე იცინოდა. ბოულინგს თამაშობდნენ, ბურჟუაზიული ახალგაზრდობა გლობალიზაციის გამოგონებებით იქცევდა თავს. მათ სწამდათ ამერიკის, როგორც თანამედროვე, ქმედითი და თავისუფალი სამყაროს სიმბოლოსი. ათ წელიწადში ამ თაობამ ჟისკარს მისცა ხმა, რადგან ის ისეთივე ახალგაზრდა იყო, როგორიც JFK-ი (ჯონ ფიცჯერალდ კენედი). ეს ხალხი ჭკვიანი იყო, მიზანსწრაფული, ურთიერთობაში კი ძალიან უბრალო. ჩვენც, როგორც იქნა, დავიწყეთ ევროპული განათლების ტვირთისგან გათავისუფლება. გავხდით პირდაპირები, მიზანდასახულები. პირველი, რასაც ამერიკაში ჩასვლისთანავე გაიგონებთ, არის: Where are you from?[277] იმიტომ, რომ ყველა საიდანღაც არის. ამის მერე კი გეტყვიან: Nice to meet you,[278] იმიტომ, რომ უყვართ უცხოელების გაცნობა. ამერიკაში თუ სტუმრად მოხვდებით, შეგიძლიათ ისე გამოაღოთ მაცივარი, რომ არც ჰკითხოთ ოჯახის დიასახლისს. ამ დროს დამკვიდრდა სალაპარაკო ენაში რამდენიმე ცნობილი გამონათქვამი, რომელიც მეც ხშირად მესმოდა ოჯახში: put your money where your mouth is[279], big is beautiful[280], back-seat driver[281] (ჩემი

საყვარელი გამოთქმაა, დედაჩემი ასე გვეუბნებოდა ხოლმე, როცა მანქანაში უკან ვისხედით და ნერვებს ვუშლიდით), take it easy[282], relax[283], give me a break[284], you're overreacting[285], for God's sake[286]. კაპიტალისტური უტოპია ისეთივე სიგიჟე იყო, როგორიც კომუნისტური, ოღონდ ერთი განსხვავებით: მასში ძალადობა უფრო დამალული იყო. სწორედ მომგებიანი იმიჯის გამო გაიმარჯვა დასავლეთმა ცივ ომში. რუსეთსა და ამერიკაში ხალხი ერთნაირად შიმშილობდა, უბრალოდ, ამერიკაში ადამიანებს უფლება ჰქონდათ, შიმშილობა აერჩიათ.

ეს ყველაფერი 1968 წლამდე ხდებოდა, როცა „ბიტლებს» ჯერ კიდევ მოკლე თმა ჰქონდათ. მახსოვს, მშობლები მეუბნებოდნენ, რომ ამერიკა საფრანგეთს 10 წლით უსწრებდა. საფრანგეთის რევოლუციაც კი ათწლეულით გვიან მოხდა. თუ გინდა მომავალი იცოდე, თვალი ადევნე ამ იდილიურ ქვეყანას. მამაჩემი „ჰერალდ ტრიბუნს", „თაიმსს", „ნიუსუიკს» კითხულობდა, ხოლო „ფლეიბოის» სამუშაო მაგიდის უჯრაში მალავდა. CNN ჯერ არ არსებობდა, თუმცა იყო ოთხ ფერში დაბეჭდილი „თაიმ მეგეზინი", რომელიც წითლად მოჩარჩოებული ყდით CNN-ს ჰგავდა. სწორედ მაშინ დედაჩემმა სამოგზაურო სტიპენდია აიღო, რომელიც მას გრეიჰაუნდის ავტობუსით ამერიკის შემოვლის საშუალებას აძლევდა. იგი ხშირად მიყვებოდა ზღვიდან დაბერილ ქარზე, ჰაივეის[287] თავგადასავალზე, სასტუმროებზე, „ბიუიკებზე", ღია ცის ქვეშ მოწყობილ კინოჩვენებებზე, დრაგსთორებზე[288], ვაგონრესტორნებსა და რადიოსადგურებზე, რომელთა სახელებიც აუცილებლად W-ზე მთავრდებოდა. მთელი მსოფლიო შურის თვალით შეჰყურებდა ამერიკას, იმიტომ, რომ მომავალს ყოველთვის შურით ვუყურებთ. მაგრამ 1968 წლის მაისი[289] არ მოსულა აღმოსავლეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ყველას ტროცკი და ენგელსი ეკერა პირზე. იმ მოვლენებზე ყველაზე დიდი გავლენა მაინც დასავლეთმა მოახდინა. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ 1968 წლის მაისი უფრო აშშ-ის პროვოცირებული იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირის. მთავარი მიზანი მაშინ ძველი, ბურჟუაზიული საფუძვლების შერყევა იყო. ის, რაც 1978-ში მოხდა, არ იყო ანტიკაპიტალისტური აჯანყება; პირიქით, ეს მომხმარებელთა საზოგადოების საბოლოოდ ჩამოყალიბების პირველი და უტყუარი ნიშანი იყო. ჩვენსა და ჩვენს მშობლებს შორის ის განსხვავება იყო, რომ ისინი გლობალიზაციის მხარდამჭერ

მანიფესტაციებში გაიზარდნენ, აი, ჩვენ კი – მთვარეზე ალივლივებული ზოლიან-ვარსკვლავებიანი დროშისა და სნუპი შულცის[290] აფიშების ჩრდილქვეშ. ფილმები ჯერ იმათთან გამოდიოდა, მერე – ჩვენთან. მამაჩემს ამერიკიდან ისეთი სათამაშოები ჩამოჰქონდა, რასაც ჩვენთან ვერ ნახავდით: მაგალითად, „მაფეთშოუ“, „ვარსკვლავური ომები» და რბილი თოჯინები. ეს სწორედ ის წლები იყო, ჩემი ამნეზიური ბავშვობის წლები, როცა ამერიკულმა ყოფამ მთელი სამყარო მონუსხა.

იმედს ვიტოვებ, რომ ამერიკა ყოველთვის ათი წლით გაგვისწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონპარნასის კოშკს ჯერ კიდევ უწერია 10 წლის სიცოცხლე.

08:53

104-ე სართულის სიმაღლიდან ვხედავ, როგორ გარბის ხალხი წყლისკენ. ადამიანთა მიქცევა გეგონება ცათამბჯენებიდან ოკეანისკენ. გამაგებინეთ, რატომ არ იწყება ევაკუაცია? რატომ დაგვტოვეს ასე უპატრონოდ, ინსტრუქციების გარეშე? ვდგავართ ცხვრებივით Cantor Fitzgerald-ის სართულზე, ვიხრჩობით ამ გაუსაძლის, მომწამვლელ, შავ კვამლში, რომელიც ფისივით გვეკვრის კანზე. სიცხისა და ბოლის გამო ისევ უკან ვბრუნდებით. გზად ტრეიდერების წყვილი ოფლში გაწუწულ კოლეგებს ეჩეხება. ყველა სართული დატბორილია. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები გაუჩერებლად ნამავს იქაურობას. შხაპი ყველას გამოწერილი გვაქვს. საფეხურებზე გუბეები დგას, რომელშიც დევი დატყაპუნებს.

– ფრთხილად, თორემ ფეხი დაგიცურდება და წაიქცევი!

ჯერი დეივს ხელს ჰკიდებს.

– კარგი! ქვემოთ ვერ ჩავდივართ. იქ მახეა. ზემოთ უნდა დავიძრათ, ჯერი. ეს თამაში გასასვლელი გზის მოძებნაზეა, მიხვდით, ალბათ?

– გშგბია!

ცხვირ-პირზე აფარებული გაშავებული ხელსახოცის გამო რას მეუბნება, ვერ ვიგებ, თუმცა თავის დაქნევაზე ვხვდები, რომ თანახმაა. უკან ვბრუნდებით. ჯერი კენტ დღეებშია ჩემი

საყვარელი შვილი, დევიდი – ლუწში. შესაბამისად, დღეს ჯერი უფრო მიყვარს, რადგან სიტყვაზე მენდობა, რომ ეს თამაში და ვიზუალური ეფექტია. დევიდი კი უსიტყვოდ მიყურებს და სახეზე აწერია, რომ ყველაფერს მშვენივრად ხვდება. უკანა გზაზე სულ უფრო მეტ შეშინებულ სახეს ვხედავთ. ვიღაც მამაკაცი მოულოდნელად ისტერიკულ ხარხარს იწყებს და ჩვენს ცხვირწინ უწყლო სახანძრო შლანგს უაზროდ აქნევს (როგორც ეტყობა, თვითმფრინავმა მილსადენების სისტემა გადაჭრა). დაძაბულობა მატულობს. რაღაც უნდა მოვიფიქრო. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო არ ამცდებოდა! ბავშვებს ხელებს ვკიდებ და უშიშარი მამის როლში ვიჭრები.

– აი, რეპეტიციაც ამას ჰქვია! ნამდვილთან მაქსიმალურად მიახლოებული გარემო უნდა შექმნა, რომ ხალხმა კარგად გაიაზროს, როგორ უნდა მოიქცეს ხანძრის შემთხვევაში. გადასარევი მეთოდია! დღეს, მაგალითად, გავიგეთ, რომ ხანძრის გაჩენისას ზევით უნდა გავიქცეთ და არა ქვევით. კარგი პედაგოგიური თამაშია!

უცებ დევიდი ხმამაღლა ამბობს, თან ისე, რომ კიბეზე მოჩუხჩუხე წყლის ჭავლს თვალს არ აცილებს.

– მამა, გახსოვს დალასში რომ ვიყავით როდეოზე, აი, კოვბოი რომ ხარიდან გადმოვარდა?

– კი, როგორ არ მახსოვს...

– ჰოდა, აი, მაშინაც ამბობდი, რომ ეს ასე იყო ჩაფიქრებული, რომ კოვბოი პროფესიონალი კასკადიორი იყო და სინამდვილეში მას არაფერი სტკენია. მეორე დღეს კი ტელევიზორში ანახვეს, როგორ იჯდა დასახიჩრებული ბორბლებიან ეტლში, გაზეთში კი ეწერა, რომ დაინვალირდაო...

– დაინვალიდდა, დევიდ, და არა დაინვალირდა!

– ჰო, დაირვანილდა.

ჩუმად რომ იყო, ჯობდა. ჯერიმ თვალები ჭყიტა. ეს უკვე ამბოხი კი არა, რევოლუცია იყო.

– მამა, რატომ გვატყუებ. let’s face it: this time it’s for real.[291]

დევიდ, ჯერი, ჩემო საყვარელო შვილებო, რა მალე გაზრდილხართ!

– o.k., ბიჭებო, შეიძლება მეშლება, შეიძლება არ არის თამაში. არ ვიცი! მაგრამ, მოდი ახლა ნელა და წყნარად ავიდეთ მაღლა. so keep cool.[292]

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ზემოთ ვიყურები. ზედ მაწერია, რომ არც ერთი ჩემი სიტყვისა არ მჯერა. მერე ხმამაღლა და გაურკვევლად ვამატებ, ისე, თითქოს, საკუთარ თავს ველაპარაკები:

– ჩემი ბრალია! თუ ამ ბავშვებს ჰგონიათ, რომ ეს მასკარადი სიმართლეა, მე დანარჩენი მონაწილეების თვალში სრულ იდიოტად გამოვჩნდები. რა ვქნა!

დევიდ, შვილო, Tough guy,[293] გეფიცები, შენ ნამდვილი ტეხასელი ხარ, აი, მე კი – გამოლაყებული ბებერი!

105-ე სართულზე ვბრუნდებით, კიბის გალიაში გამოკეტილი ხალხის ბრბო ნახირივით ბორგავს ახალგადაღებილ ლიმონისფერ კედლებს შორის. შეშინებული სახეები აქეთ-იქით აწყდებიან. მოკვდე მალე? თუ მოკვდე გვიან? დილემაა. ქვედა სართულზე აკივლებული ხანძარსაწინააღმდეგო სირენების ხმა გულს მიხეთქავს. ჯოჯოხეთური გრიალი ისმის, სიცხე ყოველ წამს უფრო და უფრო მატულობს. მოულოდნელად, 30-ე ცდაზე, ტელეფონი იჭერს. ქენდეისს ვურეკავ. ალბათ, სძინავს. შეტყობინებას ვუტოვებ.

– ვიცი, არ დამიჯერებ, მაგრამ მიყვარხარ. რომ გაიღვიძებ, მიხვდები, რატომ ვიყავი დილიდან ასეთ რომანტიკულ ხასიათზე.

და მერე ჩურჩულით ვამატებ, რომ ბავშვებმა არ გაიგონ.

– It doesn’t look good, babe![294] ძალიან ცუდად ვიქცეოდი. თუ აქედან გამოვძვერი, აუცილებლად ცოლად შეგირთავ. ტელეფონს ვკიდებ, იმიტომ, რომ სამის მაგივრად უნდა ვისუნთქო. Love, Carthew.[295]

08:54

თხუთმეტი წლის წინ მეც ვიყავი Windows on the world-ში, ოღონდ არა დილით, საუზმის დროს. 1986 წლის ივლისი იყო, გვიანი საღამო. სავაჭრო ცენტრის ნათურები ცისკრის ვარსკვლავივით ციმციმებდნენ. მაშინ ოცი წლის ვიყავი და

სტაჟირებას გავდიოდი „კრედი ლიონეს» ნიუიორკული ფილიალის (95, უოლსტრიტი) ანალიტიკურ დეპარტამენტში. ჩემს ძირითად საქმიანობას სამსახურში ძილი შეადგენდა, ოღონდ ისე, რომ ფილიპ სუვირონს, ფილიალის უფროსს და მამაჩემის ძველ მეგობარს, არ შეემჩნია. იმ პერიოდში Windows on the world-ი შუაღამის მერე საეჭვო ტიპების თავშეყრის ადგილად გადაიქცეოდა ხოლმე. სახელიც მაშინ ძალიან გამომწვევი ჰქონდა: The Greatest Bar On Earth.[296] მსოფლიოში ყველაზე მაგარი ბარი ოთხშაბათობით თემატურ საღამოებს აწყობდა: ლათინურამერიკული მუსიკა, „ბიტბოქსი“, „ელექტრიკბუგი“, დიჯეებით და ჩემნაირი გამოსირებული ტიპების მთელი ჯარით; სამსახურის მერე მივედი, რესტორანი უკვე დაკეტილი იყო, მაგრამ უპიჯაკოდ მაინც არ უშვებდნენ. მახსოვს, წითელი U-ს ფორმის დარბაზი იყო, ბარმენები საზიზღარი ტიპები იყვნენ. მართალია ის, შუაში რომ იდგა, ლამის ზედ გადამყვა, იმიტომ, რომ ჩემდა უნებურად ზედმეტად ხელგაშლილი გამოვდექი (ოცდოლარიანი ხუთდოლარიანში ამერია). ის ორმაგ Jack Daniel-ს მიმზადებდა პირამდე სავსე ყინულების ნამტვრევებით და ორი მოკლე საწრუპით. აფსუს, დასაბოლებელი არ მქონდა, თორემ ვიცი მე მაგ საწრუპებს როგორც გამოვიყენებდი. მაგიდები The Greatest Bar On Earth-ში სხვადასხვა დონის იარუსზე იყო განლაგებული, ისევე როგორც „პარიზის ცაში“. მიზეზი აქაც იგივე იყო: კლიენტებს უკეთ რომ შესძლებოდათ ენით აღუწერელი, უკიდეგანო, spectacular ხედით[297] დატკბობა. სამწუხაროდ, თვალწარმტაცი პანორამა დანაწევრებულად მოჩანდა, რადგან ფანჯრის უშველებელი მინები მეტრიან კვადრატებად იყო დაყოფილი. ეს ცათამბჯენები (რომელთა ავტორიც, იაპონელი იამასაკი, განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდა, შიდა სვეტებს ადამიანის მხრების სიგანე ჰქონოდა), შიგნიდან გიგანტურ ციხეს ჰგავდა. ცბიერი იაპონელის ჩანაფიქრის მიხედვით, ფოლადის ვერტიკალური სვეტები, რომლებიც ორივე შენობას პირველი სართულიდან ბოლომდე მიჰყვებოდა, საკნის გისოსებივით ჰყოფდა ხედს. ეს ლითონის ერთმანეთის პარალელურად აღმართული ძელები ცათამბჯენების ჩამოშლის მერეც დიდხანს იდგა ასე ამოშვერილი გრაუნდზეროზე. შორიდან რომ შეგეხედა, მეცამეტე საუკუნის ციხესიმაგრის ასაწევი გისოსები გეგონებოდა რომელიღაც სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, ანდა ბარბაროსთა მიერ იავარქმნილი გოტიკური ტაძრის სასწაულებრივად

გადარჩენილი ისრული თაღი.

მე კი ბურბონს ვურტყამდი და ბარბაცით ქვემოთ ვიყურებოდი. მოციმციმე ვერტმფრენებს შევცქეროდი და ნელ-ნელა ვთვრებოდი. ეს ყველაფერი იმ ადგილას ხდებოდა, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. ნუთუ მე ის ადამიანი ვარ, თხუთმეტი წლის წინ იქ, იმ სიმაღლეზე თავმომწონედ რომ იბრიცებოდა. ჩვენ, ფანჯრებით გარემოცულნი, მადონას Into the groove-ზე ვცეკვავდით. Riverside Drive-ის[298] ქალებს, რომლებიც აბუჩად იგდებდნენ bridge-and-tunnel crowd-ის გოგონებს (ასე იმ გარეუბნელებს ეძახდნენ, რომლებსაც მანჰეტენზე ჩამოსასვლელად ხიდები და გვირაბები უნდა გამოევლოთ), კაბაზე ვისკის ვასხამდი. დონალდ ტრამპის, მაიკ მილკენის[299] და ნიკ ლიზონის[300] ცხოვრების წესზე ვოცნებობდი, ანუ უამრავ ფულსა და მაღალ საზოგადოებაში ტრიალზე. კარგი იყო Windows on the world-ში, თუმცა ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. წარსული კი გაქრა. დღეს აღარაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის, რაც აღარ არსებობს, ოდესღაც არსებობდა.

იმ საღამოს, როცა Windows on the world-ში ავედი, ნიუ-იორკის ცა მოღრუბლული იყო, მაგრამ ცათამბჯენს ღრუბლები გაერღვია. იგი თითქოს ბამბის ზღვაზე ტივტივებდა. მარჯვენა მხარეს VIPკლიენტები ბრუკლინის ზღვაში აკიაფებული მანათობლების ცქერით ტკბებოდნენ, მარცხნიდან კი მხოლოდ თეთრი და ნოტიო ხალიჩა იშლებოდა, ისეთი როგორიც თვითმფრინავის ილუმინატორიდან მოჩანს ხოლმე. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ზოლიანი შენობა იყო: წარმოიდგინეთ „ბიურენის[301]« ორი სვეტი, ოღონდაც 410 მეტრი სიმაღლისა. დიჯეი თეთრ, ხელოვნურ კვამლს უშვებდა, რომელიც იატაკს ეფინებოდა და ცეკვის დროს ისეთ შთაბეჭდილებას გიქმნიდა, თითქოს ცივ, მოფარფატე ღრუბლებზე დასრიალებდი. მე და ჩემს იმდროინდელ მეგობარს, ალბან დე კლერმონ-ტონერს მაგრად გაგვიმართლა: ალბანმა Singlebar-ში, მეორე ავენიუზე მაგარი ნაშა ააგდო. ლი ერქვა. ასეთი „ბერბიჭული ბარები» ძალიან პოპულარული იყო მაშინ ამერიკაში. ჩამოსული ფრანგებისთვის ხომ მთლად მისწრება იყო. ლი ჯგუფურ სექსზე თანახმა იყო, მაგრამ რატომღაც პაემანზე აგვიანებდა.

– ე, ბიჭი, გადაგაგდეს!

მე და ალბანი გიჟად ვიყავით. სასიყვარულო ტრიუმვირატი

ხელიდან გვეცლებოდა. ცოტა ხანში, რამდენიმე ამოპირქვავებული Jack Daniels-ის მერე დავინახე, რომ ალბანს ჩვენი საერთო ნაშა უკვე ფანჯარასთან მიეყენებინა (ეს ის ფანჯარაა, რომელიც მერე სულ ნამსხვრევებად იქცევა). გამალებით ლოკავდნენ ერთმანეთს და მეც დრო ვიხელთე, ლის მივუცუცქდი და იისფერი კაბის ქვეშ გამკვრივებულ ძუძუებზე თომარი დავუწყე. იგი უცებ შემობრუნდა და აბა, ვინ დაინახა? ვიღაც სირი, Prince-de-Galles-ის კუბოკრულ პიჯაკში, რომელიც აშკარად რამდენიმე ზომით დიდი ჰქონდა, გამხდარი, ფერმკრთალი, ჭლექიანი რაქიტი, მუწუკებიანი სახით, წვეტიანი ნიკაპით და გრძელი, გაზინტლული თმით. გარყვნილი მანიაკი, რომელიც ისეთივე მაცდური იყო, როგორიც ჟანგიანი საკანალიზაციო მილი. მაშინ პირველად გამოჩნდნენ სერიული მკვლელები და მეც აშკარად ერთ-ერთ მათგანს ვგავდი. მოკლედ, მკვდარი სული ვიყავი აწ უკვე გარდაცვლილ რესტორანში.

– Who’s this guy? Are you crazy? get your fucking hands off me![302]

ალბანის გამოხედვაში დავიჭირე, რომ სქემა, სახელწოდებით „სიყვარული სამზე» უკვე შეცვლილიყო გეგმით „სიყვარული ორზე». კაი, რა ვქნა! მკიდია! ისე კი გოგოს არა უშავდა, შავგვრემანი იყო, მსხვილი აღნაგობა ჰქონდა, იმდენს მუშაობდა, რომ სერიოზული ურთიერთობებისთვის დრო აღარ რჩებოდა, ამიტომაც დაეთრეოდა Single bar-ებში, სადაც, თავადაც მშვენივრად იცოდა, რომ ჩვენნაირი გამოსირებული მანიაკების მეტს ვერავის ნახავდა. უკვე გასაგები იყო, რომ დღესაც სანთლის ჭერით უნდა დავკმაყოფილებულიყავი და სახლში ისევ დაუცლელი დავბრუნებულიყავი ყვითელი ტაქსით, რომელსაც ვინმე ვოდუს კულტის მიმდევარი ტაიტელი მართავდა. მანამდე კი ბედის კიდევ ერთხელ ცდა გადავწყვიტე და აწ უკვე გამქრალი საცეკვაო ადგილისკენ წავედი. ალბათ, დეპრესიული ტიპის გამომეტყველება მქონდა, სინამდვილეში კი გაუბედაობა მტანჯავდა. ნაშები Brooks Brothers-ის[303] პერანგებიან მილიონერ ტრეიდერებს ეხახუნებოდნენ. მე კიდევ ერთი მოფლეიბოო ძმაკაცი მყავდა, ბერნარ ლუისი. ქალები „ბელუს» ეძახდნენ. სადაც კი მივიდოდა, „ბელუ-ბელუს» ძახილი ისმოდა. მეც ავდექი და „ბელუს» ავეკიდე. რა ძნელია, როცა არ გყავს შეყვარებული; სულ ვიღაცა უნდა კერო, კონკურენცია კი დიდია. საშინელებაა, როცა ასე მტკივნეულად განიცდი, რომ არავის უყვარხარ.

მგონი, მაშინ გადავწყვიტე ცნობილი გავმხდარიყავი.

08:55

კვამლი ბავშვებს თვალებს სწვავდა.

– აიფარეთ ხელსახოცები. პირი, ცხვირი და თვალები – ყველაფერი დაფარული უნდა გქონდეთ. Do you read me?[304]

სახეზე ხელსახოცჩამოფხატული დევიდი და ჯერი ორ პატარა კასპერად, საყვარელ მოჩვენებებად გადაიქცნენ; არმაგედონის ცისფერმა ცამ კი ჩვენს ლოყებზე პირველი ცრემლი დააპკურა. მადლობა ღმერთს, რომ ჩემმა შვილებმა ვერ დაინახეს ორი ცოცხალი ჩირაღდანი 106-ე სართულზე: ლიფტის შესასვლელთან გამდნარ ლინოლეუმზე მიწებებული ორი ცეცხლწაკიდებული გვამი, მეწამული კანით, ქუთუთოამომწვარი თვალებით, ფერფლადქცეული თმით და დახეთქილი, ბუშტუკებიანი სახეებით. მუცლების აწევ-დაწევაზე მიხვდებოდით, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, სხვა მხრივ, ქანდაკებებივით გაშეშებულები ეყარნენ. არ შევიმჩნიე, ვითომ ვერ დავინახე, მგონი, ბავშვებსაც არ გაუხედავთ იქით, თუმცა შეუძლებელი იყო, არ ეგრძნოთ დამწვარი ხორცის სუნი.

თავი ხელში უნდა აგვეყვანა. ისეთი ელემენტარული რამეც კი, როგორიც სუნთქვა იყო, შეუძლებელი ხდებოდა. ამის მიზეზი ალბათ ის გაუსაძლისი სუნიც იყო, რომელიც ირგვლივ იდგა. მძიმე შავ ბოლს დამწვარი რეზინის, გამდნარი პლასტმასის და დანახშირებული სხეულების სიმყრალე ემატებოდა. დროდადრო ბენზინის, დაფერფლილი ძვლებისა და ადამიანის დახრუკული ხორცის გულისამრევი სუნი მოდიოდა. ეს იყო ტოქსიკური ღრუბლის, თხევადი აირის და კრემატორიუმის ნაზავი. ქარხნებიდან გამონაბოლქვს ჰგავდა, ცხვირ-პირზე ხელს რომ ავიფარებთ ხოლმე და სუნთქვაშეკრული მანქანის პედალს მთელი ძალით ვაჭერთ ფეხს, რათა იქაურობას მალე გავასწროთ. სიკვდილს სუნი რომ ჰქონოდა, ასეთი იქნებოდა. ჩამოვარდნილი ჭერი ზემოთ ასვლაში ხელს გვიშლიდა. ათმა კაცმა ძლივს გადავწიეთ ბეტონის უშველებელი ფილა, რომ ადგილი გაგვეთავისუფლებინა, თითო-თითოდ გავმძვრალიყავით და „ჰაერში დაკიდებული ქალაქის» სახურავზე გაგვეღწია.

107-ე სართულზე მიმტანს და იმ ორ მუსლიმან ძმას, სამზარეულოში ქანცის გაწყვეტამდე რომ მუშაობდნენ, ფანჯარა რკინისფეხიანი მაგიდის დარტყმით გაემტვრიათ (დაიმახსოვრეთ: თუ გინდათ მინის ვიტრაჟის ჩამტვრევა, არ გამოიყენოთ სავარძელი ან „მაკინტოში“. ყველაფერზე უკეთესია რკინისფეხიანი მაგიდა, რომლის დასადგამიც ტარანის ფუნქციას ასრულებს). და აი, გადაკიდებულან ფანჯრებზე 400 მეტრის სიმაღლიდან და თეთრ სუფრებს აფრიალებენ. ბოლი ისეთი სქელი და შავია, როგორიც მანქანის ზეთით გაჟღენთილი საშრობი. ალაგ-ალაგ ჩამტვრეულ ფანჯრებში მოჩანს, რა ხდება გარეთ. ჩემს ყურადღებას ცის კამარაში აფარფატებული თეთრი A4 ფორმატის ქაღალდების დასტა იპყრობს: არქივები, ფოტოასლები, სასწრაფო დოსიეები, ჰოლდინგების საფირმო თავფურცელზე დაბეჭდილი სიები, სარეკომენდაციო წერილები, კონფიდენციალური საქაღალდეები, პორტფოლიოები, ფერად ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდილი დოკუმენტები, დაწებებული kraft-ის კონვერტები, ხელშეკრულებების აკინძული ეგზემპლარები, დოკუმენტების შესანახი გამჭვირვალე საქაღალდეები, „ნოუთების» ჩასანიშნი სხვადასხვა ფერის ფურცლები, საკოპიო ქაღალდზე ოთხ ეგზემპლარად დაბეჭდილი ფაქტურები, გრაფიკები და ცხრილები. ქაღალდების ფოთოლცვენა იყო, ეს ფურცლები სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ისეთი საჭირო და შეუცვლელი გვეგონა. ამ სანახაობის შემყურეს სერპანტინების წვიმა მახსენდება, რომელსაც ნიუიორკელები ბროდვეიზე გამართული ticker-tape parades-ების[305] დროს აწყობენ ხოლმე. კი მაგრამ, დღეს რას ვზეიმობთ?

„თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე» (ძველი აღთქმა. დაბადება. თავი XI. 4).[306]

08:56

ჩვენ ყველას ზუსტად გვახსოვს, სად ვიყავით და რას ვაკეთებდით 2001 წლის 11 სექტემბერს. პირადად მე საფრანგეთის დროით 14:56 საათზე გამომცემლობა „გრასეს» არქივში ვიმყოფებოდი და Culture Pub-ს ვაძლევდი ინტერვიუს.

წამყვანს, ტომა ერვეს, შეატყობინეს, რომ რამდენიმე წუთის წინ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთ შენობას თვითმფრინავი დაეჯახა. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ეს პატარა ტურისტული თვითმფრინავი იყო, ამიტომ ყურადღება არ მივაქციეთ და განვაგრძეთ ინტერვიუს ჩაწერა. კულტურის მარკეტინგზე ვსაუბრობდით. როგორი წიგნები უნდა გამოვუშვათ? უნდა დავემორჩილოთ თუ არა არსებული თამაშის წესებს და თუ – კი, მაშინ სადამდე? ტელევიზია, პრომოუშენი, რეკლამა ხელოვნების მტერია თუ არა? ყოველთვის უნდა აღვიქვამდეთ ბეჭდვით საშუალებებს ვიდეოგამოსახულების კონკურენტად? იმ დროს ყოველკვირეული კულტურული გადაცემის წამყვანობას მთავაზობდნენ ერთ-ერთ საკაბელო არხზე და ვცდილობდი ჩემი ურთიერთგამომრიცხავი იმიჯი, „მწერალი-კრიტიკოსი-წამყვანი» უფრო გასაგები გამეხადა.

– წიგნებში ის უნდა ეწეროს, რასაც ტელევიზიით ვერ ვნახავთ. ლიტერატურას დღეს საფრთხე ემუქრება, ჩვენი ვალია მისი დაცვა, ლიტერატურას ომი გამოუცხადეს... ადამიანები, რომელთაც კითხვა და წერა უყვართ, თითზე ჩამოსათვლელია, ამიტომაც უწევთ მათ ყველაფერზე წასვლა, ნებისმიერი იარაღის გამოყენება, რათა წიგნი დაიცვან...

ამ დროს გამომცემლობის თანამშრომელმა მოირბინა და გვითხრა, რომ კიდევ ერთი თვითმფრინავი დაეჯახა სავაჭრო ცენტრის ამჯერად უკვე მეორე შენობას. ჩემი საბრძოლო-ლიტერატურული შემართება უკვე სასაცილოდ ჟღერდა. მახსოვს, როგორ წარმოვთქვი ხმამაღლა უმარტივესი, არაევკლიდესეული მათემატიკური განტოლება:

1 თვითმფრინავი – 1 უბედური შემთხვევა.

2 თვითმფრინავი – 0 უბედური შემთხვევა.[307]

მე და ტომამ გადავწყვიტეთ, ჩემი პრაიმთაიმერული ბრძოლა სამწერლო ხელოვნების მედიასაშუალებებისგან დასაცავად არსად გაიქცეოდა. მეორე სართულზე, გამომცემლობის პრესატაშეს, კლოდ დელა ტორის კაბინეტში ავედით, რადგან აღმოჩნდა, რომ მთელ ოფისში მხოლოდ მასთან მუშაობდა ტელევიზორი. TF1 გადმოსცემდა LCI-ს, რომელიც გადმოსცემდა CNN-ს. ვუყურებდით კადრებს, როგორ შეასკდა მეორე თვითმფრინავი ჯერ კიდევ უვნებელ ცათამბჯენს, მაშინ

როცა პირველი შენობა უკვე ოლიმპიურ ჩირაღდანს თუ კინოფილმ Twister[308]-ის აფიშაზე დახატულ ტორნადოს ჰგავდა. საინფორმაციო გამოშვების ახალგაზრდა წამყვანები აშკარად თვალს არ უჯერებდნენ. ცდილობდნენ, ცოტა ელაპარაკათ და დეკორაციებივით ისხდნენ კადრში. ეშინოდათ, რაიმე სისულელე არ წამოეროშათ, რაზეც ხალხი მომდევნო ოცდაათი წელი იცინებდა. კლოდის კაბინეტი უცებ გაივსო ხალხით. „გრასეში» ხომ სამუშაოს გასახალტურებლად საბაბს არ გაუშვებენ. ყველა სხვადასხვაგვარად რეაგირებდა:

ნარცისი: ღმერთო ჩემო, მე იქ ვიყავი ერთი თვის წინ!

სტატისტი: წარმოიდგინეთ, რამხელა მსხვერპლი იქნება, ალბათ, 20 000.

სნობი: იქ ხომ ფრანსუა პინოს[309] ოფისია.

პარანოიკი: აუ, ახლა დაიწყებს ძაღლობა ჩემნაირი ფიზიონომიის ხალხის ჩხრეკა-შემოწმებას.

დამწუხრებული ქალბატონი: ჩემს ამერიკელ მეგობრებს უნდა დავურეკო, ვიკითხო მათი ამბავი!

ლაკონიური მამაკაცი: ოოო, ეს უკვე აღარაა სასაცილო!

მარკეტინგის თანამშრომელი: რეიტინგისთვის ძაან მაგარია! LCI-ზე სასწრაფოდ საეთერო დრო უნდა ვიყიდოთ.

მეომარი: ამის დედას შევეცი, მესამე მსოფლიო ომი დაიწყო და ეგ არის!

უსაფრთხოების მოყვარული: ყველა თვითმფრინავს პოლიციელი უნდა დაჰყვებოდეს, პილოტის კაბინა კი დაჯავშნული უნდა იყოს.

ნოსტრადამუსის მიმდევარი: როდის ვთქვი მე ეგ! და დავწერე კიდეც.

ჟურნალისტი: ო-ლა-ლა! სასწრაფოდ „ევროპა 1“-ისთვის უნდა ჩავწერო კომენტარები.

გონებაშეზღუდული ანტიამერიკელი: აი, რა ემართებათ, როცა მთელი მსოფლიოს დაპატრონებას ცდილობენ!

ფატალისტი: ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო.

ჩვენ ჰიპნოზის ქვეშ მყოფებივით ვუყურებდით ერთსა და იმავე კადრს: როგორ ეჯახება სამგზავრო თვითმფრინავი ცათამბჯენს (პილოტი აშკარად არ ცდილობდა მანევრირებას ან გვერდის აქცევას, პირიქით, მოჯადოებულივით პირდაპირ სავაჭრო ცენტრისკენ მიექანებოდა. შენობამაც თითქოს პირი გააღო და გადაყლაპა იგი, მერე კი ალისფერ-შავი ცეცხლოვანი კვამლი ამოაბოყინა). აღარავინ ხუმრობდა, ყველა დაჯდა და შეშფოთებული სახით დაიწყო ტელევიზორის ყურება, მობილურები აწკრიალდა. წელში მოხრილნი ვისხედით, თითქოს ტრაგედიის სიმძიმე თითოეულ ჩვენგანს მხრებზე დააწვა. სრული მდუმარება კი მაშინ ჩამოწვა, როცა მესამე თვითმფრინავი პენტაგონს დაეჯახა. ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება?! დაემხოთ ზეცა თავზე და ეგ არის! აი, მერე კი, როცა სამხრეთი ცათამბჯენი დაინგრა, რომელსაც მალევე, ფრანგული დროით 16:30 საათზე ჩრდილოეთისა მიჰყვა, მთელ მსოფლიოში შიშის ზარმა დარეკა. გაფითრებული კიბეზე დავეშვი და მგონი, არც კი დავმშვიდობებივარ ფრანსუა ვერნის, ისე გავვარდი ქუჩაში. ფეხით უნდა გამევლო. სენ-ანდრე-დეზ-არის ქუჩაზე ვიყავი, როცა მობილურმა დამირეკა. ერიკ ლორანი იყო, ჩემი კოლეგა, რომლის რომანებსაც გამომცემლობა „მინუი» ბეჭდავდა. მას ახალი დამთავრებული ჰქონდა წიგნი, რომელშიც მოქმედება ამერიკაში ხდებოდა („არ შეეხოთ“. გირჩევთ, არ დაუჯეროთ წიგნის სათაურს და აუცილებლად წაიკითხოთ). იმხანად ლორანი უმუშევარი იყო და ჩემს გადაცემაში სამსახურის დაწყება უნდოდა. აღმოჩნდა, რომ ამერიკის ამბებზე არაფერი იცოდა.

– უკაცრავად, ერიკ, მაგრამ რაღაც უცნაურად ვგრძნობ თავს. დღევანდელი ამბების მერე...

– რა ხდება? რამე შეგემთხვა?

– მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობები დაინგრა, თვითმფრინავები პანტაპუნტით ცვივა, პენტაგონი იწვის, ეს ყველაფერი...

– კაი, რას ღადაობ! რამე სამსახურის ვარიანტი თუ არის, გამაგებინე, რა... მაგარი გაჭედილი ვარ ფულში.

არ დამიჯერა და ეს გასაკვირიც არ იყო. ჩემი პრობლემაც ხომ ესაა: ხალხს არასდროს სჯერა ჩემი, მაშინაც კი, როცა ცამდე მართალი ვარ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მდიდრების

კრიტიკით გამდიდრებული კაცი ვარ. მე იმ ცინიკოსს ვგავარ, დაუსრულებლად ცინიზმს რომ დასცინის. მაშინაც კი, როცა ადამიანს ვეუბნები, მიყვარხარ-თქო, არ მიჯერებს.

ჩემს შვილს დავურეკე, მაინტერესებდა სად იყო? კლოესთან დაკავშირება არ ხერხდებოდა, დედამისსაც ტელეფონი გამორთული ჰქონდა. რა უნდა იყოს? ნახევარ საათში ძიძამ დამირეკა და მითხრა, რომ ბავშვი თოჯინების თეატრში იყო, „სამ გოჭზე“, ლუქსემბურგის ბაღში. აშკარად გამიმართლა, იმ დღეს ლუქსემბურგის ბაღს არც ერთი «ბოინგი» არ დასცემია. კლოე ტელეფონით სპექტაკლს მიყვება:

– მგელს უნდოდა სამი პატარა გოჭი შეეჭამა, მაგრამ გოჭები ქვის სახლში დაიმალნენ. აბა, რას დააკლებდა ის საზიზღარი მგელი ქვის სახლს?!

მგონი, არ არის სწორი, შვილებს ბავშვობიდან ასეთი ტყუილებით რომ ვბერავთ.

08:57

კონცერტი ხველების, ცემინების, კბილების

ღრჭიალისა და სიკვდილის წინ ხრიალისთვის...

უცნაურია, რომ არც ერთ ავანგარდულ მუსიკოსს ასეთი იდეა არ მოსვლია თავში. თავად ჯონ ქეიჯსაც[310] კი. ქეიჯი (ინგლისურად, გალია) ხომ ასეთი მრავლისმთქმელი გვარია. ჩვენ კი ხველების კონცერტს შუშებიან გალიაში ვუკრავთ. მახსოვს, ერთხელ მე და მერიმ რეიუნიონის კუნძულზე წავიყვანეთ ბავშვები მოქმედი ვულკანის სანახავად. გოგირდის სუნი, აუტანელი სიცხე იდგა. დევი და ჯერი განუწყვეტლივ ახველებდნენ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისევ იქ ვართ. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ამოფრქვეული ვულკანია. როდესაც ისევ Windows on the world-ში დავბრუნდით (107-ე სართულზე), მე უკვე მხოლოდ ერთ გამოსავალს ვხედავდი: გასასვლელი და ხანძარსაწინააღმდეგო კარი ჩაგვეკეტა, ყველა ხვრელი და ღრიჭო სველი ხელსახოცებით ამოგვექოლა, სავენტილაციო გისოსებზე მაგიდები აგვეფარებინა და მაშველებს დავლოდებოდით. რესტორნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში Risk Water Group-ის კლიენტები შექუჩებულიყვნენ, იქ ნაკლები კვამლი იყო. ვიღაც სვეტზე

ამძვრალიყო და ფანჯარაში გადაეყო თავი, რათა უკეთ ესუნთქა. რომ მიიწ-მოიწეოდნენ, სამი-ოთხი კაცის ადგილი კიდევ გამოთავისუფლდებოდა. მაგიდაზე ვძვრები და ჯერი და დევიდი ამყავს, რომ მორიგეობით სუფთა ჰაერი ჩავასუნთქო. დარბაზში და ბარის დახლის წინ კვამლი გრუნტის წყალივით დგას.

ხალხი ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ ხაფანგშია. ადმინისტრატორს და შეფ-მზარეულს კითხვებს აყრიან. როგორია ევაკუაციის სქემა? შენობის გეგმა სად არის? ისინი ლამის ყვირილით უხსნიან, რომ ზუსტად მათნაირ გასაჭირში არიან. მსუქანი პუერტორიკოელი ოფიციანტი ქალი, სახელად ლურდესი, ბავშვების ფანჯარაზე აყვანაში მეხმარება.

– არ ინერვიულოთ. აუცილებლად მოვლენ მაშველები. მე 93-შიც აქ ვმუშაობდი, როცა ბომბი აფეთქდა. ხომ გესმით პოლიციის ვერტმფრენების ხმა?

– კი, მაგრამ როგორ გაგვიყვანენ აქედან? შენობასთან მოახლოება ძალიან სახიფათოა!

– Well, 93-ში ხალხის ევაკუაცია სახურავიდან მოხდა.

– Damn it! You’re right! Gimme a hug![311]

ლურდესს ვეხვევი და ბავშვები ფანჯრის რაფიდან ჩამომყავს.

– ლურდეს, წამოდით ჩვენთან ერთად. ახლაღა მივხვდი, ქვემოთ ჩასვლის მაგივრად, ზემოთ უნდა ავიდეთ. ბიჭებო, თამაში გრძელდება, სახურავზე მივდივართ.

ჩვენ ოთხნი ისევ კვამლით სავსე კიბისკენ გავრბივართ. ჯერი და დევიდი სუფთა ჰაერმა ცოტა გაამხნევა, ახლა ისინი სველ ხელსახოცებს იქნევენ და „ბითლჯუისს» თამაშობენ. მაგრამ დაცვის შავკანიანი თანამშრომელი კიბის უჯრედისკენ არ გვიშვებს:

– გამორიცხულია. იქაურობა სულ ცეცხლშია!

– სახურავზე სხვა გასასვლელი არ არსებობს?

– ენტონი, – უთხრა ლურდესმა, – remember 93! We’ve got to get to the roof.[312] ვერტმფრენები ევაკუაციას იქიდან მოახდენენ. ვინ იცის, იქნებ უკვე გველოდებიან კიდეც!

ენტონი ფიქრობს. მას ხელზე მეორე ხარისხის დამწვრობა აქვს, მაგრამ ყურადღებას არ აქცევს და ისევ ფიქრობს, პერანგი ჩამოჰგლეჯია, მაგრამ მაინც ფიქრობს. ისიც კი ვიცი, რას ფიქრობს: ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მაგრამ იმედი მაინც არ უნდა დავკარგოთო.

– OK, follow me, გამომყევით.

ფეხდაფეხ მივყვებით, სამზარეულოს ლაბირინთებსა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი რესტორნის ოფისებს გავდივართ. ენტონი აალებულ კიბეებს გვერდს უვლის, ფრანგული ღვინის ყუთებით სავსე დერეფნებს კვეთს და ბოლოს რკინის კიბეზე მიძვრება. ჯერი და დევიდი გამხიარულდნენ. თეთრი ხელსახოცით სახეზე ყაჩაღებს ან უკრაინელ გლეხებს ჰგვანან. 108-ე სართულზე ავდივართ. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ჩვენ არ მოგვსვლია თავში ეს იდეა და დაახლოებით ოცამდე კაცი ერთად ვაგრძელებთ სახურავზე გასასვლელის ძებნას. მონოტონურად ვაჭერ ტელეფონის ღილაკს: 911, რომ მაშველები გავაფრთხილო. ჯერი მეკითხება, რატომ ვწერ ტელეფონზე განუწყვეტლივ დღევანდელ თარიღს: 911, 911, 911. Nine Eleven.

– დამთხვევაა, საყვარელო. უბრალო დამთხვევა.

– მამა, რას ნიშნავს „დამთხვევა?» – კითხულობს დევიდი.

– როცა მსგავსი რაღაცები ერთდროულად ხდება და ყველას ჰგონია, რომ ეს განგებაა, სინამდვილეში კი, არ არის განგებ, ჰო, მა? – ამბობს ჯერი.

– კი, ჯერომ, ასეა. გულუბრყვილო ხალხი ხანდახან შემთხვევითობაში ფარულ მინიშნებას ხედავს. მაგალითად, გულუბრყვილო კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ თუ დღევანდელი თარიღი პოლიციის გადაუდებელი დახმარების ტელეფონს ემთხვევა, მაშინ ეს რაღაცის მომასწავებელია. შეიძლება იფიქროს, რომ ვიღაცას უნდოდა გავეფრთხილებინეთ. სინამდვილეში კი, ეს სრული სირობაა და მეტი არაფერი. უბრალო დამთხვევაა!

– მამა, სირობა ხომ ცუდი სიტყვაა?

– კი, დევიდ.

– ჰოდა, მაშინ ნუ ამბობ!

08:58

„პარიზის ცაში» ხანძრის შემთხვევაში ევაკუაციის გეგმა ისეთივეა, როგორიც 11 სექტემბრამდე იყო: ნელა და პანიკის გარეშე დაეშვით კიბეზე. და თუ კიბე დანგრეულია ან კვამლითაა სავსე, ან ცეცხლისგან გავარვარებულ ქურადაა ქცეული, მაშინ რა ვქნათ? ჰოო, მაშინ აღიჭურვენით მოთმინებით და დაელოდეთ სიკვდილს დამწვრობის, დახრჩობის ან ნანგრევებში მოყოლისგან. კაია, გმადლობთ! ძაან დამავალეთ! სახურავზე ასასვლელი კარი ყოველთვის დაკეტილია, რომ ვინმე გიჟმა ქეიფი იქ არ გააგრძელოს. ასეთებიც ხდებოდა ხოლმე: რამდენიმე წლის წინ იქ უსახლკაროთა მთელი ბანდები იკრიბებოდნენ და პიკნიკებს მართავდნენ. მას შემდეგ აქაური დაცვა ყველა ნასვამი ახალგაზრდის გადაადგილებას თვალყურს ადევნებს.

– იცი, რას გეტყვით, – მეუბნება შენობის უსაფრთხოების თანამშრომელი, – «ბოინგი»-747 მონპარნასის კოშკს რომ შეასკდეს, იგი შენობას იმწუთშივე შუაში გააპობს, ამიტომ ამ კითხვის დასმას თავისთავად აზრი არა აქვს.

უი, როგორ დამაწყნარა, ამას ვენაცვალე! ჯობია სხვა რამეზე ვიფიქრო. აი, ერთი სემანტიკური კითხვა არ მასვენებს. რომელი ზმნა გამოხატავს თვითმფრინავის შენობაში შევარდნას? თვითმფრინავი „დაჯდაო“, ვერ იტყვი, იმიტომ, რომ დასაჯდომად მას მიწა სჭირდება. იგივე პრობლემა იჩენს თავს ინგლისურშიც: to land თავისთავად ბორბლებქვეშ მიწას გულისხმობს. მე გთავაზობთ სიტყვას „დაშენობდა“. მაგალითად: „ქალბატონებო და ბატონებო, მოგმართავთ ეკიპაჟის მეთაური. ჩვენ ვუახლოვდებით დანიშნულების ადგილს და რამდენიმე წუთში პარიზში „დავშენობდებით“. გთხოვთ, მოიყვანოთ საზურგეები ვერტიკალურ მდგომარეობაში და შეიკრათ უსაფრთხოების ღვედები. იმედი გვაქვს, თქვენი მოგზაურობა „ეარ ფრანსთან» ერთად სასიამოვნო იყო და ვწუხვართ, რომ ვეღარასდროს გნახავთ ვერც ჩვენი თვითმფრინავის ბორტზე და ვერც რომელიმე სხვაზე».

თუმცა მონპარნასის სახურავზე, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ჩრდილოეთ ცათამბჯენისგან განსხვავებით (რომელიც

ჩაკეტილი იყო) ასვლა მაინც შესაძლებელია. დღის განმავლობაში მსურველებს იქ მოხვედრა 8 ევროდ შეუძლიათ. ლიფტით 56-ე სართულზე ავდივარ, რამდენიმე შავ კოსტიუმში გამოწყობილ იაპონელთან და ულვაშიან დაცვის თანამშრომელთან ერთად, რომელსაც ცისფერი ოქროსფერღილებიანი ბლეიზერი აცვია (მეც ასე მაცმევდნენ ბავშვობაში: ფლანელის შარვალი, რომელიც მჩხვლეტდა და კაპიტნის ქურთუკი; და მეც ეგეთი გიჟის სიფათს ვკერავდი). 56-ე სართულზე შეგვიძლია პარიზის მცირე ექსპოზიცია ვიხილოთ და რა თქმა უნდა, დავტკბეთ უმშვენიერესი ხედებით. ჩემი მზერა ფანჯრებს იქით მონპარნასის სასაფლაოზე დაძრწის. ვცდილობ ბოდლერის საფლავი ვიპოვო, პატარა თეთრი კენჭი ქვების მდელოზე. მარცხნივ ლუქსემბურგის ბაღია, სიმბოლო ჩემი სამუდამოდ დასრულებული ახალგაზრდობისა. თუმცა ამ აზრს იმდენად ვერ ვეგუები, რომ საცხოვრებელ ადგილსაც კი არ ვიცვლი, თითქოს გეოგრაფიულ უმოძრაობას დროის გაჩერება შეეძლოს. მე აღარ ვარ ახალგაზრდა, მე უბრალოდ გეოსტაციონარული ვარ. მოსაწყენ კაფეტერიაში („ბელვედერ კაფე“) სიქაგამძვრალ პროვინციელებს ცხელ სასმელს სთავაზობენ. სახურავზე მოსახვედრად კიბეზე უნდა ახვიდე, რომელზეც ქლორის სუნი დგას (აუზი მახსენდება, კლასელების ჟივილ-ხივილი, სველი საცურაო კოსტიუმები და აქოთებული ფეხები). ქშენა-ქშენით ბოლო საფეხურებიც დავძლიე. თითოეული ჩემი ნაბიჯი კედელზე დაწერილი სიმაღლის მაჩვენებლით ჯილდოვდება: „201 მ, 204 მ, 207 მ“. რკინის კარი იღება და აი, უკვე სახურავზე ვარ. ქარი ყურებში ჩამწივის. აქედან ორლიში თვითმფრინავების აფრენა მოჩანს. ბეტონის სახურავის შუაგულში დიდი თეთრი წრე ხატია, რომ ვერტმფრენები ადვილად „დაშენობდნენ“. რომ მოვინდომო, აქედან გამვლელებს დავაყრი რაღაცებს თავზე. ამ შემთხვევაში დამაკავებდნენ ვანდალიზმისთვის, მკვლელობის მცდელობისთვის, წინასწარი განზრახვის გარეშე სხეულის სასიკვდილო დაზიანების მიყენებისთვის, შიზოფრენიის საშიში გამოვლინებისთვის ან უმიზეზო ისტერიკული შემოტევისთვის. სადღაც შორს „სარკე-კე რის» ბაზილიკა ვარდისფერ ნისლშია ჩაძირული. ერთ-ერთ აფიშაზე კალამბურის მსგავსი რაღაც წერია: La Vue Parisienne – „პარიზული ხედი». მე კი ჩემსას მივაგებებდი: „მე მქვია ფრედერიკ ბელვედერი[313]“. ისევ „პარიზის ცაში» ვეშვები.

ამის მსგავსი რესტორანი ბერლინშიც არის ალექსანდრპლაცის ტელეანძაზე, სადაც იგი საკუთარი ღერძის გარშემო მუსიკალური დისკივით ტრიალებს. 70-იან წლებში მსოფლიო ცათამბჯენებზე სადილობის მანიით იყო შეპყრობილი, სტრატოსფეროში რომ არ აჭრილიყვნენ, ისე საჭმელს გემოს ვერ აყოლებდნენ. რატომ? რას გაიგებ! „პანორამული ვიზიტის» სართულზე საგანგებოდ მოწყობილ პროექტორზე რაღაც ძველი ფილმის კადრებს ატრიალებენ: მაღლიდან გადაღებული პარიზის ხედები დეპრესიული ფლეიტის ჰანგებზე. ფირი პერიოდულად იჭედება. სპორტულ ქურთუკებში ჩაცმული დამთვალიერებლები უთავბოლოდ დაყიალებენ და გასართობს ეძებენ. შეყვარებულები, იმისდა მიუხედავად, რომ ძლივს სუნთქავენ, მაინც ტუჩებში კოცნიან ერთმანეთს. ვიღაც ბავშვი ამთქნარებს. მისი შემხედვარე, მეც მთქნარება მიტყდება, ან იქნებ სულაც მე ვარ ის ბავშვი.

მერე მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, დანფერ-როშროსკენ ვტრიალდები და ხალხის უწყვეტ დინებას ვხედავ. ასობით ათასი ფეხით მოსიარულის თავი ისე იღვრება მოედანზე, როგორც მდინარეები – ზღვაში. დღეს, 2003 წლის 15 თებერვალს ბოლო 50 წლის განმავლობაში ომის საწინააღმდეგო ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქცია იმართება. გუშინ გაეროში ამერიკის შეერთებული შტატები საფრანგეთს დაუპირისპირდა. აშშ-ის პრეზიდენტს მამამისის მსგავსად ერაყში ომის დაწყება უნდა. საფრანგეთის ლიდერი კი წინააღმდეგია. ანტიამერიკელებმა ფრანკოფობებს შეუტიეს. ატლანტის ოკეანის ორივე მხრიდან ხალხი ტელევიზიების საშუალებით ერთმანეთს ლაფს ასხამს. მონპარნასის კოშკის ქვეშ დანფერის მოედნიდან ბასტილიამდე გრანდიოზული მანიფესტაცია ტარდება, 200 000 მონაწილე სიცივესა და ყინვაში სენ-მიშელის და სენ-ჟერმენის ბულვარებისკენ მიაბიჯებს. იმავე დღეს მსგავსი საპროტესტო აქციები ზუსტად ასეთივე ლოზუნგებით ნიუ-იორკშიც ჩატარდა. მე ლიფტში ვჯდები და ქვემოთ ჩავდივარ, რომ მათ შევუერთდე. ნუთუ მეც კაპიტულანტური პოლიტიკის მომხრე, ფლიდი, ანტისემიტი და პეტენისტი ფრანგი ვარ, როგორც ომის მოწინააღმდეგეებს ამერიკულ პრესაში უწოდებენ. დაბურულშუშიანი მონოლითური შენობისკენ ვიყურები, რომლის კედლებზეც მზის სხივები ირეკლება და თავში ასეთი აზრი მომდის: მონპარნასის კოშკს სახელი უნდა გადავარქვათ. ამ, ბოლოში

მომრგვალებულ, მართკუთხა ფორმის შენობას, თავსა და ბოლოში გაჭრილი ნუშის ფორმა რომ აქვს, კუსკუსების რესტორნებსა და ძეხვეულის ფარდულებს შორის სასაცილოდ რომ აწოწილა, ამ განმარტოებით მდგარ შუქურას Twin Towers-ის[314] საპირისპიროდ Lonely Tower-ი[315] უნდა ვუწოდოთ; დეპარის ქუჩაზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც „უოლდ დისნეი ფიქჩერსის» „ჯუნგლი-2-ის» ნახატებითაა აჭრელებული კედელი, უამრავი მაღრიბელი[316] არაბი ირევა. დათვი ბალუ და მაუგლი ათმეტრიან ფასადზე ცეკვავენ, ირგვლივ კი შიშ-ქაბაბის მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებს. მანიფესტანტებს პლაკატები მოაქვთ: STOP THE WAR! – შეაჩერეთ ომი! დისნეის ფილმში, მოგეხსენებათ, მოქმედებები ინდოეთის ჯუნგლებში, ანუ ინგლისის კოლონიაში ხდება. წიგნში არის ის, რასაც მულტფილმში ვერ ნახავთ. ესაა მორალი: „მას შემდეგ ჯუნგლებში მხოლოდ ჯუნგლების კანონი როდი მოქმედებდა». კიპლინგ, დაბრუნდი! სულ გააფრინა ამ ხალხმა!

08:59

Oh Lord, ღმერთო ჩემო, წითურთმიანი გაგიჟდა. ოფლი წურწურით ასხამს და მხეცივით ღრიალებს. ბავშვები რომ პანიკაში არ ჩაცვივდნენ, ლურდესს თვალს ვუკრავ და ვეუბნები:

– მაპატიეთ, ლურდეს. შეიძლება, რაღაც გთხოვოთ? ჩემს შვილებს არ სჯერათ, რომ ჩვენ ატრაქციონში ვმონაწილეობთ. მათ არაფერი იციან Tower Inferno-ს შესახებ. მოკლედ, თუ შეიძლება, ცოტა ხანი ბავშვებს მიმიხედეთ, ამასობაში კი მე და ენტონი სახურავზე ასასვლელ გზას ვიპოვით. ბავშვებო, პირობას მაძლევთ, რომ ჭკვიანად მოიქცევით?

– კი.

– და არ მიაქციოთ ყურადღება იმ მსახიობს, რომელიც ყვირის. ძალიან უნიჭოდ ასრულებს როლს.

– რატომ გქვია ლურდესი? – კითხულობს დევიდი.

– მოკეტე, ბიჭო! – ეუბნება ჯერი.

– ახლა ყურადღებით მისმინეთ, ბიჭებო, – ამბობს ლურდესი, – მე აქ ვმუშაობ და ზუსტად ვიცი, რომ თქვენხელა ბავშვებს ამ

„რუსულ გორაკებზე[317]« საერთოდ არ უშვებენ. ამიტომ თქვენს ადგილას ენას კბილებს დავაჭერდი. do I make myself clear[318], გასაგებია?

ენტონი წითურს მხრებზე ხელს ჰკიდებს და რაღაცას ძალიან გულდასმით უხსნის. ორივენი შემინულ დერეფანში ჩაკუზულები ლაპარაკობენ. მახრჩობელა შავი კვამლი ლიფტის შახტიდან შავი ლიანებივით მოიკლაკნება.

– რა გქვია?

– ჯეფრი.

– მისმინე, ჯეფრი, ახლა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ნუ ნერვიულობ, დაწყნარდი. ყველაფერი კარგად იქნება!

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ყველაფერი ჩემი ბრალია! ჩემი იდეა იყო ეს საუზმე. არ მინდა სიკვდილი! ვიცი, რომ სასაცილო ვარ! ღმერთო, მიშველე!

მე ბავშვებს გავხედე, ხომ არ ეშინიათ-მეთქი, მაგრამ არა, მაგრად დგანან, ოღონდ ყურებში თითები გაურჭვიათ, რომ ჯეფრის ღრიალი არ გაიგონონ. ეტყობა, ლურდესმა ურჩია, იმიტომ, რომ ისიც ყურებზე ხელებაფარებული დგას. მე და ენტონი მილებით ჩახერგილ დერეფნებს მივუყვებით, რომ 109-ე სართულზე ავიდეთ. უშველებელ ოთახებს გავდივართ, რომლებშიც რაღაც დანადგარები, სავენტილაციო ტურბინები, გათბობის სისტემები და ლიფტის მექანიზმები აწყვია. აშკარაა, რომ სახურავზე ასვლას სხვებიც ცდილობენ და ამაში უცნაური არაფერია. ქვემოთ ჩასვლა გამორიცხულია, ან დაიწვები, ან გაიგუდები. ერთადერთი იმედი სახურავია. გზადაგზა ასამდე კაცი გვიერთდება, რომლებიც ჩვენსავით ჰაერზე გასასვლელს ეძებენ. ზოგს სასოწარკვთილებისგან ხელები თავზე აქვს წაჭერილი, ზოგი იატაკზე ზის, სხვები ფეხზე დგანან ან მაგიდაზე არიან ამძვრალნი, რომ უკეთ ისუნთქონ, რამდენიმე კაცი რკინის სეიფით ფანჯრის გატეხას ცდილობს (ჰო, რკინის სეიფიც გამოდგება!). ხალხი ერთადაა შექუჩებული, ერთმანეთს ეხმარებიან, ამშვიდებენ და განუწყვეტლივ ახველებენ.

– სახურავზე მხოლოდ ერთადერთი კიბე ადის. გასაღები დაცვის ყველა თანამშრომელს აქვს, მათ შორის მეც! – ამბობს ენტონი.

წითლად შეღებილი კარის წინ ვდგავართ, რომელსაც EMERGENCY EXIT[319] აწერია. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ შემძულდებოდა ცოტა ხანში ეს კარი!

ქვედა სართულზე კი ლურდესი ბიჭებს ესაუბრება. თან ისე ატრიალებს აქეთ-იქით თავს, გეგონება, ჩოგბურთის მატჩს უყურებს დები უილიამსების მონაწილეობით.

– ჯობდა სკოლაში წავსულიყავით, – ამბობს დევიდი.

– რატო, მაგრობაა აქ! – პასუხობს ჯერი.

– სკოლაზე მაგრობაა?

– აბა, რა!

– ცოტა ცხელა, თორე...

– ჰო, ცხელა, მარა წარმოიდგინე, რო საუნაში ხარ.

– საუნა, რა ჯანდაბაა? – კითხულობს დეივი.

– საუნა აბანოსავით რაღაცაა, იქ შედიან, რომ გაოფლიანდნენ, – უხსნის ლურდესი.

– და რატომ უნდა გაოფლიანდნენ? – კითხულობს დევიდი.

– რომ გახდნენ, – პასუხობს ლურდესი.

– მაშინ შენ უფრო ხშირად უნდა იარო იქ. – ამბობს დევიდი.

– მოკეტე, – აჩუმებს ჯერი, – ეგ არ არის სასაცილო.

– ძაანაც სასაცილოა, ნახე, ლურდესი კვდება სიცილით. ასე რო, შენ თვითონ მოკეტე.

ლურდესი მართლაც ისე იცინის, რომ თვალებიდან ცრემლები მოსდის. ჯიბიდან Kleenex-ის შეკვრას იღებს, რომ ცრემლები მოიწმინდოს.

– როგორ გგონია, გვანახვებენ ტელევიზორში? – კითხულობს დევიდი.

– რა თქმა უნდა, დებილო! – პასუხობს ჯერი, – პირდაპირი ჩართვები იქნება ყველა არხზე.

– მაგარია!

– უფ, უკეთესს რას ნახავ!

– აუ, რა დებილი ხარ, ფირი რომ აღარ გაქვს ფოტოაპარატში.

– აუ, შემეშვი რა, შენი თავი არ მაქვს! – ეუბნება ჯერი.

– ცხვირიდან სისხლი მოგდის!

– ფუ, ამის დედა ვატირე. ისევ წამომივიდა! – ამბობს ჯერი.

თავს უკან სწევს და ნესტოში ცხვირსახოცს იტენის. ლურდესი ქაღალდის ხელსახოცს აწვდის.

– თქვენ არ ინერვიულოთ, ლურდეს, – ამბობს დევიდი, – მაგას სულ ეგრე ემართება.

– არა. მარტო მაშინ, როცა ცუდ ხასიათზე ვარ!

– ანუ სულ!

09:00

როცა 9.11-ის შესახებ ცნობებს კითხულობ, თავი ჟ.გ. ბალარდის[320] აპოკალიფსურ რომანში გგონია, ოღონდ ერთი განსხვავებით: იცი, რომ ეს სინამდვილეა.

ედმუნდ მაკ ნელი, Fiduciary-ის ტექნიკური დირექტორი თავის ცოლს, ლიზს ურეკავს. ტელეფონში მისი განუწყვეტელი ხველა და იატაკის ზანზარი ისმის. იგი სწრაფად კარნახობს თავისი ანგარიშებისა და სადაზღვევო პოლისების ნომრებს. იმ დარჩენილ რამდენიმე წამში მხოლოდ იმის თქმას ასწრებს, რომ ოჯახი მისთვის ყველაფერი იყო ცხოვრებაში. ამბობს, რომ ლიზს, ალბათ მოუწევს რომში მათი მოგზაურობის გაუქმება. ნეტავ თუ მოასწრო, მის ცხოვრებაში ბოლო ფინჯანი ყავის დალევა, სანამ ხალხი ფანჯრებიდან ცვიოდა? ალბათ, არა, ძალიან ბევრს ახველებდა. დეიმენ მიჰანი, რომელიც 92-ე სართულზე მუშაობდა, თავის ძმას, ეჟენს ურეკავს. იგი მეხანძრეა ბრონქსში. „საშინელებაა! – ყვირის, – ლიფტები არ მუშაობს!» პეტერ ალდერმანი, Bloomberg LP-ის გამყიდველი პორტატიული კომპიუტერიდან თავის დას ტექსტურ შეტყობინებას უგზავნის. წერს, რომ ყველაფერი კვამლშია, მისი ბოლო სიტყვა კი „მეშინიაა!» ვფიქრობ, 9 საათის შემდეგ ეს სიტყვა უკვე ყველა იქ მყოფი ადამიანის საერთო ემოციას

გამოხატავდა. გაოცების, სახტად დარჩენის და იმედის ნახევარი საათის შემდეგ ისეთმა შიშმა და პანიკამ დაისადგურა, რომლისგანაც ადამიანს გონება ებინდება და ცახცახი იტანს.

იმ დილით ჩემი გოგონა მონპარნასის კოშკზე წავიყვანე. ვისაც სამწლი-ნახევრის შვილი არ ჰყავს, შეუძლია პირდაპირ შემდეგ წუთზე გადავიდეს, რადგან მაინც ვერაფერს გაიგებს. დღე იმით იწყება, რომ ვარწმუნებ, მონპარნასის კოშკზე საუზმე ჯობია კარუსელზე წასვლას-მეთქი, ხოლო მთავრდება ორივეგან წაყვანით. წამით ვერ ისვენებს, დასდევს მტრედებს, დაღოღავს ბეტონის მოაჯირზე, ბაგირზე მოარული ჯამბაზივით ტროტუარის ბორდიურზე დაკუნკულობს. და აი, პირველი სცენაც: ცხარე ცრემლები, მოლაპარაკება, შერიგება. ნებას ვრთავ, ესკალატორის კიბეზე მიმართულების საწინააღმდეგოდ ირბინოს, რათა რამენაირად ლიფტში შევიტყუო. იქ ჯერ ტირილი დასცხო, იმიტომ რომ 56-ე სართულის ღილაკზე თითი არ დავაჭერინე, მერე კი სიცილით გადაბჟირდა, იმიტომ, რომ ჩქაროსნულმა ლიფტმა ყურები დაუგუბა. „პარიზის ცაში» ნეილონის კოსტიუმებში გამოწყობილ მეტრდოტელებს ფეხებში ეხლართებოდა, ბოლოს კი ფანჯარასთან მდგომ მაგიდასთან მოკალათდა. არაფრით არ უნდოდა ქურთუკის გახდა, რასაც მოჰყვა მეორე სცენა: ისევ ცხარე ცრემლები, მოლაპარაკება, შერიგება. ბავშვების ყოფა ძალიან ერთფეროვანია, ამიტომ ისინი თავს ისე იქცევენ, როგორც შეუძლიათ. შანსს არ გაუშვებენ, რომ ტრაგედიის, ისტერიკის, ყვირილის, ბედნიერებისა და მძვინვარების სცენები არ მოაწყონ. მცირეწლოვანი ბავშვის ცხოვრებასა და შექსპირის ტრაგედიებს შორის ხომ დიდი განსხვავება არ არის. ერთი სიტყვით, ჩემი შვილი ზედგამოჭრილი სარა ბერნარია[321]: თვალის დახამხამებაში გადადის უიმედო სასოწარკვეთილებიდან სრულყოფილ ბედნიერებაზე. იშვიათი ნიჭის პატრონია! მიმტანი (რომელიც უკვე მცნობს, იმიტომ, რომ ყოველ დილით აქ დავდივარ) კანფეტებს სთავაზობს. მის სიხარულს საზღვარი არა აქვს: თვალები უბრწყინავს, ჰაერში კოცნას მიგზავნის. რაო? შოკოლადი ძალიან ცხელიაო? ჰოი, უბედურებავ: შეკრული კოპები, უკმაყოფილო სახე, გაბუტული გამოხედვა. რას იზამ, სამყაროს შეცნობის დროს ყველა დეტალი მნიშვნელოვანია. ჩემი გოგონა გრძნობათა ზღვარზე ცხოვრობს. გამაგიჟა, დილიდან არ გაჩერებულა,

გაუთავებლად მღერის «ბალახზე მირბოდა მწვანე თაგუნა». აღარ შემიძლია ამ დებილური სიმღერის მოსმენა. მერე რამდენიმე წამით ჩუმდება და პარიზის ხედს გაჰყურებს. თუმცა მდუმარება ხანმოკლეა. კლოე მეზობელ მაგიდასთან ძაღლს ამჩნევს და მოწყვეტით მისკენ გარბის. ჯერ ფრთხილად ეთამაშება, მერე უშინაურდება, ხელში იყვანს, ქალაქის ხედს აჩვენებს და ეუბნება:

– ნახე, რა მაღლა ვართ! მე კიდე შულ შულ პატარა ვარ!

კოკერი არ ინძრევა. კლოე ამით სარგებლობს და ყურებს თავზე ბაფთასავით უკრავს.

ვდგები, რომ ბავშვი გამოვიყვანო და ძაღლის პატრონებს ბოდიში მოვუხადო, რომლებსაც, საბედნიეროდ, არაფერი დაუნახავთ.

– ძალიან საყვარელი გოგონაა!

– დიდი მადლობა, ოღონდ ცოტა ხანში ასე აღარ იფიქრებთ.

– ძაგლი მიიიდააა!

მესამე სცენა: ცხარე ცრემლები, მოლაპარაკება, შერიგება. გვერდზე მაგიდასთან მსხდომნი ხმაურმა შეაწუხა. როგორც ეტყობათ, აზრი უკვე შეიცვალეს. კლოეს დასაწყნარებლად საწუწნ კანფეტს ვთავაზობ.

– ა მიდა, ინიტო რო მეწეპეპა!

ხანდახან ისე ძალიან მომინდება ხოლმე ჩემი შვილივით მოქცევა. მეც ამის მერე, როცა ვინმე შემეწინააღმდეგება, არა აქვს მნიშვნელობა, ტელეგადაცემაში თუ ლიტერატურულ შეკრებაზე, ღნავილს მოვრთავ, ცრემლებს ავაღვარღვარებ და იატაკზე გავგორდები. დარწმუნებული ვარ, ეს ხერხი მაგრად გაჭრიდა, მაგალითად, პოლიტიკაში: „თუ ხმას არ მომცემთ, ვიტირეეებ!“

საუზმე მივირთვით (შოკოლადის გარდა, ამჯერად ის უკვე ძალიან ცივი იყო). როცა ლიფტით ჩავდიოდით, ჩემმა გოგონამ ყურში ჩამჩურჩულა: „მიყვარხარ, მამიკო“. ხელში ავიყვანე. ვიცი, ეს იმიტომ მითხრა, რომ რესტორანში თავისი აუტანელი საქციელი გამოესყიდა. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? მაინც ბედნიერი ვარ. ერთხელ, კბილის ტკივილის გასაყუჩებლად,

დიდი რაოდენობით მორფინი მივიღე. გასაოცარი შეგრძნება იყო, მაგრამ მაინც ვერ შევადარებ ამ სიამოვნებას: ცხვირი მის თმაში ჩავყავი, რომელსაც ნუშის შამპუნის სუნი ასდიოდა და სიამოვნებისგან გავიტრუნე.

მე გაგაფრთხილეთ, ვისაც პატარა შვილი არა ჰყავს, ამ თავში საინტერესოს ვერაფერს ნახავს-მეთქი.

09:01

ეს გზა სუნთქვაშეკრულმა უნდა გაიარო. ღრმად ჩაისუნთქო, ხელები წინ გაიშვირო, თვალდახუჭულმა კიბეზე აირბინო, ბართან მარჯვნივ შეუხვიო და მერე ლიფტთან პირდაპირ ჩრდილოეთ ფასადისკენ გაიქცე. ალპინისტის ინსტრუქტაჟს ჰგავს. ასე მგონია, ჰიმალაის მწვერვალზე ავდივართ ჟანგბადის ბალიშის გარეშე. ბავშვებთან ვჩქარობ და თან თავს ვკიცხავ, რომ ისინი მარტო დავტოვე. ლურდესს ხელში სისხლიანი ცხვირსახოცი უჭირავს.

– Damn![322] ცხვირიდან სისხლი მოგდის?

– არა უშავს, მა, ხომ იცი, გამივლის.

– მარჯვენა ხელი მაღლა ასწიე და ნესტოს თითი მიადე. უკან თავს ნუ გადასწევ, თორემ სისხლი ყელში გადავა და აღარ შეწყდება. გმადლობთ, ლურდეს! ხომ არ გაგაბრაზეს?

– არა, მაგრამ, ნუ გგონიათ, რომ რახან შავკანიანი ვარ, აუცილებლად ამათ მომვლელად უნდა მაქციოთ.

– არა, როგორ გეკადრ...

– იპოვა ენტონიმ სახურავზე ასასვლელი გზა?

– კი. წავალთ, როგორც კი ჯერის ცხვირიდან სისხლი შეუჩერდება. იმედია, ყველას შეგიძლიათ ერთი წუთით სუნთქვის შეკავება.

ნეტავ, როდის გავხდი ნაძირალა? როდის მერე აღარ მიდგებოდა მერიზე და „ოსტინ მაქსის» მდივნებისკენ გამირბოდა თვალი? რა მომენტში დამიცურდა? ჯერის დაბადების მერე? თუ დევიდის? ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო: სამსახური, ქორწინება, ბავშვები. ერთ მშვენიერ დღეს

მივხვდი, რომ აღარ მინდოდა ასეთი ცხოვრება. არ მინდოდა მამაჩემს დავმსგავსებოდი. მახსოვს, პატარაობაში როგორ მრცხვენოდა, ასეთი მამა რომ მყავდა. დაიხურავდა თავის კოვბოურ ქუდს და დადიოდა ოსტინის ქუჩებში, მე კიდევ სირცხვილისგან ვიწვოდი. ასე რცხვენია ახლა ალბათ ჩემი ჯერის, როცა Mets-ის კეპით გამოვეცხადები ხოლმე.

როცა ოჯახის უფროსი გქვია, დაუღალავად უნდა იშრომო. ასეთი ჭაპანწყვეტა კი სულ უფრო ნაკლებად უნდათ მამაკაცებს. ასეა, ჩვენ იმდენი გვიტრიალეს თვალწინ თავისუფალი, მაცდური, პოეტური მამაკაცები, რომლებიც სიამოვნებისა და ნეტარებისთვის იყვნენ დაბადებულნი, ხოლო პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს სამკუთხა ბიკინიანი ფერიების მკლავებში ემალებოდნენ, რომ ჩვენც მოგვინდა ასეთები ვყოფილიყავით. რატომ უნდა გინდოდეს ლესტერ ბერნემს ჰგავდე, როცა არსებობს ჯიმი მორისონი[323]?

მიყვარს ქენდეისის ცეკვის ყურება, როცა მაგნიტოფონს უწევს, თეძოებს ნაზად არწევს და ფეხშიშველი ხალიჩაზე ტრიალებს. მისი გრძელი თმა კი ჰაერში ფრიალებს. პირდაპირ თვალებში მიყურებს და მაისურს ნელ-ნელა ზემოთ იწევს. ჩემი აზრით, მთელ ქვეყანაზე საუკეთესო სანახაობაა, როცა ქენდეისი push-up-ის ლიფში ჩემს Kingsize საწოლზე ცეკვავს ან ფეხის ფრჩხილებზე ლაქს ისვამს. მან კომპაქტდისკი იყიდა: „მუსიკა სიყვარულისთვის“, სარელაქსაციო მელოდიების კრებულია. როცა იმას ჩართავდა, უკვე ვიცოდი, რაც მელოდა. ძალიან მენატრება ქენდეისი, განსაკუთრებით ახლა, როცა არა ვარ დარწმუნებული, რომ ოდესმე კიდევ ვნახავ მას.

აბა, ბიჭებო, სუნთქვას ვიკავებთ, როგორც აუზში ყვინთვის დროს და მამიკოს მივყვებით, გასაგებია? ღრმად ჩავისუნთქოთ, ხელები გავმართოთ და კვამლში შევცუროთ. ჯერ პირდაპირ ლიფტისკენ მივდივართ, მერე ბართან მარჯვნივ ვუხვევთ და ბოლოს თვალდახუჭული ფრთხილად მივყვებით კიბეს.

110-ე სართულზე ლურდესი პლაკატისკენ იშვერს თითს: It’s hard to be down when you’re up. No comment.[324]

მარტო ცხოვრებასაც აქვს თავისი პლუსი: როცა კუჭში გადიხარ, ხმამაღლა ჩახველება არ გჭირდება, რომ „ტყლუმპ» გადაფარო.

ერთხელ მერიმ მარცხენა ხელი ლოყაზე მომისვა. სიყვარულით

აფაკლულ სახეზე მისი ცივი ხელი ვიგრძენი. მან მითხრა: „შენ ჩემი საყვარელი ხარ“. მე ვუპასუხე: „არა, – უკვე ქმარი“. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო, როცა სხვა ქალისკენ გამიწევდა გული. მარცხენა თვალიდან ცრემლი ჩამოგორდა, რომელიც მას მარჯვენა ხელისგულზე დაეცა. ვიცოდი, რომ მალე ეს ქალი შვილს გამიჩენდა. ახალგაზრდა ვიყავი, მიამიტი, ოპტიმისტი, ადვილად ვექცეოდი სხვისი გავლენის ქვეშ. გულწრფელი, სიცოცხლით სავსე, ბენტერა.

– მა, მთელი ერთი წუთი შევიკავე სუნთქვა. საკუთარი რეკორდი მოვხსენი.

ჯერიმ დრო დაინიშნა, სანამ სახურავის საავარიო კიბემდე მიირბინა.

– უფ, დაიწყო ახლა ტრაბახი! დიდი ამბავი, მეც შევიკავე!

– ნუ ტყუი! მესმოდა, როგორ ახველებდი, ე.ი. ჩაისუნთქე.

– მე კი არა, შენ ტყუი!

– მამა, უთხარი რამე!

– დაწყნარდით ბიჭებო. ახლა აქ ვსხდებით და ველოდებით, როდის მოვა ენტონი და გაგვიღებს ამ კარს.

– მე არა ვარ მატყუარა!

– ხარ!

– არა ვარ!

– ხარ!

– არა ვარ!

– ხარ!

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ის დღე დადგებოდა, როცა მათი ჩხუბის მოსმენა სიამოვნებას მომანიჭებდა, მათი უსაგნო კამათი რეალობიდან გაქცევის საშუალებას მომცემდა. ჩვენი შვილები სენბერნარები არიან. ჯეფრიმ ცრემლები მოიხოცა და ლოტოსის პოზაში დაჯდა. გავუღიმე. მგონი, ჩემი ჯერი დგება: ახლა მე მეტირება. ეტყობა, როლები გავცვალეთ.

09:02

– არავითარი ევაკუაცია! – ასეთი იყო ინსტრუქცია, რომელიც სამხრეთ ცათამბჯენში მიიღეს. გვერდით მდგომ შენობაში მომხდარ ავარიას იგი არ დაუზიანებია. გარეთ არ გახვიდეთ, რომ ჩრდილოეთ ცათამბჯენიდან ჩამოცვენილი ლითონის ძელები თავში არ მოგხვდეთ. Security guards-მა პირველ სართულზე ჩასულ თანამშრომლებს საკუთარ ოფისებში დაბრუნება ურჩია. ვინც დაიჯერა და ზემოთ ავიდა, ჯილდო არ მიუღია. მათ შორის, სტენლი ფრეიმნეთი იყო. იგი საკუთარ ოფისში, 81-ე სართულზე მდებარე „ფუჯი ბანკში» აბრუნდა და ფანჯრიდან დაიწყო ყურება. თავდაპირველად ცაში რაღაც რუხი ფერის ისარი გამოჩნდა. თავისუფლების ქანდაკების უკან თვითმფრინავი მოფრინავდა. ის ნელ-ნელა იზრდებოდა. სტენლიმ მის ფიუზელაჟზე წითელი ზოლის შემჩნევაც კი მოასწრო: United Airlines. მერე თვითმფრინავმა ცხვირი მაღლა ასწია და პირდაპირ მას შეასკდა. 9:02 წუთი იყო. რა საშინელი დღეა, fucking დღე.

როცა „მენ-მონპარნასის» ლიფტი ქვემოთ დაეშვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მუცელი პირში მომექცა. ფეხით უნდა ჩამოვსულიყავი, რომ მივმხვდარიყავი, როგორია 57-ე სართულიდან ფეხით დაშვება, როცა შენს თავზე ცა იწვის. მაგრამ მე მწერალი ვარ, კასკადიორი კი არა. ჩემი შვილი ხუთი სართულის მერე უკვე გასკდებოდა ტირილით. ამიტომ ამ ექსპერიმენტს ხვალ ჩავატარებ.

09 საათზე, 02 წუთსა და 54 წამზე კიდევ ერთი „ბოინგი»-767, რომელიც ასრულებდა რეისს ბოსტონი-ლოს-ანჯელესი, ოდნავ მარცხნივ გადაიხარა და ასეთ მდგომარეობაში შეასკდა სამხრეთ ცათამბჯენს 78-ე და 82-ე სართულებს შორის. დარტყმის მაგნიტუდა – 0,7, ხანგრძლივობა – 6 წამი. თვითმფრინავის ბორტზე ამ დროს 65 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის 9 – ეკიპაჟის წევრი. იგი უფრო დიდი სიჩქარით მიფრინავდა, ვიდრე წინა თვითმფრინავი (930 კმ/სთ). კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ ასეთი სიჩქარით შეჯახებისას ალუმინის ფრთები და ფიუზელაჟი, ისევე როგორც ფოლადის მოტორი, შენობის სვეტებს ბასრ დანასავით ჭრის. ცათამბჯენის ბეტონის გადახურვამ თვითმფრინავი ჯერ შუაზე გააპო, რის მერეც იგი დაიფშვნა და მტვრად იქცა. ზოგი ექსპერტი ამტკიცებდა, რომ შეჯახების მომენტში შენობამ

ისეთი სახის დაზიანებები მიიღო, რომ წესით, იმწამსვე უნდა ჩამოშლილიყო. ეს ცათამბჯენი პირველი დაინგრა, 09:59-ზე.

„სამხრეთიდან მომავალი ვერცხლისფერი ელვა, პრეისტორიული ჩიტი, შუბის წვერი, ამომავალი მზის სხივებზე აკიაფებული იატაგანი“, – დაწერს მოგვიანებით რასელ ბანქსი თავის გაზეთში. უკეთესად ვერ იტყოდი!

09:03

ისევ მეხის დაცემის ხმა, ისევ მიწისძვრა, ისევ ალის ავარდნა. ლურდესმა ავტომატურ რეჟიმში ტექსტური შეტყობინება მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კიდევ ერთი თვითმფრინავი დაეჯახა გვერდით მდებარე ცათამბჯენს. ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ეს უბედური შემთხვევა კი არა, ტერორისტული აქტი იყო. ვის შეიძლებოდა ეს ჩაედინა? ვისაც გინდა! ამერიკა იმდენ ადამიანს სძულს, მათ შორის ამერიკელებსაც. კი მაგრამ, მე ხომ არ მძულს დანარჩენი მსოფლიო? შეიძლება ვფიქრობ, რომ ბინძურია, დრომოჭმული და ჩახლართული, მაგრამ ხომ არ მძულს?! საერთოდ, ფეხებზე მკიდია. რატომ უნდა ებრძოლო დანარჩენ მსოფლიოს, თუ ის ისედაც არ არსებობს შენთვის. სისულელე, აბსურდი... ჯეფრის ისევ დაუცურდა. ენტონი ცდილობს რამენაირად დაეხმაროს. კიდევ კარგი, რომ ჩემი შვილები მაგრად დგანან. ასეთი დამჯერები ისინი არასდროს ყოფილან, თუმცა უხერხული კითხვების დასმისგან თავს მაინც ვერ იკავებენ.

– მამიკო, როდის გავალთ აქედან?

– დედიკო არ მოგვაკითხავს წასაყვანად?

– აღარ მთავრდება ეს ატრაქციონია თუ რაღაცა?!

ამჯერად ყველაფერს თვალი გავუსწორე; ყველა იმ მოვლენას, რომელიც აქამდე არ მაინტერესებდა, ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც მე არ მეხებოდა და რომლებსაც საინფორმაციო გამოშვების დასრულებისთანავე ვივიწყებდი. უცებ, ერთ წამში ის, რაც აქამდე ჩემთვის უცნობი ხალხის უბედურება იყო, ჩემი უბედურება გახდა. სხვისმა ომმა ჩემამდე მოაღწია და მე მანადგურებდა, მე და არა ვინმე სხვა, ჩემი შვილები და არა ვინმე სხვისი. ის ამბები, რომლებიც აქამდე ძალიან შორს იყო, ახლა ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა და ჩემი ყოფნა-არყოფნის

საკითხად გადაიქცა. არასდროს მქონია სხვის ქვეყანაში შეჭრის სურვილი, სხვა ქვეყნების უბედურებები კი თავად შემოიჭრნენ ჩემს ცხოვრებაში. მე არავითარი საერთო არ მქონია სხვის გაძვალტყავებულ, ნარკომან, გაუპატიურებულ და განავლის ბუზებდახვეულ ბავშვებთან, ისინი კი ჩემს სახლში შემოცვივდნენ და ჩემი შვილების დახოცვა განიზრახეს. ერთი რამ მინდა გითხრათ: მე ვიზრდებოდი „ხელახლა დაბადებულ ქრისტიანთა» ევანგელისტური, ეპისკოპალური, მეთოდისტური რწმენით, რომელსაც ამერიკაში 70 მილიონი მიმდევარი ჰყავს, მათ შორის ჯორჯ უოლკერ ბუში, ტეხასის ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად პენსილვანიის ავენიუზე მცხოვრები. ჩვენი კრედოა: ამერიკელები რჩეული ერია. ევროპა ჩვენი ეგვიპტეა, ატლანტის ოკეანე – წითელი ზღვა, ამერიკა კი – ისრაელი. როგორ მოგწონთ ტოპოგრაფია?! ვაშინგტონი = იერუსალიმს. აღთქმული ქვეყანა აქ არის. One Nation Under God! [325] სხვები გვკიდია!

თუ მთელი ცხოვრება მათზე თვალს ხუჭავდი?

ახლა ისინი დაგიხუჭავენ თვალს!

ლურდესი იატაკზე ზის და გაუჩერებლად იმეორებს თავისი შეტყობინების ტექსტს: „Breaking News[326]: რამდენიმე წუთის წინ მეორე თვითმფრინავი დაეჯახა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის სამხრეთ ცათამბჯენს». და თან ყველას მობილურს ანახვებს, რომ თავადაც წაიკითხონ. რეაქციები სხვადასხვაგვარია: უმრავლესობა გათიშული სახით მონოტონურად Fuck-ს გაიძახის, ზოგი იატაკზე ჯდება და თავს ხელებში რგავს. ენტონი ისეთი ძალით ურტყამს ოთახის ტიხარს ფეხს, რომ ბოლოს და ბოლოს ტეხს მას, ჯეფრი უფრო ხმამაღლა ტირის, ცრემლები სულ ღაპაღუპით ცვივა მის ვარდისფერ პერანგზე. მე კი ბავშვებისკენ ვიხრები და გულში ვიკრავ, რომ ჩემს სახეზე დაწერილი სასოწარკვეთილება არ დაინახონ.

– ჯერი, დევიდ! უნდა ვაღიარო, რომ ეს არ იყო თამაში!

– არა უშავს, მამიკო, ჩვენ ისედაც ვხვდებოდით, არ ინერვიულო.

– ეს თამაში არ არის, გესმით? ეს ყველაფერი რეალობაა.

– ვიცით, მამა. ჩვენ ეგრევე მივხვდით, – ამბობს დევიდი და თან

ახველებს.

– Oh my goodness, ღმერთო ჩემო, ეს არ არის თამაში, მაგრამ ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ, ერთად! გაიგეთ?

– კი, მაგრამ, რატომ ეჯახებიან ეს თვითმფრინავები შენობებს, გაგიჟდნენ თუ რა ხდება?

დევიდის შეშფოთებული სახის შემყურე ტირილს ვეღარ ვიკავებ. ჯეფრი ვხდები, მუხლებზე ვეცემი, ვიკეცები. შიშმა მაჯობა.

– ამის დედას შევეცი, როგორ შეიძლება ადამიანებმა ასეთი რაღაცები გააკეთონ?

– მამიკო, ნუ ამბობ ეგეთ სიტყვებს!

ჯერი გვერდზე იხედება. მას რცხვენია, რომ ასეთ მდგომარეობაში მხედავს. უკვე ნახევარი საათია, რაც მსოფლიოს უმაღლესი ცათამბჯენის წვერზე ვიმყოფებით და მხოლოდ ახლა ვიგრძენი თავბრუსხვევა.

09:04

„პარიზის ციდან» საფრანგეთის დედაქალაქს და მის ისტორიულ ძეგლებს გადმოვყურებ. ერთადერთი, რაც ბიძია სემმა[327] დაგვიტოვა, – ჩვენი ასაკია. ფრანგები ისე ამაყობენ თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, როგორც პენსიონერები – სამუშაო სტაჟით. ჩვენ დროის სიმძიმეს ვატარებთ. საფრანგეთი, ეგვიპტე, ინგლისი, ესპანეთი, მაროკო, ჰოლანდია, პორტუგალია, არაბეთი მორიგეობით მართავდნენ მსოფლიოს და იპყრობდნენ ქვეყნებს. დიდი მადლობა, ყელამდე ვართ ამით ნასიამოვნები. კიდევ კარგი, რომ ეს ყველაფერი დასრულდა. დაპყრობისა და კოლონიებისგან მხოლოდ თავსატკივარი ავიკიდეთ. ამერიკის შეერთებულ შტატებს კი პატარა ბავშვივით ჯერ კიდევ უხარია მსოფლიოს პატრონობა. ძველმა ერებმა ამაზე უკვე დიდი ხანია უარი თქვეს, აი, ამერიკას კი ისტორიული გულმავიწყობა დაემართა: ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ კოლონია იყო და მშვენივრად იცის, რას ნიშნავს უცხო ძალის ქვეშ ცხოვრება.

ამერიკას ღარიბი ქვეყნები ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, როცა ბრიჟიტ ბარდოსი არ იყოს (გენზბურის „ბონი და

კლაიდში[328]« რომ წაიღიღინა), „ერთადერთი გამოსავალი სიკვდილია». ჩვენ უცნაურ დროში ვცხოვრობთ, როცა ომმა ადგილმდებარეობა იცვალა. ახლა ბრძოლის ველი მედიასაშუალებებია. ამ ახალ კონფლიქტში ცუდისა და კარგის ერთმანეთისგან გარჩევა ძალიან ჭირს. ვერ გაიგებ, ვინ არის ბოროტი და ვინ – კეთილი! ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ისინი როლებს ცვლიან და ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბიან, როცა ჩვენ ერთი არხიდან მეორეზე ვრთავთ! ტელევიზია შურს თესავს. ადრე ღარიბები, ჩაგრულები და უუფლებონი, გამოკეტილნი თავიანთ ჯურღმულებში, არ უყურებდნენ ყოველ საღამოს ცისფერ ეკრანებზე მდიდრების ყოფა-ცხოვრებას. მათ არ იცოდნენ, რომ ზოგ ქვეყანაში იყო ყველაფერი, მაშინ როცა მათ ლუკმაპურიც კი არ ჰქონდათ. საფრანგეთში რევოლუცია ბევრად ადრე მოხდებოდა, ყმებს რომ ტელევიზორები ჰქონოდათ, რომლის საშუალებითაც მეფეებისა და დედოფლების ცხოვრებას ნახავდნენ. დღეს მთელ მსოფლიოში ჭუჭყში ჩაფლული ქვეყნები სისუფთავეში მცხოვრები ქვეყნებისადმი უჩვეულო, ურთიერთგამომრიცხავ გრძნობებს განიცდიან: აღფრთოვანებიდან – სიძულვილამდე, დაუოკებელი ლტოლვიდან – სრულ უარყოფამდე. ისინი მათი ცხოვრების წესს პირატული დეკოდერებით და კუსტარული სატელიტებით იჭერენ, რომლის ფუნქციასაც ხშირად მათი ქოხების სახურავებზე დამაგრებული საწურები ასრულებენ. ამ ახალ მოვლენას ჩვენ გლობალიზაციას ვეძახით, სინამდვილეში კი მას ტელევიზია ჰქვია. გლობალიზაციაა ეკონომიკაში, აუდიო და ვიდეოსაშუალებებში, კინემატოგრაფიასა და რეკლამაში, სხვაგან კი არაფერი შეცვლილა: არც პოლიტიკაში და არც საზოგადოებაში.

მორჩა, აღარ ვაპირებ ამაზე საუბარს, არა ვარ ამის სპეციალისტი. თუ გინდათ, რომ გეოპოლიტიკური ბურდები გახსნათ მიაკითხეთ შპენგლერის[329], ჰანთინგტონის[330], ბოდრიარის[331], ჩომსკის[332], ადლერის[333], ფუკუიამას[334], რეველის[335] გაყიდვის პუნქტებს. თუმცა გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ მათი წაკითხვის შემდეგაც ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ხედი დღეს არაჩვეულებრივია. იგი ყოველთვის ამინდზეა დამოკიდებული. ჩემგან ხელმარცხნივ ეიფელის კოშკი ბზინავს; ლითონის კონსტრუქცია, რომლის ავტორიც ის გუსტავია, რომელმაც ამერიკელებს თავისუფლების ქანდაკება

უსახსოვრა. ხელმარჯვნივ „ინვალიდებია[336]“, სადაც ნაპოლეონ ბონაპარტის ნეშთი ასვენია. ეს კი ის ბონაპარტია, ლუიზიანა ამერიკელებს 15 მილიონ დოლარად რომ მიჰყიდა (ისე, რა გინდა?! ალგონკინელ ინდიელებს კი აჯობა, მანჰეტენი 24 „ბაქსად» რომ უსახსოვრეს ფრანგული წარმოშობის ჰუგენოტს, პეტერ მინუის). ეიფელსა და „ინვალიდებს» შორის მზით განათებულ ეტუალის მოედანზე თეთრად ბზინავს ტრიუმფალური თაღი: შორეული ტრიუმფი. რა მყიფე გეგონება აქედან მისი მასიური ქვის ბლოკები. ჩანაფიქრი შევასრულე და 56-ე სართულიდან ფეხით ჩამოვედი. თავიდან ერთი და იმავე მოძრაობისგან თავბრუ გეხვევა, მერე უკვე შფოთვა და კლაუსტოფობია გიტევს. მხოლოდ ამ კიბის საფეხურების გალიაში მოქცეულმა შეიძლება წარმოიდგინო, რა დღეში იქნებოდა ის ასობით ადამიანი, რომელიც ჭედვასა და ზედახორაში მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მოუყვებოდა კიბეს. თითქმის ყველა, ვინც ქვედა სართულებზე მუშაობდა, უვნებლად გადარჩა. ჩემგან განსხვავებით, პანიკაში არ ჩაცვენილან, რადგან არ იცოდნენ ის, რაც ახლა მე ვიცი. მათ სჯეროდათ შენობის სიმყარის, არ ჩქარობდნენ და იმ მეხანძრეების მითითებებს ასრულებდნენ, რომლებიც რამდენიმე წუთში ცოცხლები აღარ იქნებიან. ისინი მშვიდად გამოვიდნენ შენობიდან და როცა უკან მიიხედეს, დაინახეს, როგორ გადაიქცა მათი საიმედო, მყარი შენობა ქვების გროვად.

მონპარნასის კოშკიდან ბავშვის გარეშე ჩამოსვლის მერე სასიამოვნოა იქვე გეტეს ქუჩაზე გავლა. შეგიძლია გაისეირნო, თან სექსშოპებში, თეატრებსა და იაპონურ რესტორნებში შეიხედო. პირადად მე უხერხულობას მხოლოდ ის მიქმნის, რომ გამვლელები ხანდახან მცნობენ, ავტოგრაფს მთხოვენ და ხელს მართმევენ. მე კი მერიდება ხელის გაწვდენა, იმიტომ რომ ეს-ესაა, peep-show[337]-დან გამოვედი, სადაც ევროაზიელი ქალი (რომელიც სინამდვილეში ევროაზიელი მამაკაცია), თავის გეიშურ ანუსს მანახვებდა, რის მერეც ხელი ქაღალდის ხელსახოცზე შევიწმინდე. მესმის, რომ სისულელეა, მაგრამ მაინც ვწითლდები: ეს ჯანდაბა კათოლიციზმი ხომ ვერ იქნა და ვერ მოვიშორე.

ედგარ კინეს ბულვარს მივუყვები, სადაც უცნაური სახელწოდების ბარი მდებარეობს, „მონოკლი: ქალი და მამაკაცი“, მის გვერდით ჯგუფური სექსის ცნობილი კლუბია („2+2“) და ერთმანეთის მიყოლებით ჩაწყობილი დამკრძალავი

ბიუროები. იქით კი მონპარნასის სასაფლაო იწყება, სადაც სარტრი, ბოვუარი, დიურასი, ჩორანი, ბეკეტი, იონესკო განისვენებენ. მონპარნასი სექსის, ლიტერატურისა და სიკვდილის უბანია. ალბათ, ამიტომ ეტანებიან ასე ძალიან ამ ადგილს ამერიკელები. მე „ლუი-ლე-გრანის» ლიცეუმის ყოფილი აღსაზრდელის, შარლ ბოდლერის საფლავისკენ მივემართები. „გარდაიცვალა 46 წლის ასაკში». მისი პატარა, თეთრი საფლავის ქვა სასაცილოდ გამოიყურება ცნობილი შარლ საპეს უშველებელი მავზოლეუმის გვერდით. „სენატორი, საპატიო ლეგიონის ოფიცერი, იზერის ყოფილი დეპუტატი. გარდაიცვალა 1857 წლის 5 მაისს“. ბოდლერი მის მამინაცვალთან, გენერალ ოპეკთან და ორჯერ დაქვრივებულ დედასთან ერთად არის დაკრძალული. სასაფლაოს მეორე მხარეს ბოდლერის სახელის უკვდავსაყოფად აღმართულია უცნაური ქანდაკება: ეგვიპტის მუმიასავით გახვეული მწოლიარე შემოქმედის ფიგურა, რომლის ბალუსტრადზეც როდენის „მოაზროვნესავით» დაყრდნობილია ქვისგან გამოთლილი „ბოროტი გენია“. წელში მოხრილი, ჩაფიქრებული, ნავარჯიშები, დაბერილბიცეფსებიანი ბოროტი გენია მონპარნასის კოშკს შეჰყურებს და თავისი წინგავარდნილი ნიკაპით თითქოს საყვედურს უთვლის მას.

პოლაროიდით ფოტოს ვუღებ «ბოროტ გენიას» და იმას, რასაც უყურებს.

სასაფლაოდან ისევ ბულვარზე გავდივარ, სადაც მოულოდნელად პოლ ვირილიოს[338] მიერ ორგანიზებულ კატასტროფებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ვხვდები. ბეტონის კიბეზე ვეშვები (ისევ კიბე!) და აი, უკვე მიწისქვეშეთის ყრუ გუგუნი მესმის.

09:05

109-ე სართულზე ვდგავარ, ზუსტად სახურავის ქვეშ, „მსოფლიოს სხვენში», და ვხედავ, როგორ გარბის კვამლის ბურუსში გახვეული შენობიდან ხალხი. მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი ცათამბჯენს ჩრდილოეთის მხრიდან დაეჯახა, ამ მხარეს რატომღაც ყველაზე ნაკლები კვამლია. ბავშვებს მაღლა ვწევ, რომ სუფთა ჰაერი ჩაისუნთქონ. ჟანგბადის ციებ-ცხელება დაიწყო. ეს რომ მცოდნოდა,

ჟანგბადის ბალიშებს ან აირწინაღებს წამოვიღებდი. მალე ალბათ ყველა მხარზე აირწინაღგადაკიდებული ივლის.

ენტონი ჯეფრისთან ერთად ბრუნდება. ჯეფრი სრულიად გათიშულია, იმიტომ, რომ ენტონიმ ორი აბი „ქსანანი» დაალევინა. სასაცილოდ გამოიყურება. თავი ჩაჩუტულ punching-ball-ს[339] მიუგავს. ენტონი ჯეფრიზე შეწუხებული ჩანს. ლურდესი ჩუმად ტირის. მის დაწყნარებას ვცდილობ და პატარა ფისოსავით ვუსვამ თავზე ხელს. ადამიანებს ჯერ ნიღბები სცვივათ და მერე თავადაც ეცემიან. სიცხე გვიტევს. შიში გადამდები ვირუსივით ვრცელდება ყველგან. ჯეფრის ერთი სასოწარკვეთილი გამოხედვა საკმარისი ხდება, რომ მეც იმავე მდგომარეობაში ჩავვარდე. ვცდილობ, ბავშვებს არ ვუყურო, რომ ჩემი უიმედოდ დახრილი თვალები არ შეამჩნიონ. არავინ არ უნდა მიხვდეს, რომ ავი წინათგრძნობა მკლავს. ერთადერთ გასასვლელთან ვსხედვართ იატაკზე, წითელ ხანძარსაწინააღმდეგო კართან, რომელსაც EMERGENCY EXIT აწერია. ირგვლივ კვნესა და ქვითინი ისმის. ჯგუფ-ჯგუფად გვიახლოვდებიან ადამიანები, რომლებიც დარეტიანებული ზომბებივით დაქანაობენ და ფეხებს ძლივს მიათრევენ. იმედის დაკარგვა ყველაზე მტკივნეული რამაა ამქვეყნად. არა, კიდევ ერთ იმედის გაცრუებას ვეღარ ავიტან.

რას იზამდა ის ჩემის გადანგრეული ბრუს უილისი ჩემს ადგილას?! ჯეფრის ტელეფონმა, როგორც იქნა, დაიჭირა და იგი თავის მეგობარ მამაკაცს ურეკავს. ყურმილში მისი მოსაუბრის ღრიალი ისმის. ჯეფრი ცისფერია, თუმცა ხელზე საქორწინო ბეჭედი უკეთია. რა სისულელეა ეს ქორწინება! თავი ხელში უნდა ავიყვანო, არ შეიძლება ემოციების აყოლა! მაგრად უნდა ვიდგე. ჯერის ცხვირიდან სისხლი აღარ მოსდის, ეს უკვე კარგია. ლამისაა გავაფრინო, სიბრაზე მახრჩობს, როცა ამ ბარბაროსობაზე ვიწყებ ფიქრს. როგორ შეეძლოთ ასე მოგვქცეოდნენ?! მე „ცივი ომის» ხანაში გავიზარდე, როცა ყველაფერი ძალიან მარტივი და გასაგები იყო. ამერიკას ერთი მტერი ჰყავდა: რუსეთი. ძალიან მომგებიანია ერთი დიდი და გამოკვეთილი მტრის ყოლა, მაშინ დანარჩენ მსოფლიოს არჩევანის საშუალება ეძლევა: რა გირჩევნიათ, სავსე მაღაზიები თუ ცარიელი? კრიტიკის უფლება თუ მოკეტვის? დღესდღეობით, როცა ამერიკა თავის კონტრმოდელს მოკლებულია, იგი მსოფლიოს „მფლობელი» ხდება და მის დაუძლურებას უკვე ნახევარი პლანეტა ცდილობს. ამერიკა

საკუთარი თავის მტრად იქცა.

თვითონაც ვერ გამიგია, რას გადავეკიდე ძველი აღთქმის „დაბადებას“. იქნებ ჩემი რელიგიური აღზრდის ბრალია?! „მეთოდისტები» ხშირად იმოწმებენ ბიბლიის „პირველ წიგნს“, ზოგი თავგადაკლული „კრეაციონისტი“[340] იქამდე მივიდა, რომ დარვინიზმსაც[341] კი უარყოფს. ჩემი მშობლების პურიტანული[342] კალვინიზმი[343] თითქმის მთლიანად ეყრდნობოდა ძველ აღთქმას. მათი აზრით ადამი, ევა, ვაშლი, გველი, კაენი და აბელი, წარღვნა, ნოეს კიდობანი, ყველაფერი ეს არსებობდა. და ბაბილონის გოდოლი? ვიკითხავდი მე, შიგნით რომ არ ვიმყოფებოდე. ყველას გვახსოვს ეს მონათხრობი, რომელიც მესოპოტამიურ ნაწერებში გვხვდება: ადამიანებმა ისწავლეს საშენი მასალების გამოყენება და გადაწყვიტეს კოშკის აგება, რომელიც ცას მისწვდებოდა. „აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე», თქვეს მათ. მაგრამ უფალმა არ მოიწონა მათი გადაწყვეტილება: ადამიანი არ უნდა ჩავარდეს ამპარტავნობაში და თავი ღმერთად არ უნდა მიიჩნიოს. წესით და რიგით, გამძვინვარებულ უფალს, ადამიანთა დასასჯელად ცათამბჯენი უნდა დაენგრია, მაგრამ – არა! სიტყვა „ბაბილონი» ქალაქის სახელწოდებიდან მომდინარეობს, თუმცა მას სხვაგვარი ახსნაც აქვს. ეს არის ზმნა babiller (ბუტბუტი). რადგან ღმერთმა შურისძიებისთვის ბევრად უფრო სასტიკი და მტკივნეული გზა აირჩია, მან ისე გააკეთა, რომ ადამიანებს ერთი და იგივე სიტყვები აღარ ეხმარათ ამა თუ იმ საგნის გამოსახატად. მან სამეტყველო ენები არია. ამიერიდან მოვლენებს ყველა სხვადასხვაგვარად უწოდებდა, სიტყვასა და რეალობას შორის კავშირი გაწყდა, ხალხს ერთმანეთისა აღარ ესმოდა და აბა, რა გოდოლის აშენებაზე იყო ლაპარაკი?! ბაბილონის გოდოლი გლობალიზაციის პირველი მცდელობა იყო. და თუ ჩვენ იმ მილიონობით ამერიკელის ლოგიკას გავიზიარებთ, რომლებსაც „დაბადების წიგნი» ყველაფრის საწყისად მიაჩნიათ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ღმერთი გლობალიზაციის წინააღმდეგია. იუდოქრისტიანობა სინქრონისტი მთარგმნელებისა და უცხო ენების არსებობას ემხრობა; მიიჩნევს, რომ ხალხი უნდა გაისარჯოს და იშრომოს, რათა წმინდა წერილი ყველა ადამიანამდე მიიტანოს; სჯერა, რომ ადამიანები ეგზოტიკური იდიომებითა და უცხო სიტყვებით განსხვავდებიან ერთიმეორისგან.

„ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ; თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას; რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს; გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება» (ძველი აღთქმა. დაბადება. თავი XI, 5-8).[344]

09:06

09:06 საათზე Windows on the world-ის გენერალური მენეჯერი გლენ ვოგტი, მისდა საბედნიეროდ, ადგილზე არ იმყოფებოდა. ავარიიდან 20 წუთის შემდეგ მას სახლში ასისტენტი კრისტინ ოლენდერი უკავშირდება. ტელეფონს გლენის მეუღლე იღებს. გლენი კი ამ დროს უკვე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის წინ დგას. კატასტროფისგან შოკირებული აშკარად კისრის ოსტეოქონდროზის პოტენციური კანდიდატია. მის ოლენდერი მისის ვოგტს ეუბნება, რომ არანაირი მითითება არა აქვთ იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა გამოაღწიონ აქედან. „ჭერი თავზე გვემხობა და იატაკი ფეხქვეშ გვილღვება“, ქვითინებს იგი. მინიმუმ 41-მა ადამიანმა, რომელიც ამ დროს რესტორანში იმყოფებოდა, მოახერხა ახლობელთან ტელეფონით დაკავშირება.

იმ დილით ახალ ამსტერდამში სამი ჩირაღდანი გიზგიზებდა: თავისუფლების ქანდაკების, ჩრდილოეთ და სამხრეთ ცათამბჯენების.

არსებობს Windows on the world-ის ტრაგედიის კიდევ ერთი მსხვერპლის ჩვენება: ივან ლუის კარპიოსისა. მან თავის ბიძაშვილს დაურეკა და შესჩივლა: „ვერსად გავდივარ, გვეუბნებიან, ადგილზე დარჩითო. ველოდები მეხანძრეებს». არ არის გამორიცხული, რომ რესტორნის კლიენტთა უმრავლესობამ უდრტვინველად შეასრულა მითითება, თან იხრჩობოდნენ, ფანჯრებს ამტვრევდნენ და რომ არ დამწვარიყვნენ, მაგიდებზე მიძვრებოდნენ. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ბევრმა 911-ში სწორედ სახურავიდან დარეკა, ანუ ისეთებიც იყვნენ, ვინც ინსტრუქციას არ დაემორჩილა და ვერტმფრენით ევაკუაციის ამაო იმედით სახურავზე ავიდა.

საინტერესოა, მდნარი ადამიანი თუ არსებობს?

ზოგმა კი სიმართლეს თვალებში ჩახედა: „ჩვენ აქედან ვერ გამოვაღწევთ“, უთხრა ჰოვარდ კანმა თავის მეუღლეს, ლორის.

არავინ ამბობს ერთ რამეს: ყველა აღებინებდა.

რა ღრმადაც უნდა ჩავიხედო ამ კოშმარში, ჩემს წიგნს მაინც 410 მეტრი დააკლდება რეალობამდე.

09:07

– პრობლემაა.

ენტონი გამალებით რეკავს სადღაც. რაღაც პრობლემა აქვს, ოღონდ არ ამბობს. სწორედ ამიტომაა იგი ასეთი სევდიანი.

– რა არის? რა ხდება?

– მარტო ჩემი გასაღებით ვერ გავაღებთ კარს, თუ ქვემოდან დაცვის სამსახურის პოსტიდან ღილაკს არ დააჭირეს თითი. იქაურობას კი ვერ ვუკავშირდები. მობილური არ გადის, შიდა ხაზები კი დაზიანებულია...

– Spare me the bullshit[345] (ეს გამოთქმა სიტყვასიტყვით შემდეგნაირად ითარგმება: „მომაშორეთ ხარის განავალი!» შემეძლო სხვანაირადაც მეთქვა: Cut the crap[346], მაგრამ ეს მთლად სიტყვაკაზმული არ არის)! სად ჯანდაბაშია დაცვა?

– მათი პოსტი 22-ე სართულზე არ პასუხობს. ღმერთო ჩემო, თუ საოპერაციო-საკონტროლო ცენტრი ევაკუირებულია, მაშინ ცუდადაა ჩვენი საქმე. მათ უნდა გააღონ buzzer-ით კლიტე, წინააღმდეგ შემთხვევაში – ჩაკეტილები ვართ. რა ვქნა?! მეც თქვენნაირ უბედურ დღეში ვარ!

ჯეფრი უცებ გონს მოდის.

– მით უარესი მაგ buzzer-ისთვის. შევამტვრევთ მაგ დედააფეთქებულ კარს და მაგით დამთავრდება ყველაფერი!

ენტონის ეტყობა, რომ ჯეფრივით ოპტიმისტურად ვერაა განწყობილი.

– კარი დაბლოკილია! მისი გაღება შეუძლებელია, დრელითაც ვერ გახვრეტ. მე კი დრელიც არა მაქვს!

– მე ამის დე-დას შე-ვე-ცი! აბა, როგორ გავიდეთ აქედან?!

ჯეფრი გრძელ და მძიმე უროს ავლებს ხელს და საკეტს ისეთი გამალებით ურტყამს, რომ მე და ჯერი ინსტინქტურად უკან ვიწევით. ისტვილეჯის სპორტულ დარბაზში რეგულარული ვარჯიშისგან მას მკლავებში ისეთი ძალა აქვს, რომ ტყვიასავით მძიმე უროს ბუმბულივით ატრიალებს.

უარის ნიშნად ენტონი თავს აქნევს. უცებ ვხვდები, როგორ ვერ ვიტან ამ კაცს. ჯეფრი მირჩევნია. ხალხს ენტონის იმედი აქვს და ისიც ცდილობს, იმედი არ გაუცრუოს. როგორ მეზიზღება ეს ფატალურობა, ამას სასოწარკვეთა და თვითგადარჩენის ინსტინქტი მირჩევნია. სანამ ამ კარზე მიჯახებით ორივე მხარს არ მოვიმტვრევ, მანამ თავს დამარცხებულად არ ვაღიარებ. არ გავჩერდები, ნებისმიერ შანსს მოვეჭიდები. ჯეფრი იმდენს ურტყამს უროს, რომ საკეტი ტყდება, თუმცა კარი ისევ ისე ჰერმეტულად დახურულია. ბოლოს ჯეფრი ხელებს უშვებს და ჩვენკენ ტრიალდება. მისი სახის უიმედო გამომეტყველება მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს. იმედი მაქვს, ჯერიმ და დევიდმა ვერაფერი გაიგეს. ისინი ლურდესთან ერთად ფანჯრიდან არიან გადაყუდებულნი. უჰაერობამ და სიცხემ სიმაღლის შიშიც კი დააძლევინათ. ჯერის ცხვირსახოცი და მაისური ისევ სისხლშია. „ეს ცუდი სანახავია, მაგრამ რაც მთავარია, საშიში არ არის. მას ხშირად მოსდის ცხვირიდან სისხლი“, დაუსრულებლად ვუმეორებ თავს და ვცდილობ, საკუთარი სიტყვები ვირწმუნო.

ენტონი გაუთავებლად აჭერს თითს მობილურის მწვანე ღილაკს. რამენაირად დაცვას უნდა დავუკავშირდეთ 22-ე სართულზე ან „კოპებს[347]“. კარის იქით პოლიციის ვერტმფრენების ხმა მესმის. წარმოუდგენელია, აქ უნდა ამოვიბუგოთ, იმიტომ, რომ რაღაც საავარიო კარი არ იღება?! ცხრა-ერთი-ერთი! ცხრა-ერთი-ერთი! SOS! SOS! როგორც ფილმ Johnny got his gun[348]-ის ფინალშია: Save our Souls!

ისევ ბავშვებთან ვბრუნდები, რომ ჰაერი ჩავისუნთქო. ლურდესი ხმამაღლა ლოცულობს, ბავშვები კი სიტყვასიტყვით იმეორებენ. ადრე შენობებზე, მაგალითად, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარზე, ეშმაკებისა და დამპყრობლების შესაშინებლად მონსტრების, ურჩხულებისა და დემონების ქანდაკებებს დგამდნენ. ჩემი შვილები ასეთ პატარა, თეთრ, ჰაერში გადაკიდებულ დემონებს ჰგვანან. ეყოფათ კი ძალა

ბოროტი სულების განსადევნად?! რატომ არ დგამენ ცათამბჯენებზე, ტაძრების მგავსად, ასეთ ქანდაკებებს? ადრე ხომ იყენებდნენ? ე.ი. იყო მიზეზი! იქნებ იცოდნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოხდებოდა ის, რაც დღეს მოხდა? იქნებ ხვდებოდნენ, რომ საფრთხე ჰაერიდან მოვიდოდა? ასეთ სულის შემძვრელ წამებში ლოცვა ერთადერთია, რაც გახსენდება. ჩვენში რელიგიურობა იღვიძებს და უცებ მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, საყოველთაო ათეიზმისა და მერკანტილურობის ტაძარი, იმპროვიზებულ სამლოცველოდ გადაიქცევა.

09:08

მილან კუნდერას „ხუმრობაში» ერთ-ერთი პერსონაჟი ასეთ კითხვას სვამს: „როგორ გგონიათ, ნანგრევები შეიძლება იყოს ლამაზი?» ფილოსოფოსისა და ურბანისტის, პოლ ვირილიოს ორგანიზებულმა გამოფენამ „ასეც ხდება» „ფრანსპრესის» სააგენტოსა და აუდიოვიზუალური ხელოვნების ეროვნული ინსტიტუტის დახმარებით (29.11.2002-30.03.2003) ისე დამთრგუნა, რომ ერთი კედლიდან მეორემდე ძლივს მივლასლასებ. გახუნებულ ფოტოებზე 1895 წლის 22 ოქტომბერს მონპარნასის სადგურზე მომხდარი კატასტროფაა აღბეჭდილი: ორთქლმავალმა შენობის პირველი სართული გატარნა და ქვაფენილიან მოედანზე დაეცა. კარდალიანი[349] მამაკაცები ნამსხვრევებად ქცეულ კარკასს არიან დახვეულნი. ექსპოზიციები ერთიმეორეში გამავალ ბნელ და ხმაურიან დარბაზებშია განთავსებული, კედლებზე კი პროექტორით კატასტროფის სხვადასხვა კადრს ატრიალებენ. ყველგან კვამლი და რაციებით მორბენალი მაშველები არიან (აღმოჩნდა, რომ პანიკის გამომხატველი შეძახილები ყველაზე კარგად ინგლისურად აღიქმება, ადამიანს ექმნება უსიამოვნო შეგრძნება, რომ ტრაგიკულ მხატვრულ ფილმს უყურებს). უშველებელ ეკრანზე გრაუნდზეროზე მომუშავე ექსკავატორების გამოსახულება ჩნდება (ტონი ორსლეს მიერ ციფრული ვიდეოკამერით გადაღებული ათწუთიანი მასალა, რომელსაც გაუჩერებლად ატრიალებენ). რკინის გიგანტურ მთას თეთრი კვამლის უშველებელი სვეტი ადგას თავზე, მოლეკულური ზომის ადამიანები კი აცაბაცად დარბიან ამწეებს შორის, რომლებიც ამ რკინა-ბეტონის ზღვაში დაუძლურებული კალიებივით მოძრაობენ. უკანა ფონზე

სავაჭრო ცენტრის შენობის ჩამოშლას გადარჩენილი ნაწილი მოჩანს, რომელიც დამცავი კედელივით აყუდებულა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი მაინც ტალახია. რკინა-ბეტონის კონსტრუქცია ლაფად გადაიქცა, სისუფთავე – ჭუჭყად, აშოლტილი, ლიცლიცა ცათამბჯენი კი – ბინძურ, ქაოსურ უწესრიგობად. როგორც იქნა, მივხვდი, რისი თქმა უნდოდა მოქანდაკე სეზარს, როცა მანქანებს ნაცარტუტად აქცევდა. ბულდოზერები ამაოდ ცდილობენ აქაურობის გაწმენდას, შუშის სისპეტაკის აღდგენას, წარსულის ანარეკლის პოვნას. ასეთი სანახაობის შემყურეს სუნთქვა მეკვრის. ვერაფრით გავთავისუფლდი უხერხულობის უჩვეულო შეგრძნებისგან. იგივე მემართება ამ წიგნის წერისასაც. გვაქვს კი უფლება? შეიძლება კი ნანგრევები შთაგონებად იქცეს? კუნდერას შეკითხვა აქ, კატასტროფათა შუაგულში უცნაურად ჟღერს. ნიუ-იორკის ქუჩები გადათეთრებულია, ქაღალდებითა და მტვრითაა დაფარული, გეგონება, თოვლი დევსო. სურათის ცენტრში შავკანიან ჩვილს სძინავს ეტლში. ვირილიოს გამოფენამ გახსნისთანავე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ნაადრევი ხომ არ არის ამგვარი უბედურების ესთეტიკაზე საუბარი? კი მაგრამ, ხელოვნება ხომ ნებაყოფლობითია, არავინაა ვალდებული ძალით მოვიდეს გამოფენაზე! და მაინც, კატასტროფები ექსპოზიციაზე საომარი ნაალაფარივით იყო მოგროვილი: იაპონია, 1973, მინამატის ვერცხლისწყლით დაბინძურებული ყურის კადრები; იტალია, სევესო, 1976, ICMESA-ს ქარხანაში დიოქსინის გაჟონვა; ესპანეთი, 1977, ტენერიფეს ავიაკატასტროფა; ფინისტერი, 1978, ტანკერ „ამოკო კადისის» ჩაძირვა. ზოგ დამთვალიერებელს ცრემლი ადგება, ზოგი ფოტოებს თვალს არიდებს. მესმის მათი, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენს სამყაროს, დედამიწას ეხება. სხვა სახლი დღესდღეობით ჩვენ არ გაგვაჩნია. პენსილვანია, Three Mile island, 1979, რადიოაქტიური აირის გაჟონვა; ინდოეთი, ბჰოპალი, 1979, Union Carbide-ს ქარხნიდან მომწამვლელი აირის გაჟონვა; ფლორიდა, კანავერალის კონცხი, 1986, კოსმოსურ ხომალდ „ჩელენჯერის» დაღუპვა. ვირილიოს მიერ შემუშავებული კონცეფცია შოკში მაგდებს: იგი სამრეწველო კატასტროფებს ტერაქტებისგან არ განარჩევს. უკრაინა, ჩერნობილი, 1986, ბირთვული რეაქტორის აფეთქება; 1989, ტანკერ „ექსონ ვალდესის» ჩაძირვა; იაპონია, 1995, ტოკიოს მეტროში მომწამვლელი აირის გაშვება. ამას სტიქიური უბედურებების ამსახველი ფოტომასალაც ემატება,

მაგალითად, 1999 წლის დამანგრეველი ქარიშხალი საფრანგეთში, 1997 წლის ხანძარი ავსტრალიაში, 1995 წლის მიწისძვრა იაპონიაში. გამოფენას ფონად დრამატული მუსიკა უდევს. საშინელებათა ფოტოებს შორის დავხეტიალებ. თავში სულ ერთი აზრი მიტრიალებს: მე ეს არ მეხება! თუმცა, ყველა დამთვალიერებლის მსგავსად, მეც ჩემი მიკროსკოპულად მცირე წვლილი მიმიძღვის ამ ყველაფერში. შესასვლელში ფროიდის გამონათქვამს ვკითხულობ: „დაჯამება შემთხვევითობას გამორიცხავს“. 1914-1915 წლებში დაწერილი ეს ენიგმატური[350] ფრაზა თითქოს დევიდის ახლახან დასმულ კითხვას პასუხობს:

– რა არის შემთხვევითობა?

რაც უფრო მეტია პროგრესი, მით მეტია ძალადობა და მით უფრო შთამბეჭდავია ნანგრევები. გამოფენის ბოლოს ვირილიოს მგონი უკვე ბევრი მოუვიდა: პროექტორზე შანხაის თავზე აჩახჩახებული პიროტექნიკური საოცრება, გრანდიოზული ფეიერვერკია გამოსახული. მან რეალურ კოშმარსა და მხატვრულ სილამაზეს შორის პარალელის გავლება გაბედა. ექსპოზიციამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დანაშაულის გრძნობით დამძიმებული გამოვდივარ საგამოფენო დარბაზიდან. შეიძლება ტყუპის დანგრევა და გრანდიოზული ფეიერვერკი (რანაირი მასშტაბურიც უნდა იყოს იგი) ერთსა და იმავე პრიზმაში დავინახოთ?! მიმზიდველი ცეცხლი, მიმზიდველი ალი, მიმზიდველად აგიზგიზებული სხეულები! შევძლებ კი მსგავსი რომანის გამოქვეყნების შემდეგ სარკეში ჩახედვას? „პარიზის ცაში» ნაჭამის ამორწყევა მინდა, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ მსიამოვნებს ამ საშინელებათა ყურება: ეს ცათამბჯენებიდან ამოვარდნილი კვამლი, ეს თეთრი პლუმაჟი[351] ცისფერ ცაზე, რომელიც ცასა და მიწას შორის აბრეშუმის შარფივით კიდია. განა მხოლოდ მისი ჰაეროვანი მშვენიერების გამო მომწონს? არა, – მისი აპოკალიფსურობის გამო. იმიტომ, რომ ვიცი, მას ძალადობა და ტანჯვა ახლავს თან, გაჩანაგების ხიბლი, ბნელი სურვილი. ვირილიომ ჩემი ადამიანური საწყისის არაადამიანური მხარე დამანახვა.

09:09

როცა მამას შიშის დამალვა უნდა, ლაპარაკს იწყებს. ლაპარაკობს და ლაპარაკობს...

– როცა ვერტმფრენით აქედან გაგვიყვანენ, FAO Schwarz-ში წაგიყვანთ და რასაც ხელს დაადებთ, ყველაფერს გიყიდით. თავდასხმა მოვაწყოთ.

– მა, Dr Pepper-ს დაგვალევინებ?

– კი. იცით, რომ თქვენი დიდი ბაბუა «კოკა-კოლაში» აპირებდა ფულის ჩადებას? არ მომიყოლია ჯერ თქვენთვის ეს ამბავი? მაშინ ჩვენი ოჯახი ატლანტაში ცხოვრობდა. ერთხელ ჩვენთან მოსულა ვიღაც აფთიაქარი, რომელიც სპონსორს ეძებდა მის მიერ გამოგონილი ახალი სასმლის წარმოებაში გასაშვებად. რამდენადაც ჩვენი ოჯახი იმ დროს ქალაქის უმდიდრეს პატრიციატთა[352] რიცხვს განეკუთვნებოდა, აფთიაქარმა თქვენს წინაპარს ფულის ჩადება და მოგების გაყოფა შესთავაზა. იორსტონებში ამ ისტორიას ანეკდოტივით ჰყვებოდნენ: აფთიაქარი თურმე ოჯახში სადილზე მოუპატიჟებიათ, რომლის დროსაც ამ უცნაური სასმლის დეგუსტაციაც მოუწყვიათ, რომელიც კოკის ფოთლებისგან მზადდებოდა. მთელმა ოჯახმა ერთხმად გამოაცხადა, სასმელი ისეთი უგემურია, რომ მისი დალევა უბრალოდ შეუძლებელიაო. „ჯერ მარტო ფერი ნახეთ, რა გულისამრევია! ამას ვინ იყიდის?!» აფთიაქარი თურმე თავისი გამოგონების დაცვას ცდილობდა, ამბობდა, რომ იგი საჭმლის მონელებას უწყობს ხელს და ვიტამინებს შეიცავს. თქვენს ბაბუას სიცილი აუტეხავს და უთქვამს: „პირველად მთხოვენ საფაღარათო საშუალებაში ფულის ჩადებას». მოკლედ «კოკა-კოლას» გამომგონებელი ხელმოცარული გაუშვეს. წლების განმავლობაში ეს მთელი ოჯახის საყვარელი ხუმრობა იყო. თუმცა მერე აღარავის გასცინებია, რადგან მიხვდნენ: მაშინ რომ იმ აფთიაქარს დახმარებოდნენ, დღეს ჟურნალ Forbes-ის 100 უმდიდრეს ადამიანთა სიაში პირველ პოზიციებზე იქნებოდნენ...

ალბათ, ოცდამეათეჯერ გვიყვება მამა ამ ამბავს, მარა არა უშავს, ჯერ არ მომბეზრებია. ისეთი კმაყოფილი სახე აქვს, როცა მე და ჯერი ვუსმენთ. ისე, კაია, მომწონს ეგ აზრი, რო შეიძლება მდიდრები ვყოფილიყავით. «კოკას» რო ვსვამ, სულ მაგაზე ვფიქრობ, აი, ეს ჩვენი რო ყოფილიყო-მეთქი. მარა წინაპრებზე მაინც არ ვბრაზდები, იმიტო რო ვიცი, სკოლაში გავიარეთ:

მაგათ ერჩივნათ თავიანთი პლანტაციები, სადაც მონები ბამბას აგროვებდნენ და არ იცოდნენ, რო მალე იანკებთან ომი დაიწყებოდა და ყველაფერს დაკარგავდნენ. მერე კიდე ნავთობს იპოვიდნენ. ისე, მაგარი შტერები იყვნენ, მარა უმართლებდათ, ზოგჯერ კიდე, პირიქით, არ უმართლებდათ, მოკლედ გააჩნია რა... აი ისე, როგორც ჩვენ დღეს: თავიდან ვთქვი, ვაუ, რა მაგარია! სკოლას გავაცდენთ, ნიუ-იორკში მოვხევთ, ფენქეიქებს ვიკიშკავებთ, მამიკო ლიფტის ღილაკით გვათამაშებს, ასე რო იღება: „დიიინ!“, მაგარი იყო! მარა ახლა აღარ მომწონს, ხანძარია, ჯერის ცხვირიდან სისხლი მოსდის, მე სუ ვახველებ. ლურდესი, არა უშავს, ნორმალური ქალია, კარგად გვექცევა, მარა სუ წუწუნებს, ყელში ამოვიდა უკვე რა... ენტონი წყნარადაა, ჯეფრი დარბის აქეთ-იქით, ხან თავის ჯგუფთან მივარდება, ხან – ჩვენთან, რო ნახოს მობილი ხომ არ ამუშავდა. ორივე კაი ტიპია, მარა ეგენი მაინც ვერაფერს იზამენ. მგონი, დროა მამიკომ თავისი სუპერმენული ძალები ჩართოს, რომელსაც მალავს და მხოლოდ დიდი საფრთხის დროს იყენებს ხოლმე. ახლა ნახავთ, ცოტა ხანში უცებ კლარკ კენტივით[353] სუპერმენად გადაიქცევა! მთავარია გადაცმა მოასწროს! ჯერჯერობით კი ლაპარაკით გაჰყავს დრო: როგორ გამაზეს ჩვენმა წინაპრებმა საუკუნის გარიგება! ერთი მაგათიც... და მაგათი გარიგებისაც! აუ, ამას კომიქსებშიც ვერ ვიტან. ერთი საუკუნე უნდა ელოდო რა, სანამ გმირი გაიღვიძებს და ცეცხლმოკიდებულ შენობაში დარჩენილ ხალხს გადაარჩენს. აუუუ, სულ ეგრეა რა!.. უკვე მომბეზრდა. მარა რა არი, იცი? გმირი რო ეგრევე გაეძროს, უკვე ეგ ლოდინი, რამე, ნერვიულობა, აღარ იქნებოდა, გაიგე? სროლაზე როა ფილმები, იქაც ხო ეგრეა! ჰოდა, იმ ტიპებმაც კარგად იციან, მულტიკებს ვინც აკეთებენ, რო პატარებს უნდა ალოდინონ... ჰოდა, მეც ვზივარ და ველოდები, აბა, რა ვქნა?! ჩვენ, ბავშვები ხო სულ ამას ვაკეთებთ, ველოდებით... ველოდებით, როდის გავიზრდებით, რო იმდენი M&M’s ვჭამოთ, რამდენიც გვინდა და იმდენჯერ წავიდეთ Studio Universal-ში, რამდენჯერაც გაგვისწორდება და ამისთვის დედებს და მამებს არ ვეხვეწოთ. დრო რო მალე გავიდეს, მამას ვატყუებ, ვითომ ეგ ბაბუაჩემების ისტორია ძაან მაინტერესებს:

– მა, სიმართლე მითხარი, არ მომატყუო, მართლა კინაღამ «კოკა-კოლას» მეპატრონეები გავხდით?

მამა ბედნიერია, აღარ ტირის, პირიქით, იცინის: „აბა, დევიდ,

წარმოგიდგენია?!» ჯერი მხრებს იჩეჩს. ვერ გაიგო, რატომ ვაყოლებ კიდევ ერთხელ ამ ამბავს, როცა ორივემ ლამის ზეპირად ვიცით. რას ვერ ხვდები, ბიჭო, მამა უნდა ხასიათზე მოვიყვანო, თორე რო მოვა სუპერმენად გადაქცევის დრო, ფორმაში არ იქნება!

09:10

„ლა კლოზრი დე ლილა» (1804), „ლე დომ» (1897), «ლა როტონდ» (1911), „ლე სელექტ» (1925), „ლა კუპოლ“(1927)... „დაკარგულმა თაობამ» იცოდა, ერთმანეთი სად ენახათ: მონპარნასზე. იმ ბარებში დავხეტიალებ, რომელშიც მოქმედება ჰემინგუეის „განუყრელ დღესასწაულში» ხდება. სწორედ ჰემინგუეის უნდა ვუმადლოდეთ, რომ მწერლობა კარგი საბაბი გახადა მარტო დალევისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მეგობარ გოგონასთან ხარ ნაჩხუბარი. და თუკი მე „კლოზრიში» შავი მოცხარის ვერმუტს ვუკვეთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალური სოლიდარობის გრძნობითაა ნაკარნახევი. ერთი ის გამაგებინა, რატომ მოსწონდათ გენიოსებს ეს საზიზღარი სასმელი? ფლორუსის ქუჩის 27 ნომერთან ჩავიარე, სულ ორი წუთის სავალია ჩემი სახლიდან, სადაც ჰერტრუდა სტაინი[354] და ალისა ბაბეტ ტოკლასი[355] ცხოვრობდნენ. ჩემდა გასაკვირად, კედელზე მემორიალური დაფა კიდია, რომელიც ამ ლეგენდარული სახლის მნიშვნელობას გვახსენებს; აქ კედლებს გოგენის ნახატები ამშვენებდა და სწორედ აქედან მოდის ცნობილი ფრაზა: „თქვენ, ყველანი, დაკარგული თაობა ხართ!» ამერიკელი ჰერტრუდა სტაინი, რომელმაც პიკასო მატისს გააცნო, პარიზში 1902 წელს დასახლდა. იგი ამ სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა, მისი ბინის ფანჯრები შიდა ეზოს გადაჰყურებდა. ამ კვარტალში რუსები ამერიკელებზე ადრე დასახლდნენ. შერვუდ ანდერსონის[356] პროტექციით მოსული ჰემინგუეი აქ მოდილიანის, სუტინის, შაგალის სანახავად დადიოდა. ტროცკი და ლენინი აქ რევოლუციას გეგმავდნენ. რატომ მოხდა ისე, რომ თვითმკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ჰემინგუეი ფიქრებით აქ დაბრუნდა? 1957 წელს, როცა მან «განუყრელი დღესასწაულის» წერა დაიწყო, 58 წლისა იყო. სამი წლით ადრე ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურაში, ოთხ წელიწადში კი, 1961 წლის 2 ივლისს, მონადირის თოფით თავი მოიკლა. მისი ცხოვრების ბოლო ოთხი წელიწადი დროის მანქანაში გაატარა,

რომელსაც ლიტერატურა ჰქვია. ფიზიკურად ჯერ კეტჩემში (აიდაჰო), ესპანეთში, მერე კი კუბაში იყო, ფიქრებით კი ცხოვრების ბოლოს 1921-1926 წლების პარიზში, თავის პირველ მეუღლესთან, ჰადლი რიჩარდსონთან ერთად დახეტიალებდა. ჰემინგუეი ვერ ეგუებოდა, რომ უკვე სამოცი წლისა იყო. მან რომანის წერა დაიწყო, რათა ისევ ის 25 წლის ღარიბი, ყველასათვის უცნობი და შეყვარებული ახალგაზრდა გამხდარიყო, რომელმაც 1925 წელს დელამბრის ქუჩაზე „დინგო ბარში» უგონოდ მთვრალი ფიცჯერალდი გაიცნო. ახლა ამ ბარს „ობერჟ დე ვენისი» ჰქვია. 78 წლის შემდეგ აქ მე ვზივარ, ამ სტრიქონებს ვფხაჭნი და თან „ლონგ აილენდ აის თის» ვსვამ (რომლის რეცეპტიც თავად ჰემინგუეიმ გამოიგონა: ყველა თეთრი ფერის ალკოჰოლური სასმელი ერთმანეთში ავურიოთ, დავუმატოთ «კოკა-კოლა» და ყინული). ამავე „დინგო ბარში» შეხვდებოდით აისედორა დუნკანს[357], ტრისტან ტცარას[358] (რომელიც მონპარნასის სასაფლაოზე განისვენებს), მან რეის[359]... ამ სასმლით ყველა იმ ხელოვანის ხსოვნა იყოს, რომელთა სულებიც აქ ტრიალებენ, სიგარის, ბურბონის და უიმედობით გაჯერებულ ამ ხის კედლებში. შემთხვევითი არ არის, რომ პომპიდუმ[360] სწორედ აქ, მონპარნასზე, გადაწყვიტა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მინიატიურული მოდელის აგება: ამ კვარტალში დაბუდებული სული ატლანტის ოკეანის მეორე ნაპირიდან მოდის. ჰემინგუეის საკუთარ წარსულში დაბრუნება უნდოდა. მის მაგივრად ახლა მე გავაკეთებ ამას. მონპარნასის 42 ნომერში ისევ არის „ფალსტაფი“. აი, საროსკიპო კი ქუჩის კუთხეში აღარაა: „სფინქსი» (ედგარ კინეს ბულვარი, 31), რომელშიც ჰენრი მილერი[361] იმ ფულს ანიავებდა, რომელიც არ ჰქონდა. ახლა ამ ადგილას „სახალხო ბანკია“, შესასვლელში ბანკომატით. ჩვენ კი იქიდან ვიღებთ ფულს, რომელიც არა გვაქვს. უკანა გზაზე ძლივს ვპოულობ ნოტრ-დამ-დე-შანზ 113-ს, სადაც ჰემინგუეი 1924 წელს, ტორონტოდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა (იმავე ქუჩის 70 ნომერში ერთ-ერთი ბინა ეზრა პაუნდს[362] ეკავა). აი, 115-ე სახლი, რომლის შემდეგ რატომღაც მოდის... 111-ე. 113-ე გაქრა! კი, მაგრამ რატომ? ესეც საროსკიპო ხომ არ იყო. წარმოუდგენელია! უკან ვბრუნდები, რომ დავრწმუნდე. ნოტრ-დამ-დე-შანზის ქუჩაზე 111 ნომრის მერე 115 მოდის. არ ვიგონებ! თუ არ გჯერათ, მიდით და საკუთარი თვალით ნახეთ. ამრიგად, შენობა, რომლის კიბეზეც ფრენსის სკოტ ფიცჯერალდმა მიაფსა, რასაც ჰემინგუეისა და მის კონსიერჟს

შორის ცნობილი უთანხმოება მოჰყვა, აღარ არსებობს! ერთადერთი, რაც ამ სახლისგან დარჩა, წიგნია – «განუყრელი დღესასწაული». მარმარილოს მემორიალური დაფაც კი არ არის, რომელზეც ეწერებოდა: „ამ სახლში ამერიკელ მწერალს, ერნესტ ჰემინგუეის უყვარდა თავისი ცოლი ჰადლი და შვილი ბამბი. მას სტუმრობდნენ ჰერტრუდა სტაინი, სილვია ბიჩი, უილიამ კარლოსი. ამ შესასვლელში კი 1925 წლის ერთ შაბათ საღამოს სკოტ ფიცჯერალდმა მოშარდა, რასაც კონსიერჟის გაბრაზება და ფიცჯერალდის ჰემინგუეისადმი დაწერილი ბოდიშის წერილი მოჰყვა: «ის საცოდავი არსება, – ნათქვამი იყო წერილში, – რომელიც თქვენთან შაბათს საღამოს მოვიდა, მე არ ვყოფილვარ. ის ვინმე ჯონსტონი იყო, რომელიც ხშირად ჩემს სახელს ბოროტად იყენებს».

მორალი: როცა შენობები ქრებიან, მათ შესახებ დაწერილი წიგნები რჩებიან. აი, რატომ დაწერა სიკვდილის წინ ჰემინგუეიმ პარიზზე. მან იცოდა: შენობებზე უფრო გამძლე წიგნებია.

09:11

საიდუმლო აგენტის, დევიდ იორსტონის

სუპერკონფიდენციალური

შეტყობინება გალაქტიკის ალიანსის ძალებს

2001 წლის 11 სექტემბერს მე აღმოვაჩინე, რო მამაჩემი ფლობს სუპერძალებს. ყველაფერი კი მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან დაიწყო, სადაც მე ჩემს უფროს ძმასთან ერთად ვიყავი. ისე, ოფიციალურად მამაჩემის სახელი ქართიუა, მარა, ეს, რა თქმა უნდა, არ არის მისი ნამდვილი სახელი. მამამ არ იცოდა, რომ მეგაექსტრასენსორული შესაძლებლობები ჰქონდა, როგორც X-men-შია, როცა ტიპი უცებ მიხვდება, რო კედლის იქით ესმის, ადრე კიდე აზრზე არ იყო. მე კიდე ეგ ყველაფერი ვიცოდი, იმიტო რო ინტერგალაქტიკური შეტყობინება მივიღე ძველი წელთაღრიცხვით 7987 წელს (მე ხო ინტერპლანეტარული საბჭოს წევრი ვარ). მოკლედ, მამაჩემის სახელი არ არი ქართიუ, მისი ნამდვილი სახელი „ულტრადუდია» (მაგარი ტიპი). ჩვენ ჯერ არ ვიცით მისი შესაძლებლობები, იმიტო რო ჯერ არ გამოუყენებია. სუპერძალები მარტო განსაკუთრებული

საფრთხის დროს ირთვება, მაგალითად, ხანძრის ან რამე ეგეთის. ამ დროს შეუძლია გაამტვრიოს ბეტონი, გაღუნოს რკინა და იფრინოს კიდეც, იმიტომ რო მაგის ბატარეები შიშით იტენება. მარა მერე არაფერი ახსოვს, იმიტო რო ტვინში აქვს ჩართული ავტომატური წაშლის ფუნქცია, რომელიც მისი გონების დისკ D-დან ეგრევე შლის ყველა მონაცემს. ეგ იმისთვის სჭირდება, ვარსკვლავური ომის დროს ტყვედ რო ჩავარდეს, დაკითხვისას მისმა მტერმა, მორგმა, მეტსახელად ჯერი ნაძირალამ მისი ტვინიდან მიკროფირები არ ამოიღოს და ინფორმაცია არ გამოიყენოს.

მე რამდენიმე დედამიწელთან ერთად ფენქეიქებს ვჭამდი, როცა შავი ძალები თავს დაგვესხნენ. ეს ლეიტენანტ დევილ[363] რაფტორის ულტრადუდის შესაპყრობად დიდი ხნის წინ დაგეგმილი ოპერაცია იყო. ის თავისი ტრანსფორმატორის საშუალებით, რომელიც საუკუნეების წინ ჩრდილოეთ პოლუსზე დამარხა, თვითმფრინავად გადაიქცა და ცათამბჯენს შეასკდა. ეს დამპალმა დევილ რაფტორმა იმიტო გააკეთა, რო ვარსკვლავური სარდლობის დაწესებული ჯილდო აეღო (დევილ რაფტორი ვარსკვლავურ ჯილდოებზე ნადირობს, თან მას ნებისმიერ საგნად გადაქცევა შეუძლია, რასაც ხელს დაადებს, ოღონდ ერთი პირობით: იმ მომენტში სურდო არ უნდა ჰქონდეს). მოკლედ, შეტაკება ცოტა ხნის წინ მოხდა. მე კონტაქტზე რეგულარულად გამოვალ, რო ყველაფრის საქმის კურსში ჩაგაყენოთ. ულტრადუდი რამდენიმე წუთში ჩაირთვება, მაშინვე, როცა თავის დამანგრეველ ძალას იგრძნობს. ამწუთას ის ვერც კი ხვდება, რომ სუპერგმირია, რომელიც სამაგიეროს გადაუხდის ბნელ ძალებს თავდასხმისთვის და კიდე იმისთვის, რომ 12 საუკუნის წინ დედამისი სასტიკად მოკლეს, „საშინელებათა მოყვარულ თევზებს» ჩაუგდეს სადილად. ცოტა ხანში ულტრადუდი გამოფხიზლდება და აი, მერე ვნახავთ, რაც მოხდება. დევილ რაფტორი ჭკუას ისწავლის, როცა ულტრადუდი თავის დამანგრეველ ვარსკვლავურ ლაზერს მიანათებს. ცოტა ხანში ბრძოლა დაიწყება. ულტრადუდი „ალიანსის კიდობნის» და „წმინდა ბეჭდის» დახმარებით მტრის შეტევებს გაუძლებს და მაგიურ ცეცხლს დაატეხს თავს.

აგენტი 275 – სპეციალურად „მეამბოხეთა ორდენისთვის“

09:12

„მცენარეები სხვებზე უფრო aware[364] არიან“. „მიწის თხილის ჭამა it’s a really strong feeling[365]“. მიყვარს „ფრანგლისური“. მომავლის ენაა. ახლახან ერთი წიგნი გამოვიდა, რომელიც ამ ენაზეა დაწერილი: ჰოლივუდელი კარატისტისა და მსახიობის, წარმოშობით ბელგიელი ჟან კლოდ ვან დამის გამონათქვამების კრებული. „ნარკოტიკი ისაა, როცა შენ close your eyes[366]“, „ბისკვიტი არ არის სპირიტი“. 2050 წელს მთელი მსოფლიო ფილმ „რეპლიკანტის» მთავარი გმირის ვან დამის ენით „i-speak-ებს“: „სიკვდილი – მართლა strong-ია[367]«, «არავინაა right or wrong-ი[368]«. საკუთარ ვიდეოსამყაროში გამოკეტილი ახალგაზრდა თაობა ბელგიელი კიბორგის ნაბიჯების ხმას მიჰყვება.

მე არ ვარ body-დან ძალიან free. yes, – ვეუბნები life-ს, – kiff-ობ night-ზე[369], feeling-ებში ვცურავ. ნუ გეშინიათ ინგლისური სიტყვების. ისინი ჰარმონიულად ერწყმიან ფრანგულ იდიომებს, რათა ახალი მსოფლიო ენა შექმნან. ისეთი, რომელიც ღმერთის ნებას არ დაემორჩილება, ახალი ბაბილონის ენა. World-ის words-ები[370], SMS-ები (A12C4), „სმაილიკები“, ორთოგრაფიული შეცდომები, სიტყვების დამახინჯება და შემოტრიალება, ეს ყველაფერი ახალი ათასწლეულის სამეტყველო ენას შექმნის, anyway, whatever[371]. ბოლოს ისევ ვან დამის სიტყვებით დავასრულოთ: „საერთო ენა, საერთო ვალუტა და არავითარი რელიგია. აი, მაშინ ვიქნებით ბედნიერები, თუმცა ჩვენ აქ პოლიტიკაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვართ».

ამის გარდა კიდევ მიყვარს რაღაც-რაღაც საზიზღარი ამერიკული შტუჩკები, მაგალითად, ვანილის კოკა, არაქისის კარაქი, ჩიზქეიქი, ქორნფლეიქი, ნივრიანი კარაქი, ჩიქენ უინგები, რუტბირი.

ჰიუგ ჰეფნერიც მიყვარს, Playboy-ს შემქმნელი. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იყო ჩვენი მშობლების თაობა, 60-იანელები, როცა ყველა მაყუთიან ტიპს უნდოდა, ჰიუგ ჰეფნერისნაირი ყოფილიყო. მისმა დიდმა, ორგიებით სავსე სახლმა და საკუთარმა «ბოინგმა» მეოცე საუკუნის მამაკაცის იმიჯი შექმნა. Sixties,[372] სამოციანელების თაობის მოდური მამაკაცი womanizer[373] უნდა ყოფილიყო. ახალი ყაიდის დონ ჟუანს აუცილებლად სპორტული მანქანა უნდა ჰყოლოდა,

ამერიკული სიგარები მოეწია და ფირუზისფერ აუზთან დიდძუძუება, ბიკინიანი ქერა ნაშების გარემოცვაში დრო ეტარებინა. დღეს უკვე მამაკაცურობის ასეთი მოდელი ისტორიას ჩაჰბარდა. არაფერია იმაზე გულისამრევი, ვიდრე ღამის ბარში აკიდებული ტიპი. კაცი თუ აგეტორღიალა და ვერ მოიშორე, ე.ი. ეს მრავალგზის დალიფტინგებული ბებერია. მადმუაზელ, თქვენს შეკერვას თმაშევერცხლილი მამაკაცი ცდილობს, რომელსაც თავი Playboy-ს ბიჭი ჰგონია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი დაახლოებით სამოცდაათი წლისაა, გაჩხერილია ოცდათხუთმეტი წლის ასაკში და ვეღარ მიხვდა, რომ მას მერე კიდევ ერთმა ოცდათხუთმეტმა წელმა ჩაიარა.

60-70-იანი წლების ამერიკაში Playboy ზეადამიანი იყო. ყველას უნდოდა ტომ ჯონსს[374], გიუნტერ საქსს[375], პორფირიო რუბიროზას[376], მალკო ლინგეს[377], ხულიო იგლესიასის, კურტ იურგენსის[378], როჯერ მურის[379], როჟე ვადიმის[380] და უორენ ბიტისნაირი[381] ყოფილიყო. დადიოდნენ გაღეღილი პერანგიდან თმაგადმოყრილნი, ყოველ საღამოს ახალ-ახალ ნაშას აგდებდნენ და სახე ზამთარ-ზაფხულ გარუჯული ჰქონდათ. ის, რაც 00 წელს, ანუ ახალი საუკუნის დასაწყისში, ძველმოდურობის და გოიმობის პიკად ითვლება, მაშინ აბსოლუტური Must-ი, აუცილებლობა, იყო. საფრანგეთში ედი ბარქლეი,[382] საშა დისტელი[383], ჟან პოლ ბელმონდო და ფილიპ ჟუნო[384] იმდროინდელი ბურჟუაზიის კერპები იყვნენ. ჰიპებს და როკის ვარსკვლავებს ასეთი პოპულარობა არც კი დაესიზმრებოდათ. ამას დაუმატეთ კონტრაცეპტივები, გაყრის პროცედურების გამარტივება, ფემინიზაცია, სექსუალური რევოლუცია და მივიღებთ: PLAYBOY INTERNATIONAL-ს, ანუ ფსიქიატრ შარლ მელმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ადამიანს სიმძიმის ძალის გარეშე“, რომლის მთავარი მიზანიცაა „ნებისმიერი გზით სიამოვნების მიღება». მაშ, რა მოხდა? თავისუფლებამ ოჯახი და ქორწინება, ცოლქმრობა და შვილები შეიწირა. ერთგულება რეაქციულ, გაუსაძლის, მარგინალურ მოვლენად გადაიქცა. ამ ახალ სამყაროში სასიყვარულო ურთიერთობა საშუალოდ სამი წელი გრძელდებოდა (ეს ყველაზე ოპტიმისტური გამოთვლებით; ისე კი შეიძლებოდა ყოფილიყო – ოთხი თვე, ხუთი კვირა, ექვსი დღე, შვიდი წუთი, რვა წამი!). დღეს PLAYBOY INTERNATIONAL-ი ისევ ცოცხალია. ის თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს, თითოეულმა ჩვენგანმა შეისისხლხორცა იგი.

PLAYBOY INTERNATIONAL-ს ოჯახი არა აქვს, რადგან იგი უარყოფს ნებისმიერი სახის მიჯაჭვულობას. იგი ყოველკვირა ქვეყანას იცვლის, მარტო ცხოვრობს და მარტო კვდება. მას არ ჰყავს მეგობრები, მისი ურთიერთობები მხოლოდ „საჭიროˮ ხალხით და კოლეგებით შემოიფარგლება. ის „ფრანგლისურითˮ ლაპარაკობს, სახლიდან მხოლოდ იმისთვის გადის, რომ ბიმბო (ჩვენებურად ნაშა) ააგდოს. თავიდან, სანამ მდიდარი და სიმპათიურია, ქარაფშუტა ლამაზმანებს ითრევს, მერე, როცა ბერდება და ფულიც შემოაკლდება, მსუბუქი ყოფაქცევის ქალების მომსახურებასა და პორნოფილმების ყურებაში მასტურბაციაზე გადადის. იგი სიყვარულს არასდროს ეძებს, მას მხოლოდ სიამოვნება სჭირდება, არავინ უყვარს და განსაკუთრებით კი – საკუთარი თავი, იმიტომ, რომ რენომეს შელახვისა და განცდების ეშინია. PLAYBOY INTERNATIONAL-ი სენ-ტროპეში შამპანურის ზღვაში ბანაობს, სასტუმროს ბარში მეძავებს ელაზღანდარება, საღამოს კი სვინგერების ბარში სხეულით მოვაჭრე ქალებთან ერთად ატარებს. რა თქმა უნდა, ის იაფფასიანი ყეყეჩია (საფრანგეთში ასეთ ტიპებზე პაროდიას ხშირად ჟან პიერ მარიელი აკეთებდა, ამერიკაში კი ეს ოსტინ პაუერსის პერსონაჟი იყო), მაგრამ სწორედ მისგან შეიქმნა ახალი ოცდამეერთე საუკუნის ვიაგრაზე შემჯდარი მუტანტი მამაკაცი. რატომ უნდა შევიზღუდოთ თავი ოჯახით, თუ ხელშეუვალ ფასეულობად თავისუფლებას მივიჩნევთ? რა საჭიროა მორალი ჰედონისტურ[385] საზოგადოებაში? თუ ღმერთი მკვდარია, მაშინ მთელი ქვეყანა ბაკქანალიაა და ერთადერთი, რაც ადამიანს დარჩენია, ამით სარგებლობაა. თუ ადამიანია მეუფე, მაშინ ეგოიზმია მისი მთავარი იარაღი. და თუ მამა აღარაა ავტორიტეტი, მაშინ ამ მატერიალისტურ სამყაროში ძალმომრეობისგან თავდაცვის ერთადერთი საშუალება პოლიციაა.

09:13

The only thing standing between me

and greatness is me.

Woody Allen[386]

ჩვენ ქვემოთ: შუშის კარები, გამწვანება, კოლონადები, აპრიალებული პარკეტი, უნატიფესი ჭაღები, თეთრი

აბაჟურები, ხის გაპრიალებული მოაჯირები, ჩალისფერი ტყავის სკამები, ყავისფერი ბარი...

ჩვენ ზემოთ: ვერტმფრენები, რომლებიც ალუმინის ბზიკებივით ტრიალებენ და ცათამბჯენიდან ამოსული კვამლის სვეტი, რომლის შემხედვარეს გგონია, რომ შენობა 620 მეტრს აღწევს.

ჩვენ: ჩაკეტილ კართან მილებსა და მექანიზმებში გამომწყვდეული ადამიანები, ჰიდრავლიკური გენერატორებისა და ტუმბოს კომპრესორების ღმუილისგან დაყრუებული მძევლები.

ქენდეისი, პირველი სექსის მერე: „ისე მაგრა შემისრულე, მეგონა შვიდნი მჟიმავდით!“

ჯერის ვუყურებ. აქედან სუფთა ჩემი ასლია. დევიდი, მისდა საბედნიეროდ, ნაკლებად მგავს. თუმცა ფაქტია, რომ ორივეში საკუთარი თავი გავიმეორე. მერე კი უცებ მოვტყდი. როცა საზოგადოება გიტოვებთ არჩევანს თოთო ბავშვის ტირილსა და ცოლის გარეშე ფართიზე წასვლას შორის, აღარ უნდა გაგიკვირდეთ, რომ დასავლეთში მარტოხელა დედების რაოდენობა მატულობს. ვიცი, ჯერი რას ფიქრობს ჩემზე. ერთხელ გამომიტყდა. მითხრა, თავი ჯეიმს ბონდი გგონიაო, ანუ ტიპი, რომელზეც ყველა ქალი ეცემა.

– იცი რა, მა, მგონი, აღარაა საჭირო შენი სუპერძალის დამალვა.

სხვადასხვა ქალის შებმას ერთი უპირატესობა აქვს: ყველას ერთი და იგივე შეგიძლია ელაპარაკო. ძალიან მოსახერხებელია.

ჯეფრი 1929 წლის „შატო-ო-ბრიონის» ბოთლს მაჩვენებს.

– ნახე, რამდენი სასმელია. მთელი ყუთი ვიპოვე. ჰა, ჩავარტყათ?! ყველას დავურიგე.

– ჯეფრი, ფრთხილად იყავით, თქვენ ხომ წამალი დალიეთ.

– What the hell! Come on! Enjoy![387]

ჯეფრი ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგული ღვინის ბოთლს ხსნის და სავსე ჭიქას ცლის.

– ვაუ! ნექტარია რა, ცოტა უჰაერობასაც რომ არ ვუჩიოდეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა!

– ჰო, ჰაერი არ გვაწყენდა, – პასუხობს ენტონი, – საიდან აიღეთ ეს ბოთლი?

– დამშვიდდით! ჩათვალეთ, რომ ვისესხე. ჩემი სამსახური აუნაზღაურებს რესტორანს ყველანაირ დანაკლისს. don't worry be happy.[388]…

პირდაპირ ბოთლიდან ვსვამ. 1929 წლის მოსავლის ბორდოსფერი სითხე ისე მირაკრაკებს ყელში, როგორც ბოლო ალერსი, ეშმაკის კოცნა. სწორი ვქენი, რომ უარი არ ვთქვი, სასმელი სტრესს ხსნის. ბოთლს ენტონის ვუწვდი, რომელიც დალევაზე უარს ამბობს.

– არა, გმადლობთ, ალკოჰოლს არ ვეტანები. მორწმუნე მუსლიმანი ვარ.

– არც გაატრაკო რა, მე კიდევ ებრაელი ვარ, – ყვირის ჯეფრი და „ო-ბრიონის» ღვინოს ბოთლიდან პირდაპირ პირში ისხამს, – ჩვენი დაბრედვა გინდა, არა? კმაყოფილი ხარ, შენი „ძმების» საქციელით?

– Come on! რა იცი, ვინ ჩაიდინა ტერაქტი. Could be anybody.[389]

– მოიცა რა, კამიკაძე-მკვლელები თქვენი მოგონილია! თავს იფეთქებთ პიცერიაში და მერე ალაჰი გაჯილდოებთ.

ენტონი ბრაზდება.

– იცი, რას გეტყვი?! მე მუსლიმანი ვარ და არა ფანატიკოსი. give me a break, man.[390]

– ნუ აქცევ ყურადღებას, ტონი, – ვეუბნები და თან ბოთლს ვიღებ, – ტრანკვილიზატორი და ღვინო ერთმანეთში აურია და გააფრინა.

– მე გავაფრინე, არა? – წამოხტა ჯეფრი, – მე, არა? იმიტომ, რომ ებრაელი პედიკი ვარ, ჰო? მე ვასკდები თვითმფრინავებით შენობებს და უდანაშაულო ხალხს ვხოცავ, რომ ისრაელის სახელმწიფო გავანადგურო? მე?

სანამ ბუტროს ბუტროსად გადავიქცევი, ერთი კიდევ დავლევ 1929 წლის „ო-ბრიონს“.

– მისმინე, მე პროტესტანტი ვარ, შენ ებრაელი, ის მუსლიმანი, ანუ ჩვენ სამივეს ერთი და იმავე ღმერთის გვწამს, okey! ახლა

კი დაწყნარდი. ერთადერთი, რაც დაგვრჩენია, ლოცვაა, იმიტომ, რომ სამ სხვადასხვა რელიგიაზე ნალოცს სამჯერ მეტი შანსი აქვს, რომ ღმერთამდე მიაღწიოს და ბოლოს და ბოლოს, გაიღოს ეს Goddam door[391].

ღვინო რელიგიურ ომს წერტილს უსვამს. ენტონი ცდება, რომ არ სვამს. ის ჯდება და ისევ მობილურის მწვანე ღილაკს აჭერს თითს. ჯეფრი ღვინის სმას აგრძელებს:

– კოშერული მაინც იყოს!

მე და ჯერი ვიცინით. დევიდი ისევ თავის ოცნებებშია. ლურდესი კი ძველებურად ფარდებს ეკონწიალება. სიამოვნებით მოგიყვებოდით ამ დროს დატრიალებულ უჩვეულო მოვლენებზე, დაუჯერებელ ამბებზე, მაგრამ, რა ვქნა! სინამდვილე ასეთია: არაფერი ხდება! ყველანი ველოდებით, რომ ჩვენს გადასარჩენად მოვლენ, ოღონდ, სამწუხაროდ, არავინ მოდის. ქვემოდან დამწვარი ხალიჩისა და დამდნარი შოკოლადის სუნი ამოდის. ეტყობა, ურჩხულის ალმოდებულ ხახაში კანფეტების ავტომატი იწვის.

09:14

გაბრაზებული ვარ! საოფისე პარაშუტების გამომგონებელს არასდროს ვაპატიებ, რომ ეს იდეა ტრაგედიამდე არ მოუვიდა თავში! რა იყო ამაში რთული?! არ შეგეძლო ადრე მოგეფიქრებინა, შე ტვინგამხმარო, შენა?! არადა, რა კარგი დასანახავი იქნებოდა, როგორ ეშვება ღია სივრცეში ასობით ზურგზე ჩანთამოკიდებული ქალი და მამაკაცი და როგორ იხსნება პანტაპუნტით პარაშუტები WTC Plaza-ს თავზე. ეჰ, კარგი იქნებოდა, მიზიდულობის ძალისა და ყველა ტერორისტის ჯიბრზე, მათი ცის ლაჟვარდში ლივლივი მენახა. მენახა, როგორ დაადგამდნენ მსუბუქად ფეხს მიწაზე ან მეხანძრეებს ჩაუცურდებოდნენ მკლავებში.

იმავე გრძნობას განვიცდი არქიტექტორებისადმი, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ შენობებს არ უნდა ჰქონდეთ გარე კიბეები. ნიუ-იორკის ყველა შენობას აქვს მსგავსი კიბეები, ცათამბჯენების გარდა, ანუ იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ყველაზე მეტად სჭირდებათ. ფასადს აფუჭებსო, ასე ბრძანეს. ერთი წუთით, აქეთ გამომხედე, გენაცვალე: ესთეტიკაზე

ზედმეტი ფიქრი დამღუპველია. რაო? წარმოუდგენელი იყო 110-ე სართულზე კიბის გაკეთებაო?

შეგიძლიათ მიპასუხოთ, რატომ არ გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები თვითმფრინავებში? დაცვა ისევ ძველებურად გადაავლებს თვალს რენტგენის სხივებში გატარებულ ჩანთებს და ხანდახან, ზრდილობისთვის, ცოტას მოჩხრეკს აქა-იქ. ლითონის დანა პლასტმასის დანით შეცვალეს, სამაგიეროდ, ჩანგალი ლითონისა დატოვეს. გეგონება, ჩანგლით ადამიანის მოკვლა არ შეიძლება. ერთი ოცდაათჯერ ჩაარტყამ თვალში ან კისერში და გათავებულია. ჯო პეში მაინც არ უნახავთ „ძველ ბიჭებში“?

რატომ არ დაჰყვება თვითმფრინავებს დაცვა? ყველა დისკოთეკის შესასვლელში ხომ დგას? რა, ღამის კლუბი უფრო მნიშვნელოვანი ობიექტია, ვიდრე თვითმფრინავი? დღემდე მგზავრების უსაფრთხოებას ბორტგამცილებლებს ვანდობთ, რომელთა კისრები ასე ადვილად იგრიხება.

რატომ არ ჩამოუგდეს მძევლებს გრძელი თოკები, რომლებითაც ისინი ჩამოცოცებას შეეცდებოდნენ, როგორც ტუსაღები, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულ ზეწრებს გისოსებზე აბამენ და ციხის კედლებზე ეშვებიან. რატომ არაფერი მსგავსი არ უცდიათ? ან, იქნებ, თოკის კიბე მიეწოდებინათ იქიდან, სადაც ხანძარი არ იყო, ან უშველებელი გასაბერი პნევმატური ლეიბი გაეშალათ, რომ jumper-ებს გადარჩენის შანსი მისცემოდათ, როგორც „სასიკვდილო იარაღშია».

სინამდვილეში არავის ეგონა, რომ შენობები დაინგრეოდა. ტექნოლოგიებისა სწამდათ, ამიტომ ვერც კი დაუშვეს! რეალობის ურყევმა რწმენამ წარმოსახვის ძალას აჯობა.

„თავი ბუხარში გეგონება», ამბობს ერთ-ერთი მეხანძრე ჯონ გილერმინის ფილმში „ჯოჯოხეთური კოშკი», რომელიც ეკრანებზე 1974 წელს გამოვიდა, „ტყუპის» გახსნის წელს. პოლიციას, ალბათ, ეს ფილმი ჰქონდა ნანახი და იმიტომ არ სცადა ხალხის ვერტმფრენებით ევაკუაცია. ფილმში კოპები ერთ-ერთ ცათამბჯენში მომხდარი მსგავსი ხანძრის დროს, შენობის ბოლო სართულზე საბანკეტო დარბაზში ჩაკეტილი ხალხის გადარჩენას ცდილობენ და ვერტმფრენიდან ბაგირს უშვებენ, თუმცა ვერტმფრენი სახურავზე ეცემა და იმსხვრევა.

იქნებ პოლიციას შეეშინდა, ფანტაზია რეალობად არ გადაქცეულიყო?

09:15

უკვე ნახევარი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხებქვეშ თვითმფრინავი შეგვივარდა,

ევაკუაციის ნიშანწყალი არ არის;

მოტირალ ლითონად გადავიქეცით;

ფანჯრებზე აკრულ ადამიანებად;

ფანჯრებიდან გადმოცვენილ ადამიანებად.

მიტოვებული გორგოლაჭებიანი სავარძელი;

ქსეროქსზე დარჩენილი სტეპლერი;

გადმოყირავებული კარადა, ანბანის მიხედვით ჩაწყობილი საქაღალდეებით;

გადაუდებელი შეხვედრებით აჭრელებული დღის განრიგი;

ცნობა მოსალოდნელი ამინდის შესახებ: ამ დილით უღრუბლო ცა და +26 გრადუსია ნავარაუდევი.

ჩამსხვრეული მინები;

ლიფტის შახტებში დაღვრილი აალებადი სითხე;

98 უმოქმედო ლიფტი;

შესასვლელში თეთრ მარმარილოზე მისხმული სისხლი;

ჰალოგენებით განათებული დერეფნები ჭერზე გავლებულ წყვეტილ ხაზს ჰგავს;

ალისფერი ცეცხლი ცისფერი ენებით;

ჰაერში მოფარფატე ქაღალდები – ამერიკის დამოუკიდებლობის დღე გეგონება;

ყველა ჯიშის და რჯულის ადამიანი;

united Colors of babilon;

დაფლეთილი ხელები;

მკლავებზე ჩამოკიდებული კანი, როგორც ისეი მიაკეს კაბა.

მშვენიერი ქალები მწარედ ქვითინებენ;

თვითმფრინავის ნაწილები ესკალატორზე ყრია;

მშვენიერ ქალებს ხველება ახრჩობთ.

არანაირი კონტაქტი გარე სამყაროსთან;

დამსხვრეული ლურჯ-თეთრი ჭიქები და თეფშები;

ყველაფერი – ბუნდოვანი, მტვრიანი, მკვდარი და ჭუჭყიანი.

სიჩუმეს სირენების კივილი არღვევს.

ადამიანის სახის ნაფლეთები ყავის აპარატთან ყრია:

ჩაკეტილ სივრცეში ვართ, ქვემოდან კი ცეცხლი გვაქვს შენთებული;

ტაბაკა ქათმებივით ვიწვით და ვიბრაწებით;

ორაგულივით ვიბოლებით;

ქვემოდან კი სირენების ხმა გვესმის.

Dust in the wind,

All we are is just ,

Dust in the wind[392]

სიცხისგან ფიგურატიული ნახატები კედლებიდან წვეთას იწყებს

და აბსტრაქტულ ტილოებად იქცევა.

WTC Plaza-ს თავზე წვიმა მოდის,

ცოცხალი ადამიანების წვიმა.

09:16

ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ ხტებოდნენ ადამიანები ხანძრის დროს ფანჯრებიდან? იმიტომ, რომ იციან: სიკვდილი

გარდაუვალია. ჰაერი აღარ ჰყოფნით, იგუდებიან, იწვიან. ამ ტანჯვას სწრაფი და ადამიანური სიკვდილი ურჩევნიათ. Jumper-ები სასოწარკვეთილი ადამიანები არ არიან, ისინი კეთილგონიერი ხალხია. ყველა პლუსს და მინუსს წონიან და გადაწყვეტილებას იღებენ: გაბოლილ ოთახში სოსისივით დანახშირებას თავბრუდამხვევი ფრენა ჯობია. ისინი ანგელოზის ნახტომს, ვერტიკალურ „მშვიდობით“-ს ირჩევენ. არანაირი ილუზია არა აქვთ, მაშინაც კი, თუ ზოგიერთი მათგანი საკუთარი ქურთუკის პარაშუტად გამოყენებას ცდილობს. ბოლო შანსს იყენებენ და გარბიან, რადგან ადამიანები არიან. თავად ირჩევენ, როგორ დაიხოცონ. უარს ამბობენ ცოცხლად დაბუგვაზე. ეს მათი ღირსების ბოლო დასტურია: თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება და არ დაელოდონ მორჩილად სიკვდილს. არასდროს ყოფილა ასეთი ზუსტი გამოთქმა: „თავისუფალი ვარდნა».

09:17

რას მიედ-მოედები, საცოდაო ბეგბედერ! 37-დან 50-მდე კაცი ჩრდილოეთ ცათამბჯენიდან იმიტომ გადმოეშვა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. ისინი ვეღარ სუნთქავდნენ, იგუდებოდნენ, ტკივილს ვეღარ უძლებდნენ, თვითგადარჩენის ინსტინქტი უბიძგებდათ... რა შეიძლება იყოს აგიზგიზებულ ღუმელში გამოკეტვაზე უარესი?! ჩვენ შეგვიძლია ბრძნული გამომეტყველებით დნობის თეორიაზე ვისაუბროთ, მაგრამ, როცა თავად იწყებ დნობას, ეს სულ სხვა რამაა! ჩემი თუ არ გჯერათ, ნებისმიერ მეხანძრეს ჰკითხეთ. Jumper-ები ისეთ ფსიქოლოგიურ შოკში არიან, რომ საფრთხეს ვეღარ აღიქვამენ. თითქმის გულწასულნი, ჭარბი ადრენალინის გამოყოფისგან გონებაარეულნი, შიშისა და პანიკისგან აფექტში ვარდებიან. 400 მეტრის სიმაღლიდან იმიტომ კი არ ხტები, რომ თავისუფალი ადამიანი ხარ, არამედ იმიტომ, რომ კუთხეში მიმწყვდეული ცხოველი ხარ; იმიტომ კი არა, რომ ადამიანური სახე არ დაკარგო, არამედ იმიტომ, რომ ტკივილმა ცხოველად გაქცია. ჰაერში ფეხის გადადგმა კეთილგონიერი არჩევანი არ არის, ეს უბრალოდ ერთადერთი რამაა, რისი სურვილიც გიჩნდება, როცა ზემოდან იყურები. ეს ერთადერთი ადგილია, საითკენაც მიიწევს შენი სხეული და სული, იმიტომ, რომ იქ გავარვარებული კლანჭები არ გისერავენ სახეს და სხეულს, იქ არ გთხრიან მხურვალე შანთებით თვალებს. ნაბიჯი ჰაერში

შვებას გგვრის, ეს გამოსავალია. უსასრულობა ხელგაშლილი გხვდება.

09:18

okey, ქართიუ, რახან ასე ლაპარაკობ, მოვფრინავ ნიუ-იორკში. „მონპარნასი» მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მესამე ცათამბჯენი ვერ გახდება, თანაც უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ცხოვრებაც კატასტროფების ფილმს დაემსგავსა: ჩემმა შეყვარებულმა დღეს დილის 09:18 საათზე მიმატოვა. ფლობერი ამბობდა: „მე ვმოგზაურობ, რათა სიზმრები ავიხდინო». აი მე კი ჩემი კოშმარის ასახდენად მოვდივარ. მეჩვენება, რომ ჩემს ამბავს მცირეოდენი დრამატიზმი და დაძაბულობა აკლია, ამიტომ გადაწყვეტილებას ვიღებ: „კონკორდით» გავფრინდე. ამ ზებგერით ლაინერს, რომელიც 70-იან წლებში პომპიდუმ შექმნა, ხოლო ექსპლუატაციაში ჟისკარ დ'ესტენის დროს, 1976 წელს შევიდა, ერთი დასანანი თვისება აქვს: პერიოდულად პარიზის გარეუბანში მდებარე სახლებს თავზე ემხობა ხოლმე. ბილეთს ვჯავშნი, მიყვარს რისკი, ავანტიურისტი და ექსტრემალი ვარ. რა ღირს ბილეთი? 6.000 ევრო, „პრადას» ერთი ბოლოკაბის ფასია. დროში სამოგზაუროდ არც ისე ძვირია, იმიტომ, რომ „კონკორდის» მიერ შესრულებული რეისი „პარიზი-ნიუ-იორკი» ჰ. ჯ. უელსის[393] მიერ გამოგონილი დროის მანქანით მოგზაურობას ნიშნავს. თვითმფრინავის აფრენის დრო დილის 10 საათია, ხოლო დაფრენისა – იმავე დილის 8 საათი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამელის ჯერ არ მივუტოვებივარ. სამ საათში ნიუ-იორკში ვიქნები, ანუ ორი საათი ჯერ კიდევ მაქვს.

მოგზაურობა უკვე თვითმფრინავის lounge seventies-დან, 70-იანი წლების სალონიდან იწყება. აქამდე მეგონა, რომ ჩემი წიგნი 11 სექტემბერზე იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 70-იან წლებზე ვწერ, იმ დროზე, როცა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი და მონპარნასის კოშკი ააშენეს, ხოლო მათ შორის დასაკავშირებლად „კონკორდი» გამოიგონეს. ჩალისფერ კოსტიუმებში გამოწყობილი ბორტგამცილებელი ქალები კოლაგენით დაბერილი ტუჩებით და ბორტგამცილებელი მამაკაცები სოლარიუმში გარუჯული კანით, თეთრი სავარძლები, რბილშპალერიანი კედლები, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში რომ გინახავთ, თავის ლეპტოპებს მიჩერებული ბიზნესმენები

და „პალმ პაილოტის» საწერ-კალმებით შეიარაღებული ბიზნესვუმენები... ეს ყველაფერი ისეთივე ძველმოდურია, როგორიც „კოსმოსური ოდისეა 2001-ში». 2001 წელი აგერ ორი წლის წინ იყო. კუბრიკის 70-იანი წლების ოცნება ვერ ასრულდა. მთვარეზე შტრაუსის მუსიკის თანხლებით მოგზაურობის ნაცვლად, «ბოინგები» „სამოთხის“[394] ჰანგების ფონზე შენობდებიან.

აეროპორტ „რუასის» ფანჯრიდან ჩემ პირდაპირ ზებგერით ლაინერს ვხედავ. ჩემზე წვეტიანი ცხვირი აქვს. მისი ლურჯი ლოგო წარწერით „კონკორდი» გვახსენებს, რომ ეს მანქანა გადაშენების გზაზე მდგარი ჩვენი ერთ-ერთი ეროვნული სიამაყეთაგანია. ამას წინათ „კონკორდს» შუა ფრენაში საჭე მოსძვრა. მე მოლეკულურ სავარძელში ვეტენები; VIP-ები თავდახრილნი სხედან. გონესში მომხდარი ავარიის[395] შემდეგ ისევ უამრავმა ტექნიკურმა პრობლემამ იჩინა თავი: ძრავის მოშლა, პილოტის კაბინის აპარატურის ამორტიზაცია. 70-იანი წლები ნელ-ნელა წარსულს ჰბარდება და მეც სამუდამოდ ვრჩები ჩემს დავიწყებულ ბავშვობაში. სხვათა შორის, თვითმფრინავი თითქმის ცარიელია. აბა, რა იქნება! ჩემნაირი კამიკაძე უნდა იყოს კაცი, რომ ამ სამკუთხაფრთიანი რკინის ჩიტის სალონში ჩაჯდეს. ჩემი გამბედაობის ამბავი რომ ვიცოდი, ხუთი ჭიქა „აბსოლუტი» ერთმანეთის მიყოლებით ვხუხე და 2D სავარძელში ჩავემხე. გარეთ წვიმს, მე კი დილის 10 საათზე მიწაზე უმოძრაოდ მდგარ „კონკორდში» გათიშული მთვრალი და კურდღელივით გულგახეთქილი ვგდივარ.

ბორტგამცილებელი: მესიე, ხიზილალას და შამპანურ „კრუგს» ხომ არ მიირთმევთ...

– აჰა, არ მაწყენდა...

რა სამწუხაროა, რომ ასე ვკვდები: ჩრდილოეთ გარეუბანში «ფორმულა 1»-ის ვიწრო სავარძელში ჩაკვეხებული. გადავწყვიტე, სიკვდილის წინ უარი არაფერზე ვთქვა, მით უმეტეს ხიზილალაზე, თანაც ირანულზე.

არა, ისე რა შერეკილი უნდა იყო კაცი, რომ 3 საათის მოსაგებად 6 ათასი მოისროლო. გიჟი არ იყო, ვინც ეს მანქანა მოიგონა? რატომ ეგონა, რომ დროის უმნიშვნელო ეკონომიისთვის რამდენიმე ტონით მეტი საწვავის დახარჯვა ღირდა? ვინ იყვნენ ეს სამოციანელი ინჟინრები? მათი ჩანაფიქრი ისეთი

ძველმოდურია... ისეთი „მეოცესაუკუნოვანი“: თეთრი, გლუვი, სწრაფი და პლასტიკური სამყარო, სადაც სამკუთხა თვითმფრინავები გეოგრაფიულ სარტყელებს სნობურად ზემოდან დაჰყურებენ. ვის სჯერა დღეს ამისი?! ჩემ გვერდით მელოტი კაცი ზის, „ექსპრესს» კითხულობს და ამთქნარებს... ყველაფერი იმ დროიდან მოდის, ოპტიმიზმის ბოლო გაელვების წლებიდან: ავტომოპასუხეების, „ჯეტ-ლაგების“[396] და „ექსპრესის» დროიდან. მაშინ ისეთი „დონე» იყო ხანგრძლივ გადაფრენასა და დროში განსხვავებაზე ლაპარაკი... ახლა ეს უკვე გუშინდელი დღეა, უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს ჰგავს. მე კარგად „ჩარტყმულში» ვარ. „კონკორდი» საშინელი ხმაურით და საეჭვო ვიბრაციით აფრენას იწყებს. ქალი რომ ვიყო, სავარძლის სახელურს გადავაჯდებოდი და სამგზის ორგაზმიც ზედ მექნებოდა. მე კი ბლინივით ჩატყეპებული ვზივარ ჩემს სკამში. სარეკლამო ბროშურაში წერია: „თითოეული ძრავის ნომინალური რეაქტიული გაწევის ძალა – 17 260 კგ“. ახლა მთავარია ჩემი ხიზილალა უკან არ დავაბრუნო... „გაწევის ძალის თანაფარდობა მანქანის წონასთან «ბოინგი»-747-თან შედარებით 1,66-ჯერ მეტია“. ეს რა ბებიაქალის ლექსიკონია: poussez, poussez.[397] მაპატიეთ, ქალბატონო ბორტგამცილებელო, მაგრამ ეჭვი მაქვს, ცოტა ხანში მოგიხიზილალებთ მთელ ჰერმოკაბინას. „ასეთი გაწევის ძალა მიიღწევა ფორსაჟის სისტემით აღჭურვილი კლასიკური რეაქტიული ძრავის ხარჯზე: გამონაბოლქვი აირი ხურდება, რაც სიჩქარეს უმატებს. შედეგად გაწევა 17%-ით მატულობს“. ბოლოს და ბოლოს, ჩემს ქაღალდის პარკში ვაღებინებ. როცა ატლანტის ოკეანის თავზე ბგერით ზღვარს გადავდივართ, უკვე ყველაფერი ფეხებზე მკიდია. თხევადკრისტალური მრიცხველი მახსენებს, რომ ბგერის გავრცელების სიჩქარეზე ორჯერ სწრაფად მივფრინავ, სტრატოსფეროს 2200 კმ/სთ სიჩქარით ვკვეთ და სახეზე, მგონი, ცოტა ფერმკრთალი ვარ. ვერ გამოვდექი იმ აღტაცებულ მგზავრად, რომელიც თავს იღბლიანად მიიჩნევს, რადგან ბილეთის ხელში ჩაგდება მოახერხა. ასეთ მგზავრებზე ოცნებობდნენ „კონკორდის» ალბათ, ულვაშიანი (იმ დროს ხომ ყველას ულვაში ჰქონდა!) შემქმნელები. არ ვიცი, შეიძლება სიმთვრალე მალაპარაკებს, მაგრამ მეცინება, როცა მახსენდება, როგორ დაფაცურდნენ მაშინ ჩვენები. ამერიკელები მთვარეზე გაფრინდნენ და ესენი ახლა ხომ არ ჩამორჩებოდნენ! ადგნენ და «კონკორდი» შექმნეს.

აღუუუ... რომ გეკითხათ, ზრდასრული ადამიანები იყვნენ, სერიოზული მეცნიერები, აერონავიგაციის „მამები» და თოთო ბავშვებივით კი ერთობოდნენ თავიანთი საჩხაკუნოებით.

09:19

ხელოვნური კლდის მწვერვალზე მდგომმა შეყვარებულმა წყვილმა ერთმანეთს ხელი ჩასჭიდა.

– ყოველთვის მეზიზღებოდა სამშაბათი. თითქოს ხომ არც მთლად ორშაბათია, მაგრამ მაინც კვირის დასაწყისია, – ამბობს ქერა რალფ ლორენიანი ქალი.

– რა სირობაა, აქედან რომ ვერ გავდივართ, – ამბობს კენეტ კოლიანი მამაკაცი, – „ადვილი» არ გაქვს?

– არა, დამწვარი ხალიჩის კვამლი რომ ვყლაპე, მაშინ დავლიე ბოლო ტაბლეტი, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი, – სულ ჩახეხილი მქონდა ყელი, ძლივს ვსუნთქავდი.

კონდიციონერი საკონფერენციო დარბაზში შავ ღრუბელს აფრქვევს. ხალიჩიდან კვამლი ჯერ ადგილ-ადგილ წვრილად მოიკლაკნება, მერე კი მთელ ოთახში ჭაობის თავზე ჩამოწოლილი ნისლივით დგება; მოლიცლიცე ცეცხლს ჰგავს, იტალიელი დიზაინერები რომ ხატავენ ხოლმე.

– რა ცუდია, რომ ვერ ნახავ ჩემს სახლის კინოთეატრს... წარმოიდგინე „ზედა ტბის“[398] ზომის პლაზმური ეკრანი...

– Too bad... ძალიან ცუდი, მაგრამ ნუ ხარ ასე უიმედოდ. სადაცაა მეხანძრეები მოვლენ და გაგვიყვანენ აქედან, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი.

– წმინდაო ჯორჯ სოროს, ილოცე ჩვენი გადარჩენისთვის, – ამბობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– ო, ტედ ტერნერ, დაგვიხსენი განსაცდელისგან! – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი.

იცინიან, თუმცა მალე სიცილი ხველაში გადადის. იცინიან თუ ახველებენ, ვერ გაიგებ.

– იცი, რა განსხვავებაა Microsoft-სა და „იურის პერიოდის პარკს» შორის? – კითხულობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– არა, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ რაღაც მაგარი ღადაობა იქნება, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი.

– პირველი მილიარდერების პარკია, სადაც უშველებელი დინოზავრები ყველაფერს ჭამენ, რაც გზაზე ხვდებათ, მეორე კი – ფილმი!

ქალს ისტერიკული სიცილი უვარდება. კენეტ კოლიანი მამაკაციც ისე ხარხარებს, რომ ჭარხალივით წითლდება და ლამისაა დაიხრჩოს. ვერც ერთი ვეღარ ჩერდება, გულის წასვლამდე, კრუნჩხვაში ჩავარდნამდე იცინიან. თუ დახრჩობაა, სიცილისგან მაინც დაიხრჩონ. ბოლოს, როგორც იქნა, წყნარდებიან. ქალი კოსტიუმს იხდის. ზოლიანი პერანგი ნახევრად გახსნილი აქვს. მკერდში თხელი ოქროს ძეწკვი ჩავარდნია პატარა, გულის ფორმის ოქროსვე კულონით. ფანჯრის მეორე მხარეს ცეცხლში გახვეული ამერიკა მოჩანს.

– დაურეკე დედაშენს? – ეკითხება მამაკაცი.

– არა, – პასუხობს ქალი, – არ არის საჭირო. ტყუილად უნდა ვანერვიულო. ან გავალთ აქედან და დავურეკავ, ან – ვერ გავალთ და ვერ დავურეკავ. ახლა რომც მოვახერხო დაკავშირება, რა ვუთხრა?

– „მშვიდობით, დედა! მიყვარხარ. მთელ ოჯახს აკოცე ჩემ მაგივრად», – ამბობს კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– რა გიჟი ხარ, – ეღიმება რალფ ლორენიან ქალს.

სამწუხაროდ, ის არ იყო გიჟი. კენეტ კოლიანი მამაკაცი მაგიდაზე იჯდა, პიჯაკი მასაც გაეხადა, სუნთქვა უჭირდა. უყვარდა ეს ქალი და არ უნდოდა მისი დაკარგვა, არ უნდოდა, მისი ტანჯვისთვის ეყურებინა. გაახსენდა მათი პირველი შეხვედრა, კაფეებში სიარული, ერთად ლუდის სმა, სასტუმროს ნომრებში გატარებული საღამოები. გაახსენდა მისი ნაზი, კრემწასმული, სურნელოვანი კანი. კენეტ კოლიან მამაკაცს ახლა გული მხოლოდ შიშისგან კი არა, სიყვარულისგანაც უცემდა. ხვდებოდა, რომ ყველაფერი დასრულდა, მათ სიყვარულს აქ, ამ ჩალისფერ კედლებში სამუდამოდ დაესვა წერტილი. წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა მისი საყვარელი ლამაზი ქერა ქალი ბავშვობაში, როგორ დაქროდა ვარდისფერლოყება გოგონა ყვავილიან კაბაში ხორბლის ან ჭვავის ყანაში, გრძელი თმა ქარში უქრიალებდა, ხელში კი

ფრანი ან რამე ეგეთი სისულელე ეჭირა.

09:20

გადავწყვიტე, თავი მომეკლა, მაგრამ ამისათვის გამბედაობა არ მეყო, ამიტომ ავდექი და „კონკორდის» ბილეთი ვიყიდე. ეს თვითმფრინავები წარამარა ვარდება, თანაც ამ მიმართულებაზე ტერაქტების რისკი ყველაზე მაღალია. წესით, ყველაფერი უცებ უნდა დამთავრდეს.

„კონკორდი» აქ არაფერ შუაშია. რა სიჩქარითაც უნდა მიფრინავდეს ნიუ-იორკ სითისკენ თვითმფრინავი, ეს უკვე აღარაა ის სიამოვნება, რასაც მგზავრები ადრე განიცდიდნენ. მაშინ ამ მოგზაურობას თან ახლდა ერთგვარი სიმსუბუქის შეგრძნება, ბავშვური ენთუზიაზმი, შურისა და ლტოლვის უჩვეულო ნაზავი, მოჩვენებითი დაღლილობა, რომლითაც სინამდვილეში შინაგან თრთოლას მალავდნენ; გულუბრყვილო აღფრთოვანება, მოხერხებულობა და ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ „დიდ ვაშლს“[399] განსაკუთრებული ელექტრონული ენერგია აქვს. ეს მოსაზრება სამუდამოდ დარჩა სიმღერაში New York, New York. (I’m gonna be a part of it, If I can make it there / I’ll make it anywhere)[400]. ახლა კი შეგრძნება გაქვს, რომ რაღაც პარანოიდულ საშინელებაში ხარ, მეორეხარისხოვან სერიალში; სახის გაქვავებული გამომეტყველებით შიშის დამალვას ცდილობ, ყველაფერს გაასმაგებული ყურადღებით აკვირდები, გვერდით მსხდომთ ეჭვის თვალით უყურებ, განსაკუთრებულად თუ რომელიმე მათგანი ფერადკანიანია. გგონია, რომ ეს-ეს არის, სამყარო თავზე დაგემხობა. ბოლოს გიჟივით გიხარია, რომ თვითმფრინავი დაჯდა, შენ კი, ჰოი საოცრებავ, ცოცხალი ხარ.

ტუალეტები ჩემი ნარწყევითაა მორწყული, თუმცა ამ თემას აღარ ჩავუღრმავდეთ, იმიტომ რომ, როგორც მიხვდით, ეს ძალზე აკადემიური რომანია. თვითმფრინავის დაჯდომამდე ბორტგამცილებლებმა მწვანე მუყაოს ფურცლები დაგვირიგეს. ყველა მგზავრი ვალდებულია აშშ-ის საემიგრაციო სამსახურის კითხვარი შეავსოს.

– გაწუხებთ თუ არა ფსიქიკური აშლილობები? – diax, ara

– გადაგაქვთ თუ არა ნარკოტიკები ან იარაღი? – diax, ara

– ხართ თუ არა კომუნისტი? ხართ თუ არა ტოქსიკომანი? diax, ara

– აპირებთ თუ არა აშშ-ის ტერიტორიაზე კრიმინალური ან ამორალური საქციელის ჩადენას? – diax, ara

– გაქვთ თუ არა რაიმე კავშირი ჯაშუშურ ან ტერორისტულ საქმიანობასთან ან გენოციდსა და საბოტაჟთან? მიგიღიათ, თუ არა მონაწილეობა 1933-1945 წლებში ნაცისტური გერმანიის ან მისი მოკავშირეების მიერ ორგანიზებულ ხალხის მასობრივ დახოცვაში? JA NEIN (diax, ara)

– მიგიმართავთ თუ არა ჩვენების მიცემის სანაცვლოდ სამართლებრივი დევნისგან გათავისუფლების თხოვნით? diax, ara

გამიმართლა, გამორჩათ შეკითხვა: „აპირებთ თუ არა რომანის დაწერას 11 სექტემბერზე?“

ჩემი რჩევაა: შემოხაზეთ „ara“. ეჭვი მაქვს, რომ დადებითად გაცემული პასუხის შემთხვევაში შეიძლება მცირედი პრობლემები შეგექმნათ.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტს შეეძლო შემდეგი სახის შეკითხვებიც დაემატებინა:

– ხართ თუ არა პედოფილი? – diax, ara

– ხართ თუ არა ბინ ლადენის ოჯახის წევრი? – diax, ara

– ეწევით თუ არა რეგულარულ მასტურბაციას ადამიანის დანაწევრებული სხეულის ფოტოების ყურებისას? – diax, ara

– ეწევით თუ არა სიგარეტს? – diax, ara

– აპირებთ თუ არა ორალურ სექსს (იმ შემთხვევაში თუ ქალი ხართ) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მისი სამუშაო მაგიდის ქვეშ? – diax, ara

მიიჩნევთ, რომ ზედმეტი მომდის? ისიც მეყოფა, რომ ერთი „თავგასული ბავშვი» ვარ და აჯობებს, ხმა ჩავიწყვიტო? არ გამოვა, იმიტომ, რომ მე 70-იანი წლების დაღუპვის გარემოებებს ვიკვლევ. ამ ეპოქის უტოპიამ შექმნა სამყარო, რომელშიც ცხოვრებაზე უარს აცხადებს კაცობრიობის უდიდესი ნაწილი. სამ საათში ჩადიხარ პარიზიდან ნიუ-იორკში, ზუსტად

ეს დრო სჭირდება TGV-ის ჩქაროსნულ მატარებელს პარიზიდან მარსელამდე. „კონკორდი» არის AGV – ჩქაროსნული თვითმფრინავი, რომელმაც ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაგვწია. ესეც მორიგი ბოდვა იყო სხვა მრავალ ბოდვას შორის, თუმცა შეიძლება სხვებზე ცოტა ნაკლებად სამარცხვინო. ამ ჩქაროსნული თვითმფრინავის მიღმა იდეოლოგია იმალება. იდეოლოგია, რომლის სიმბოლოც მისი აბზეკილი ცხვირია. თითქოს ყველას ქედმაღლურად უყურებს, ვინც მის ბორტზე არ ზის.

არსებობდა კომუნისტური უტოპია, რომელიც 1989 წელს დასრულდა, და კიდევ არსებობს კაპიტალისტური უტოპია, რომელსაც წერტილი 2001 წელს დაესვა.

ფრენის დროს ბორტგამცილებელს ტვინს ვუჭამ:

– რამდენი დაგვრჩა? რა ამბავია!.. მგონი ვაგვიანებთ? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ძლივს მივღოღავთ... ხომ გესმით, მე აქ ერთადერთი მგზავრი ვარ, რომლის ბილეთის საფასურიც სამივლინებო ხარჯებში არ გატარდება...

ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელობის აეროპორტში განათებულ პანოზე წერია: Gate[401] 9-11. რა ხუმრობაა ახლა ეს? ჯობდა ციფრები შეეცვალათ. ჩვენი თვითმფრინავი ამერიკაში იმ დროს დაჯდა, როცა საფრანგეთში ჯერ აფრენილიც არ იყო. გამომგზავრების დროს წვიმდა, ჩამოსვლის დროს მე ვტიროდი. წვიმაში ყველაფერი თითქოს სხვანაირად ჩანს. რა კარგი იქნებოდა, მას ჩვენი ცოდვების ჩამორეცხვაც შეეძლოს... 08:25 იყო, ანუ ამელის ჯერ არ მივუტოვებივარ. თვითმფრინავის მგზავრებს ვაწუხებ, წინ მივიწევ, ვითომ ერთი სული მაქვს, როდის გავალ, სინამდვილეში კი არსად მეჩქარება.

განსაკუთრებით კი არ მეჩქარება 09:18-ის დადგომა.

09.21

აღარ შემიძლია: ყელი მეწვის, ირგვლივ ყველაფერი ყარს, თვალებიდან ცრემლი მომდის. დევიდი გვიხსნის, რომ მამიკო თურმე იმიტომ არ მოქმედებს, რომ ბატარეები აქვს დასატენი. „არც ისე ადვილია „დიდი კანიონის» გასწვრივ ხომალდის ცალი ხელით ტარება, როცა თან უკან უნდა იყურო, იმიტომ, რო

სადაცაა ვულკანის ამოფრქვევა დაიწყება. ამ დროს კამერონ დიასი ვერტმფრენიდან თოკით ეშვება, ჯონ მალკოვიჩი კიდე „რუპორში» ყვირის, იმიტომ რო ათ წამში ოკეანის ფსკერზე ატომური ბომბი აფეთქდება, რომელიც მთელ ნიუ-იორკს წალეკავს. ნიუ-იორკში კი მისი შვილები არიან, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ორეულმა მძევლად აიყვანა და დაჯავშნულ ბუნკერში ჩაკეტა, რომელსაც სისხლისმსმელი დინოზავრები დარაჯობენ. ეს დინოზავრები კი სამთავრობო სააგენტომ თერმობირთვული ჭის ფსკერზე საიდუმლოდ გამოიყვანა. დევიდი დარწმუნებულია, რომ მამა აქტივაციის ფაზაში შესული საიდუმლო ჯაშუში, „ულტრადუდია“.

ვაიმე, სულ გაგიჟდა ეს ბავშვი!

ძაან მეშინია და მაგრა მინდა აქედან გასვლა, მარა მამაჩემი ამბობს, რო ენტონის უნდა დავუჯეროთ. ეს ენტონი კიდე ამბობს, რო აქ უნდა დავრჩეთ და არ ვიპანიკოთ, იმიტო რო, საცაა მაშველები მოვლენ. ყველაზე ცუდი ისაა, რო მამაჩემს ჩემზე უფრო ეშინია, ხო ვხედავ. ამ ცხვირიდან სისხლის დენამაც ხო ტვინი წამიღო, თითი სულ ნესტოზე მიკავია, მამაჩემიც ხელს არ მიშვებს და ვზივართ ასე, მიშტერებულები ვართ ამ კარს. მოკლედ, რაღაც საშინელებაა. ჯეფრი ებრაულად ლოცულობს, ტონი – არაბულად, ფოლკლორის დღეა, რა. მაგრამ ყველაზე უცნაური (დევიდს თუ არ ჩავთვლით, რომელსაც თავი კომპიუტერულ თამაშებში ჰგონია) მაინც ისაა, რო მამაჩემიც ლოცულობს.

– ღმერთო, ვიცი, რომ ამ ბოლო ხანებში ძალიან დაგივიწყეთ, მაგრამ ხომ არის იგავი უძღებ შვილზე. ჩემი აზრით, ძალიან პრაქტიკული იგავია და თუ მე სწორად გავიგე, ნებისმიერ ურწმუნოს და მოღალატეს ხელგაშლილი მიიღებთ, თუ ის დაგიბრუნდებათ. ჰოდა, ამ დილით მე სუპერუძღებად ვგრძნობ თავს, ღმერთო.

– აჰა, გეუბნებოდი, – მეუბნება დევიდი, – მამა სუპერრაღაცა გახდება-მეთქი!

– მოკეტე, ბიჭო, მამა ლოცულობს. მაგაზე ხუმრობა არ შეიძლება!

სამივე ერთმანეთს ხელებს ვკიდებთ და მამა აგრძელებს:

– ღმერთო, მე ერთი სუსტი ადამიანი ვარ, ბევრს ვცოდავდი და ახლა ძალიან ვნანობ ამას. მე დავანგრიე ოჯახი, ეს ჩემი უდიდესი, უპატიებელი შეცდომაა, მაგრამ ეს ორი პატარა ბიჭი რა შუაშია?..

– კაი რა, მამა, გაჩერდი, ნუ ამბობ ეგრე...

აუ, მამაჩემს რო ვუყურებ, მეშინია. Shit! ტყუილა ვცდილობ თვალები ერთ წერტილში გავაშტერო, ცრემლი თავისით მომდის. აღარ მინდა აქ ყოფნა. ნეტა ბუზი ვიყო და ამ კარში გაძვრენა შემეძლოს. რას ვიფიქრებდი, რო ერთ დღეს ბუზად გადაქცევა მომინდებოდა. არადა, მაგარია ბუზობა: ბუზს სადაც უნდა, გაფრინდება, თავისუფალია, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ცხვირიდან სისხლი არ მოსდის და რაც მთავარია, ფიქრი არ შეუძლია. ბზუილით შემოვუფრენდი ცათამბჯენს, თვალს შევავლებდი Windows-ში გამოკეტილ იდიოტებს, მერე კიდე, ჰოოოპ, დავიბზუებდი, ჰაერში სალტოს გავაკეთებდი და პაკაააა!

– ღმერთო, საშინელი იდიოტი ვარ, მუხლებზე დამხობილი პატიებას გთხოვ...

ყველაზე მაგარი იქნებოდა, ყრუ ბუზი რო ვყოფილიყავი...

09:22

ნიუ-იორკში მე სრულიად თავისუფალი ვარ, შემიძლია წავიდე, სადაც მინდა და ვიყო, ვინც მინდა. აქ მე ერთი ჩვეულებრივი ტიპი ვარ: მსოფლიოს ერთ-ერთი რიგითი მცხოვრები. აქ არა ვარ მიჯაჭვული ჩემს ფესვებთან, რომლებიც სიცოცხლეს მიწამლავენ, და ფეხდაფეხ არ დამდევს ეს საზიზღარი ტელეაუდიო პოპულარობა, რომელიც ყველაფერში მზღუდავს და მბოჭავს. პოპულარობა ქორწინებასა და სიბერეს ჰგავს: ის ადამიანს ადვილად პროგნოზირებადს ხდის. მარტოობა აქ თავისუფლების გარანტიაა: უცხო ქალაქში, ფულით სავსე ჯიბით, მარტოდმარტო. მეტი რა გინდა? და რა მერე? ჩემი თავისუფლება უაზროა. მე შემიძლია გავაკეთო ყველაფერი და ამიტომ არ ვაკეთებ არაფერს. ვზივარ სასტუმროს ნომერში, ღვინოს ვწრუპავ და თან დაბალ ხმაზე პორნოფილმს ვუყურებ, იმიტომ რომ გვერდზე ოთახში მილენ ფარმერს[402] სძინავს. ძირითადად, ბარებში უსაქმურად ჯდომით ვიქცევ თავს. როცა

მეკითხებიან, როგორ ხარო, გვერდზე ვიყურები და სხვა თემაზე გადამაქვს საუბარი, რომ არ ავტირდე. How are you? – საშინელი შეკითხვაა. Everything OK? კი – ხიფათის შემცველი ჩაძიება.

ბოლოს, როცა მე და ჩემმა საცოლემ ვიჩხუბეთ, დიდად გულთან ახლოს არ მიმიტანია, იმიტომ, რომ აქამდეც ხშირად ვკამათობდით ხოლმე, რასაც ხანმოკლე განშორებები მოჰყვებოდა. ამჯერად კი ვიცი, გული მიგრძნობს, ყველაფერი დამთავრდა, აღარ დამიბრუნდება. მის გარეშე ცხოვრება უნდა ვისწავლო, მაშინ, როცა პირდაპირ საპირისპიროს ვაპირებდი: მასთან ერთად სიკვდილს.

იგი სხვანაირ სიყვარულს იმსახურებდა, მე კი ეს ვერ შევძელი, ამიტომაც მიმატოვა. ქალები ხშირად ასწრებენ მოვლენებს. რაღაც უნდა ვიღონო. გამორიცხულია, ჩუმად ვერ დავიტანჯები.

– შენ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი სასიყვარულო ისტორია იყავი.

როგორ ვერ ვიტან ამ წარსულ დროში გაკეთებულ სასიყვარულო აღიარებებს!

მას შემდეგ, რაც დედაჩემთან აღარ ვცხოვრობ, სულ ვიღაც ქალთან ვარ. დღეიდან უკვე მამაჩემივით მარტო ყოფნა უნდა ვისწავლო. ნეტავ ჩემი ცხოვრება უფრო მძიმე ყოფილიყო. სამწუხაროდ, იგი დამამცირებლად მარტივია: ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ არ დავემსგავსოთ მშობლებს და ბოლოს, როგორც წესი, მათი ზუსტი ასლი ვხდებით ხოლმე.

ბირჟა ლამისაა ჩამოიშალოს. „დოუ ჯონსის» აქციები მალე 7000-ზე ჩამოვა? 6500-ზე? უმუშევრობა მატულობს. ნიუ-იორკის მუნიციპალური ბიუჯეტი 3,6 მილიარდი დოლარით დეფიციტურია, ყველა ტელეარხი ერაყში მოსალოდნელ ომზე საუბრობს. ნიუიორკელები ტერაქტის მოლოდინში არიან ატომური ბომბის გამოყენებით. ბავშვებს სკოლებში ინსტრუქციებს ურიგებენ, როგორ ამოქოლონ კარის ჭუჭრუტანები ქიმიური თავდასხმის შემთხვევაში. ბევრმა ოჯახმა ყოველი შემთხვევისთვის ჯიბის ფარნები, თოკები, წყალი და IOSAT-ის ტაბლეტები (წამალი, რომელიც ითვლება, რომ ორგანიზმს რადიაციისგან იცავს) მოიმარაგა. ყვითელი დონის საფრთხემ ფორთოხლისფრამდე აიწია. მე კიდევ

დავხეტიალებ და ჩემს ჭიპს დავცქერი განგაშის ქვეშ მყოფი ქალაქის ქუჩებში.

ყველა ათწლეულს თავის უკურნებელი სენი აქვს: 80-იანებში შიდსი იყო, 90-იანებში – შიზოფრენია, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კი – პარანოია. ტოტალური პანიკის შესაქმნელად თაიმსკვერზე ერთი მოარული ბომბიც საკმარისია. 11 სექტემბრის მერე ამერიკაში არც ერთი ტერორისტული აქტი არ მომხდარა. ამას თითქოს უნდა დაემშვიდებინა მოსახლეობა, მაგრამ არა. ტერაქტის გარეშე ჩავლილი თითოეული დღე ახალი ტერაქტის მოლოდინს ზრდის. ალფრედ ჰიჩკოკმა ერთხელ თქვა და მერე ხშირად იმეორებდა ხოლმე: „ტერორი მათემატიკაა“. დღეს დილით ამერიკელებმა ხალიდ სეიხ მუჰამედი დააკავეს, «ალ-ქაიდას» ერთ-ერთი მამამთავარი. თითქოს ამ ფაქტს უნდა დაემშვიდებინა ხალხი, თუმცა რეაქცია საპირისპირო აღმოჩნდა: ახლა ამერიკის მთავრობა სასტიკი შურისძიების მოლოდინშია.

უცნაურია, მაგრამ მსოფლიოში ამ ყველაზე საშიშ ქალაქში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ტერორიზმი შენობების თავზე დაკიდებული დამოკლეს მახვილია, რომელიც მათ შუაზე აპობს. მე კი აქ ჩემს სტიქიაში ვარ. უშენოდ ცხოვრებას მაინც არსად არა აქვს აზრი. კატასტროფის ადგილას ყოფნა ჯობია, როცა თან საკუთარ აპოკალიფსს დაატარებ.

რას ვეძებ აქ?

საკუთარ თავს.

ვიპოვი?!

09:23

ტერორიზმი სიმბოლოებს კი არ ანადგურებს, არამედ ცოცხალ ადამიანებს გლეჯს ნაფლეთებად. ჩვენი ცრემლები ერთმანეთს ერევა: ჩემი, ჯეფრის და ჯერის. საბედნიეროდ, დევიდი საკუთარ, გამოგონილ სამყაროში ჩაიძირა. კიდევ კარგი, რომ მან მაინც შეძლო ამ აუტანელი რეალობიდან გაქცევა. ლურდესს გაახარებს ღმერთი, საიდანღაც „ევიანის» ბოთლები მოაქვს. ხარბად ვეწაფებით წყალს. კვამლისა და საწვავის სუნისგან გატანჯულებს ასფიქსიასთან ერთად

დეჰიდრატაციაც გვკლავს. ამ დროს ენტონის ასთმის შეტევა ეწყება. საწყალი იატაკზე გორავს და იხრჩობა, ჩვენ კი არ ვიცით, რით ვუშველოთ. ლურდესი პირში მინერალურ წყალს ასხამს, მაგრამ ენტონი ყველაფერს უკან იღებს. ჯეფრი მანიშნებს, რომ ტუალეტში შევიყვანოთ. მე ფეხებზე ვკიდებ ხელებს, ჯეფრი – იღლიებში (ერთი ხელი ენტონის სერიოზულად დამწვარი აქვს). ბავშვებს კიდევ ერთხელ ლურდესთან ვტოვებ. ენტონის სუნთქვა უჭირს და პირს აფჩენს. მე სულ ვცახცახებ, ჯეფრი ცდილობს, თავი აიყვანოს. იგი ენტონის თავს ონკანის ქვეშ აყოფინებს. ენტონი აღებინებს. მე ქაღალდის ხელსახოცის ასაღებად ვტრიალდები, უკან შემობრუნებისას კი ვხედავ, რომ ჯეფრის ენტონის თავი მკერდზე აქვს მიდებული. ენტონი აღარ იძვრის.

– რა?.. მოკვდა?

– არ ვიცი, ამის დედა ვატირე, ექიმი ვარ, თუ რა? აღარ სუნთქავს! გული ხომ არ წაუვიდა?

აჯანჯღარებს, ლოყაზე ურტყამს. ხელოვნური სუნთქვის გაკეთებაზე თავს იკავებს (ღებინების გამო). ამას უკვე მე ვცდილობ, თუმცა უშედეგოდ. ორივე ჩუმად ვართ. ბოლოს მე ვეუბნები:

– დავტოვოთ აქ, იქნებ თავისით მოვიდეს გონზე. ბავშვებთან უნდა წავიდე.

ჯეფრი თავს აქნევს:

– შენ რა? არ გესმის? ეს ჩვენთვის აქედან გასვლის ერთადერთი შანსი იყო, ყველაფერი უნდა გვეღონა, რომ არ მომკვდარიყო, ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია, ცოტა ხანში ჩვენც უკან მივყვებით.

მე კარს ვაღებ და თან ვფიქრობ, რომ ტუალეტის სამფა ქაღალდი ზუსტად ტუალეტის ვარდისფერი მარმარილოს კედლების ფერი იყო. უცნაურია, მაგრამ ჩემი ტვინი რატომღაც ასეთ დეტალებს იჭერს, როცა თავში სულ სხვა რამე უნდა მიტრიალებდეს.

– უნდა წავიდე, – ვეუბნები ჯეფრის.

ჯეფრი მე მეტი აღარ მინახავს. როცა ბოლოჯერ გავხედე, ტუალეტის იატაკზე იჯდა და ენტონის თავზე ხელს უსვამდა.

ვარდისფერი კარი მიჯახუნდა და მეც თავქუდმოგლეჯილი ბავშვებისკენ გავიქეცი. გზაზე ვიღაც ჩემნაირი გაჭირვებულები მეფეთებიან, რომლებიც წინ და უკან დარბიან, სათადარიგო კარს, არამწეველთა ადგილს, ლაბირინთიდან გასასვლელს ეძებენ. თუმცა No smoking zone[403] პირველ ცათამბჯენში უკვე აღარ არსებობს. ლოს-ანჯელესში კი არ ვართ!

როგორ მინდა, რომ შემეძლოს ხუმრობა, ყველაფრის ფეხებზე დაკიდება, იმის თქმა, მოხდეს, რაც მოსახდენია, მაგრამ, რა ვქნა? არ შემიძლია! შვილებს რა ვუყო! უნდა გადავარჩინო, ისე კი, მგონი, ისინი უფრო გადამარჩენენ, იმიტომ, რომ მოდუნების საშუალებას არ მაძლევენ.

09.24

ნიუ-იორკში სირენები სულ სხვაგვარად კივიან, – wooowooo, პარიზში კი მათი ხმა უფრო პიპინს ჰგავს, – pinponpinpon. ამ მოციმციმე woowoo-ში, რაღაც ძალიან შემაშფოთებელია. ნიუ-იორკი ქალაქია, სადაც 80 ენაზე საუბრობენ. ტერაქტის მსხვერპლი 62 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი იყო.

პირველ რიგში გრაუნდზეროზე მივდივარ.

– You mean the World Trade Center Site?[404] – მეკითხება ტაქსის მძღოლი.

ნიუიორკელები გრაუნდზეროს არ ამბობენ. მანქანა ქალაქის ყველაზე დაბალ წერტილში, ოკეანის ნაპირას, პირდაპირ გისოსებთან ჩერდება. ნიუ-იორკი დღეს გისოსია, რომელზეც დაღუპულთა ფოტოები, სანთლები და დამჭკნარი ყვავილებია მიმაგრებული. შავი ფერის დაფაზე ყველა „გმირის» (ანუ მსხვერპლის), უფრო სწორად, ყველა მოწამის სახელია ჩამოთვლილი. სხვათა შორის, მემორიალზე ჯვარია აღმართული, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დაღუპული ქრისტიანი არ იყო... დათოვლილ მიწაზე ყვავილები ყრია. დამავიწყდა, მეთქვა: ძალიან ცივა, თხუთმეტი გრადუსი ყინვაა, 15 გრადუსი ზეროს ქვემოთ, ზეროზე ნაკლები: კარგი იდეაა ბრეტ ისტონ ელისისთვის[405]. Less than Ground Zero, გრაუნდზეროზე ნაკლები. მსოფლიო ფინანსური ცენტრის პირველ შენობაში შევდივარ. ეს აქ ერთადერთი გადარჩენილი შენობაა. არავითარი ჩხრეკა, არანაირი კონტროლი,

თავისუფლად შემეძლო ტონა დინამიტის შეტანა. ზამთრის ბაღში, მინის გუმბათის ქვეშ, რომელიც აშკარად ლონდონის „ბროლის სასახლის» შთაგონებითაა შექმნილი, ფანჯრიდან ვიყურები, რომელიც პირდაპირ უზარმაზარ პირღია ორმოს გადმოჰყურებს. გრაუნდზერო ბულდოზერებით სავსე კრატერია. ასობით მუშა უკვე შეუდგა სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. პირველ სართულზე სხვადასხვა არქიტექტურული პროექტია წარმოდგენილი. არჩევანი დანიელ ლიბესკინდის სტუდიის პროექტზე შეჩერდა. აქ აშენდება ოთხი U-ს ფორმის, მსოფლიოში ბროლის ყველაზე მაღალი ცათამბჯენისგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც დამსხვრეული კვარცივით აირეკლება მათ შორის განთავსებულ აუზში. ასეთი შენობის აფეთქება არავის მოუნდება, ის ისედაც აფეთქებულია. მე ჯგუფ Think-ის პროექტი მომწონდა. მსოფლიო ფინანსური ცენტრის მეორე მხარე ოკეანეს გადაჰყურებს: აქეთ ოკეანე, ქაფი და „სტარბაქსის» ყავაა.

ჩემს ყურადღებას ნაგვის გაუმჭვირვალე ურნები იპყრობს. ჩანს, საფრანგეთის პოლიციას აქაური კოლეგებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია ისლამისტი ტერორისტების პარიზული modus operandi[406], მოქმედების სტილზე: ურნებში ჩაგდებული ლურსმნებით გატენილი აირის ბალონები და რაღაც ეგეთები... საფრანგეთში ჩვენ კარგა ხანია მივეჩვიეთ შიშის ქვეშ ცხოვრებას. აქ, სადაც გაიხედავ, ყველგან „კოპებია“, მზის სათვალითა და რაციით ხელში, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ენდობიან ადამიანებს. გრაუნდზეროდან 30 მეტრში, გრინვიჩის ქუჩის 96-ში Pussycat Lounge-ს შიშველი ფერიები ცეკვით ამტკიცებენ, რომ ცხოვრება გრძელდება. „ვოდკატონიკის» გადაკვრის მერე ფედერალური სარეზერვო ფონდისკენ მივემართები, სადაც მიწის ქვეშ 24 მეტრის სიღრმეში 10.108.475 კილოგრამი ოქროა დაცული, მერე 1764 წელს აშენებულ წმინდა პავლეს სასწაულებრივად გადარჩენილ საკათედრო ტაძარში შევდივარ. აქ მაშველებისადმი მიძღვნილ ექსპოზიციას ვათვალიერებ: ვიტრინაში დაკარგულთა ფოტოები, ნანგრევებში ნაპოვნი ნივთები, კბილის პასტები, პამპერსები, ბანდის შეკვრები, კანფეტები, ჯვრები, ქაღალდის ფურცლები და ბავშვების ასობით, ათასობით ნახატია გამოფენილი. ხელი პირზე ავიფარე. ნანახმა საკუთარი უბედურება დამავიწყა. იდგა ცინიკოსი ამ გულისამაჩუყებელ ტკივილში და ტიროდა.

მოგვიანებით აქედან ოდნავ მოშორებით მდებარე კიდევ ერთ სრიპტიზბარ „კარუსელში» ტანგაში გამოწყობილი მოცეკვავე მიყვება, როგორ ზიდავდნენ 11 სექტემბრის მერე ორი კვირის განმავლობაში „მაშველთა არმიის» წევრები მათგან ყინულებს, რათა გარდაცვლილთა ნათესავებისა და მაშველებისთვის, რომლებიც გაუსაძლის სიცხესა და ბოლში ნანგრევებს წმენდნენ, ცივი სასმელი მიეტანათ.

– როცა ტერაქტიდან ერთ კვირაში კლუბი გაიღო, გოგოები ჭკუაზე აღარ ვიყავით: ბარი აივსო უფასო სასმელს დახარბებული, გადაქანცული მუშებით, რომლებსაც ლაპარაკი და გულის გადაშლა უნდოდათ. სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანების სირენები დღედაღამ კართან გაჰკიოდა, ყველაფერი იწვოდა, ხალხის ტევა არ იყო, ყველას ყურადღების გადატანა უნდოდა, მახსოვს, იმ დღეებში ტანსაცმელზე სულ თეთრი მტვერი მედო.

09:25

საერთოდ, რესტორნებში, როგორც გამიგია, საჭმელებს წვავენ და არა კლიენტებს. აქ კიდევ მწვადი ჩვენ ვართ. მამა ტუალეტიდან ისეთი შეწუხებული გამოვიდა, რო ლურდესს სახეზე კითხვის ნიშანი დაეწერა. მამამ უარის ნიშნად თავი გაუქნია.

– ენტონი იქ ჯეფრისთან ერთად დარჩა, – თქვა მან.

ჰგონია, რო მე და დეივი ვერაფერს მივხვდებით. დეივისა არ ვიცი და მე ყველაფერს მშვენივრად ვხვდები. ვიცი, რო აქ ჩაკეტილები ვართ, ვეღარც ზემოთ ავალთ და ვეღარც – ქვემოთ, აქ კი საშინელი სიცხეა. ისე მცხელა, ისე, რო მეტი აღარ შეიძლება. ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო, მარა არ გამომდის. სიკვდილისთვის ჯერ ძაან პატარა ვარ. მინდა, რომ ასტრონომია ვისწავლო, ჩემს ტელესკოპში ვარსკვლავებს ვცნობდე, NASA-ს მეცნიერ-ასტრონავტი გამოვიდე და კოსმოსში ვიფრინო.

ფისი მინდა, ამიტომ მამას ხელს ვუშვებ, რომელიც დევიდს უხსნის, ბეტმენი არ ვარო.

– ბეტმენიც რომ იყო, მაინც არ გამოტყდებოდი, რო ბეტმენი ხარ! – ეუბნება დევიდი.

– სად მიდიხარ?

– ფისი მინდა.

– მოიცა... არა!

მაგრამ უკვე გვიანაა, მე კვამლით სავსე დერეფანში გავრბივარ, ტუალეტის კარს ვაღებ და რას ვხედავ?! ენტონი იატაკზე წევს, ჯეფრი კი იქვე სარკეში იყურება.

– რა მოუვიდა? მოკვდა?

– არა, სძინავს!

– შენ რას შვრები?

– ვფიქრობ.

– მე ტუალეტში შევალ, სანამ შენ ფიქრობ.

– კაი.

ვერ ვაკეთებ. არ გამოდის. ასე მემართება ხოლმე ხანდახან, როცა ირგვლივ ხალხია. ვდგავარ დებილივით.

– რას შვრები, ქენი თუ არა?

– არა, მინდა, მარა არ გამოდის.

– მეც. მინდა, მარა ვერ გავდივარ აქედან.

შარვალს ვიწევ. ვცდილობ, თავი შევიკავო, მარა ჯეფრი მაინც ხვდება, რო ვტირი. ერთმანეთს ფაიფურის ძაღლებივით ვუყურებთ. ჯეფრი რაღაცის თქმას ცდილობს, მარა აზრებს ვერ აწყობს: „ძალიან ბევრი... მე არ... ყველა მოვიყვანე... რა ვქნათ... არ შემიძლია“. ვგრძნობ, რომ ლაპარაკი უნდა, მარა აზრები გაურბის. და ამ დროს, ჯანდაბა ამის თავს, შარვალში გამეპარა...

რო გამოვედი, მამა იქ იდგა, დევიდი ხელში ყავდა აყვანილი. ძაან გამიხარდა მამაჩემის დანახვა და კიდე გამიხარდა, რო არ მეჩხუბა. ორივე სათადარიგო გასასვლელთან მიგვიყვანა. მე ვუთხარი, რო ენტონი ისვენებდა, ჯეფრი კი „ჩავიდა“.

– რას ნიშნავს „ჩავიდა?“

– თქვა, ჩემი მეგობრებისთვის რამე უნდა ვქნაო და წავიდა. უცნაური სახე ქონდა. თქვა, ფანჯრიდან ჩავალო. მა, როგორ

ჩავა ფანჯრიდან?

მამა ძაან დასევდიანდა. მიხვდა, რომ ჩავიფსი, მარა არაფერი მითხრა. კიდევ კაი, თორე დევიდის ყბიდან რა ამოვიდოდა. ჯერ ცხვირიდან სისხლი მომდიოდა, ახლა კიდევ ეს. ხო აზრზე ხარ, რას მიზამდა?

– ბავშვებო, მე მგონი, ჯეფრის ვეღარ ვნახავთ.

ღმერთო, რა საშინელებაა!

09:26

„პასტისში» თეთრ ღვინოს ვუკვეთ. ეს რესტორანი ახლა ძალიან მოდაშია. იგი კიდევ ერთი მოდური რესტორნის, „ბალთაზარის» მეპატრონემ კეიტ მაკ ნელიმ გახსნა. ტრადიციული ფრანგული ლუდხანის დეკორი შუა Meat Market-ში მშვენიერი იდეა იყო, თუმცა სამწუხაროა, რომ აქ საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები არ დატანტალებენ. ჩემს შეყვარებულს ვუთხარი, რომ ნიუ-იორკში მარტო უნდა გავმგზავრებულიყავი, რის მერეც მან საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემთან დაშორება. ხალხი ფიქრობს, რომ უდარდელი ცხოვრება მაქვს, მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ არის. ინვალიდივით ვარ, ბოლომდე ვერაფერი მიმყავს. დაქორწინებას განშორება მოჰყვა, შვილის გაზრდაში თითქმის არ ვმონაწილეობ, შეყვარებული ვარ და ნიუ-იორკში მარტო გავრბივარ. ჩემი საქციელი უკვე აღარაფერში წერია და სამწუხაროდ, ჩემნაირი ბევრია. No man’s land-ში[407] ვცხოვრობ. აღარც PLAYBOY INTERNATIONAL-ი ვარ და აღარც ბედნიერი მეოჯახე. მე ვარ ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებას ვერ იღებს და რომელსაც არავინ თანაუგრძნობს. ჩემი საქმე წასულია. წუწუნის უფლებაც კი არ მაქვს. შინაგანად მახინჯი და ინვალიდი ვარ. ზუსტად, როგორც ენრიკო მასიასის სიმღერაშია: „სიყვარულის მათხოვარი». უამრავ ოცდაათი წლის ადამიანს ვიცნობ, რომელიც ჩემნაირ მდგომარეობაშია. ეს სიყვარულისთვის გამოუსადეგარი ხალხია. ერთი შეხედვით, თითქოს ზრდასრული, გამოცდილი ადამიანები არიან, სინამდვილეში კი ბავშვებივით იქცევიან. მოკლედ, გარედან მტერს უბნელებენ თვალს და შიგნიდან – მოყვარეს. არც წარსულის მოგონებები აქვთ და არც სამომავლო გეგმები. თან უნდათ, რომ საკუთარ მამებს ჰგავდნენ და თან არაფერი

საერთო არ უნდათ მათთან ჰქონდეთ. მამებისგან მიტოვებულებს თვითონაც არ ღირსებიათ მამობა. ეს საყვედური არ არის, რადგან ეს მათი კი არა, საზოგადოების ბრალია. 1968 წლის პირმშოებმა ვერაფერში ივარგეს. არც სტაბილური შრომა შეუძლიათ და არც – სტაბილური ურთიერთობები. დეფექტური ფსიქიკა აქვთ: ქორწინება ხუთავთ, უოჯახოდ ითრგუნებიან. ფსიქოთერაპევტებიც კი მხრებს იჩეჩენ: არ იციან, რა მოუხერხონ. ავტორიტეტებს ისინი არ ცნობენ და ჩიხური სიტუაციიდან გამოსავალს ვერ პოულობენ. საკუთარი ბავშვობა დავივიწყე, მაშინ, როცა ყველაფერში მხოლოდ დასაწყისს ვეძებ; საკუთარ შვილს არ ვზრდი, როცა ნებისმიერ იდეაში სათავე და ჩანასახი მაინტერესებს მხოლოდ. საუკუნეების განმავლობაში ხალხი სხვაგვარად ცხოვრობდა. ოჯახში იყვნენ: დედა, მამა და მათი შვილები. ორმოციოდე წლის წინ კი გადავწყვიტეთ, მამის ადგილი გაგვეუქმებინა და შედეგიც სახეზეა. აბა, რას ველოდით? რომ ყველაფერი ძველებურად იქნებოდა? ყველაფერი თავის ადგილს რომ დაუბრუნდეს, ისევ საუკუნეები უნდა გავიდეს. მე „მამის გაქრობით» მიყენებულ ზარალსა და შედეგს წარმოვადგენ.

ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ჩემ გარდა აღარავინ მიყვარს. ეს დღე სარკეში ჩახედვას ჰგავდა. ჯერ მთელი დილა ვფიქრობდი, ტელევიზიაში ჩაწერის დროს რა მეთქვა; შუადღისით, ნაფიქრს კამერების წინ ვიმეორებდი; საღამოს უკვე საკუთარ სიტყვებს ვისმენდი, ხანდახან ოთხჯერაც კი, იმიტომ, რომ ინტერვიუს რამდენჯერმე იმეორებდნენ. წინა დღით ჩემი გამოსვლის მონტაჟს დავესწარი და საკუთარ თავს მონიტორზე შვიდი საათი ვუყურე. ფერად ეკრანზე მხოლოდ ჩემი ფიზიონომიის ყურება მსიამოვნებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესეც არ იყო საკმარისი. ჩემს მეგობრებს ჯერ ვურეკავდი, რომ გადაცემის დაწყების დრო შემეხსენებინა, მერე კი გამეგო, უყურეს თუ არა. ყველას ვეპატიჟებოდი, რათა თვალთმაქცური ირონიითა და ჭიქით ხელში მეთქვა: „მოდი, გუნდურად ვუყუროთ ჩემს თავს».

მე ვადანაშაულებ სამომხმარებლო საზოგადოებას, რომ შემქმნა ისეთი, როგორიც ვარ: უძღები! მე ვადანაშაულებ ჩემს მშობლებს, რომ შემქმნეს ისეთი, როგორიც ვარ: უხერხემლო! მე ვადანაშაულებ სხვებს, რათა არ დავადანაშაულო საკუთარი თავი!

ბავშვობიდან თითქმის არაფერი მახსოვს. რამდენიმე მომენტი, თუმცა ამელი ნოტომზე[408] ნაკლები. მშურს იმ ადამიანებისა, რომლებსაც თავისი ჩვილობის ამბავიც კი წვრილად შეუძლიათ გიამბონ. მეხსიერება მხოლოდ რაღაც გაელვებებს ინახავს, რომლებსაც ქაოსურად გიყვებით. ეგ არის და ეგ. ხანდახან მგონია, რომ 1990 წლამდე არც კი ვარსებობდი. სწორედ 90-ში გამოქვეყნდა ჩემი პირველი რომანი: სხვათა შორის, მემუარები. მწერლობამ ცხოვრებაში დამაბრუნა.

მაგალითად, მახსოვს მამაჩემის აგარაკი ვერბიეში, 1980 წელს. სახლში მხოლოდ მამაკაცები ვიყავით. მომწონდა ეს „კაცური» დასვენება და თხილამურებზე სრიალი. ყოველდღე ფონდიუს[409] ვჭამდით. სახლში ქალები არ იყვნენ და ტვინსაც არავინ გვიჭამდა. მე ბუხარში ცეცხლს ვანთებდი, შარლი დაღამებამდე თხილამურებზე სრიალებდა, მამა ამერიკულ ჟურნალებს კითხულობდა. ის ყოველ დილით მე და ჩემს ძმას, „იკეას» საბნიდან გადმოყოფილ ფეხებზე ღუტუნით გვაღვიძებდა. ცდილობდა ის სითბო აენაზღაურებინა, რაც 15 წლის განმავლობაში დაგვაკლო.

მახსოვს ასევე, როგორ დავიწყე 10 წლის ასაკში სამგზავრო დღიურის წერა კუნძულ ბალის პლაჟზე, ინდონეზიაში. შუალედებში ჩემს უფროს ძმასთან საზღვაო შერკინებებით ვირთობდი თავს, სანამ მამა სასტუმროს ბარში გარუჯულ ნაშებს აბამდა. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ აღარასდროს შევწყვეტდი ჩემი ცხოვრების ქაღალდზე გადატანას. იმ პატარა მწვანეყდიანი ბლოკნოტის ტყვეობას დღემდე ვერ დავაღწიე თავი.

გადავწყვიტე, საკუთარ თავში გავერკვე. პრუსტისეული „უნებლიე მეხსიერების» დაბრუნებას არ დავუწყებ ლოდინს, თავად გავემართები განვლილი გზის საძიებლად.

ნეი-სურ-სენის შესახებ არაფერი მახსოვს. ვიცი, რომ იქ დავიბადე ერთ პატარა, თეთრკედლებიან სამშობიაროში. მე ხომ „ცხრა-ორიდან“[410] ვარ. ალბათ, ჩემი ფუფუნებისადმი ლტოლვაც აქედან მოდის. მიყვარს სისუფთავე, მოვლილი ეზოები, უხმაურო მანქანები, საბავშვო ბაღები, სადაც მძევლად აყვანის მოყვარულებს გაუფრთხილებლად ახლიან შუბლში ტყვიას და გერმანელი ძიძები, რომლებსაც რატომღაც მაინც ინგლისურად nurse-ს ვეძახით. ბავშვობა ყველაზე მოსაწყენი დროა.

დიდი სიამოვნებით მოგიყვებოდით სკანდალური ხელოვანის მძიმე ბავშვობის შესახებ. ძალიან მინდა კოზეტი[411] ვიყო, მაგრამ სამწუხაროდ, არაფერი პათეტიკური არ გადამიტანია ცხოვრებაში. მთელი ჩემი პათეტიკა მის არქონაშია.

მე არ ვყოფილვარ ნანატრი ბავშვი. უფროსი ძმის დაბადებიდან 17 თვის მერე მე ვიყავი ის, რაც იმხანად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა: დაუგეგმავი მეორე ფეხმძიმობის ნაყოფი. ბიჭუნა, რომელიც სასურველზე ადრე გაჩნდა. არანაირი სენსაცია! ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტები 1965 წელს ჯერ ფართოდ არ იყო გავრცელებული და ახალშობილთა უმრავლესობა ამქვეყნად დაუპატიჟებელი სტუმარივით მოდიოდა. ორი ბავშვი, მოგეხსენებათ, ორჯერ მეტი თავსატკივარია, ამიტომ, უნდა ვაღიარო, რომ მამაჩემის ადგილას მეც ზუსტად მისნაირად მოვიქცეოდი: დავახვევდი სახლიდან, რაც 33 წლის შემდეგ, როცა ჩემი შვილი გაჩნდა, გავაკეთე კიდევაც.

კი, ბატონო, მე არ ვიყავი ნანატრი და სასურველი ბავშვი. რა მოხდა მერე? მილიონობით ასეთი ადამიანი დადის დედამიწაზე და რაღაცნაირად ეგუება ამ აზრს. მით უმეტეს, რომ საპრეტენზიო არაფერი მქონია: სითბო, სიყვარული, ხელისგულზე ტარება და განებივრება არ მომკლებია. შვილები ხომ არასდროს არიან კმაყოფილნი. ხან სიყვარულის ნაკლებობას უჩივიან, ხან კი – მეტობას. არ მინდა ახლა რომენ გარივით[412] წუწუნი, ზედმეტად ვუყვარდი დედაჩემს-მეთქი. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რაიმე ტრავმის მიღება მშობლისგან. ეს აუცილებელია. ჩვენ, ყველანი, ტრავმირებული ბავშვები ვართ, რომლებიც, ჩვენი მხრივ ჩვენს შვილებს ვაყენებთ ტრავმას. მე მირჩევნია ჩემმა მშობლებმა მომაყენონ ტრავმა, ვიდრე უცნობმა ადამიანებმა.

და მაინც, ყველაფრისდა მიუხედავად, მე დაუპატიჟებლად მოვევლინე ამ ქვეყანას, საკუთარი ნება-სურვილით მოვაკაკუნე მის კარზე. ბოდიში, მაგრამ მაგიდაზე ერთი თეფშის დამატება მოგიწევთ და დესერტიც იმდენი აღარ შეგხვდებათ-მეთქი. მას შემდეგ სულ მგონია, რომ ყველგან ზედმეტი ვარ. ვერ იქნა და ვერ მოვიშორე ეს კომპლექსი. აქედან მოდის ჩემი პარაზიტული ცხოვრების წესიც. ჩემი ცხოვრება იმ საღამოს ჰგავს, რომელზეც მოსაწვევი ბარათის

გარეშე მიდიან.

თუმცა გამოსავალი ვიპოვე. იმ საშუალებას მივაგენი, რომელიც ყველასთვის სასურველ სტუმარს გამხდიდა. ეს ტელევიზია იყო. მინდოდა, მუხლმოდრეკილ მასებს ჩემთვის მადლობა ეხადათ, იმისთვის, რომ ვარსებობ; მინდოდა, ჩემი ფანების ურდოებს მათი კერპისთვის თვალის შევლებაზე ეოცნებათ; მინდოდა, ვყოფილიყავი რჩეული, ცნობილი, პოპულარული. სასაცილოა, არა? ასეთი პატარ-პატარა სისულელეების გულისთვის მუშაობენ ადამიანები ჭაპანწყვეტამდე, იმის ნაცვლად, რომ ადამიანურად იცხოვრონ.

09:27

რა მომწონდა ყველაზე მეტად ქენდეისში და მისი „ჰეზბოსური» ბუნება. ყოფილი ლესბოსელი ისეთი დახელოვნებული იყო საკუთარი სხეულის ცოდნაში, რომ ზუსტად იცოდა, რას და როგორ უნდა შეხებოდა, რომ მაქსიმალური სიამოვნება მიეღო. ქალი, რომელიც არასდროს წოლილა ქალთან, ვერ იქნება ასეთი სექსუალური; ისევე როგორც – მამაკაცი, რომელიც არასდროს ყოფილა ბისექსუალი. რატომ ვფიქრობ ამ სექსუალურ სისულელეებზე, იმის ნაცვლად, რომ თავს ვუშველო? სწორედ – იმიტომ, რომ თავს რაღაცნაირად ვუშველო. სანამ სექსზე ვიფიქრებ, ცოცხალი ვიქნები. როცა სხვა რამეზე დავიწყებ ფიქრს, ესე იგი, უკვე მოვკვდი. ჯერი მეც ისე მიყურებს, როგორც – ზოგადად ცხოვრებას: დაუმსახურებელი კეთილგანწყობით. იქნებ ამას ჰქვია სიყვარული: სიკეთე მიზეზის გარეშე?

– რა უნდა ვქნათ, მამიკო?

– ვერაფერს ვიზამთ. აქ უნდა დაველოდოთ. ქვემოთ ჩასვლას მაინც აზრი არა აქვს.

– საცაა სახურავზე მაშველთა რაზმებს გადმოსხამენ, – ამბობს ლურდესი, – რომლებიც კარს შემოანგრევენ და აქედან გაგვიყვანენ.

– ასე ფიქრობ? მე მგონი, ვერტმფრენს გაუჭირდება ასეთ ბოლში დაჯდომა.

– დაჯდომა არც დასჭირდება. საკმარისია რამდენიმე კოპის და

სათანადოდ აღჭურვილი მეხანძრეების თოკით სახურავზე დაშვება. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ გავლილი აქვთ სპეციალური მომზადების კურსები.

ლურდესი იმედს არ კარგავს. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კლაუსტროფობიურ გალიაში ვიღაცას აუცილებლად უნდა სჯეროდეს. იმედი ესტაფეტასავითაა, ჟანგბადის ბალიშივითაა, რომელსაც რიგრიგობით გადავცემთ ერთმანეთს.

– მაშველები სახურავზე შავ ფორმებში, ნიღბებსა და ეგეთ რამეებში დაეშვებიან, არა? – კითხულობს ჯერი.

– ჰო. აბა მიკის, დინგოს და დონალდის ფორმებს ხომ არ ჩაიცვამენ, – პასუხობს დევიდი.

– მაგარია. შესადუღებელი აპარატით, რანაირი ჩარაზულიც უნდა იყოს კლიტე, მაინც ორ წუთში გააღებენ.

– ალბათ დაბლოკვის ელექტრონულ სისტემაზე მიერთებასაც შეძლებენ, ტომ კრუზივით – „მისია შეუსრულებელია“.

– ვაუ! თოკზე ფეხით დაკიდებული! რა მაგარია!

რაღაცის აუცილებლად უნდა გვჯეროდეს. ლურდესი და ჯერი ისევ იწყებენ ლოცვას: God save us, please save us.[413] ერთმანეთს ხელებს ვკიდებთ და ჩვენი საპყრობილის ჭუჭყიან ჭერს შევყურებთ.

09:28

კატასტროფები საჭიროა: მათ შემყურეს ცხოვრება გინდება. 2000 წლის ნიუ-იორკი 20-იანი წლების პარიზს ჰგავს, 1914-1918 წლების მასობრივი მკვლელობების შემდგომ პერიოდს. „შეშლილი წლების» დადგომა საფრანგეთში შამპანურით აღვნიშნეთ. ამერიკელები იმხანად დროის გასატარებლად პარიზში ჩადიოდნენ. 11 სექტემბრის შემდეგ, „შეშლილი წლები» უკვე ნიუ-იორკში დადგა და ფრანგებიც აქეთ მოდიან, ოღონდ შეურაცხყოფის მისაღებად. პირადად მე, ვცდილობ ესპანური აქცენტით ვილაპარაკო. ასე უფრო მშვიდად ვიქნები:

– Olé ! Esta magnifico! Muy muy caliente![414]

ნიუიორკელი „გროგები» თავისიანად მთვლიან. „დიდი ვაშლი»

ხომ აკრძალული ხილია, რომელსაც მთელი მსოფლიოს ევები თავისი ქათქათა თეთრი კბილებით ხრავენ. თვითმფრინავებმა აქაურობა ერთ დიდ „საროსკიპოდ» გადააქციეს. იქნებ ზედმეტად ოპტიმისტი ვარ? ქალაქი გლოვობს, ალბათ, ამიტომ აცვია ყველას შავები. მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისს თუ შეხვდებით, რომელმაც შეძლო უბედურების დავიწყება და ცხოვრების ძველებურად გაგრძელება. სინამდვილეში კი ბევრი რამ შეიცვალა, ამას ძალიან მალე მივხვდები.

ამასობაში, ბარ Idlewild-ში, ქვედა ისტსაიდში ქალები და მამაკაცები წელს ზემოთ შიშვლები დადიან. ქალებს ძუძუებზე ყვავილები ახატიათ. ამ ტენდენციას swinging lite[415] ჰქვია. ყველა ერთმანეთს ეხვევა, კოცნის, ეგლასუნება, მაგრამ სექსი არ შეიძლება. ასეთი საღამოები ხშირად ტარდება, ყველაზე ცნობილი მათში Cake-ია.

– ეს ორგია არ არის, – მიხსნის ბარის მეპატრონე, – უბრალოდ „სექსფართია“.

ხშირად წყვილი ასეთი საღამოებიდან ვინმე მესამესთან ერთად მიდის. არა აქვს მნიშვნელობა, ქალი იქნება თუ მამაკაცი და მერე ერთი-ორი დღე ტელეფონს აღარ იღებენ. აქ ისეთ მამაკაცებსაც შეხვდებით, რომლებსაც უბრალოდ მოსწონთ იმის ყურება, როგორ ლოკავენ მათი ცოლები ვინმე სხვას. ასეთ საღამოზე ჩაწერა შესაძლებელია მისამართზე: www.cakenyc.com ან www.onelegupnyc.com. ეს უფრო hard-ია (მაგალითად, ბოლო საღამოზე მათი პაროლი იყო: eat me[416]). შესვლის საფასური: წყვილისთვის – 50$, ქალისთვის – 15$. ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ასეთი საღამოები ძალიან მალე მთავრდება, რადგან ყველა სასწრაფოდ საჟიმაოდ გარბის. ამ ახლებური დროს ტარების მიზანი ერთგულების შეზღუდვებიდან გამოსვლაა, წყვილის ტრადიციული ურთიერთობების ფორმატიდან გათავისუფლებაა, ერთმანეთის სხვანაირად, საკუთარი სურვილების შეწირვის გარეშე სიყვარულია.

ნიუ-იორკი ერთადერთი ადგილია, სადაც ამგვარ „რარიტეტს» ნახავთ: გოგონები, რომლებსაც შუა ზამთარში ფეხზე სანდლებში აცვიათ, ხელში სამკუთხედ ჭიქებში ჩასხმული ვარდისფერი კოქტეილი უჭირავთ და კრეიგ დევიდის ჰანგებზე ცეკვავენ. „კოსმოპოლიტანის» რეცეპტი ასეთია: ლიმონის „აბსოლუტი“, „კუანტრო“, შტოში და მწვანე ლიმონი. ამას

ყველაფერს ერთმანეთში ვურევთ და მარტინის ჭიქებში ვასხამთ. ამ ვერაგმა სასმელმა ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი „ტონუსი» გამახსენა (ჯინი, არაყი, ბროწეულის სიროფი და ფორთოხლის წვენი): მეხსიერებაში პირველმა ლოთობამ და ვენაში აჩუხჩუხებულმა ცხელმა სისხლმა გაიელვა. ერთ ჭიქას ვუკვეთ თუ ხუთს?.. ბინ ლადენს ცუდი უნდა ამ გოგონებისთვის, მე კი – მხოლოდ კარგი მათი ვიწრო მაისურებში გაჭედილი გათქვირული ძუძუებისთვის. ალკოჰოლი სიყვარულივითაა: თავიდან ძალიან მაგარია... და უეცრად გონება გამინათდა და მივხვდი: PLAYBOY INTERNATIONAL-ი დღეს ქალია. ბრიჯიტ ჯონსია ან კერი ბრედშოუ ფილმიდან „სექსი დიდ ქალაქში». სწორედ მათი ეშინიათ ისლამისტებს და ეს გასაგებიცაა. მათი მძიმე არტილერიის, რა დაგიმალოთ და, მეც მეშინია: ტუში, ბდღვრიალა ტუჩსაცხები, მაცდური სუნამოები და აბრეშუმის საცვლები. ამ ქალებმა ომი გამომიცხადეს და მე, საწყალიც, შიშმა ამიტანა. იმიტომ, რომ შინაგანი ხმა მკარნახობს: ყველას ვერ გაჟიმავ. აუცილებლად გამოტყვრება ვიღაც ახალი, რომელსაც უფრო მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცმევა, ვიდრე მის წინამორბედს და ა.შ. ეს არასოდეს დამთავრდება. ყოველდღე რომ თითო ჩარტერული რეისი დაატეხონ თავზე, მაინც ვერ შეაჩერებენ ამ საშიში ლამაზმანების, ამ ძვირფასი როსკიპების, ამ იმპერიალისტური სექსუალურობის შემოტევას, რომლებსაც მაისურებზე I ESCAPED THE BETTY FORD CLINIC[417] აწერიათ. ვერაფერს გახდებიან მათი გასაგიჟებელი დეკოლტეების და აპრეხილი წამწამების ფახულის წინააღმდეგ. ისინი კი უდიერად გესვრიან რეპლიკას:

– You’re not on my to-do list,[418] ერთი აქედან დაახვიე, მენ. დღეს მონადირე მე ვარ. Scram! Beat it[419]!

– ყავა, თუ შეიძლება და ტაქსიც გამომიძახეთ.

იქნებ სიამოვნების სურვილმა შიშს აჯობა? ინტეგრისტები დეზინტეგრირებულნი არიან. საფრთხემ საპირისპირო შედეგი გამოიღო. ჰედონიზმმა პიკს მიაღწია. ბაბილონი გაცოცხლდა. არც ერთი ქალი არ იმალავს ჩადრით სახეს, პირიქით, სტრიპტიზრესტორნებს ეტანებიან, „დახუჭობანას» თამაშობენ, სამსახურში კოლეგებს ეთომარებიან და speed dating[420] საღამოებზე პირველივე შემხვედრ მამაკაცს კისერზე ეკიდებიან. სანამ იქ, შორეულ ქვეყნებში ბომბები ცვივა, აქ

„შეშლილი წლები» თავაშვებულ სტარტს იღებს. ხალხი სიცილით ეხვევა ერთმანეთს და ტერორიზმი ნამსხვრევებად იქცევა. ტერორიზმი არავის ატერორებს, იგი მხოლოდ თავისუფლების სურვილს ამძაფრებს. სექსი სიკვდილთან ცეკვავს. აქ არ არიან გამარჯვებულნი, მხოლოდ ჩემნაირი ლუზერები[421] არიან. ტრანსსექსუალების ჩინურ კაბარეში (Lucky Cheng), Happy birthday-ის მოტივზე ათრთოლებული ხმით ასე მღერიან:

– Happy blow job to you! Happy blow job to you! ბედნიერ მინეტს გისურვებთ!

ჰაშიშით დაბოლილმა წვერიანმა მრავალცოლიანებმა გადაწყვიტეს სათნოების გაკვეთილი ჩაგვიტარონ. ეგრე იყოს, ჩათვალეთ, რომ გაიმარჯვეთ, ამის მერე თქვენნაირად ვიცხოვრებთ: ჩვენც თქვენსავით ნარკომანი პოლიგამისტები გავხდებით.

09:29

უკვე 45 წუთი გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხქვეშ თვითმფრინავი აგვიფეთქდა. „როგორ მინდა, რომ ბუზი ვიყო“, – ამბობს ჯერი.

– გაგიჟდი – ეუბნება დევიდი, – არ გინახავს ბუზი ფანჯრის მინას რომ ასკდება და გარეთ ვერ გადის? ჩვენნაირად!

– მართალს ამბობს, ჯერი. ჩათვალე, რომ მე და შენ უკვე ბუზები ვართ. დეივი კი კოღოა. ბზზზზ... აბა, დავიწყოთ ბზუილი და Windows-ს დავეჯახოთ.

და მეც ვიწყებ ბზუილსა და აქეთ-იქით სირბილს. ლურდესი თვალებდაჭყეტილი მიყურებს, ჯერი – პირდაღებული. ბოლოს, როგორც იქნა, ჯილდოსავით დევიდის სიცილი ისმის: მან ქაღალდის ხელსახოცით შუბლზე პატარა ანტენები გაიკეთა. ლურდესი ტაშს უკრავს, ჯერიც გვიერთდება და სამივენი ბზუილ-ბზუილით კედლებს ვასკდებით. ენტონიმ სწორად შეარჩია ადგილი. ეს ნაწილი ყველაზე იზოლირებული გამოდგა, რადგან ყველა ხვრელის და ჭუჭრუტანის დაქოლვა იყო შესაძლებელი. ლურდესი სახურავზე გასასვლელ კარს ყურს ადებს და გვანიშნებს, ჩუმად ვიყოთ, ვერტმფრენისა და მაშველების ხმა არ გამომეპაროსო; თუმცა ფოლადის ძელების დნობის, დამწვართა კვნესისა და გამძვინვარებული ცეცხლის

ტკაცატკუცის გარდა, არაფერი ისმის. მაშინ დევიდი-კოღო ისევ ბზუილს იწყებს, ძმას თითს არჭობს, „გიკბინეო» და ორომტრიალიც იწყება.

კიდევ ერთი წუთით მივუახლოვდით სიკვდილს.

09:30

ამერიკაში მოგზაურობა ძველი ფრანგული ტრადიციაა, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ შატობრიანმა[422] და მისმა დისშვილმა, ტოკვილმა[423] ჩაუყარეს. ჩვენ გვიყვარს ამერიკული გიგანტიზმის ცინიკური აღფრთოვანებით ყურება. მეცხრამეტე საუკუნეში რომანტიზმი და სკვოები[424] იყო, მეოცეში – მსოფლიო კაპიტალიზმი და სამომხმარებლო საზოგადოება (მორანისა[425] და სელინის ნიუ-იორკი), ოცდამეერთეში კი უკვე სისტემის ხარვეზებმა იჩინეს თავი. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, როგორ გავქრებით ერთ დღეს, საკმარისია წვიმიან ამინდში ბროდვეიზე ფეხით გავიაროთ. ცხოვრებისგან დაღლილ-დაქანცული ფუნქციონერები ტროტუარებზე დადგმულ ხის ტაფჩანებზე გაშხლართულან, მასაჟისტები კი მათ კეფას უზელენ. სექსშოპების ადგილი დისნეისთორებმა დაიკავეს. „კოკა-კოლას» თხევად-კრისტალური სარეკლამო ბორდები გაფუჭებულია, მისი სისხლისფერი წითელი ლოგო დაზიანებული სტრობოსკოპივით[426] ნერვიულად ციმციმებს. რა უნდა ამ წვიმისგან დასველებულ ხალხს? ფული უკვე აღარაა მათი ღმერთი. სწორედ ამ პროსპექტზე გაიარა ლუი ფერდინანდ სელინმა 1925 წელს. მოგვიანებით, 1932 წელს, მან თავისი შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში „მოგზაურობა ღამის დასალიერში“: „ეს კვარტალი ოქროთია სავსე. ეს ნამდვილი საოცრებაა. მისი ხმა კარს იქით ფულის შრიალში ისმის. დოლარი სულ უფრო და უფრო მსუბუქი ხდება. ნამდვილი წმინდა სულია, სისხლზე უფრო ძვირფასი». ახლა ყველაფერი სხვანაირადაა, ხალხი აღარ აღმერთებს მაყუთს. ფულმა ადამიანებს იმედი გაუცრუა, მაგრამ სხვანაირი ცხოვრებაც რომ არ იციან? რა ქნან? წვანან ტაფჩანებზე და კეფას იმასაჟებენ, ცოლებს საყვარლებთან ღალატობენ, საყვარლებს – მამაკაცებთან. სიყვარულს ეძებენ, ვიტამინებს ყიდულობენ, მანქანებით დაქრიან და ასიგნალებენ, დიახ, ასიგნალებენ, იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს, ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები

არიან.

საფრანგეთისა და ამერიკის ურთიერთობები ძველი, ჩავლილი ისტორიაა. შეიძლება მათი აღდგენის დრო დადგა. საფრანგეთს ისევ შეუძლია დაეხმაროს ამერიკას (იქნებ ამაში მაინც ივარგოს ამ ჩემმა ქვეყანამ). საფრანგეთი ამერიკის დედა ვერ იქნება (დედა ინგლისია), მაგრამ ნათლიობაზე შეუძლია გაიქაჩოს. გინახავთ, ალბათ, ასეთი ნათლიები: ულვაშიანი მოხუცი ქალები, რომლებსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვხვდებით. პირიდან ცუდი სუნი ამოსდით, მათ დანახვაზე თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობთ და ამიტომ გვირჩევნია, მათი არსებობის შესახებ საერთოდ დავივიწყოთ, გამონაკლისი ის იშვიათი წუთებია, როცა თავს კარგი საჩუქრებით გვახსენებენ.

„მედისონ ავენიუზე» გოგონა მოდის, რომელსაც შუბლზე შავი ჯვარი აქვს გამოსახული, მას ორი ახალგაზრდა ვაჟი და რამდენიმე ბანკის თანამშრომელი მოჰყვება ისევ ისეთი შავი ჯვრებით. მგონი, გავრეკე. რამდენადაც მახსოვს, არაფერი დამილევია. ახლა კი უკვე ათობით ასეთი ადამიანი მხვდება, დიდი და პატარა, წვრილი ჩინოვნიკები და ხელმძღვანელი პირი, ყველას შუბლზე ნახშირით ჯვრები აქვს დახატული. ალბათ, აქვე ახლოს ვიღაც შიზოფრენიკი დგას, გამვლელებს თავგზას ურევს და ისე ასვამს სახეზე ჯვრებს, რომ ისინი ვერც კი ხვდებიან. ქალაქელ ჯვაროსნებში გზას ვიკვლევ და ბოლოს... აი თურმე, რა ყოფილა: აქვე წმინდა პატრიკის ტაძარია. დღეს ოთხშაბათია, დიდმარხვის პირველი დღე. ეკლესიაში შესვლის მოსურნეთა რიგი რამდენიმე კვარტალზე გადაჭიმულა. ხალხი მოთმინებით ელოდება სახეზე ქრისტიანული სიმბოლოს წმინდა ფერფლით გამოსახვას. აი, ასეთი რამ ხდება მსოფლიოს დედაქალაქში. ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი მზადაა თავისი შესვენების ერთი საათი ჭამის ნაცვლად ამ რიტუალს დაუთმოს. საფრანგეთში ასეთი რამ წარმოუდგენელია.

კიდევ ერთი სიახლე: ნიუიორკელები საოცრად კეთილგანწყობილნი, ყურადღებიანნი, დაუზარელნი და თავაზიანნი გახდნენ. მახსენდება 80-იანი წლების თავაწყვეტილი ინდივიდუალიზმი, როცა ნიუიორკელი ისე გადააბიჯებდა ქუჩაში მწოლიარე უსახლკაროს, რომ სვლასაც კი არ შეანელებდა. ასეთ რამეს დღეს ვეღარ ნახავთ. ამის

უპირველესი მიზეზი მაინც ისაა, რომ უსახლკაროები თითქმის აღარ არიან, ისინი ან დაიხოცნენ, ან ჯულიანიმ ქალაქიდან გააძევა. თუმცა გაჩნდა რაღაც სხვაც, აქამდე არარსებული: თავაზიანობა. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ეხმარებოდნენ გამვლელები მხედველობადაქვეითებულ მოხუცს თოვლში ქუჩის გადაკვეთისას, როგორ მიაწოდა ქალმა მამაკაცს შემთხვევით დავარდნილი ქოლგა და როგორ უთმობდა ერთმანეთს ადგილს ორი ადამიანი, რომელმაც ერთდროულად ერთი და იგივე ტაქსი გააჩერა. დღეში ათჯერ, ოცჯერ მხვდებოდა ენით აღუწერელი ჰიბრიდი, წარმოუდგენელი მუტანტი, დაუჯერებელი არსება: ალტრუისტი[427] ნიუიორკელი.

11 სექტემბერს ორი დიამეტრულად განსხვავებული შედეგი მოჰყვა: თანაგრძნობა ქვეყნის შიგნით და ულმობლობა მის ფარგლებს გარეთ.

09:31

მე მქვია დევიდ იორსტონი და მამაჩემი სადაცაა სუპერმენად გადაიქცევა. მართალია ის არა-არას გაიძახის, მარა მის მუტაციას უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს. რამდენიმე წუთის წინ მან პირველი და უტყუარი ნიშანი გამოავლინა: ბუზივით დაიწყო ფრენა.

– არა, დევიდ, მე არ ვარ სუპერმენი. ნეტავ, ვიყო! თუ გგონია მომწონს და ვამაყობ იმით, რაც ვარ, ძალიან ცდები.

უარყოფის კლასიკური მაგალითი. სუპერძალების მქონე ადამიანები ყოველთვის მალავენ, რომ მაგრები არიან, იმიტო რო, ამით მოქმედების თავისუფლებას და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. აუ, რა მაგარი სუნია შოკოლადის... მნა-მნა!..

– ეს კანფეტების მანქანაა, დნება ას მერვეზე, – ამბობს ლურდესი.

მამაჩემი გალიაში გამოკეტილი მუტანტივით წრეებს ურტყამს. უცებ კამერას ამჩნევს, ჭერში დამაგრებულ პატარა რუხ ყუთს. მაღლა ხტომას იწყებს, თან წისქვილის ფრთებივით აქნევს ხელებს.

– ჰეი, აქ ვართ! ეჰე-ჰეი!..

მამა ჯერ ჯერის იყვანს და კამერას ანახვებს, მერე – მე. ისე მაგრა მავლებს ხელებს, რო ლამის იღლიები ჩამილურჯოს. ეს იმას ნიშნავს, რო მისი სუპერძალები მოქმედებას იწყებენ.

– They can see us! Hello there![428] გაგვიყვანეთ აქედან!

ის ჰაერში ხტება და კამერას ატრიალებს, თითს კარისკენ იშვერს.

– Look at the door! OPEN THE DOOR![429]

მამა პოგოს უბერავს. სუფთა Red Hot-ია. მაგრამ ამ პატარა კამერებს მიკროფონები არა აქვს, ამიტომ ტყუილად ყვირის.

რამდენიმე ასეული მეტრით ქვემოთ, დაცვის ცარიელ ოთახში უამრავ მონიტორს შორის ერთ-ერთზე ორმოცი წლის მამაკაცი და მისი ორი შვილი გაშმაგებით ჟესტიკულირებდნენ. იქვე, გვერდით გაფითრებული სახით ჩუმად იჯდა ქალი და ზურგით კედელს ეყრდნობოდა. სხვა სათვალთვალო კამერები ანახვებდნენ დაცარიელებულ ოფისებს დამსხვრეული შუშებით, გაჭედილ ლიფტებს დანახშირებული გვამებით, კვამლით სავსე დერეფნებს, სპრინკლერებით დატბორილ შესასვლელებს, კიბეებს, რომლებზეც ხალხი ქვემოთ ჩარბოდა, ხოლო მეხანძრეები ქშენა-ქშენით ზემოთ მიიწევდნენ. ათასობით წითელი ნათურა ცარიელი სავარძლების თავზე ციმციმებდა, სირენები კი ტყუილუბრალოდ გაჰკიოდნენ.

09:32

ყოველ შემხვედრს ერთსა და იმავე კითხვას ვუსვამ:

– Have you been to Windows on the World?[430]

ყველა ეჭვის თვალით მიყურებს და საყვედურის ტონით მპასუხობს:

– რა საჭიროა ამ საშინელების გახსენება?

ფრანგის მიერ დასმული ეს შეკითხვა შეურაცხმყოფელად ჟღერს. თითქოს „რესტორანი – ფანტომის» გაღვიძებას ვცდილობდე, Ghost Diner.[431] თავს ისევ ესპანელად ვასაღებ.

– Ma qué esta muy interessante and I lova youra countrya.[432]

ბევრი ნიუიორკელისგან გამიგია, რომ იმ დღის მერე ცისფერი ცა მათი ქალაქის თავზე აღარ უყვართ. უღრუბლო ზეცა აქ აღარ არის მშვიდობისა და უშფოთველობის სიმბოლო. ჩემს წიგნს შეიძლება სხვა სახელიც შევურჩიო: New York Parano (თან ჰანტერ ტომპსონს[433] თვალს ვუკრავ). სახელმწიფო უშიშროების სამსახური ყველას ურჩევს, კარ-ფანჯარაზე ასაკრავი პლასტიკური თასმები შეიძინოს, რათა ქიმიური ან ბიოლოგიური თავდასხმის შემთხვევაში ჰაერის შემოსასვლელები ამოიქოლოს.

დღეს გადავწყვიტე ქალაქის დათვალიერება გავაგრძელო. ამჯერად მდინარე ჰუძონისკენ მივდივარ. 86-ე პირსთან მიუბამთ გიგანტური ავიამზიდი „შეუდრეკელი“. 1944 წლის 24 ნოემბერს მას ორი იაპონელი კამიკაძე თვითმფრინავი დაესხა თავს. მას შემდეგ იგი «საჰაერო, საზღვაო და კოსმოსურ მუზეუმად» გადააქციეს. ეს ამერიკული ნაციონალურ-მილიტარისტული პროპაგანდის ნამდვილი ოლიმპია. შესასვლელში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ლოზუნგს ვკითხულობ: Aim high.[434] დარბაზში ეროვნული ჯარის სადიდებელ კადრებს ატრიალებენ, რომლებსაც ეჭვის თვალით უყურებს მუზეუმში მყოფი ერთი-ორი იაპონელი ახალგაზრდა და რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც ნაყინის ჭამით არიან გართულნი. ჩემი მოსვლის მიზეზი, „ამერიკან ეარლაინსის» N11 რეისის ფიუზელაჟის ნაწილი, შუშის ქვეშაა მოთავსებული. ფრთხილად ვუახლოვდები რელიკვიას. ექსპონატები დიდი პათეტიკითაა წარმოდგენილი: პლექსიგლასის კვადრატზე გრაუნდზეროდან წამოღებულ ნაცრის ხალიჩაზე სათუთად აწყვია რამდენიმე დაზიანებული ნივთი: დამწვარი ნოუტბუკი, როტატორზე დაბეჭდილი ქაღალდის ფურცლები, რომლებსაც ალაგ-ალაგ სისხლის კვალი ამჩნევია, ცენტრში კი განთავსებულია დაახლოებით ერთი კვადრატული მეტრის სიდიდის დამდნარი ფოლადის ფილა. ჩემ თვალწინ დევს ის, რაც Windows on the world-ში შევარდნილი «ბოინგისგან» დარჩა. დაგრეხილი, დატალღული, დამწვარი ლითონის ნაგლეჯი. მის შუაგულში კი ოვალია ამოჭრილი: ილუმინატორი. ყველა მნახველი ამ ფერფლში დასვენებულ ფანჯარასთან მიდის. Window on the dust – ფანჯარა მტვერში! ვიტრინისკენ ვიხრები. სულ რამდენიმე სანტიმეტრში ვარ რეისი N11-ის თვითმფრინავისგან. შუშა რომ არ იყოს, ხელით შევძლებდი

შევხებოდი 11 სექტემბრის პირველ თვითმფრინავს.

ჯერ არასდროს ვყოფილვარ ასე ახლოს სისხლის ზღვასთან.

09:33

იესომ არ გადამარჩინა.

როგორ მინდოდა კიდევ ერთხელ გამესინჯა დედაჩემის გამომცხვარი ვაშლის ნამცხვარი, რომლის სუნიც დილაობით მეორე სართულზე მაღვიძებდა. ცა ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს ჰგავს, ჩვენ მანქანით მივდივართ – პატარა ლითონის ყუთით ვარსკვლავების ქვეშ. ხშირად ვმოგზაურობდით ასე ტეხასში, ამერიკის ყველაზე დიდ შტატში. მამა საჭესთან იჯდა, დედას ეძინა, ჩვენც, ბავშვები, უკანა სავარძელზე ვთვლემდით; მე თავს ვიმძინარებდი, სინამდვილეში კი ბობინებზე ჩაწერილ სიმღერებს ვუსმენდი. გახსოვთ, ჯიბის წიგნის ზომის დიდი კასეტებივით ბობინები, ერთი სიმღერიდან მეორეზე გადართვა რომ შეიძლებოდა? მამა Drive my car-ს უსმენდა «ბითლზების» ალბომიდან Rubber Soul. მეც გულში ვმღეროდი: bee-beep, bee-beep, yeah!.. სულ იმის შიში მქონდა, რომ მამას საჭესთან არ ჩასძინებოდა, ამიტომ შინაგანად სულ ვყვიროდი: მამა, გაიღვიძე!

– მამა, გაიღვიძე!

– რა? დიდი ხანი მეძინა?

ლურდესი მიხსნის, რომ ერთი წამით გავითიშე, ეტყობა, გონება დავკარგე. ბავშვები ჩემსავით მოთენთილნი არიან. მომწამვლელი გამონაბოლქვი ისე მოგვიღებს ბოლოს, რომ თავადაც ვერაფერს მივხვდებით. არადა, როგორ მინდა დაძინება, ისევ იმ ბავშვობის სიზმარში დაბრუნება. ახლა ისევე ვნატრობ ჩემს ოჯახს, როგორც ქარიშხალში ოცნებობენ გასაბერ ნავზე. ლურდესი ლაპარაკს იწყებს. ახლა მისი ჯერია. ამბობს, რომ ძალიან უნდოდა შვილები ჰყოლოდა, მაგრამ არ გამოვიდა, რომ სწორედ ამიტომ ცდილობს ჩემს შვილებს დაეხმაროს, რომ რესტორანში მისი ყოფნა სულ არ იყო აუცილებელი, რომ სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რომ აქედან უეჭველად გავალთ, ოღონდ ცოტა უნდა მოვითმინოთ. ვუსმენ და ვხვდები: ამ ყველაფერში ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი. იგი რაღაც სასწაულებრივად მობილურზე საკუთარ ძმას

უკავშირდება, რომელიც ნერვიულობისგან ჭკუაზე აღარაა. იმავეს უმეორებს, რასაც მე – მერის: დაუკავშირდი მაშველებს, უთხარი, რომ სახურავზე ვართ, კარგად ვართ, მაგრამ კვამლი მატულობს, აღარ ვიცით, სად წავიდეთ... ძმას იგი არ ამშვიდებს.

ეს ქალი წმინდანია. ჩვენ ასეთ ადამიანებს ყოველდღე ვხვდებით, ისე, რომ ამის შესახებ ვერც კი ვხვდებით. ლურდესი ჯიბეში რაღაცას ეძებს, მერე საღეჭი რეზინის მთელ შეკვრას იღებს და ჩუმად გვირიგებს. ჩვენ მას პირში ისე ვიდებთ, გეგონება სეფისკვერი ყოფილიყოს. მერე ბიჭები ხელახლა იწყებენ ლურდესთან თამაშს.

მე სრულიად შეგნებულად გადავწყვიტე ჩემს სისხლთან და ხორცთან განშორება. ეს ორი აბეზარი ტვირთად მაწვა და მე ისინი მივატოვე. დღემდე მგონია, რომ მამაკაცები, რომლებიც სამ წელიწადზე მეტხანს ცხოვრობენ ერთსა და იმავე ქალთან, მატყუარები ან მშიშრები არიან. სიამოვნებით დავაპაშოლებდი სადმე შორს ბურჟუაზიულ ოჯახურ სქემას: მამამ არ უნდა მიატოვოს თავისი შვილების დედა მაშინაც კი, თუ მას სხვა ქალი უყვარს. და თუ მაინც ამას გააკეთებს, მაშინ იგი ბინძური, უპასუხისმგებლო ნაძირალაა. „პასუხისმგებლობის გრძნობა» ძირითადად ცოლის მოტყუებას ნიშნავს. მე ამას არ ვეთანხმები. ნამდვილი პასუხისმგებლობის გრძნობა მაშინაა, როცა შენს შვილებს სიმართლეს ეტყვი და არა ტყუილებით გაბერავ. დღევანდელი ე.წ. თავისუფალი საზოგადოება, cool საზოგადოება თანასწორუფლებიან სიყვარულს პაპიე-მაშესგან შექმნილ სიყვარულს უწოდებს. სამოციანი წლების მერე არაფერი შეცვლილა. მე ჩემს ორ შვილს დღესაც იმავეს ვეტყვი: არ არის საჭირო ერთად ყოფნა, თუ სიყვარული აღარ გაკავშირებთ. თქვენ მხოლოდ სიყვარულის ერთგულნი უნდა იყოთ და ყველანაირი საზოგადოებრივი აზრის დედაც ვატირე. მე მინდა მათ ვუთხრა: მამობრივი სიყვარული ხელშეუხებელია და არაფერი აქვს საერთო მათი მშობლების ურთიერთობასთან. მე მინდა მათ ვუთხრა ის, რაც მამაჩემს ჩემთვის არასდროს უთქვამს, იმიტომ, რომ მისთვისაც არასდროს უთქვამს მამამისს: მე თქვენ მიყვარხართ, შვილებო! მე თქვენ მიყვარხართ, მაგრამ მე თავისუფალი ადამიანი ვარ. მე თქვენ მიყვარხართ და ფეხებზე მკიდია ქრისტიანული მორალი. თქვენ ერთადერთი ადამიანები ხართ, ვინც სამ წელიწადზე მეტხანს მეყვარება.

ახლა კიდევ ვზივარ აქ, ამ გავარვარებულ ქურაში და უკანასკნელი იმბეცილივით[435] გულაჩუყებული ვტკბები მათი ყურებით, თან ტკბილად ვეფლობი სწორედ იმ რეაქციულ ბურჟუაზიულ სქემაში. მალე ჩვენ ერთად დავიხოცებით. ახლა ხომ ნამდვილად ვიცი, რომ ყველაფერი, რაც აქამდე ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, სიყალბე და ილუზიაა.

09:34

Cantor Fitzgerald-ის ყველა თანამშრომელი თავისი ლითონის მაგიდის ქვეშ შეძვრა, რათა ყველა თავ-თავის უჯრაში ამობუგულიყო. ორმოცდაათამდე კაცმა საკონფერენციო დარბაზს შეაფარა თავი. ვერ გეტყვით, ლოცულობდნენ თუ არა, მაგრამ სატელეფონო ზარებიდან ირკვევა, რომ სიტყვა „ღმერთს» ხშირად ახსენებდნენ. 92-ე სართულზე, Carr Futures-ის თანამშრომლები მუხლამდე წყალში იდგნენ. დაახლოებით ოცდახუთი ბროკერი თვითმფრინავის შეჯახების დროს შეხვედრაზე იჯდა, მათი გვამები ისე ეყარა, გაზის კამერაში გეგონებოდა თავი. 95-ე სართულზე თვითმფრინავის მარცხენა ფრთამ ჭერი, კედლები, ფანჯრები, საინფორმაციო ჯიხური და რეცეფციის მარმარილოს დახლი შუაზე გადაჭრა. სრული სიბნელე იყო, ირგვლივ სისხლის გუბეები და დამწვარი თმის სუნი იდგა, აბსოლუტური მდუმარება და გაშეშებული გვამები. Keefe, Bruyette & Woods-ის, Investment Banking-ის განყოფილების თანამშრომლებმა დროზე მოასწრეს ქვემოთ ჩასვლა და გადარჩნენ. მხოლოდ ტრეიდერები დაიღუპნენ. ისინი არ წავიდნენ იმიტომ, რომ აუქციონის დაწყების „გამაზვა» არ უნდოდათ.

ქალაქს ათოვს. ტროტუარებს თეთრი მტვერი ეფინება, როგორც 11 სექტემბერს, ოღონდ ამჯერად ეს ნამდვილი თოვლია. Empire State Building-დან რომ გადმოხედო ქალაქს, იფიქრებ, ქუჩებისთვის თეთრი შალითა გადაუფარებიათო, როგორც რბილი ავეჯისთვის – სოფლის დაკეტილ სახლში. პოლიციის სირენების ხმა და გუგუნი ისმის, ქალაქის ვიბრაცია. სულ რამდენიმე ტურისტმა მოინდომა ამ დილით აქ ამოსვლა. ცივი ქარი თოვლს სახეში მაყრის და თვალებს მიწვავს. ხმის გამაძლიერებელში ელა ფიცჯერალდის სიმღერა ისმის: In my solituuuude, you hauuunt me[436]. ირგვლივ ყველაფერი ბურუსშია, მაგრამ თუ ძალიან დავძაბავ თვალებს, გავარჩევ, სად წყალია

და სად – ქვა. ისტრივერის ტალღებსაც კი ვხედავ, მრგვალ შავ-თეთრ კლაკნილებს ზედაპირზე. ჩემ ზემოთ Empire State Building-ის შპილია,[437] რომელიც თავის დროზე დირიჟაბლების მისაბმელი უნდა ყოფილიყო. ეიფელის კოშკის ისარს ჰგავს, რომლის რეკორდის მოხსნასაც ამერიკელები 1899 წლიდან ცდილობდნენ და მხოლოდ 1931 წელს შეძლეს. გადმოსახედ მოედანს წრეს ვარტყამ. თოვლის ფარდის მიღმა მილები ჩანს, რომლებიდანაც ბოლი ამოდის. ნიუ-იორკი უზარმაზარ ქარხანას ჰგავს, რომელშიც ათი მილიონი კაცი შრომობს. შაქრის მინანქარივით გადაკრულ თოვლის საფარველს ალაგ-ალაგ რუხი ფერის შტრიხები ერევა. უცებ დიდი ფორთოხლისფერი ლაქა გამოჩნდა: ეს ბრეზენტია, რომელიც მშენებარე სახლს აქვს გარშემორტყმული; აგერ ოქროსფერი ჩანს: რომელიღაც შენობის გუმბათია; ის კი, ბამბასავით თეთრ თოვლში სადაფივით ვერცხლისფრად რომ ბზინავს, Chrysler-ია. შეყვარებული წყვილი ფოტოს გადაღებას მთხოვს. ორივე მეზიზღება. მათი უდარდელობა ცივი ქარივით სახეში მირტყამს. მინდა, ქალს პირდაპირ თავის ბეწვის საყელოში ვწვდე და შევაჯანჯღარო:

– შეირგე რა, სანამ დროა. ერთ დღეს ის თავის ძმაბიჭებთან ერთად ნაშებში წავა, შენ კი მას სადმე სასტუმროში კოლეგასთან უღალატებ და მერე მიატოვებ. და ვის გაახსენდება მერე ეს სურათი? ფირის ტყუილუბრალოდ ხარჯვაა და მეტი არაფერი. ჩააგდებთ სადმე ფეხსაცმლის ყუთში და კარადაში შეტენით.

მავნებლობის ჩემპიონატში საპრიზო ადგილს ავიღებდი, თუმცა მე, რა თქმა უნდა, ვჩუმდები და მათ კოცნას სამუდამოდ უკვდავვყოფ. მერე ისევ სამხრეთისკენ ვბრუნდები და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ აღარც ერთი ცათამბჯენი აღარ დგას. Empire State Building-ს შეუძლია იამაყოს, იგი ძველებურად ქალაქის მწვერვალი გახდა. ოცდაათი წლის წინ იმ ორმა მეტოქემ მას პირველობა წაართვა, ახლა კი იგი, თავისი 381 მეტრი სიმაღლით, ისევ აქაურობის ბატონ-პატრონია. შუქჩრდილების თამაში პეიზაჟს წარამარა ცვლის. ჩრდილოეთით Pan Am Building-მა სახელი შეიცვალა. ახლა მას MetLife ჰქვია, ხოლო RCA Building ამიერიდან GE Building-ად მოინათლა. სამი რამ ცვლის ჰორიზონტს: ღრუბლები, ტერაქტები და სავაჭრო მარკები.

09:35

ჰაერისთვის ვიბრძვით: ფანჯარაში ნახევრად გადაკიდება მაინც შეიძლებოდეს, რომ ამ ქურაში არ ამოვიხრჩოთ. აქ ფილტვები იძლევიან ბრძანებებს. ჯეფრი ცდილობს თავის კოლეგებს Risk Water Group-იდან, Windows on the world-ში აქა-იქ დარჩენილი ჟანგბადის ჩასუნთქვაში დაეხმაროს. ზოგს ბარის დახლზე აყენებს, ზოგი სამზარეულოში საყინულესთან მიჰყავს, ზოგსაც ჩრდილოეთ ფასადის ფანჯრების რაფებზე ასვლაში ეხმარება. ხანძარი ისევ მძვინვარებს. სხვა განყოფილების თანამშრომლებმა სახანძროსთან დაკავშირება მოახერხეს, რათა მათგან ისევ იგივე ინსტრუქცია მოესმინათ: „დარჩით ადგილებზე, ჩვენ მოვდივართ». გეგონება, ვინმეს შეეძლო აქედან გასვლა. ჯეფრი წყალს ეძებს, მაგრამ ონკანში წყალი აღარ მოდის, ამიტომ იგი ჭერში დაკიდებულ ავზს აყირავებს, რათა თავის კოლეგებს ხელსახოცები დაუსველოს; ფანჯრებიდან წითელ ფარდებს გლეჯს, რომ კვამლის შემოსასვლელები დაახშოს; ფანჯრიდან გადაკიდებული სუფრას აფრიალებს, უამრავი იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც დახმარებას ითხოვს. ჯეფრის აღარ ეშინია. იგი გმირი გახდა. მეგობრებს დერეფანში გამოსვლაში ეხმარება, მაგიდებს აყირავებს, რომ დენმა არ დაარტყათ, რადგან იატაკი წყლითაა სავსე, კედლებზე კი გაშიშვლებული ელექტროსადენები მოჩანს.

მან ჯერ ყველაფერი გააკეთა სხვების დასახმარებლად, მერე კი თვითონ სცადა ბედი, ჩანაფიქრი რეალობად აქცია. ვეღარ გაუძლო ალბათ მისთვის ძვირფასი ადამიანების სიკვდილის ყურებას. და აი, ჯეფრის ფარდის ბოლოები უჭირავს (ორ-ორი წვერი თითო ხელში) და უსასრულობაში დგამს ნაბიჯს. თავიდან ნაჭერი პარაშუტივით იშლება. მეგობრების დანახვა ამხნევებს, იგი მათ შეშინებულ სახეებს ამჩნევს. სიჩქარე მატულობს. ხელები დატვირთვას ვეღარ უძლებენ, პარაშუტი იგრიხება. არადა, ჯეფრი ასპენში პარაშუტით ხტომაში ვარჯიშობდა, იცის, როგორ უნდა დაიხმაროს ამავალი საჰაერო ნაკადები. ქვასავით ეცემა. სიამოვნებით მოგიყვებოდით მისი სასწაულებრივად გადარჩენის ამბავს, მაგრამ მეშინია, რომ ისევე მისაყვედურებთ, როგორც სპილბერგს, რომლის ფილმშიც გაზის კამერებში საშხაპეებიდან წყალი მოდიოდა. ჯეფრი ვერ დახტა მსუბუქად და ელეგანტურად თითის წვერებზე. მისი უბადრუკი ფარდის ნაგლეჯი ორ წამში

დაიფლითა. ჯეფრი ქვაფენილზე გასკდა, თანაც ორი ადამიანი იმსხვერპლა: მეხანძრეს დაეცა, რომელსაც შენობიდან დაჭრილი ქალი გამოჰყავდა. ჯეფრის ცოლმა მეუღლის დაღუპვის ამბავი მისი მეგობარი მამაკაცისგან შეიტყო. ამგვარად, მან ქმრის ბისექსუალობისა და სიკვდილის შესახებ ერთდროულად გაიგო. გულის ამაჩუყებელი თავგადასავლის მოსათხრობად, მგონი, ჯობდა სხვა გმირი ამერჩია.

09:36

„99 ფრანკში», რომელიც 2000 წლის აგვისტოში გამოვიდა, „ჩანერგვითი» რევოლუციის აღსაწერად ასეთი მეტაფორა გამოვიყენე: „შეუძლებელია თვითმფრინავს გეზი შეაცვლევინო ისე, თუ მასში ვერ შეაღწიე». ოქტავ პარანგო დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა მოვლენების შიგნიდან შეცვლას. რომანის ბოლოს კი აღმოაჩინა, რომ თვითმფრინავს არავინ მართავდა. როდესაც მან სააგენტოს ხელმძღვანელობა გადაიბარა, მიხვდა, რომ ავტონომიურ სისტემაში, რომელსაც არც მმართველი ჰყავს, არც მიმართულება აქვს და არც – აზრი, შეუძლებელია, რევოლუციური გარდაქმნების მოხდენა. კაპიტალისტური, „გლობალიზებული» სარეკლამო საზოგადოება უძღები მანქანაა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ფუნქციონირებს (უპილოტო თვითმფრინავის იდეა კი ერთი ამერიკული კომიკური ფილმიდან ავიღე: „ამ თვითმფრინავს ჰყავს პილოტი?“). 2001 წლის 11 სექტემბერს ეს მეტაფორა მთელი თავისი შემაძრწუნებელი სიცხადით წარდგა ჩემ წინაშე. ნამდვილად, თვითმფრინავისთვის გეზის შესაცვლელად მასში შეღწევაა საჭირო. მაგრამ თუ თვითმფრინავში თვითმკვლელია? მაშინ ჩვენ ცეცხლოვან ბურთად გადავიქცევით და ეს, რა თქმა უნდა, დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. იქნებ კურსიდან გადახვევა კი არ არის ჩვენი მიზანი, არამედ შენობის შენგრევა? თვითდესტრუქციულ სისტემაში ნებისმიერი სახის რევოლუციის მოხდენა მხოლოდ გარედანაა შესაძლებელი. არ უნდა ახვიდეთ თვითმფრინავში! თუ ამ საზოგადოების ფერხულში ჩაებმებით, მისი თამაშის წესებს გაიზიარებთ, რეკლამასა და მედიაში მონაწილეობას მიიღებთ, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მოხვდებით გიგანტურ აფეთქებაში და CNN-ის პირდაპირ ეთერში მოკვდებით. დღეს „ჩანერგვა» თვითგანადგურებად გადაიქცა. ნამდვილი

რევოლუცია კი შემობრუნებასა და წასვლაშია. მთავარია მონაწილეობა არ მიიღო. დროა პასიურ წინააღმდეგობას აქტიური დეზერტირობა ვამჯობინოთ.

ბოიკოტი სჯობს სკვოტს[438].

შევეშვათ საკუთარი პრობლემების სხვებისთვის გადაბრალებას. ემილ ზოლას მსგავსად, რომელიც ყველაფერში მდიდრებს ადანაშაულებდა, მე „საკუთარ თავს ვადანაშაულებ»:

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ნარცისიზმის წაქეზებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ადამიანთა ცდუნებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ „პარკ-ავენიუს მემარცხენეობაში»[439].

საკუთარ თავს ვადანაშაულებ კარიერიზმსა და გამყიდველობაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ეჭვიანობასა და ტყუილში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ თვალთმაქცურ გულწრფელობაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ამ თვითკრიტიკით სხვისი გულის მოგებაში და ამით მომავალ დანაშაულთა გამოსყიდვაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ორაზროვნებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ Canal plus-ზე შურის საძიებლად წასვლაში, რადგან ვარსკვლავი ვერ გავხდი.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ქედმაღლურ სიზარმაცეში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ უმანკო ავტობიოგრაფიების წერაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ არ ვარ ჰეტერო ერვე გიბერი[440].

საკუთარ თავს ვადანაშაულებ შემგუებლობაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ შემგუებლობის მეტი არაფერი შემიძლია.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ საკუთარი ნევრასთენიის ერთადერთი მიზეზი ვარ.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ გაუბედაობაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ შვილის მიტოვებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ არასდროს ვცდილობდი საკუთარი თავის გამოსწორებას.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ გაგიჟებით მიყვარს ის, რასაც თავგადაკლული ვაკრიტიკებ, განსაკუთრებით კი – ფული და დიდება.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ ჩემს ცხვირსა და სირს იქით ვერაფერს ვხედავ.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ თვითკმაყოფილებას თვითდისკრედიტაციად ვასაღებ.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ სიყვარულის არცოდნაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ ქალებისგან მხოლოდ აღფრთოვანებას მოველი და არასდროს ვინტერესდები მათი პრობლემებით.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ უეთიკო ესთეტიკაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ინტელექტუალურ (და ფიზიკურ) ნძრევაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ მორალურ (და ფიზიკურ) ონანიზმში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ საკუთარი ცოდვების ჩემი თაობისთვის გადაბრალებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ უსიყვარულობისა და ზერელობის ერთმანეთში არევაში (რა უსიყვარულობაზეა ლაპარაკი, როცა თავად არ შეგიძლია სიყვარული).

საკუთარ თავს ვადანაშაულებ სრულყოფილი ქალის ძებნაში (მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, სრულყოფილება არ არსებობს), რათა არასდროს ვიყო კმაყოფილი და მუდამ ვიწუწუნო.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ შეუხედავი ქალების

შეუწყნარებლობაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ საკუთარი თავის გარდა ყველა ფეხებზე მკიდია.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ სხვების დადანაშაულებაში, რადგან მშურს მათი.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ მაქსიმუმის მოთხოვნასა და მინიმუმით დაკმაყოფილებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ ნიუ-იორკთან ინდივიდუალიზმისა და მეგალომანიის[441] გარდა არაფერი მაკავშირებს.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ უკან დასახევი გზის მოჭრაში, საკუთარი წარსულისგან ანუ საკუთარი თავისგან გაქცევასა და მეგობრების არყოლაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ხმაურიან უძრაობასა და ცუდად შეფუთულ მამობრივ სიყვარულში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ქრონიკულ უპასუხისმგებლობაში ანუ ონტოლოგიურ[442] სიმხდალეში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ 1990 წლიდან მოყოლებული საკუთარი ჭუჭყიანი თეთრეულის გამომზეურებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ ჩემ უკან მხოლოდ ნანგრევების დატოვებაში.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ იმაში, რომ ნანგრევები მიზიდავს. იმიტომ, რომ ადამიანს ყოველთვის თავისი მსგავსი მოსწონს.

09:37

რა ცუდია, რო აქ სატელეფონო ჯიხური არ არი. კლარკ კენტი სატელეფონო ჯიხურის გარეშე სუპერმენი ვერ გახდებოდა, იმიტო რო, იქ უნდა გამოეცვალა. მამიკოც ვერ გაშიშვლდება ლურდესის წინაშე. ჩემთან და ჯერისთან კიდე ისე არ შერცხვებოდა, ნანახი გვაქ უკვე მაგის „მოწყობილობები“. ჰოდა, როგორ გინდა ტრანსფორმირება, თუ გამოცვლა ვერ მოახერხა? რა სისულელეა! როგორ ვერ მივხვდი აქამდე? და

ჯერიმ რო ჩაიფსა?! მაგას გონია, რო ვერ დავინახე. აბა, ჰო! იმიტო არ ვთქვი, რო მამა არ მოვაცდინო თავისი პროტონული მეტაგლუციდაციის პროცესს. მეგონა, ტუალეტში გამოიცვლიდა, მარა არა. ეს, ალბათ, იმიტო რო, არავინ გაიგოს რა სუპერძალები აქვს. ისე სუპერმენებს, როგორც წესი, არ ყავთ შვილები, ამიტო, ამ საწყალს, სულ ჩვენგან მალვა უწევს. ისე, რას იზამს, როცა ჩაირთვება? კაი შეკითხვაა. მადლობთ, რო დასვით ეს კითხვა. ჯერ თვალებიდან ლაზერის სხივს გამოანათებს, ამ დაჯავშნულ კარს გაჭრის და სახურავზე გავა. ცათამბჯენს აწევს (მას ხომ სუპერძალა აქვს) და მდინარე ჰუძონში ჩააგდებს, რომ ხანძარი ჩააქროს. ხო წარმოგიდგენიათ, რამხელა ფშშშშშშ იქნება, აი, ისეთი, დედა რო პოპკორნის მოხალვას მორჩება და ცხელ ტაფას ონკანს შეუშვერს ხოლმე. მერე ცათამბჯენს თავის ადგილას დააბრუნებს და მეორეს აიღებს. მაგრამ ეს შეიძლება ძაან საშიში იყოს იმ ხალხისთვის, ვინც შიგნითაა დარჩენილი, ამიტომ შეიძლება პირიქით ქნას: შეისრუტოს 100 მილიარდი ტონა ზღვის წყალი და ტყუპს თავზე დაასხას. ორივე შესაძლებელია. ანდა შეიძლება უშველებელი სასრიალო გააკეთოს, ამისთვის კი სამშენებლო ხარაჩოებს ბრეზენტი უნდა მოხსნას (აქ უამრავია ეგეთი) და ხალხი ქვემოთ ჩამოასრიალოს; ანდა თავის რეზინივით ელასტიკურ სხეულს ორ ცათამბჯენს შორის გადაჭიმავს და ხიდის მაგივრობას გაწევს; ანდა (ეს ბოლო გამოსავალია, თუ სხვა არაფერი დარჩა) პლანეტას ორი საათით უკან დააბრუნებს, როცა ჯერ არაფერი მომხდარა და ხალხს ეტყვის, არ მოვიდნენ სამსახურებში და მორჩა! აი, რას იზამს მამაჩემი, როცა თავის სუპერძალებს მოიკრებს.

09:38

აშშ-ის მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ის თან მსოფლიოს პატრონია და თან ვეღარც პატრონობს მას. სადღაც წავიკითხე, რომ დევიდ ემილს, Windows on the world-ის მეპატრონეს, იმ დღის მერე თურმე სულ თან დააქვს უ. ჰ. ოდენის[443] ლექსი:

The winds must come from somewhere when they blow

There must be reasons why the leaves decay

Time can say nothing but I told you so.[444]

ნიუ-იორკში ჩამოსვლისთანავე ჩემში ბომონდის რუბრიკის ჟურნალისტის ძველმა რეფლექსებმა გაიღვიძა: მოდური ჟურნალების ფლაიერებსა და Time Out-ს ვუკირკიტებ, ძველ ძმაკაცებთან ვრეკავ, რომლებიც მოსალხენად მუდმივ მზადყოფნაში არიან, დისკოთეკებზე თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ და ჩანაწერებს ვაკეთებ, როგორც „გლამურის» კორესპონდენტობის დროს ვაკეთებდი ხოლმე, როცა ჯერ კიდევ ოცი წლისა ვიყავი... ჩემი აზრით, ღამე ზუსტი თერმომეტრია იმისთვის, რომ გავიგოთ: ეს ქალაქი ავადაა თუ კარგად? ნიუ-იორკი თითქოს ბურუსშია: ჩაძირულია დარდსა და ახალ არაყში Grey Goose, რომელსაც საფრანგეთში ხდიან. რამდენიმე დაცარიელებული ბარის შემდეგ Scores-ში შევდივარ – „დიდი ვაშლის» ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ lapdancingbar-ში. წარმოიდგინეთ დიდი, ჩაბნელებული ოთახი, რომელშიც მამაკაცები მარტო ან ჯგუფ-ჯგუფად დადიან და 20-20 დოლარს არა სტრიპტიზის სანახავად იხდიან (ქალები პოდიუმზე ჩვეულებრივად შიშვლდებიან), არამედ იმისთვის, რომ აღეგზნონ, ხელი შეახონ, მოჯადოვდნენ, შეიგრძნონ სუფთა თმის სურნელი, თაფლივით ტკბილი მუხლის გლასუნი, ხელის მხარზე მოთათუნება და კარამელივით ტაკუნების მათ ცისფერ ჯინსზე გახახუნება. ვისაც არ ესმის lapdancing-ი, ვერასდროს გაიგებს ამერიკას. აქ ფულს იმაში ხარჯავენ, რომ აუდგეთ და არა იმისთვის, რომ გაჟიმონ. აქ ქალს კი არ ყიდულობენ, არამედ – ოცნებას, eye candy-ს – „თვალის კანფეტს“. ამერიკა ქვეყანაა, სადაც მამაკაცები მზად არიან მთელი შემოსავალი ვირტუალურობის შესაგრძნობად, წარმოსახვით სამყაროში ჩასაძირად დატოვონ. აღეგზნებიან აღგზნებისთვის! მათ მხოლოდ მიუღწეველი იზიდავთ. ისინი პურიტანები არიან (სარგებელს ცოლები იღებენ, როცა lapdancing-ის მერე ქმრები სახლში ბრუნდებიან), მაგრამ ოპტიმისტი, პატივმოყვარე, კეთილგონიერი პურიტანები. განსხვავებით ფრანგებისგან, ამერიკელებს ეგრევე ლოგინი არ უნდათ, მათ სიამოვნებაზე ფიქრი ურჩევნიათ თავად სიამოვნებას, რეალობაზე მეტად ოცნება ხიბლავთ.

– What are you writing? – მეკითხება ბიანკა, როცა ამ ჩემს დაკვირვებებს ბლოკნოტში ვიწერ.

– Nothing, darlingl.[445]

იგი სტრინგს იწევს და თავის ლოსიონწასმულ ჩაჭრილს

მანახვებს. და მეც უცებ თავს ისეთ ფრანგად ვგრძნობ... ყურთან მისი სუნთქვა მესმის, ის ტელეფონზე თავის მეგობარ ნიკის ელაპარაკება, ღმერთო, რა მშვენიერი სურნელი აქვთ ამ ქალებს. ქალაქის გამოჯანმრთელების ტკბილ და სიამოვნებისმომგვრელ პროცესში 20-დოლარიანები თავისით მიფრინავენ. ისინი ფრუსტრაციაში[446] ყოფნისთვის იხდიან ფულს. მიიჩნევენ, რომ კარგია, როცა ყველა სურვილი ერთბაშად არ სრულდება. ამერიკაში ოცნებები იმიტომ კი არ ახდება, რომ ამერიკელებს მათი ახდენა უნდათ, არამედ იმიტომ, რომ მათზე ფიქრობენ და სულ არ აინტერესებთ შედეგი. იმისთვის, რომ ნატვრა რეალობად იქცეს, ჯერ ერთხანს უნდა ინატრო. მაშ, მიდით, ქალებო, შენ – ლიკრის მინიშორტიანო, შენ – წითელლიფიანო, თასმებიანჩექმიანო, შენც, წითურთმიანო, გათეთრებულკბილებიანო, უშველებელძუძუებიანო, ზეპირად რომ იცით J-Lo სიმღერის სიტყვები (Don’t be fooled by the rocks that I got / I’m still I’m still Jenny from the block / Used to have a little now I have a lot / No matter where I go I know where I came from)[447], შენც – ვარდისფერმაღალქუსლიან ფეხსაცმლიანო, შავლიფიანო და ჩახსნილ პერანგიანო და შენც, შიშველმუცლიანო, ჭიპში გაყრილ სამკაულიანო, ტრაკის ღართან ტატუირებულ ყვავილიანო, ახალ-ახალი ქალების ნიაღვრებო, გამექეცით! იმიტომ, რომ თქვენ რომ მაკოცოთ ან ტელეფონის ნომერი დამიტოვოთ, ხომ დაგენგრათ თავზე ეგ თქვენი იმპერია და ეგ არის!

საღამოს Mercer-ში escort-girl-ის გამოძახება გადავწყვიტე, ამისთვის საკმარისი იყო სასტუმროს კომპიუტერზე www.new-york-escorts.com ან www.manhattangirls.net-ი ამეკრიფა, თუმცა მერე გადავიფიქრე. სურათზე, იცოცხლე, ყველა მარწყვივითაა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება იმისთანა მახინჯი შეგრჩეს ხელში, რომ გული გაგისკდეს. მახინჯი ქალის გაჟიმვა კიდევ შენს მტერს... მაგდენი ჯერ არ დამილევია.

09:39

ლურდესს პეიჯერით ატყობინებენ, რომ პენტაგონზეც თავდასხმა მოხდა. ეს უკვე ნამდვილი ომია. სად ჯანდაბაშია ძლევამოსილი ამერიკული არმია? განა გიმსუბუქებს მდგომარეობას იმის გაცნობიერება, რომ მარტო შენ არ კვდები?!

რომ მცოდნოდა, აქ მოვკვდებოდი, პრეზერვატივის გარეშე ვიჟიმავებდი, მერის უფრო ადრე მივატოვებდი, მეტს ვიმოგზაურებდი, ოპიუმს და ჰეროინს გავსინჯავდი, ნაკლებს ვისწავლიდი და თალასოთერაპიაზეც ნაკლებ დროს დავკარგავდი; ქალებთან უფრო გამბედავი ვიქნებოდი და უარის თქმისა და დამცირების შიშით ამდენ დროს ტყუილუბრალოდ არ დავკარგავდი; განგსტერი გავხდებოდი და არა ლენჩი კანონმორჩილი, ბანკებს დავაყაჩაღებდი; ქენდეისს ცოლად მოვიყვანდი და მერე ლამაზ ქვრივად ვაქცევდი; მოწევას თავს არ დავანებებდი, ჯანმრთელობისთვისაა მავნებელი? რას გეტყვით, იცით? სიგარეტის კოლოფზე გამაფრთხილებელი წარწერა შეცვალეთ: „მართალია მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ამაზე უფრო მავნებელი «ბოინგია» თქვენს შენობაში“. კიდევ რას გავაკეთებდი? როკჯგუფს ჩამოვაყალიბებდი – ფულის გულისთვის მუშაობას შიმშილი სჯობს; ჩემს ბოსს უფრო ადრე „მოვაცურებდი“; ნიუ-იორკში ვიცხოვრებდი, გრძელ შავ პალტოს ჩავიცვამდი და შუაღამითაც მზის შავი სათვალით ვივლიდი; ზამთარ-ზაფხულ ავტოგასარუჯ კრემებს წავისვამდი და რესტორნებში ვისადილებდი, სადაც შუქს იმიტომ აქრობენ (თუ, რა თქმა უნდა, ეს მოკლე ჩართვა არ არის), რომ სანთლები აანთონ. ისე, რატომ სადილობენ ძვირფას რესტორნებში სულ სანთლის შუქზე? უფრო მეტ ავტომობილს ვიყიდდი, იმიტომ, რომ ფული, რომლის დახარჯვასაც ვერ მოვასწრებ, ხომ ისედაც დაკარგულია; ჩემს კლონს შევაქმნევინებდი; თავს გადავიპარსავდი, საინტერესოა, როგორი ვიქნებოდი?! ხალხს დავხოცავდი, ესეც საინტერესოა, როგორ გამომივიდოდა?! მეტ რისკზე წავიდოდი, იმიტომ, რომ დასაკარგი არაფერი მექნებოდა.

ანდა შეიძლება უბრალოდ, მეცადა უკეთესი ვყოფილიყავი.

09:40

ახალი ჟანრის გამოგონება მინდა: ავტოსატირის. მინდა გავიგო, რატომ დამავიწყდა ყველაფერი? რატომ ამოვშალე ჩემი ბავშვობა საკუთარი დღიურიდან? რატომ უნდა დავთვრე უგონოდ, რომ ვინმეს დაველაპარაკო? რატომ ვწერ, როცა ყვირილი მინდა?

ჩემი მშობლები დაქორწინებულნი არასდროს მინახავს. რაც თავი მახსოვს, სულ გაშორებულნი იყვნენ და ერთმანეთს მხოლოდ ჩემ გამო ხვდებოდნენ. მეგობრები იყვნენ, მაგრამ არა – საყვარლები. არასდროს დამინახავს ერთმანეთისთვის ლოყის გარდა სადმე ეკოცნოთ. განა ეს მტკივნეულია? არა, იმიტომ, რომ მეც ზუსტად იგივე გავაკეთე. სხვათა შორის, ოჯახების უმრავლესობა პირველი ბავშვის გაჩენისთავე ინგრევა. ეს უკვე ნორმად იქცა. მაშინ, გამაგებინეთ: თუ ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, რატომ ვნერვიულდები ამაზე საუბრისას?

ბედნიერების დეფინიცია[448]: კიბორჩხალების დაჭერა გეტარიში. ექვსი წლის ვარ. ბაბუაჩემს პეპლის საჭერები მოაქვს (კიბორჩხალებს წყლიდან პეპლის საჭერით ვიყვანთ. რატომ არ გვიყურებს ნაბოკოვი?!). ბედნიერებაა სენიცის პლაჟზე მოხვედრა მიქცევის დროს, როცა ქვები ფეხებს გტკენს, მზე კი მარილიან ზურგს გიწვავს. იმ დროს ჯერ არ არსებობდა შავი მოქცევები. დაუვიწყარი ექსპედიციები იყო, ოღონდ არა კიბორჩხალებისთვის, რომლებიც სიცოცხლეს ზღვის წყალში ცოცხლად მოხარშვით ასრულებდნენ. ნეტავ, რატომ ვგრძნობდი თავს ასე ბედნიერად გეტარიში? ვითომ უბრალო დამთხვევაა, რომ ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი იქ გაიცნეს, შეუყვარდათ და დაქორწინდნენ.

თავს დაცარიელებულად ვგრძნობ, მინდა თავი გავიჩეჩქვო, გულის წასვლამდე ვიჟიმაო ან ჩემს წიგნებზე უარესი რომანები წავიკითხო. ყველაფერი კი იმიტომ, რომ დავივიწყო: მე ვარ ცარიელი, ყბედი ადამიანი, წარსულის გარეშე.

ჩემი დევიზია: იქეცი იმად, რაც გძულს.

რატომ უნდა ყველას, ხელოვანი გახდეს? ყველა ჩემ ირგვლივ ან წერს, ან ხატავს, ან კინოს იღებს, ან მღერის, ან მუსიკას თხზავს. რას ეძებენ: სილამაზეს თუ ჭეშმარიტებას? არა, ეგ საბაბია. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ცნობილნი უნდათ გახდნენ. ჩვენ გვინდა, რომ გავხდეთ პოპულარულნი, იმიტომ, რომ გვინდა ვუყვარდეთ. სიცოცხლეს ვეპოტინებით, იმიტომ, რომ ყველანი დაჭრილნი ვართ. გვინდა, ჩვენს ყოფას აზრი ჰქონდეს, რაღაცისთვის ვარსებობდეთ, რაღაცა ვთქვათ, კვალი დავტოვოთ, უსაგნო ცხოვრება ავანაზღაუროთ. მხოლოდ შვილების კეთება არ გვაკმაყოფილებს, გვინდა, მეზობელზე მომხიბვლელნი ვიყოთ. მას ჩემსავით ეკრანზე გამოჩენა უნდა?

ეს უკვე მეტისმეტია: ჩვენს მეზობელს უნდა, რომ ჩვენზე წარმატებული გახდეს?! მას შემდეგ, რაც ხელოვნებას ნარცისიზმის სენი შეეყარა, ყველას ერთმანეთისა შურს.

თაიმსსქვერზე ახალი Toys'r Us-ის უშველებელი მაღაზია გაიხსნა, იმაზე დიდი, ვიდრე FAO Schwarz-ია. ხუთსართულიანი მეგასთორის ესკალატორზე ვდგავარ, ყველგან სათამაშოები, საბავშვო სიმღერები, კაშკაშა ფერები და საჩუქრებია. ყველა მხრიდან მიტევენ გიგანტური რობოტები, საყვარელი ტირანოზავრები, პლეისთეიშენები 2, 3, 8, 47... რატომ მაწვება სევდა ასეთ ადგილებში მოხვედრისას? სათამაშოები ამერიკის ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. ყოველდღე Disney-ს an Toys'R Us-ის ახალი მაღაზია იხსნება. ეს ის ადგილებია, სადაც მშობლები სულ უფრო და უფრო მეტ ფულს ხარჯავენ, რათა დანაშაული გამოისყიდონ; სადაც ბავშვები საჩუქრებში ეფლობიან, რათა რეალობას გაექცნენ და სადაც შვილები და მშობლები ერთმანეთს გაურბიან.

აი, აქ იწყება ჩემი წიგნიც.

ნაწერი იმიტომ დგას გამოსახულებაზე მაღლა, რომ იგი რაღაცას ისეთს მოითხოვს ჩვენგან, რაც არ არის წამიერი. საწვავი, რომელიც აუცილებელია წერისთვის და რომელსაც ხელოვნება ჰქვია, არ იწვის თავისით, მას მწერლის ტანჯვით გამოწვეული ღადარი ასაზრდოებს. გამოსახულება კი უფრო მარტივია, არ არის ასეთი შრომატევადი. იმის საილუსტრაციოდ, რომ ნაწერი გამოსახულებაზე მაღლა დგას, ჩემი ყოველკვირეული ლიტერატურული გადაცემაც გამოდგება: როცა კადრის აღწერას ვიწყებდი, ვხვდებოდი, რომ თვალს იგი აღარ ახსოვდა. თუ ტვინს ეძლევა არჩევანის საშუალება ნახატსა და ნაწერს შორის, იგი ნაწერს ირჩევს. ჩვენი ტვინი, რომელიც ჩვენზე ჭკვიანია, ყურებას წერას ამჯობინებს.

კინო და ტელევიზია ლიტერატურის გამოწვევაა. კინოს ნამდვილად ეხერხება ამბის მოყოლა, აი, ტელევიზიამ კი მწერლები – VRP-ად, ანუ მიმოსვლის აგენტებად გადააქცია. რა რჩება ლიტერატურას? სტილი, ენა, მუსიკა, ემოცია (სელინს ეს მშვენივრად ესმოდა) და საკუთარი თავის შეცნობა, თვითიდენტიფიკაცია? ეს უმაღლესი ხელოვნებაა, ყველაზე გასაოცარი მოგზაურობა. ინდივიდუალისტურ სამყაროში ნარცისიზმი ცეკვაა, ნელი slow, სადაც მწერალი მკითხველს გულში იხუტებს. ეს პიროვნების კულტი არ არის, ეს

პიროვნების ხელშეუხებლობაა. იკითხო, ნიშნავს იყო ადამიანი. აი, რატომ უნდა ყველა ტელეწამყვანს მწერლობა.

როცა ხუთი წლის ვიყავი და ჩემი მშობლები გაშორდნენ, ისე ხშირად მომდიოდა ცხვირიდან სისხლი, რომ ექიმებს ლეიკემიაზე ეპარებოდათ ეჭვი. მე კი კმაყოფილი ვიყავი, რომ თვეობით სკოლას მაცდენინებდნენ.

09:41

– Dad you're not a super hero?[449]

და 09:41-ზე დევიდი, რომელსაც ცხოვრებაში არასდროს უტირია, გულამოსკვნილ ქვითინს იწყებს. არა, უცებ კი არა, ნელ-ნელა, თავიდან ვერც კი მიხვდა, რა ემართებოდა? პირის კუთხეები ძირს დაეწია, როგორც ჩარლი ბრაუნის კომიქსებში ხატავენ, თვალები დაუმრგვალდა, თან გაშტერებული უყურებდა ჰერმეტულად დახურულ კარს, იმ ჯანდაბა საკეტს, მის უსარგებლო სახელურს და წითელ ტაბლოს, რომელზეც დიდი ტყუილი ეწერა: EMERGENCY EXIT – საავარიო გასასვლელი! მერე უცებ ქვედა ტუჩი გადმოატრიალა და მაღლა ასწია, ნიკაპი კი ნერვიულად აუთრთოლდა. მე და ჯერიმ ერთმანეთს გაოცებული სახეებით გადავხედეთ: რას იჯღანება? ამის დროა ახლა? დევიდი თავს იფხანდა, ეტყობოდა, ვერ გაეგო, რა ემართებოდა. მისი აჩქარებული სუნთქვა მესმოდა. თავიდან ვიფიქრე, ჰაერი არ ჰყოფნის-მეთქი, თუმცა ოთახში ახლა აშკარად ნაკლები კვამლი იყო. მერე ქოშინი დაიწყო, გეგონებოდა, ვიღაც თუ რაღაც უცხო არსება, რომელიც მასში წლების წინ ჩაბუდებულიყო, გარეთ გამოსვლას ლამობდა. დევიდ-უდრტვინველი, დევიდ-სიმტკიცის განსახიერება, დევიდ-უემოციო პირველად ცხოვრებაში ტირილს აპირებდა. პირი მოაღო და გამწარებულმა დაიყვირა. იგი რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა: but, but, why, but, it's, we, but, what (მაგრამ, მაგრამ, რატომ, ეს ხომ, ჩვენ...) და ბოლოს ეს გაუგებარი მარცვლები ერთ დიდ უაააააააა-დ გადაიქცა, ლოყებზე კი მრგვალ-მრგვალი ცრემლები ჩამოუგორდა. ჯერი თვალს არ მაშორებდა, რომ ისიც არ ატირებულიყო, მე კი თავი ვეღარ შევიკავე და ყველანი ერთად ავქვითინდით. ერთმანეთს გადავეხვიეთ, როგორც ფეხბურთის გუნდი შესვენების დროს, ოღონდ ჩვენ, მათგან განსხვავებით, თავზე ჩაფხუტები არ

გვეხურა და იმიტომ ვტიროდით, რომ წავაგეთ.

აქამდე ვფიქრობდი, რომ შვილების ყოლა საუკეთესო საშუალება იყო სიკვდილის დასამარცხებლად. მაგრამ ასე არ ყოფილა. ერთ მშვენიერ დღეს შენც და შენი შვილებიც შეიძლება ერთად ამოიხოცოთ, ისე, ვითომ თქვენი ფერის კატასაც არ გაურბენია ამქვეყნად.

09:42

ამ ქალაქის დაუცველობა აშკარად თვალში საცემია. ერთ მიდამოში ყოველდღიურად იმდენი ადამიანი იყრის თავს, რომ იგი ყველა ჯურის ტერორისტისთვის მიმზიდველი სამიზნე ხდება. თუ ვინმეს უნდა მაქსიმალური ზარალის მიყენება ძალების მინიმალური დანახარჯით, ნიუ-იორკი ამისთვის ზედგამოჭრილია. ნიუიორკელებმა ეს მშვენივრად იციან: ცათამბჯენები საშიშია, ქალაქის ცენტრი ნანგრევების პოტენციური გროვაა, ბროლის მონუმენტია. კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება ძალაუფლების ეპიცენტრი, რომელიც ასეთი ადვილად გასანადგურებელი იყოს. მიუხედავად ამისა, ხალხი აგრძელებს აქ ცხოვრებას. ისევე, როგორც – სან-ფრანცისკოში, სადაც ყველამ იცის, რომ ერთ მშვენიერ დღეს დამანგრეველი მიწისძვრა მათ ქალაქს ოკეანეში ჩაიტანს. ეს კიდევ ერთი გასაოცარი ამერიკული ფენომენია: ნიუ-იორკი, ისევე, როგორც სან-ფრანცისკო, აპოკალიფსური ბედის მეგაპოლისებია, თუმცა ხალხი მაინც არ ტოვებს აქაურობას. უცნაური ხალხია ნიუიორკელები: მუდმივი საფრთხის ქვეშ ცხოვრება კი არ თრგუნავს მათ, არამედ მეტ ხალისს სძენს.

ერთი-ორი ეპიზოდი ჩემი ამნეზიური ახალგაზრდობიდან... რონალდ რეიგანი პრეზიდენტია... ყოველ საღამოს არჩევანის წინაშე ვდგავართ: სად წავიდეთ? ხუთსართულიან Danceteria-ში, Palladium-ში თავისი ტუალეტის წარწერებიანი კედლებით, Webster Hall-ში უზარმაზარი რიგებით შესასვლელში, Area-ში, რომელსაც ყოველთვე ინტერიერს უცვლიან თუ Nell’s-ში, რომელიც უზარმაზარ ბინას ჰგავს. ან იქნებ, ნეოგოტიკური ეკლესიის სტილში მოწყობილ Limelight-ში, ან კლუბ USA-ში? ბევრი ქვეყანა იცით, სადაც ღამის კლუბს ქვეყნის სახელი ჰქვია? ყველა ეს ადგილი დღეს უკვე გამქრალია, წარსულის

ბურუსსა და ჩავლილ დღესასწაულთა ეჭოშია გაუჩინარებული. მხიარულება მინელდა, კლიენტებმა იკლეს, კლუბები აღარ იკავებენ იმხელა ფართობებს, ცარიელი რესტორნები ბზინავენ, მაგია გაქრა.

80 წლის დიდ ფრანგ მწერალს თავის ბინაში ვეწვიე, რომელიც ნიუ-იორკის უნივერსიტეტმა გადასცა. მისი მეუღლე მიხსნის, რომ ქალაქში ყველა სადომაზოხისტური კლუბი დახურეს: Vault, Hellfire, Nouvelle Justine. აღარაფერი აღარ არსებობს. ბოდიშს მიხდის, რომ დღევანდელ Submit Party-ზე ვერ წამიყვანს, რადგან წვეულება მხოლოდ ქალებისთვისაა. ხელცარიელი არ მივდივარ: ფრენსის ფორდ კოპოლას კალიფორნიული წითელი ღვინო მიმაქვს, მაგრამ დიდი მწერალი ბოთლს არ ხსნის, იგი ხერესით[450] მიმასპინძლდება, რომელსაც ნეკერჩხლის სიროფის გემო აქვს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბლინებს ვსვამ. საუცხოოდ ვგრძნობ თავს ამ თავისუფალი და ბედნიერი წყვილის გარემოცვაში, რომელიც 1957 წლიდან ერთადაა. დიდი მწერალი მიყვება, როგორ შეხვდა უილიამ ბეროუზს[451] la Coupole-ში. საშინელი ტიპი იყო, როგორც ყველა ნარკომანი.

– ცოლი მოკლა, – მეუბნება და თან თავის ცოლს უყურებს, – ოღონდ ჯერ მექსიკაში წაიყვანა.

– მექსიკაში თუ დამიპირებ წაყვანას, ფრთხილად ვიქნები, – პასუხობს იგი ღიმილით.

ვეუბნები, რომ სოჰოში არის ბარი, რომელსაც Naked Lunch[452] ჰქვია.

დიდი მწერალი ხუმრობს:

– იქ მხოლოდ დედიშობილა საუზმობენ?

მისი ბოლო ნაწარმოები, „გამეორება» აქ ახლახან ითარგმნა. მერე დიდი მწერალი მეუბნება, რომ მალე ამერიკაში ჩემი რომანი გამოვა და ამ მოვლენის აღსანიშნავად აუცილებლად უნდა ვეწვიოთ სადილზე მის მეგობარს, ედმუნდ უაითს[453]. ფესვებს ვუახლოვდები, ბებიაჩემის ქვეყანაში ვბრუნდები. არ გამომივიდა ჩემს წინაპრებთან, საკუთარ ისტორიასა და სისხლთან კავშირის გაწყვეტა.

– ნიუ-იორკზე დასაწერად სულ არ არის აუცილებელი ნიუ-

იორკში ჩამოსვლა. – მეუბნება დიდი მწერალი და თან თეთრ წვერზე ისვამს ხელს, – მაგალითად მე ბერლინზე ასე ვწერ.

– უბრალოდ, ჩემი რომანები ძველმოდურია. სიახლეები კი თქვენი საქმეა, შენსავით ახალგაზრდების!

ოდნავ მოგვიანებით Thom's Bar-ში ბუხრის ცეცხლითა და კოქტეილ „მარგარიტათი» გამთბარი ფიქრებს ვეძლევი: ჩემს შეყვარებულს ცოლობა უნდა ვთხოვო, მაშინ ამ წიგნსაც კეთილი ბოლო ექნება. მინდა შემდგომი 50 წელი ჩვენც ისეთივე თავისუფალი და ბედნიერი ვიყოთ, როგორიც რობ-გრიიეს[454] წყვილია.

09:43

შუქი ქრება, მერე ისევ ინთება. ნათურები ციმციმებენ, როგორც ღამის კლუბში. მერე უცებ სრული სიბნელე ისადგურებს. ამ წყვდიადში ჩემი ორი შვილის უიმედო სლუკუნი მესმის. ჯოჯოხეთის გულში ვართ. სხვა გზა არ არის, ისევ რესტორანში უნდა ჩავიდეთ. ბევრს აღარ ვფიქრობ, ერთ ადგილას ყოფნა შეუძლებელია.

– ადექით, ბავშვებო, ქვემოთ ჩავდივართ.

ბიჭები გულამოსკვნით ტირიან. ორივეს ხელს ვკიდებ და ვაყენებ. ლურდესი უარის ნიშნად თავს აქნევს. ამბობს, რომ აქ დარჩენა ურჩევნია. ჩვენ დიდხანს ვეხვევით ერთმანეთს.

– აუცილებლად შევხვდებით აქ ან სადმე სხვაგან.

– ღმერთი გფარავდეს, ქართიუ, შენც და შენს პატარა ანგელოზებსაც.

– დარწმუნებული ხარ, რომ არ გინდა ქვემოთ ჩამოსვლა?

– ილოცეთ ჩემზე. როცა აქ კარს გააღებენ, მე თქვენს საძებნელად წამოვალ. ახლა კი წადით! ჩქარა!

და ჩვენ მას სიბნელეში ვტოვებთ.

გზად Windows-ის ერთ-ერთ ოფისში ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერს ვამჩნევ. ქენდეისისთვის ნაჩქარევი მეილის წერას ვიწყებ, ისე, რომ ვერც თავიდან გადაკითხვას ვასწრებ და ვერც შეცდომების გასწორებას. „ქენდი, შენ მომატყუე, იმიტომ, რომ

არასერიოზული ვჩანდი. So what? ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა, იმიტომ, რომ შენი სხეული მე არ მეკუთვნის. ჩვენ მხოლოდ ჩვენი მარტოობა გვეკუთნის, შენ კიდე ჩემი მარტოობა დაარღვიე შენი მხიარულებით, ვარდისფერი ტუჩებით, სევდით და მაგ შენი ფაჩუთი. მეშინოდა, რომ მეთქვა, მიყვარხარ. სრული კრეტინი ვარ, როცა ვფიქრობდი, რომ შენ უმნიშვნელო ხარ. აქ მარტო შენზე ვფიქრობ. ქენდი, მაპატიე. მე აქ მალე მოვკვდები, ძაან ცუდად ვარ, მაგრამ შენ მშველი. როცა შენზე ვფიქრობ, ვხვდები, რომ მინდა სხვა გავხდე. რაღაცა როლს ვთამაშობდი, არ ვიცოდი, შენგან რა მინდოდა, რომ შემხებოდი. შენ გადამარჩინე, მაგრამ შენ ძაან გვიან შემოხვედი ჩემს ცხოვებაში, მე უკვე ყველაფერი გაფუჭებული მქონდა და ჩემს ცხოვრებაში შენთვის უკვე ისეთი ადგილი აღარ იყო, როგორსაც იმსახურებდი. არ ვიცი, რა ვთქვა, მაგრამ საპატიო მიზეზი მაქ, ეს ჩემი ბოლოა. გახსოვდე, შენი ქართიუ».

ჩემ ირგვლივ სხვადასხვა ფერის საქაღალდეები და მუყაოს სანიშნებლებია მიმოფანტული, ეტაჟერიდან გადმოვარდნილ CD-ებსა და საბეჭდი ქაღალდების შეკვრებს ვაბიჯებ. ქაღალდის საჭრელი დანები, მაკრატლები, სამაგრები, სკოჩები და საშლელები ლინოლეუმზე ყრია.

09:44

I am dazzled by the glorious collapse of the world[455]

Henry Miller, «შავი გაზაფხული»

რა ვქნა, ვერ გავხდი საქვეყნოდ სახელგანთქმული. პარიზის ლიტერატურულ წრეებში კიდევ მეტ-ნაკლებად მიცნობენ, თუმცა ჩემი ყურით მოთრეული წარმატება რა მოსატანია მსახიობების ან როკვარსკვლავების პოპულარულობასთან. თავისუფლად შემიძლია ქუჩაში გასეირნება, ისე, რომ ფანებმა არ შემაწუხონ. ძველებურად ასო-ასო ვკარნახობ ჩემს გვარს, როცა თვითმფრინავის ბილეთს ვიღებ, რადგან სწორად „ბეგბედერის» დაწერა არავინ იცის. მოკლედ, Star-ობამდე[456] ჯერ ბევრი მიკლია.

მგონი, სულ გავგიჟდი: დავიწყე იმ სტატიების შეგროვება, სადაც ჩემი სახელია ნახსენები. გაზეთებიდან ვჭრი და

საქაღალდეებში ვინახავ, რათა წლების მერე, როცა უკვე has-been, ანუ ყოფილი გავხდები, ჩემს შვილს ვანახვო.

– ნახე, საყვარელო, როგორი პოპულარული იყო მამიკო ახალგაზრდობაში. სამწუხაროა, რომ შენ ეს არ გახსოვს. ხალხი გიჟდებოდა ჩემზე. გეფიცები! დედაშენს ჰკითხე, თუ არ გჯერა. ასეთი პოპულარულობა ძალიან მძიმე ტვირთი იყო, ამიტომაც გამომაგდო დედაშენმა სახლიდან.

– კი, მამა, ვიცი, რომ ვარსკვლავი იყავი. ერთი ასჯერ მაინც მანახვე ეგ გაზეთები. მაგრამ, ძალიან გთხოვ, ტყუილებს ნუ მეუბნები. ისიც კარგად ვიცი, რატომ დაგშორდა დედა და შენი პოპულარულობა მანდ არაფერ შუაში იყო.

ზოგი ცნობილი ადამიანი ხალხში გამოჩენას ერიდება. მე კი, პირიქით, ყველგან ვარ. ვერ ვიგებ, რატომ უნდა გავქრე, თუ ყველას ვუყვარვარ. მაგას ჯობია, მოვიცადო, სანამ ხალხს ყელში ამოვუვალ და მერე სამუდამოდ გავუჩინარდე, მით უმეტეს, რომ ამისთვის ბევრი ლოდინი არ დამჭირდება.

როცა პარანოია მიტევს, მგონია, რომ სისტემამ ყველაფერი გააკეთა ჩემი ამბოხის დისკვალიფიკაციისთვის: მომცა ფული, წარმატება, პოპულარობა და ამით ჩემი ფსევდორევოლუციური ლოზუნგები უკვე სასაცილო გახადა. ჯერ არ ვიცი, რა შედეგს გამოიღებს ეს ეგზომ კომფორტული სასჯელი. შეიძლება ადამიანს ფუფუნებით პირი დაამუწვინო? შეიძლება დიდება გახდეს რევოლუციის ჭირისუფალი? ეს ხერხი ენვერ ჰოჯამ[457] გამოიყენა, როცა ისმაილ კადარე[458] დეპუტატად დაასახელა. ეს ნიშნავს მწერალს კრიტიკულობა წაართვა და სანაცვლოდ ხელში ძალაუფლება შეაჩეჩო. როგორ უნდა გჯეროდეს იმისი, რასაც ტომ უოლფმა „პარკ ავენიუს მემარცხენეობა» უწოდა, ჩვენში კი „ხიზილალის მჭამელ მემარცხენეებს» ეძახიან. შეიძლება იყო მდიდარი და გინდოდეს ცვლილებები? დიახ, ოღონდ ამისთვის უმადური უნდა გახდე. „ბობუობა» და «ჯიბუობა» სწორედ უმადურობის ასაკში დარჩენას ნიშნავს. კარგია, როცა ბოჰემური ბურჟუა ხარ, უბრალო ბურჟუობას ჯობია. მომბეზრდა, რომ ყველას თვალში თავგასული ბავშვი ვარ, რომელიც სათამაშოებს ამტვრევს. მე მათ იმიტომ ვამტვრევ, რომ ახლები შევქმნა.

09:45

1797 წლის 10 ივნისს ტრიპოლიში ჩემმა წინაპარმა ჯონ ადამსმა ლიბიასთან მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომელშიც ოტომანთა იმპერიის (მაშინ მაღრიბის მიერ მართული) საყურადღებოდ ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ ამერიკა „არანაირად არ არის ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებული სახელმწიფო». ამერიკას ჯვაროსნული ომები არასდროს მოუწყვია ისლამის წინააღმდეგ. პირველი ომი ავღანეთში რუსების წინააღმდეგ იყო მიმართული, და არა – ავღანელების. მაშინ ალიანსიც კი შედგა born-again christians, ხელახლა დაბადებულ ქრისტიანებსა და საუდელ ვაჰაბიტებს შორის (მოჰამედ იბნ აბდელვაჰაბის „ქვიშის კალვინის» (1703-1792) მიმდევრები). ხშირად გვავიწყდება ის, რაზეც უელბეკი საუბრობს ჟურნალ „ლირისთვის» მიცემულ საკმაოდ საკამათო ინტერვიუში, რომ ისლამიც იუდოქრისტიანობის მსგავსად თავს აბრაამის ჩამომავლად თვლის. ამერიკის მმართველი რელიგია მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის ღვიძლი, მაგრამ გადამტერებული და არის. ჩვენ ახალი „ბართლომეს ღამის» მოწმენი ვართ. ჯერი და დევიდი ნავთობმწარმოებელი ქვეყნების წმინდა ბართლომეს მსხვერპლნი გახდნენ. ფუნდამენტალისტი ქრისტიანები ფუნდამენტალისტი მუსლიმანების წინააღმდეგ. მილიარდერების ამ ორი სექტის ინცესტური შეხლა-შემოხლის გამო კი სიცოცხლეს მე ვესალმები.

კი, მაგრამ მე ხომ ამისი არასდროს მწამდა. ჩემი მშობლები აბორტის, ალკოჰოლიზმის, პროსტიტუციისა და ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სინამდვილეში კი დედა კონტრაცეპტივებს ყლაპავდა, მამა ყოველ საღამოს სვამდა, ტეხასი კი სავსე იყო პიდერებით და ბოზებით, ისევე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. მე არასდროს ვემხრობოდი ჩემი მშობლების ხედვას, უნივერსიტეტში ერთხანს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრიც კი გავხდი (ოღონდ მამაჩემის ჯიბრზე, რომელიც რონალდ რეიგანის მიმდევარი იყო). ამიხსენით, რატომ უნდა ვისჯებოდე მე ჩემი მშობლების ნაცვლად. ისინი წაიყვანეთ, თავისი წილი ცხოვრება ამ „თანამგრძნობმა კონსერვატორებმა» უკვე გაიარეს. მე კი მარქსისტი ვიყავი, ამის დედა ვატირე, ევანგელისტი კი არა. Oh my God, უკვე გავაფრინე!..

– მამა? თავი მტკივა...

– პირით ისუნთქე, შვილო.

Windows on the world-ის შავ ღრუბელში შევაბიჯეთ.

09:46

ნიუ-იორკში სადაც შეხვალ, ყველგან ან ორაგულის პაშტეტია, ან ორაგული ფენოვან ცომში, ან უბრალოდ ორაგული. ჯვარი აქვთ დაწერილი ამ ორაგულზე, თუ რა არის? სხვას არაფერს ჭამენ? პარიზში ყველგან ახალშემოსული მწვანილის სალათია, აქ კი – ორაგულის სტეიკი, ორაგული მდოგვის სოუსში და ა.შ.

Meatpacking District-ის კლუბები ნამდვილად ამართლებენ სახელწოდებას. ისინი მართლა საყასბოებს ჰგვანან. მანეკენები კაუჭზე დაკიდებული საქონლის ხორცივით ცეკვავენ. კოკაინით გაბრუებულ ნიუიორკელს ვეკითხები, სად ისვენებს ამ გიჟური ქალაქისგან. იბიცაში! – მპასუხობს. ზოგი ნიუიორკელი გამოუსწორებელია. შეუძლებელია მათი დახსნა საკუთარი აპოკალიფსურობისგან. მძვინვარებასაც აქვს თავისი ხიბლი.

– Are U on the list ?

– My name is Oussama. Oussama Ben Fucking Laden, OK?[459]

თუ ასეთ სიფათებს ასე ეხუმრები, სირბილიც კარგი უნდა იცოდე.

იშვიათია, რომ მწერალს იმ წიგნისა ეშინოდეს, რომელსაც წერს.

„ტაში» მაღალი, ქერა, სევდიანი, შავებში ჩაცმული და ძმებით გარშემოტყმული ქალი მომეწონა. აღარც მახსოვს, როგორ გავიცანი. შეიძლება, შემთხვევით ჭიქით არაყი გადავასხი, როცა ახალგაზრდა მთვრალი ფრანგი მამაკაცი დამეჯახა. ბოდიშს ვუხდი და მის თეთრ ძუძუებზე დასხმულ არაყს სათუთად ვამშრალებ. სწორედ ამ დროს მეუბნება, რომ თუ არ გავჩერდები, მისი დაცვა სახეს ამახევს. ვთხოვ, დაამშვიდოს ისინი. ქალი იღიმის და თავის ორ, გოლიათური აღნაგობის ძმას მაცნობს. ვამჩნევ, მისი ფრჩხილების ლაქი და საღეჭი რეზინი ერთი და იმავე ფერისაა. ვეკითხები, აქედან სად მიდის? როცა უცნობი ხარ უცხო ქალაქში, ამით უნდა ისარგებლო და შენსას ბოლომდე მიაწვე. ლოტუსში, – მპასუხობს და ხალხში უჩინარდება. მე ტაქსის ვიჭერ და ლოტუსში მივდივარ. ერთ

საათში, როცა იგი თავის ცერბერებთან ერთად მოდის, მე უკვე გვარიანად შეზარხოშებული ვარ. ის დანახვისთანავე მიღიმის. თუ გინდა, რომ ამერიკელ ქალს თავი მოაწონო, უნდა თავდაჯერებულად იმოქმედო. ყველა მოძრაობა და ჟესტი მომხიბლავი აქვს. როგორც ჩანს, ჩემი ნახვა ესიამოვნა, თუმცა თავისი ძმების დაჟინებული ყურადღების გამო თავს უხერხულად გრძნობს. საუბარს ის იწყებს, თანაც მკლავზე ოდნავ მეხება. ვეუბნები, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობდი მოდელისთვის შვილების გაკეთებაზე. მეკითხება, ფრანგი ხარ? მე ესპანური აქცენტით ვიწყებ საუბარს. იცინის, თავისი ბროლის სიცილით. ჭიქას ვუვსებ, რომელსაც ერთ გადაკვრაში აცარიელებს. ნიუიორკელი ქალები კი არიან ბროლისგან ჩამოსხმულნი, მაგრამ ძალიან მაგარი ბროლისგან. პირველად ის იხრება ჩემკენ. ტუჩებში მკოცნის. ყინულივით ცივი ენა აქვს. ვნერვიულობ, ვაითუ, „ბიჭმა» მიმტყუნა-მეთქი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა, «ბიჭი» უკვე წამომხტარია. ვეკითხები: რა გქვია? ქენდეისი, – მპასუხობს. ახლა ის მეკითხება: რას საქმიანობ? ამ შეკითხვას ნიუიორკელი ქალები ხშირად სვამენ და მერე თავში თქვენს ხელფასს ითვლიან. ვეუბნები, რომ რომანს ვწერ Windows on the world-ზე. სახე უქვავდება, გეგონება, თავში ხელკეტი ჩავარტყი. მეუბნება, რომ თავის ძმებს ნახავს და ახლავე მოვა. რა თქმა უნდა, აღარ მოსულა.

09:47

A hundred times I have thought:

New York is a catastrophe,

And fifty times:

It is a beautiful catastrophe.

Le Corbusier[460]

09:48

არტ შპიგელმანმა ზუსტად თქვა: მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ნიუიორკელები ისე შეჰყურებდნენ, როგორც – მექას მუსლიმები. იქნებ ცათამბჯენები სულიერ სიცარიელეს

ავსებდა? ეს იყო ორი დედაბოძი, რომელზეც ამერიკული მითი განისვენებდა. საოცარი დასანახავი იყო მსოფლიო სავაჭრო ცენტრი მზის ჩასვლისას. ორი გაჩახჩახებული კოლონა, რომელსაც ახლოდან თუ დააკვირდებოდით, უამრავ პატარა ყვითელ კვადრატს შეამჩნევდით. ეს ოფისების განათებული ფანჯრები იყო. შენობები, ერთი შეხედვით, მინის გიგანტურ საჭადრაკო დაფებს ჰგავდა, რომლებშიც პატარა მარიონეტები ყურმილს იღებდნენ და კიდებდნენ, ბეჭდავდნენ, უკოფეინო ყავით ხელში მიდი-მოდიოდნენ, ძალიან საჭირო საბუთებს აფრიალებდნენ და ძალიან მნიშვნელოვან მეილებს გზავნიდნენ; ეს იყო ათასობით ციცინათელა სიბნელეში, ჭიანჭველების განათებული ბუდე, ატომური სადგური, საიდანაც ყველაფერი იწყებოდა და სადაც ყველაფერი სრულდებოდა, დაუმარცხებელი მსოფლიოს შუქურა, ხმალი, რომელიც ღრუბლებს აპობს; დღის მიწურულს კი, როცა ცა წითლად ნათდებოდა და ნიუიორკელებს გულზე რაღაც ლოდივით მძიმე აწვებოდათ, ცათამბჯენები მათ სიმხნევეს მატებდა და სულიერ სიმშვიდეს უბრუნებდა.

09:49

ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია Windows-ში, ირვინგ ბერლინის (1939) God bless América-ს მღერის.

While the storm clouds gather far across the sea

Let us swear allegiance to a land that’s free

Let us all be grateful for a land so fair

As we raise our voices in a solemn prayer

God bless America, land that I love

Stand beside her and guide her

Thru the night with a light from above

From the mountains to the prairies

To the ocean white with foam

God bless America, my home sweet home

God bless America, my home sweet home.

სანამ ჰორიზონტს იქით ღრუბლები გროვდება,

ერთგულება შევფიცოთ ამ თავისუფალ მიწას,

ამ სამართლიან მიწას მადლიერებით მივუძღვნათ

ერთხმად და ხმამაღლა წმინდა ლოცვები.

ღმერთმა დალოცოს ამერიკა, ჩემი საყვარელი მიწა,

არ მიატოვოს და მუდამ წინ მიუძღოდეს,

ღამით მაღლიდან გზას უნათებდეს,

მთებიდან და ვიდრე პრერიამდე,

ოკეანის აქაფებულ ტალღებამდე,

ღმერთმა დალოცოს ამერიკა, ჩემი ტკბილი სახლი,

ღმერთმა დალოცოს ამერიკა, ჩემი ტკბილი სახლი.

09:50

აი, კიდევ რა შეიცვალა 80-იანი წლების შემდეგ: ადრე ამერიკელები ამბობდნენ – hi, ახლა კი ამბობენ, – hey, what’s up. [461] ახლანდელ მისალმებაში ნაკლები დელიკატურობა და მეტი გაოცებაა. მახსოვს, hi-ს ამბობდნენ ღიმილით, ზრდილობიანად, გაგრძნობინებდნენ, რომ უხაროდათ თქვენი ნახვა. დღევანდელი hey კატასტროფის შემდეგ სულ სხვაგვარად ჟღერს, ასე მგონია, მეუბნებიან: „მოიცა, რას შვრები? ისევ ცოცხალი ხარ? ყოჩაღ, რომ ჯერ კიდევ გიდგას სული!» თუმცა, შეიძლება მე ცოტას ვაფრენ. შენობებს ისე დავეძებ, როგორც სვავი – მძორს. ქუჩებში დავეხეტები, რომ ჯერ კიდევ თბილ-თბილი უბედურების სუნი შევიგრძნო. მწერალი ტურაა, ჰიენა, კოიოტი. ცოტაოდენი სასოწარკვეთილება მიბოძეთ, თუ შეიძლება; უბედურებას დავეძებ, იქნებ მიმასწავლოთ; სადმე ახლოს სიმხეცე და სისასტიკე ხომ არ გინახავთ?! Bubble Yum-ს ობლების დარდთან ერთად ვღეჭავ.

ზოგი კრიტიკოსი ფილმს „ფანჯარას მსოფლიოში» უწოდებს; ზოგი იმავეს რომანზე ამბობს. Windows on the world-ის

დაბურული შუშის კედლებში საკუთარ გამოსახულებას ვხედავ: მაღალ მოხრილ სილუეტს შავ პალტოში, სათვალიან წეროს, გრძელი ნაბიჯებით რომ მიიწევს წინ. ნაბიჯს ვუმატებ, ვცდილობ გავექცე ამ აჩრდილს, რომელიც უკან მომდევს, როგორც მტაცებელი ფრინველი – თავის მსხვერპლს. ავტობიოგრაფიულ რომანს იმიტომ კი არ ვწერ, რომ საკუთარი თავი გავაშიშვლო, არამედ იმიტომ, რომ დავიმალო, გავქრე. რომანი სარკეა ამალგამის[462] გარეშე, რომლის უკანაც ვიმალები, რათა ისე ვიყურო, რომ ვერავინ შემამჩნიოს. სარკეს, რომელშიც საკუთარ გამოსახულებას ვხედავ, ბოლოს სხვას ვუწვდენ.

ის, რაც აქ მოხდა, სულაც არ უშლის მოხუც ქალებს თავისი პატარა ძაღლუკები მედისონ ავენიუზე ასეირნონ, ისევე როგორც ქუჩის მოვაჭრეებს Gucci-ს მაღაზიასთან ახლოს ტროტუარზე Gucci-ს ყალბი ჩანთები გამოფინონ. ყველაფერი ძველებურადაა: ვერნისაჟები, სადაც ყველა შავ ტანსაცმელში ჩაცმული მიდის, კლუბები, სადაც მოსაწვევის გარეშე ვერ შეხვალ და სასტუმროები, სადაც ყველაფერი თვალისმომჭრელად ლამაზია. წარსულში დაბრუნების მოთხოვნილება აქაც თავს მახსენებს და Wall Street-ისკენ მივემართები, რათა შევამოწმო, ამუშავდება თუ არა პრუსტისეული რემინისცენცია[463] იმ შენობის დანახვაზე, რომელშიც 80-იან წლებში ვმუშაობდი. შესასვლელში კედელზე ჯერ კიდევ კიდია წარწერა: Credit Lyonnais, მაგრამ რეცეფციონისტი მიხსნის, რომ ფრანგული ბანკი უკვე კარგა ხანია uptown-ში გადავიდა. რა ვქნა ახლა, როგორ გადავერთო ათ წამში პრუსტიდან მოდიანოზე? აქეთ-იქით ვიყურები: მიტოვებული შენობა, კონსიერჟის დაეჭვებული მზერა, მდუმარე და მისტერიული დაცვის თანამშრომელი. მეხსიერება ბინდითაა მოცული. ნუთუ აქ ვატარებდი მთელ დღეებს? ტყუილად ველი, არაფერი მახსენდება.

– Sir, you can’t stay here.

უნიფორმაში გამოწყობილი მოხეული ტიპი ნელი ნაბიჯით მოდის ჩემკენ.

– But I worked here a long time ago[464].

ტყუილად ვცდილობ ესპანელად თავის გასაღებას; ჩემი წარსული გარეთ მაგდებს, ვეღარ მცნობს, მბრუნავი კარისკენ

მიმითითებს. და მეც კიდევ ერთხელ ვაქცევ მას ზურგს.

09:51

კეტ სტივენსი მღეროდა: Ooh baby baby it’s a wild world.[465] Wild Trade Center-ში ყველა დისკი მქონდა. კეტ სტივენსი, ისევე, როგორც ნილ იანგი[466] და ჯეიმს ტეილორი[467] ჩემი კერპები იყვნენ. რამდენი გულისამაჩუყებელი სიმღერა და ნატიფი მინიატიურა ჰქონდა. ჯერ მარტო „ჰეროლდი და მოდის» მუსიკა რად ღირდა: წრფელი სიტყვები, გულისგამგმირავი მელოდია, ლირიკულობა და სიმარტივე. თითქოს ეს ავტორი, კომპოზიტორი და შემსრულებელი განსაცვიფრებელ ცოდნას ატარებდა, თითქოს მას რაღაც უზენაეს ძალასთან მიესვლებოდა. „როცა მარტო ვრჩებოდი, – განაცხადა მან ერთხელ, – სიმღერები თავისით მაკითხავდნენ“.

Times leaves you nothing,

Nothing at all (Time, 1970).

Oh mama mama see me, I’m a pop star.

Oh mama mama see me on the TV (Pop Star, 1970).

Trouble oh trouble set me free (Trouble, 1970).[468]

კეტ სტივენსის ერთ-ერთი მთავარი თემა, უმანკოების დაკარგვა იყო. სიმღერის Where do the children play[469] დასაწყისი დღეს უკვე სულ სხვაგვარად ჟღერს:

Well I think it’s fine building Jumbo planes (…).

Will you tell us when to live.

Will you tell us when to die.[470]

მისი სიმღერები წინასწარმეტყველებასავითაა: Morning has broken, Home in the sky და მისი შედარებით ძველი სიმღერა The view from the top can be oh so very lonely[471] (1967).

კეტ სტივენსის სიტყვებში გენიალური მწერლებისთვის დამახასიათებელი სიმარტივე იგრძნობოდა, მაგრამ ჩემთვის იგი მაინც სულ სხვა რამეს ნიშნავდა. ის ჩემი დარდიანი მარტოობის გამზიარებელი, გულითადი მეგობარი და

ერთგული თანამგზავრი იყო. საათობით ვიჯექი ჩემს ოთახში ტეხასში ფეხშიშველი ლოგინზე და მისი ალბომების ყდებს დავყურებდი. მისი გიტარის მკვეთრი ბგერის გაჟღერებისას სულში თითქოს სიმშვიდე ისადგურებდა. იმ დროს ფირფიტების ზომა თორმეტი დუიმი იყო. მას შემდეგ, რაც ვინილი CD-მ შეცვალა, მუსიკა „დისკების ინდუსტრიად გადაიქცა“, რომლის გზავნილიც უკვე ასეთი იყო: ამიერიდან მუსიკა აღარაა აღქმის საგანი, იგი სამომხმარებლო საქონელია პლასტმასის ყუთში. არადა, საათობით შემეძლო მტირალ ნაგვის ყუთზე საუბარი. ალბომზე Mona Bone Jakon ნაცრისფერი ნაგვის ყუთი ეხატა, რომელსაც ცრემლი ჩამოსდიოდა. გინდათ, გითხრათ ჩვენი დროის ყველაზე ზუსტი მეტაფორა: ჩვენ ვართ სლუკუნა garbage cans.[472] მომწონდა აგრეთვე მისი სიმღერების უცნაური სახელწოდებები: Tea for the Tillerman, Teaser and the Firecat და ელტონ ჯონის სტილში შესრულებული ჩახვეულ-ჩახუჭუჭებული წარწერები, მათი არაჩვეულებრივი (ჟურნალი Rolling Stone წერდა: „დიადი“) არანჟირებებით. ვიოლინოები Lilywhite-ში (1970) პოპმუსიკის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო „გადასვლას» აკეთებდნენ, რაც კი ბენ ე. კინგის[473] Stand by me-ს მერე მომისმენია.

კეტ სტივენსი ცდილობდა რაღაც ეთქვა, მერე კი გაუჩინარდა.

You may still be here tomorrow,

But your dreams may not.

(Father and Son,1970)[474]

კეტ სტივენსმა ყველა თავისი შედევრი ერთი წლის განმავლობაში დაწერა, 1970 წლის იანვრიდან ივლისამდე, როცა საავადმყოფოში იწვა და ჭლექისგან მძიმედ დასნეულებული სიკვდილს ებრძოდა. რომანტიკოსთა დაავადება: მოურჩენელი ხველის და ნარკოტიკების, სასმლის და ქალებთან გატარებული უძილო ღამეების შედეგი. სწორედ საავადმყოფოში მოუშვა კეტ სტივენსმა წვერი.

1977 წლის 23 დეკემბერს ორმოცი მილიონი გაყიდული ალბომის შემდეგ, რომელთაგან შვიდი სამოცდაათიან წლებში „ტოპათეულში» შედიოდა, კეტ სტივენსი გაუჩინარდა. Swinging sixties-ის ვარსკვლავი, თავმდაბალი ადამიანი, რომელიც თავისი «როლს როისიდან» ფანების შეძახილების ფონზე თავდახრილი გადმოდიოდა, რომლის ცხოვრებაც ჩაწერებისა და

ტურნეებისგან შედგებოდა, რომელიც როკვარსკვლავის ცხოვრებით ცხოვრობდა, კაიფით და სექსით ძვირად ღირებულ სასტუმროებში, ერთადერთი ინგლისელი ბითლების შემდეგ, რომელიც წარმოუდგენლად პოპულარული გახდა ამერიკაში, რომელმაც ორი საღამო ზედიზედ Madison Square Garden-ი მსმენელებით აავსო (შუა სიმღერაში მაყურებლები standing ovations[475]-ს აკეთებდნენ), სტივენსონმა 1977 წელს მუსლიმანობა აღიარა. ყურანი მას ძმამ აჩუქა, რის შემდეგაც იგი იერუსალიმში მეჩეთის მოსანახულებლად ჩავიდა, 1978 წლის 4 ივლისს კი იუსუფ ისლამის სახელით მოინათლა. 31 წლისა იყო. არც ერთ ასეთი მასშტაბის ვარსკვლავს არ დაუტოვებია სცენა ასე მოულოდნელად და ასე ადრე. მან აუქციონზე თავისი თეთრი როიალი და ოქროს დისკები გაყიდა, ფული კი საქველმოქმედო ორგანიზაციებს დაურიგა. განცხადება გააკეთა, რომ ამის შემდეგ მხოლოდ იმისთვის დაწერს, რომ მუჰამედის სიტყვა ხალხთან მიიტანოს. როცა სალმან რუშდის აიათოლა ხომეინიმ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, იუსუფ ისლამმა ბრიტანულ სატელევიზიო არხს ინტერვიუ მისცა, რომელშიც განაცხადა: „ღვთის გმობისთვის ერთადერთი სასჯელი სიკვდილია“. ეს იმავე ადამიანმა თქვა, რომელმაც Peace Train[476] დაწერა. დღეს მას თავზე დოლბანდი ახურავს, გრძელი წვერი აქვს, ტრადიციული არაბული სამოსი და ქოშები აცვია და ლონდონის გარეუბანში ყურანის შემსწავლელ სკოლას აფინანსებს. საკუთარ თავს იგი „ისლამის მიერ გადარჩენილს» უწოდებს.

რა ვიცი, მუსლიმანი ხომ არ გავმხდარიყავი, კეტ სტივენსის და კასიუს კლეის მსგავსად? ქართიუ იორსტონი აღარ მერქმეოდა, ავიღებდი რაიმე არაბულ სახელს, ჯერის და დევიდს კი აბდულად და ალიდ მოვნათლავდი.

Ooh baby baby it’s a wild world.[477]

09:52

მეხსიერებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიტივტივდება მოგონებები ამერიკაში გატარებული წლების შესახებ. პირველად მსოფლიო სავაჭრო ცენტრი ათი წლის ასაკში გადავიღე. მაშინ მამაჩემმა ვიდეოკამერა მაჩუქა, 8-მილიმეტრიანი ფირით. მახსოვს, ტყუპთან ტაქსით მივედით. ქუჩა დერეფანს ჰგავდა,

რომელსაც აქეთ-იქით მაღალი შენობები კედლებივით მიუყვებოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთის გიჟმაჟმა მდინარემ კანიონის ფსკერზე ჩამიტანა, თავი ქალაქში კი არა, უფსკრულის ძირში მეგონა. შენობები ირეკლავდნენ მათ წინ მდგომ სახლებს, ისინი – იმათ წინ მდგომს და ასე შემდეგ. ჩემი პაწაწინა სხეული გამრავლებულიყო და ყველა მხრიდან მიყურებდა, როგორც ბოტანიკური ბაღის სარკეებიან ლაბირინთში. მოედანზე ჩემი პირველი რეჟისორული ხედვა გამოვავლინე და ცათამბჯენები ქვემოდან ზემოთ გადავიღე. ამ რაკურსით ისინი ცაში მიმავალ ავტომაგისტრალს ჰგავდნენ, მისი ზოლები კი – თეთრ ხაზებს, რომლის გადაკვეთის შემთხვევაშიც მძღოლს აჯარიმებენ. დიდხანს გადაღება შეუძლებელი იყო: კასეტებიანი ვიდეოკამერისგან განსხვავებით 8-მილიმეტრიანებს მხოლოდ სამწუთიანი ეპიზოდების ჩაწერა შეეძლოთ, თანაც შეცდომა არ უნდა დაგეშვა, რადგან ფირზე ზემოდან გადაწერა შეუძლებელი იყო. მე ჯერ სავაჭრო ცენტრის პირველ შენობას გადავუღე, მერე – მეორეს და ბოლოს, ისევ პირველს დავუბრუნდი. ამ არასტანდარტული რაკურსით გადაღება არცთუ ისე ადვილი იყო, თავბრუ მეხვეოდა, უკან ისე ვიყავი გადახრილი, რომ კინაღამ ტროტუარზე გავიშხლართე. მაშინ შევამჩნიე პირველად, რომ ქვემოდან ზემოთ ყურება ისეთივე შიშის მომგვრელია, როგორიც ზემოდან – ქვემოთ. ამ უშველებელი ზომის მასტოდონტების[478] დანახვით პირველად შევიგრძენი, რა არის მეტაფიზიკა. უნდა ითქვას, რომ „ბოსუეს სკოლის» კატეხიზმოს გაკვეთილები ასეთი შთამბეჭდავი არ ყოფილა. ამ ორი ბეტონის კოლოსმა უბრალოდ კი არ გამაოგნა, არამედ ფიზიკურად დამთრგუნა. ეს რაღაც ჩვენზე უფრო ძლიერი იყო. ძალა, რომელიც ამ ცათამბჯენების შემქმნელთა შთაგონების წყაროდ იქცა, არ შეიძლება ადამიანს ეკუთვნოდეს. თუმცა, კოლონებს შორის დაშორება ისეთი იყო, იფიქრებდი, არქიტექტორმა მამაჩემის მხრების სიგანით გაზომაო. შენობების ბუმბერაზული სიდიდის მიუხედავად, მათში რაღაც ძალიან ორგანული იკითხებოდა. ის, რაც ჩვენზე ძლიერია, ჩვენ ვართ. ზაფხულის თბილი ქარი მოედანზე მადისაღმძვრელი, მოტკბო მდოგვმოსხმული (ოღონდ დიჟონის მდოგვი არ გეგონოთ) ჰოთდოგების სუნს ატრიალებდა. მეც აქეთ-იქით დავხეტიალებდი, ვიღებდი, როგორ დასეირნობდნენ გრანიტის ფილებზე ტურისტები, დაქროდნენ ბავშვები გორგოლაჭებით და როგორ ცეკვავდა რობოტივით ვიღაც კაცი. მაგრამ

ცათამბჯენებს თვალს მაინც ვერ ვწყვეტდი, ჩემს კამერას მოჯადოებულივით იზიდავდა ეს ორი ტიტანი, რომლებსაც მხრებზე ცის კამარა ედგათ. შენობები თითქოს ჩვენს თავზე ერთდებოდნენ, ტრიუმფალური თაღივით იკვრებოდნენ და ამობრუნებულ V-ს ემსგავსებოდნენ. მხოლოდ ცის წვრილი თასმა ჰყოფდა მათ. ასეთი შენობების ამგები ან შერყეული უნდა ყოფილიყო, ან ბავშვური ბუნება უნდა ჰქონოდა, ან – ორივე ერთად. კიდევ ერთი რამ იყო გამაოგნებელი: ფეხით მოსიარულენი. ისინი თავდახრილნი ჩქარ-ჩქარი ნაბიჯებით თავიანთ საქმეზე მიიჩქაროდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ გოლიათების ფეხებში დაძვრებოდნენ. ზემოდან კი გოროზად მათ საშიში ახირება გადმოჰყურებდა.

09:53

ჯობდა მანჰეტენი ინდიელებისთვის დაეტოვებინათ, – 1626 წლის შეცდომა! როგორ შეიძლებოდა იმ ადამიანის ნდობა, რომლის გვარიც მინუი იყო (Minuit ხომ ფრანგულად შუაღამეა). საფრანგეთში ეს გაგანია ბოროტმოქმედების დროა.

09.54

დავიღალე ფატალური რომანების წერით; დავიღალე უაზრო პოსტეგზისტენციალური ძიებით; დავიღალე ჭვავის ყანაში მადევრის როლის თამაშით, რომელიც ვერასდროს ვერავის დაიჭერს. მომავლის უტოპიას ვეძებ. რა უნდათ იმ საპროტესტო აქციის ახალგაზრდა მონაწილეებს, რომლებიც მსოფლიო ლიდერთა სამიტების ჩატარებას უშლიან ხელს? ჩვენ მათ საჩქაროდ „ანტიგლობალისტების ჯგუფის» იარლიყი მივაწებეთ. სინამდვილეში, ისინი გლობალიზაციის წინააღმდეგნი კი არ არიან, არამედ კაპიტალისტური სისტემის სწრაფი გავრცელებისა, რადგან იგი ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება, ანადგურებს და მიწასთან ასწორებს: ხალხსაც და ქვეყანასაც. ე.წ. „ანტიგლობალისტები» თავისი ცხოვრების წესით ხომ სხვებზე მეტად „გლობალისტები» არიან: ისინი ბევრს მოგზაურობენ, ერთმანეთს ინტერნეტით ეკონტაქტებიან, მსოფლიოს ყველა ენაზე ლაპარაკობენ და შეხვედრებს ტექსტური შეტყობინებებით ნიშნავენ. ის, რაც მათ აწუხებთ, შორი დისტანციების დაახლოება კი არ არის,

არამედ ყველაფრის მოსწორებაა, სამხრეთისა და ჩრდილოეთის გათანაბრებაა, ფულისა და კერძო ინტერესების უსაზღვრო ძალაუფლებაა. გენუაში მომხდარი ინციდენტი სწორედ ამ განადგურებისა და მიწასთან გასწორების მაგალითი იყო. კარლო ჯულიანი[479] (ნეტავ, რუდოლფ ჯულიანი ნათესავად ხომ არ ერგებოდა?) მტვრად და ქვიშად ამ გამართულად მომუშავე, კარგად დაზეთილმა მანქანამ აქცია. მისმა სიკვდილმა „თავისუფალი» მსოფლიოს ახალი ლიდერების ჭეშმარიტი სახეები დაგვანახვა: ბერლუსკონისა და ჯორჯ ბუში-უმცროსის, კიბერპრეზიდენტების, მარკეტინგული პოლიტიკის მძიმე არტილერიის საშუალებით ძალაუფლების სათავეში მოკალათებულების.

რა არის ეს ახალი სახელწოდება, „ალტერგლობალიზაცია“, რომელიც პორტო ალეგრეს[480] ცნობილ შეკრებაზე გაჟღერებული ლოზუნგიდან – „ახალი მსოფლიო შესაძლებელია» იღებს სათავეს? მაგრამ როგორია ეს ახალი მსოფლიო? ამ მოძრაობას არავითარი ხედვა და კონკრეტული წანადადებები არ გააჩნია. ისინი შეთანხმებულად უარყოფენ ყველაფერს, მაგრამ გამოსავალს ვერ გვთავაზობენ. ან იქნებ გამოსავალი „სოციალიზმია – ადამიანური სახით?!» კაპიტალისტური ქვეყნების მცხოვრებთათვის სოციალიზმი ცოტათი მაინც სასურველი და მისაბაძი რომ ყოფილიყო, 100 მილიონი კაცი კომუნისტური რეჟიმის მსხვერპლი არ გახდებოდა. შოას[481] ხსოვნა ვალდებულს გვხდის ნებისმიერი სახის რასიზმისა და „ერის განწმენდის» გამოვლინებებს დავუპირისპირდეთ, ისევე, როგორც გულაგის მაგალითი მუდმივი შეხსენებაა უტოპიური ოცნებისგან გასათავისუფლებლად და თანასწორობის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად. დიახ, კატასტროფები სასარგებლოა. ნანგრევები უბრალოდ კი არ უნდა იზიდავდეს ადამიანის თვალს, არამედ რაღაცას უნდა ახსენებდეს მას.

09:55

ტერორისტებმა აშკარად არასწორად შეარჩიეს სამიზნე. რატომ არ მიიტანეს იერიში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის» შენობებზე პირველ ავენიუზე, 42-ე და 48-ე ქუჩებს შორის? იმიტომ, რომ ეს საერთაშორისო ზონაა? ამ ორგანიზაციამ ხომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული მისია. სწორედ ის არის

მთავარი პასუხისმგებელი ომებზე, უსამართლობასა და უთანასწორობაზე. ისინი სახელმწიფოებს მუდმივად არწმუნებენ, რომ არსებობს ამქვეყნად სამართალი, თუმცა თავად მას არასდროს იყენებენ. ყველა თქვენი «ბოინგი» ამ „მანქანისკენ» უნდა მიმართოთ! მსოფლიოს სჭირდება ქმედითი ხელისუფლება და საერთაშორისო ჯარი, რომელიც რეალურ წესრიგს დაამყარებდა. რა გააკეთეს ცისფერჩაფხუტიანებმა იუგოსლავიაში? რისთვის უხდიდნენ ამ უიარაღო ჯარისკაცებს ფულს? უმოქმედობისთვის? მასობრივი მკვლელობების გულხელდაკრეფილი ყურებისთვის? გაერომ ჯერ კიდევ ბოსნიაში მოახდინა საკუთარი თავის დისკრედიტაცია. გაეროს რეზოლუციები? ეს ხომ ისრაელისთვის დაწერილი ფარატინა ქაღალდებია და მეტი არაფერი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ თავი მაშინ შეირცხვინა, როცა CNN-ის დამფუძნებელმა მილიარდი დოლარი გადაურიცხა. დღეისათვის გაეროს მთავარი ფუნქცია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ხელის დაფარება, მისი ჰეგემონიის დაკანონება და საჭიროების შემთხვევაში ომის წარმოების გამართლებაა. რატომ არა აქვთ ღარიბ და დაჩაგრულ ქვეყნებს ხმის უფლება? საჭიროა ამ ბიუროკრატიული, სკლეროზიანი და გახრწნილი ორგანიზაციის საფუძვლიანი გარდაქმნა. გაერო ერთა ლიგის ნანგრევებზე აღმოცენდა; რა უნდა აღმოცენდეს გაეროს ნანგრევებზე? საჭიროა პლანეტარული დემოკრატიის შექმნა. ამას ჯერ კიდევ ჰარი დევისი, ორგანიზაცია „მსოფლიოს მოქალაქეთა მოძრაობის» დამფუძნებელი აცხადებდა 1948 წელს (მას, სხვათა შორის, ალბერ კამიუ, ანდრე ბრეტონი და ალბერტ აინშტაინი უჭერდნენ მხარს). არსებობს ხსნა ბოროტმოქმედთა ტერორისა და ეკოლოგიური კატასტროფებისგან: მსოფლიო რესპუბლიკა, საერთაშორისო პარლამენტი და საერთო პლანეტარული არჩევნები.

09:56

გაეროს ეზოში განლაგებულ ქანდაკებებს შორის ჩემს ყურადღებას წმინდა გიორგის გამოსახულება იპყრობს, რომელიც ურჩხულს განგმირავს. ურჩხული საოცრად ჰგავს თვითმფრინავის ფიუზელაჟს. მოძრავი ტელესადგურების მანქანები ქანდაკებას ეფარებიან. ეს მასიური ძეგლი, სახელწოდებით Good defeats evil,[482] გაეროს 1990 წელს

საბჭოთა კავშირმა აჩუქა. ის რუსული და ამერიკული კოსმოსური რაკეტების ნარჩენებისგანაა შექმნილი. Good defeats evil! – ეს ბრძოლა მთელ მსოფლიოსა და თითოეულ ჩვენგანში მუდმივად მიმდინარეობს. დღეს, 2003 წლის 7 მარტს, დილის 09:56-ზე უშიშროების საბჭოს წევრები ამ კვადრატულ შენობაში იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ერაყში ომის დაწყების რეზოლუციას კენჭი უყარონ. გუშინ კი ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს პრეზიდენტმა ბუშმა საკმაოდ შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვა:

– 11 სექტემბრის მერე ჩვენი სამშობლო ბრძოლის ველად გადაიქცა (our homeland is a battlefield).

მსოფლიო რესპუბლიკის მოდელად ის მულტინაციონალურობაც გამოდგება, რომელსაც დღეს ნიუ-იორკი წარმოადგენს. „მსოფლიო საზღვრების გარეშე» შესაძლებელია და ამის საუკეთესო მტკიცებულება ეს პატარა კუნძულია. რეზულტატი ბინძური, საშიში, რთული და ხმაურიანი სისტემაა, მაგრამ მთავარია, რომ ეს სისტემა მუშაობს. ჩვენ შეგვიძლია მსოფლიოს ნებისმიერი ერის, რასისა და რჯულის წარმომადგენელთან ერთად ცხოვრება. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება, ეს არ არის მიუღწეველი ამოცანა, სარაევოს მსგავსად.

11 სექტემბრის შემდეგ ამერიკამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. ეს შეიძლება სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ასეა.

პარიზში რამდენჯერმე შევხვდი ტროი დევისს. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ზორბა კაცი უკვე დაღლილია იმ მისიით, რაც მამამისმა დააკისრა. მეორე მხრივ, ძალზე ორგანიზებულ ადამიანს ჰგავს: თავისი პატარა კეისით განუწყვეტლივ მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. როცა იგი გავიცანი, პიერ ბერჟეს სთხოვდა ფულს. მეორე შეხვედრის დროს, სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მესიმპათიურა, იმიტომ, რომ ფულს უკვე მე მთხოვდა. ტროი დევისი მუდმივად უსახსრობას უჩივის: იგი მთელ თავის შემოსავალს თვითმფრინავების ბილეთებში ხარჯავს. ბანკირობას შეეშვა და თავი World Democracy-ს, მსოფლიო დემოკრატიას მიუძღვნა. ტროის „მსოფლიო კონსტიტუციის მანიფესტის» პროექტი ჰქონდა. როგორც მახსოვს, ჟან-პოლ ენტოვენთან[483] გადავამისამართე, იმედი მქონდა, რომ ცოტა ხნით მაინც მოვიშორებდი თავიდან, თუმცა Grasset-ისგან მან მანიფესტის

გამოქვეყნებაზე უარი მიიღო. მას შემდეგ ძირითადად მეილით მეკონტაქტებოდა. ჩემი ძმისთვის ფულის დაცინცვლას აპირებდა. ტვინი შემიჭამა, რომ რამენაირად არდისონზე გასვლაში დავხმარებოდი. მერე კი, როცა გაიგო, გამომცემელი გავხდი, ისევ თავიდან შემომიტია თავისი წიგნის იდეით. სიმართლე გითხრათ, ეს ტიპი თავისი მსოფლიო დემოკრატიით უკვე ყელში ამომივიდა. თუმცა, რამდენიც ვიტეხე თავი, მაინც ამ უტოპიაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე (შეგახსენებთ, რომ კარლ მარქსი გარდაიცვალა, ხოლო რაც შეეხება რობერტ იუს,[484] რას ვიზამთ? თავს ზემოთ ძალა არ არის). კოსოვოში ომის დროს ჩემი მოსაზრებები, უფრო სწორად, შინაგანი ყვირილი, ყველაფერი, რაც კი თავში მომივიდა, „მონდს» გავუგზავნე. ჩემდა გასაკვირად, 1999 წლის 24 აპრილს გაზეთმა ჩემი მოსაზრებები გამოაქვეყნა. დღეს, როცა ეს წერილი კიდევ ერთხელ გადავიკითხე, არც ერთი სიტყვის გადაკეთების სურვილი არ გამჩენია. ასეთი რამ კი ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ხდება. მოკლედ, აუცილებლად ტროის უნდა შევეხმიანო.

„ევროპის დასასრული, მსოფლიოს დასაწყისი“

ფრედერიკ ბეგბედერი

„რა მაგარი რამაა მწერლობა! შეგიძლია შენი მოსაზრება გამოთქვა ომზე ისე, რომ სულ არ იყო ომში ნამყოფი (თუ, რა თქმა უნდა, ჰემინგუეი ან მალრო არ გქვია). ამგვარად, ვზივარ ჩემს ოთახში და მოგახსენებთ, რას ვფიქრობ კოსოვოზე. ეს ომი საფრანგეთისა და მთლიანად ევროპის დასასრულია, თუმცა მსოფლიოს დასაწყისია. რატომ? იმიტომ, რომ ეს ომი (რომელიც, სხვათა შორის, უკანონოა, რადგან გაეროს ნებართვის გარეშეა დაწყებული) ჩარევის უფლებით სარგებლობის პრეცედენტია, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანაში ადამიანის უფლებები უხეშად ირღვევა. ამას კი, თავის მხრივ, უეჭველად მოჰყვება მსოფლიო პოლიციური ძალების შექმნის აუცილებლობა.

ადრე ომებში ერები ებრძოდნენ და ხოცავდნენ ერთმანეთს, ეს ომი კი თავად ერების ცნებას აქრობს. ეს მსოფლიო ომზე მეტია, ეს გლობალიზაციის პირველი ომია. აი, რატომ უნდა იყოს ეს ომი, გაეროს ნებართვის გარეშე დაწყებული, გაეროს მიერ შეჩერებული. შემდეგ კი, როცა კოსოვოში მშვიდობა დამყარდება, ხოლო სერბი კრიმინალები ჰაგის ტრიბუნალის

წინაშე წარდგებიან (მათ შორის გენერალი პინოჩეტი და პოლ პოტის მეგობრები), უნდა მოხდეს გაეროს საფუძვლიანი რეფორმა, რათა იგი მსოფლიოს ჭეშმარიტ მმართველად გადაიქცეს. თუ მისი ქმედებები უფრო მოქნილი და დემოკრატიული გახდება, მაშინ ჩვენ შევძლებთ მომავალში ჩარევის უფლების ორმაგი სტანდარტის თავიდან აცილებას (თუ დარღვევები ევროპაში ხდება, ვერევით, თუ აფრიკასა და აზიაში, – თვალს ვხუჭავთ. გამონაკლისი მხოლოდ ისრაელი და ნავთობის მწარმოებელი ქვეყნებია).

ამ ომს კაცობრიობის ისტორიაში სწორედაც რომ ისტორიული როლი აკისრია: მას ქვეყნებისა და საზღვრების გაუქმებისკენ მივყავართ. ამის გამო პირადად მე თავს უსაზღვროდ ბედნიერად ვგრძნობ, რადგან დღეს მე, ფრანგი და ევროპელი, პირველ ყოვლისა, თავს პლანეტა „დედამიწის» მოქალაქედ მივიჩნევ.

დღეს ინტერნეტის, მობილური ტელეფონის, ფულის სწრაფი გადარიცხვის, თვითმფრინავის ბილეთებზე ფასების საგრძნობლად შემცირების, სატელიტებისა და გლობალური ტელევიზიების ხანაში ყველანი ერთი ქვეყნის, „დედამიწის» მკვიდრნი ვართ. ამ ჭეშმარიტებას მულტინაციონალური კომპანიები პოლიტიკოსებზე ადრე მიხვდნენ. ფინანსურად ისინი გასცდნენ საკუთარ ქვეყნებს. სავაჭრო მარკები საერთაშორისო გახდა, მათ სარეკლამო სქემებს დღეს მთელ მსოფლიოში სცნობენ. მოსალოდნელი ტრაგედიები – რასიზმი, რელიგიური ომები, ეკოლოგიური კატასტროფები, დისბალანსი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, საბირჟო კრახი, მაფიის ძალაუფლების ზრდა, წყლით, ენერგიით, ჰაერით მომარაგების კრიზისი, ყინულოვანი ქუდის დნობა, გენეტიკური თუ მედიამანიპულაციები, ჭარბი მოსახლეობა – მთელი პლანეტის პრობლემებია.

აი, რა შეცდომა დაუშვეს ჟან-პიერ შევენმანმა[485] და მისმა თანამოაზრეებმა. ამ ერთიან სივრცეში, რომელსაც ჩვენი პლანეტა ჰქვია, ჩვენი მოვალეობაა ჩავერიოთ იმაშიც კი, რაც ერთი შეხედვით, ჩვენ არ გვეხება. ეს არ არის უტოპია, ეს რეალობაა. იმისთვის, რომ მომავლის გამოწვევებს ვუპასუხოთ, მსოფლიოს მოქალაქენი უნდა გავხდეთ.

ამიტომაც ვიტყოდი, რომ ევროპის გაფართოება და მისი ახალი კონსტიტუცია სრულიად უდროო და უადგილოა. მაშინაც კი

თუ 2050 წლისთვის ევროპული ფედერაციის შექმნას მოვაბამთ თავს, საერთო ვალუტითა და ერთიანი ჯარით, ეს უკვე დაგვიანებული ზომა იქნება. ევროპამ თავისი დრო მოჭამა. ევროპის კავშირი კოსოვოში დასამარდა, როცა ამ კონფლიქტის დასარეგულირებლად ამერიკის ჩარევა გახდა საჭირო.

21-ე საუკუნის გამოწვევები სულ სხვაგვარია. ესენია: პლანეტარული დემოკრატიის შექმნა, რომელიც არ იქნება ამერიკის შეერთებული შტატების კერძო საკუთრება, მთელ მსოფლიოში ფულის საერთო ვალუტის შემოღება, და ეს არ უნდა იყოს არც ევრო და არც დოლარი (ელარი? დორო? მონდო? გლობო?) და მსოფლიო პრეზიდენტის არჩევა (კოფი ანანი? ვაცლავ ჰაველი? ნელსონ მანდელა? დალაილამა? არუნდატი როი[486]? ლულა[487]?). ამასთან ერთად ახალი რეალიები გულისხმობს მშვიდობისმყოფელთა ერთიანი ჯარის შექმნასაც, რომელიც არ იქნება ნატოს ჯარი და რომელიც ხოცვა-ჟლეტის გულხელდაკრეფილი ყურების ნაცვლად, ძალის გამოყენების უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი. ასევე უნდა შეიქმნას საერთაშორისო დემოკრატიული ხელისუფლების ქმედებისთვის აუცილებელი იურიდიული, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული ბაზა, რომლებიც საშუალებას მისცემს მას, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მომხდარ ეთნიკური ხასიათის დანაშაულებზე (ზუსტად ისე, როგორც პოლიცია დაგაკავებთ ქუჩაში, თუ მეზობელს ყელი გამოსჭერით, ხოლო მისი ქალიშვილი გააუპატიურეთ). დროა მივხვდეთ, რომ დედამიწა თითოეული ჩვენგანის სამშობლოა. ერთი სიტყვით, მსოფლიოს გადარჩენის დროა. აი, ათასწლეულის გამოწვევა!»

ტროი დევისი მგონი ახლა ნიუ-იორკშია. მე ვიზიარებ მის მოსაზრებას, რომ მსოფლიოს დედაქალაქი მხოლოდ მაშინ იარსებებს, როდესაც მას ექსტერიტორიულად შეეძლება მთელი პლანეტის მიერ დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დაცვა. სანამ ამერიკა ყოველგვარი მანდატის გარეშე, უთანასწოროდ და უსამართლოდ, მხოლოდ ამერიკელთა ინტერესების გათვალისწინებით მართავს მსოფლიოს, თვითმფრინავების თავზე დამხობა მის ქალაქებსა და მის მოკავშირეებს არ ასცდებათ. და ისევ პორტო ალეგრეს სლოგანს ვუბრუნდები: „სხვა მსოფლიო შესაძლებელია!» სოციალური გლობალიზაცია? შეიძლება. იმისთვის, რომ ტობინის გადასახადის[488] მსგავსი კანონები მივიღოთ

(თუნდაც ტობინის მოსაზრების წინააღმდეგ), საჭიროა საერთაშორისო ინსტიტუტის არსებობა, რომელიც ფისკალურ სამოთხეებს გააუქმებს და ყველა ქვეყანას ფინანსურ ტრანზაქციაზე თანაბარ გადასახადს დაუწესებს. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. შემიძლია სხვაც მოგახსენოთ: დემარში, რომელიც კიოტოს ხელშეკრულების რატიფიცირებას მოჰყვა, ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებასთან დაკავშირებით. სანამ გაერო არ გახდება მსოფლიოს პირდაპირი გზით არჩეული ორგანო, საერთაშორისო სამართალზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სანამ საერთაშორისო სავალუტო ფონდში არ იქნება წარმოდგენილი ყველა დიდი ქვეყანა (და არა მხოლოდ ევროპელი ერები), მანამდე ვერ ვიტყვით, რომ გვაქვს მსოფლიო ბანკი. გარდა ამისა, მხოლოდ მსოფლიო ხელისუფლება შეიძლება იყოს ის ერთადერთი ძალა, რომელიც პოლიტიკური მარკეტინგის ძალაუფლებას გაუწევს წინააღმდეგობას. ეს უკანასკნელი კი უკვე დიდი ხანია პლანეტარულია და ყოველდღე ხარობს იმით, რომ ყველა ქვეყანას თავ-თავისი მთავრობა ჰყავს. მსოფლიო პრეზიდენტს რაც შეეხება, იგი აუცილებლად ან ჩინელი, ან ინდოელი უნდა იყოს. თუ რომელიმე მოქალაქეს მთელ მსოფლიოში არ უნდა, რომ ჩინელი ან ინდოელი პრეზიდენტი ჰყავდეს, მაშინ იგი ნურც დემოკრატიულობაზე დადებს თავს.

09.57

ინტერნეტით გაცნობა ყოველდღე სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მალე შეგვეძლება კომპიუტერში ვებკამერით გადაღებული ავტოპორტრეტები ავტვირთოთ, თან იმ ადამიანის პარამეტრები მივუთითოთ, რომელსაც ვეძებთ: ასაკი, რელიგია, ჰობი, თვალის ფერი და ა.შ. ცოტა ხანში შემთხვევითი შეხვედრები აღარ იარსებებს. ინტერნეტში გამოკიდებ შენს ფოტოს ან ვიდეოროლიკს და თან დააკონკრეტებ: „ვეძებ წითურ, სექსზე გაგიჟებულ, სვინგერობისკენ მიდრეკილ ბისექსუალ ქალს, დიდი ძუძუებით და ეპილირებული საშოთი, რომელსაც კეტ სტივენსის სიმღერები, კალათბურთი, ტარანტინოს ფილმები და რესპუბლიკური პარტია უყვარს“. მობილურით ან მეილით შეგატყობინებენ, როცა შენი მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატურა შენს კვარტალში გაივლის. ძალიანაც კარგი! აღარ იქნება საჭირო ამ იდიოტურ ბარებში ხეტიალი.

სამწუხაროა, რომ მე ვეღარ მოვესწრები ასეთ სრულყოფილ სამყაროს, სადაც სასიყვარულო შეხვედრები მაკლერების განცხადებებივით მოკლე და რაციონალური იქნება.

09:58

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს კლდის პირას ვდგავარ. ისტრივერს დავცქერი, რომელზეც ბუქსირიანი გემები აქაფებულ ტალღებს მიაპობენ. მათ მიერ წყალზე დახატული ხაზები თითქოს ცაში თვითმფრინავების გავლებულ ზოლებს იმეორებს. მას შემდეგ, რაც კოკაინს დავანებე თავი, ყველგან თეთრ ხაზებს ვხედავ. ნეტავ, ნიუ-იორკის ჰაერში თუ არის ჯერ კიდევ დარჩენილი ადამიანის ფერფლი? ყველა ნიუიორკელმა იცის, რომ მას მსოფლიო სავაჭრო ცენტრის მიკროსკოპული ნაწილაკი აქვს ფილტვებში ჩაშვებული. „99 ფრანკში» ოქტავი თავისი შეფის ფერფლს შეისუნთქავს. 11 სექტემბრის შემდეგ ყველა ნიუიორკელი ცოტათი კანიბალი გახდა, თითოეული მათგანი მფრინავი ადამიანის ხორცის მაღალი შემადგენლობის მქონე კარბუნკულითაა დასნეულებული. ქვედა მანჰეტენსა და ბრუკლინში (სადაც ღრუბელმა გადაიარა) პანდემიებმა იფეთქა. ქალაქის მერს, ჯულიანის, მგონი უფრო მკაცრი სანიტარიული ზომების მიღება მართებდა, რომ ისედაც შეშინებული ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო არ დაეპანიკებინა. ალბათ, ერთ დღეს უსაფრთხოების სამსახურის იმ თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება, რომლებმაც ევაკუაცია ისე ჩაატარეს, რომ სახურავზე ასასვლელი კარი არ გაუხსნიათ; ისევე, როგორც იმ ცხრა ვერტმფრენის პილოტებისა, რომლებმაც უარი განაცხადეს ჰაერით ევაკუაციის გეგმაზე.

ფოტოგრაფმა, რომელიც იმ დღეს ერთ-ერთ ვერტმფრენში იჯდა, განაცხადა: „ჩვენ რამდენჯერმე დავარტყით სახურავს წრე, რომ გვენახა, იყო თუ არა იქ ხალხი, მაგრამ არავინ ჩანდა. სხვა რა შეგვეძლო? დაჯდომა ძალიან სარისკო იყო, იმიტომ, რომ კვამლი მანევრირებას შეუძლებელს ხდიდა. რა თქმა უნდა, შეგვეძლო თოკის ჩაშვება, თუმცა პირადად მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სახურავზე ასასვლელი კარი უსაფრთხოების ზომების გამო დახურული იქნებოდა. ირგვლივ ჯოჯოხეთური სიცხე იყო, რომელიც ვერტმფრენის კაბინაშიც კი იგრძნობოდა, პილოტი ტემპერატურას თერმომეტრის ეკრანზე ხედავდა.

გაუგებარი იყო, რა ხდებოდა ამ დროს შენობებში, თუმცა შევამჩნიე, რომ ხალხი გატეხილი ფანჯრებიდან ნახევრად გადმოკიდებულიყო, ზოგი მათგანი დასისხლიანებული იყო, ზოგს დამწვარი და დახეული ტანსაცმელი ეცვა. ისინი ხელებს გვიქნევდნენ, მაგრამ აბა, ჩვენ რა შეგვეძლო? ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმ ქალზე, რომელიც ერთი ხელით ფანჯარას ეჭიდებოდა, მეორეს კი ჩვენკენ იშვერდა... მაგრამ აბა, ჩვენ რა შეგვეძლო?“

„ჩვენ რა შეგვეძლო?» ამ კითხვას ეს საბრალო საკუთარ თავს სიცოცხლის ბოლომდე დაუსვამს. რა შეგეძლოთ? ჩემთვის ადვილია პასუხის გაცემა: ვზივარ აგერ პარიზელი ტურისტი კომფორტულად სავარძელში და ამ რომანს ვწერ. შესაბამისად, ყოველგვარი რისკის გარეშე, სრულიად თავდაჯერებულად და აუღელვებლად გპასუხობთ: უნდა გეთქვათ უსაფრთხოების სამსახურისთვის, რომ სახურავზე ასასვლელი კარი გაეღოთ ან მეხანძრეები გაგეფრთხილებინათ, რომლებიც ამ დროს შენობაში იმყოფებოდნენ, მერე კი ცათამბჯენების თავზე წრეები გერტყათ, როგორც ამას ზღვაზე ან მთაში სამაშველო ოპერაციების დროს აკეთებთ. როგორც წესი, ხალხის ვერტმფრენით ევაკუაცია ასე ხდება ხოლმე. განა ზვავის ან ქარიშხლის შემთხვევაში მაშველებს უკეთეს პირობებში უწევთ აბობოქრებულ სტიქიასთან შერკინება? თვალწინ მუდმივად ერთი სურათი მიდგას: როგორ მიფრინავს მსოფლიო სავაჭრო ცენტრის თავზე ვერტმფრენი და თან თოკის კიბეზე ჩამოკიდებული ხალხი მიჰყავს. ეს საუკეთესო პასუხი იქნებოდა თვითმკვლელი თვითმფრინავებისთვის. სამწუხაროდ, ასეთი კადრი არავის გვინახავს.

ბოლოს და ბოლოს, შევხვდი ტროი დეევისს. მას თავისი განუყრელი რუხი ფერის ტვიდის კოსტიუმი და იმავე ფერის პალტო აცვია, ხელში კი ბორდოსფერი ჩანთა უკავია. ყველა უტოპისტის მსგავსად, ტროისაც სრულიად ფეხებზე ჰკიდია, როგორ გამოიყურება, მით უმეტეს, რომ იგი უკვე მომავალ ათწლეულებში ცხოვრობს. ლენინიც ბუღალტერს ჰგავდა, როცა Closerie des Lilas-ში გამხმარ პურს ჭამდა. Life Café-ში ვისხედით, ჩვენ წინ დახლზე სენდვიჩები ელაგა, იატაკზე ფილები ეგო, კაფეში ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ, ოპტიმისტი გოგონები გუნდ-გუნდად შემოდიოდნენ, კედელზე უგემოვნო სურათები ეკიდა. ტროი ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, მასაც მამაჩემის მსგავსად ჰარვარდი ჰქონდა დამთავრებული,

ოღონდ ფიზიკის ფაკულტეტი.

– მართალია, წელში გავწყდი, მაგრამ საქმე კარგად მიდის. „მსოფლიო პარლამენტის საინიციატივო ჯგუფს» მხარს უჭერენ ედგარ მორინი, ჟაკ დელორი, სონია განდი, ფელიპე გონსალესი, ნელსონ მანდელა, შიმონ პერესი, დანიელ მიტერანი, ჰავიერ პერეს დე კუელიარი, ლეა რობინი, მიშელ როკარი, რაიმონ ბარი, ამარტია სენი (ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში, 1998), ალეჰანდრო ტოლედო (პერუს პრეზიდენტი), მიმისტი მარსო, აბატი პიერი...

– მაგარია! არნო ლაგარდერთან კოქტეილზე მიწვეულთა სიას ჰგავს...

– არ გინდა შენც მიგიწვიონ?.. მოდი, ჩაეწერე ჩემს მხარდამჭერთა კომიტეტში.

– ეგ არ არის აუცილებელი, უბრალოდ ამიხსენი, როგორ შეიძლება ახალი ინსტიტუტის შექმნამ დააჩქაროს „ტობინის გადასახადის» შემოღება ან განვითარებადი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერა?

– ახალი მოდელის მსოფლიო დემოკრატიას უნდა ჰქონდეს ის პოლიტიკური ნება, რომელიც მსგავსი კანონების მიღებას სჭირდება. მაგალითად, ნახშირორჟანგის გამოყოფის შესახებ კანონპროექტის რატიფიკაცია, ანდა გარემოს დაცვის მსოფლიო სააგენტოს შექმნა. ჩვენი დროის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეკონომიკა გლობალურია, პოლიტიკა კი – არა. ახალი კანონების მისაღებად რევოლუციაა საჭირო. ხალხს დაავიწყდა, რომ 1776-1789 წლების რევოლუციები ფისკალურმა პროტესტმა გამოიწვია.

– და შენ გულწრფელად გჯერა, რომ მოესწრები ამას?

– ისტორია ხანდახან დიდ ნახტომს აკეთებს (ამის ბოლო მაგალითი საბჭოთა კავშირის დაშლაა). თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს საერთაშორისო სასამართლო. ეს კი „მსოფლიო მოქალაქეობის» არსებობის პირველი აღიარებაა. თუ ჭკვიანურ და გააზრებულ კამპანიას ჩავატარებთ, მსოფლიო პარლამენტი სულ რაღაც ათ წელიწადში შეიძლება რეალობად იქცეს.

– და სად იქნება ეგ შენი პარლამენტი? ისევ ამერიკის

შეერთებულ შტატებში, გაეროსავით?

– არა, ხელოვნურ კუნძულზე, რომელიც მუდმივად იმოძრავებს ხუთ კონტინენტს შორის. საუკუნის გამოწვევაა მსოფლიოს გემთმშენებლებისთვის!

– იცი, ყველაზე ძაან რა მომწონს შენში: ცოტა რომ აფრენ! და რომანი? ფიქრობ, რომ რომანი დაგეხმარება?

– ჰო, ოღონდ შენი დაწერილი – არა! ასობით ათასი ახალგაზრდა მანიფესტანტი გამოდის დღეს ქუჩაში, უბრალოდ, იდეის გამო, ისე, რომ მათ მოქმედების გეგმასაც კი არავინ სთავაზობს. ხვალ, როცა ამ ფედერალური მსოფლიოს ახალი, მშვიდობიანი მოწყობის გეგმას შეიტყობენ, მილიონობით გამოვა. 2003 წლის 15 თებერვალს ერაყის ომის წინააღმდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ საპროტესტო აქციებზე 10 მილიონი კაცი გამოვიდა. 15 თებერვალი ისეთივე მნიშვნელოვანი თარიღია, როგორიც 11 სექტემბერი. ეს იყო მასშტაბური პლანეტარული მანიფესტაციის ჩატარების დღე.

– ხომ არ გგონია, რომ უკვე გვიანაა! რომ აპოკალიფსი უკვე დაწყებულია, რომ ცინიზმი ყოველთვის აჯობებს უტოპიას, რომ მსოფლიო მშვიდობის იდეა ჯიმი კარტერს უნდა დავუტოვოთ.

– რანაირი ცინიზმიც უნდა იყოს, ჩვენ მაინც მოგვიწევს მსოფლიო გლობალიზაციის საკითხის გადაწყვეტა არატოტალიტარული გზებით. შიმშილის პრობლემა მსოფლიოში ხუთ წელიწადში მოიხსნებოდა, მაგრამ ეს კერძო ინტერესების გადაკვეთისა და ერთმანეთის დაბლოკვის გამო არ ხდება. შიმშილის პრობლემას წყურვილის პრობლემა მოჰყვება და ა.შ. ეს გადაწყვეტილება ამ პლანეტის მცხოვრებთა მისაღებია და არა – რამდენიმე ანგაჟირებული პოლიტიკოსის, რომელიც ენერგეტიკულ და გამანაწილებელ კომპანიებს მიეყიდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ დღეს მსოფლიო დიქტატურის უღელქვეშ ვცხოვრობთ.

– „მსოფლიო დიქტატურა»? ეგ ახლა ბევრი მოგივიდა! და თან მაინც თავისუფლები ვართ?

– ეს მე არ მითქვამს. ეს კამიუმ თქვა...

– ააა, თუ კამიუმ თქვა, მაშინ ეგ სულ სხვა საქმეა... მაშინ კარგი!

პარიზში რომ ჩამოხვალ, გამახსენე, ჟაკობის ქუჩის 56-ე ნომერში წაგიყვანო. იქიდან დაიწყო ყველაფერი, ნაციის დაბადება, როგორც გრიფიტი ამბობდა!

– გაჩერდი ერთი, ნუ ლაპარაკობ სისულელეებს! ეს ყველაფერი ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ შუმერების ხანაში. 5000 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე «სამოთხეში» ვცხოვრობდით, სადაც არ არსებობდა სახელმწიფოები. მერე რამდენიმე შუმერმა მეფემ ომი და ნაციონალური აბსოლუტიზმი გამოიგონა. იცი, ეს ყველაფერი სად ხდებოდა? ერაყში. იქიდან მოყოლებული იმ მიწაზე სულ ვაი-უშველებელია. ბუში და სადამ ჰუსეინიც დღეს ძველი შუმერი მეფეებივით იქცევიან.

– დაანებე შუმერებს თავი. ბოლოს და ბოლოს, შუმერებმა გამოიგონეს დამწერლობა. ეგენი რომ არა, ვეგდებოდი ახლა სადმე ტელევიზიაში!

Life Café ამართლებს თავის სახელს. ამ ინტელექტუალური გუგუნის ფონზე და ასეთი სუფთათმიანი გოგონების (სახელად სენდი) შემხედვარეს მართლა გიჩნდება სურვილი, მსოფლიო გადააკეთო.

– ტროი, ერთი ეს მითხარი: რა უნდა დაარქვა შენს იდეალურ წყობას? ხომ იცი, „იზმით» უნდა მთავრდებოდეს, თორემ შენი უტოპია სერიოზულ სახეს ვერასდროს მიიღებს. გთავაზობ: „ალტერგლობალიზმი“, არ არის ცუდი... გლობალიზაციის ამბავში. ანდა, „ინტერნაციონალიზმი“, არა, ეგ ამოაგდე, ძაან კომუნისტურად ჟღერს. „მულტიპოლარიზმი» ან „კოსმოპოლიტიზმი“. არც ეგ ვარგა, ზედმეტად კაპიტალისტურია...

– სიმართლე გითხრა, ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ეგ საკითხი მაინც მეორეხარისხოვნად მიმაჩნია.

– ჰოდა, მაგაშია საქმე! ეგ ძაან მნიშვნელოვანია. სახელი ისეთი უნდა ერქვას, რომ მიგიზიდოს, გაწევრების სურვილი აღგიძრას. „უნივერსალიზმი“, არა, „ვივენდი» გეგონება. ო! მოვიფიქრე: „პლანეტარიზმი!» ჩვენ კი ყველანი პლანეტარები ვიქნებით!

– თვითმკვლელთა სექტის სახელს ჰგავს.

– არა უშავს! შენ ხომ ახალი დროის შარლ ფურიე[489] ხარ. ჩვენი გურუ, მეცამეტე მოციქული... წმინდაო ტროი, გვიჩვენე გზა ხსნისა!

– ფრედერიკ!

– Yes? დიახ!

– ბევრი დალიე?

– ოჰ, მოიცა ერთი, კარლ მარქსი ხომ, მამა უცხონდა, მარტო მინერალურ წყალს სვამდა!..

09:59

ისევ შეირყა მიწა.

– რა მოხდა? რა აფეთქება იყო?

– მეორე ცათამბჯენი დაინგრა, – თქვა ერთ-ერთმა იქ მყოფმა, რომელსაც თავი ჰქონდა გარეთ გადაყოფილი.

კვამლის გამო ირგვლივ არაფერი ჩანს, შეუძლებელია გაარჩიო, სად ცეცხლია და სად – მტვერი. შენობა, რომელსაც თვითმფრინავი ჩვენს მერე დაეჯახა, ჩვენამდე დაინგრა. გაუგებარია, რატომ? სამაგიეროდ, სრულიად გასაგებია, რომ ჩვენს ცათამბჯენს წუთი წუთზე იგივე ელის.

– Let us pray! ვილოცოთ! ღმერთო, მიუხედავად იმისა, რომ არ გვწამს შენი, მაინც მიიღე ჩვენი ოპორტუნისტი სულები.

პირველი ცათამბჯენის დანგრევას უცნაური ხმა ჰქონდა, გეგონებოდა, ვიღაცამ ერთი დიდი შეკვრა სპაგეტი გადატეხაო. ეგ იყო და ეგ. ალბათ, ასეთი ხმა აქვს ზვავის წამოსვლასაც. მშრალი ტკაცუნის ხმა. Mass murder, მასობრივი მკვლელობა ჭექა-ქუხილივით არ გრუხუნებს, მასობრივ მკვლელობას ორცხობილას ჩაკბეჩის ხმა აქვს, ანდა – ჩანჩქერის, ოღონდ წყლის მაგივრად ბეტონი რომ მოდიოდეს.

ჯერიმ უცებ წყლის რეზერვუარისკენ გაიხედა, რომელშიც რაღაც ბუყბუყი ისმოდა. გამჭვირვალე ჭურჭლის ზედაპირზე ბუშტები სკდებოდა, წყალი დუღდა.

10:00

ქვედა მანჰეტენი ტყუპი ცათამბჯენის გარეშე უკვე სულ სხვა ქალაქია. 37 წელიწადი კვამლში გაუჩინარდა. ნიუ-იორკი ცეცხლმა შეცვალა. ქვედა მანჰეტენი, ქალაქის უძველესი უბანი, რომელშიც შეიძლება გზა აგებნეთ, იმიტომ, რომ მხოლოდ აქ არა აქვს ქუჩებს ნომრები, თავის ძველ იერსახეს დაუბრუნდა. Financial District-ი ყველაზე მეტად ჰგავს ხმაურიან ევროპულ ქალაქს. Wall Street-ზე მივდივარ. „ფულის კედელს» მივუყვები. ეს სახელი მან გალავნის გამო მიიღო, რომელიც აქაურებს ინდიელთა თავდასხმისაგან იცავდა. დღეს კედელს სიმაღლეში გაზრდა არ აწყენდა, როგორც ფინქ ფლოიდის სიმღერაშია. ისრაელში ახლა ბერლინის კედლის მსგავსს აშენებენ. ცოტა ხანში უკვე Wall Street-ს კი აღარ ვიტყვით, არამედ Wall City, Wall Countries, Wall World.[490]

იქ, სადაც ორი ცათამბჯენი იყო აღმართული, ადრე ხის მესერი იდგა, რომელიც ჩვენს ჰოლანდიელ წინაპრებს ალგონკინების[491], დათვებისა და მგლებისგან იცავდა. 1653 წელს აშენებულ ამ ხის კედელს ადგილობრივი მოსახლეობა ყოველწლიურად არღვევდა და შეშად ხმარობდა ან თავის წაწვეტებულსახურავიან, ლაქწასმული კრამიტით გადახურულ სახლებს ამაგრებდა. მსოფლიო სავაჭრო ცენტრი აქ, ახალ ამსტერდამში, ჩემს ფეხქვეშ კოლონიური ეპოქის ნანგრევებს შეუერთდა, გარდასულ საუკუნეთა ლურსმნებს, ჭანჭიკებს, აგურების ნამტვრევებს, ღვინის ჭურჭლისა და შუშის ნამსხვრევებს, ხორბლის, ქერისა და თამბაქოს ყანებს, ღორების ნაშთებს, რომლებიც ოდესღაც ღარიბული კვარტალების ჩაბნელებულ ქუჩებში დაღრუტუნობდნენ და იმ ბედისმაძიებელთა ჩონჩხებს, რომლებიც ამ უცხო მიწაზე შორეული ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. იმაზე უფრო ადრე კი, ძალიან, ძალიან ძველ დროში, აქ, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილას ინდიელებს ჭვავის ყანები ჰქონდათ.

10:01

მაშველებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ჩვენს სახეებს ვერ ნახავდით ტელევიზორში. ჩვენთვის არ გადაუღიათ ფოტო. ერთადერთი, რაც ჩვენ შესახებ იცით, ფასადზე გადმოკიდებული სილუეტები, ჰაერში სწრაფი სიჩქარით

მოძრავი სხეულები და ფანჯრიდან გადმოყოფილი ხელებია, რომლებიც თეთრ ნაჭრებს ღრუბლის ნაფლეთებივით აფრიალებდნენ. და კიდევ იცით სხეულის მიწაზე დანარცხების სულისშემძვრელი ხმა, რომლებიც ძმები ნოდების დოკუმენტურ ფილმში ისმის. ეს ტრაგედიის ამსახველი ერთადერთი ფილმია, რომლის ავტორებიც ფრანგები არიან.

მაგრამ მათ არ უნახვებიათ მიწაზე ვაშლივით გამსკდარი ადამიანების კადრები, სისხლის მდინარეები, ერთმანეთში გადაზელილი ფოლადი, სხეულის ნაწილები და გამდნარი პლასტმასა. თქვენ არ გიგრძნიათ დამწვარი ელექტრომავთულების, 100 000 ვოლტის სიმძლავრის მოკლე ჩართვის სუნი. არ გაგიგიათ ის არაადამიანური ღრიალი, რომელიც ღორის დაკვლის ან ხბოს ცოცხლად დანაწევრების ხმას ჰგავდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ხმებს ადამიანები გამოსცემდნენ, ადამიანები, რომლებსაც მუდარა შეუძლიათ.

რა? კორექტულობა? ბავშვების შოკირებას მოერიდეთ? არ მიიჩნიეთ მართებულად ჩვენი დასახიჩრებული სხეულებისგან სენსაციის შექმნა? დაღუპულთა ოჯახის წევრების გრძნობებს ეცით პატივი? კი, მაგრამ, როცა სხვა ქვეყნებში ერთმანეთზე დახვავებულ მიცვალებულთა გორებს აჩვენებთ, – მაშინ? თქვენ ხომ ყოველთვის იღებთ ავიაკატასტროფის კადრებს და მერე ყიდით, გამონაკლისი მხოლოდ ნიუ-იორკი იყო. „ოჯახების პატივისცემაზე» ფიქრით ჟურნალისტები, როგორც წესი, თავს არ იწუხებენ, განსაკუთრებით კი ამერიკელი ჟურნალისტები. ადამიანთა საყასბოში არ უნდა შეიხედო, თორემ გული აგერევა?! რეალობაა გულისამრევი, მისთვის თვალის გაუსწორებლობა კი – იმაზე უარესი საზიზღრობა. რატომ არასდროს უჩვენებიათ ჩვენი დამსხვრეული ხელ-ფეხის, დაფლეთილი ხორცის და გადმოყრილი შიგნეულობის კადრები? რატომ არ გადაიღეს დახოცილები? ეს არ იყო პროფესიული ეთიკა, ეს თვითცენზურა იყო, თუ გნებავთ უბრალოდ – ცენზურა. ხუთი წუთი არ იყო გასული პირველი თვითმფრინავის ცათამბჯენში შევარდნის შემდეგ, რომ ეს ტრაგედია უკვე მთავარი ფსონი გახდა კადრების ომში. პატრიოტიზმი? რა თქმა უნდა. ნაციონალისტურმა რეფლექსებმა უბიძგეს ჟურნალისტებს, რომ მტრის თვალი არ გაეხარებინათ, ჩვენი ტანჯვა დაემალათ, jumper-ების, დამწვარი და დამახინჯებული სხეულების კადრები ამოეჭრათ.

ჟურნალისტების მხრიდან, ეს სპარსეთის ყურის შემდეგ black-out-ის,[492] მდუმარების შეთქმულების უპრეცედენტო შემთხვევა იყო. არ მგონია, ყველა დაღუპული თანახმა ყოფილიყო, ასე ჩუმად გამქრალიყო. მე, მაგალითად, მინდა, ჩვენი სახეები მსოფლიოს ანახვონ, რომ ხალხმა გაბედოს და შემოგვხედოს. ხომ უძლებენ და უყურებენ ბოლოს და ბოლოს, ფილმს „ღამე და ნისლი“[493]? მაგრამ ეს უკვე სულ სხვა რამ იყო, ეს ომი იყო: ომის დროს კი მოწინააღმდეგის მიერ მიყენებული ზარალის მასშტაბებს ყოველთვის მალავენ. ესეც პროპაგანდის ნაწილია. დაღუპულების ოჯახებს დიდი კომპენსაცია გადაუხადეს. მერი ამიერიდან მდიდარია: ჩემი დაზღვევები, მხარდაჭერის ფონდები, სახელმწიფო კომპენსაციები და ბავშვების მემკვიდრეობა. ქენდეისს კი მოუწევს ისევ საცვლების რეკლამებისთვის პოზირება. აი, ასე ჩატარდა ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური აუდიოვიზუალური დეზინფორმაციის კამპანია. მოაშორეთ ეს სისხლი, მისი ყურება არ შემიძლია! შენობის დანგრევის კადრებს ნონსტოპად დაატრიალებენ ყველა არხზე. მთავარია, შიგნით რაც დარჩა, ის არ ანახვონ: ჩვენი სხეულები!

10:02

თვითმფრინავის გამტაცებლები კი ცხოვრობდნენ თურმე თავისთვის ფლორიდაში, პლაჟებით და shopping mall-ებით გარემოცულ ბალნეოლოგიურ კურორტებზე. ერთი იმის ეშმაკი გამხადა, ეს როგორ ხდება ხოლმე? იქნებ ოდესმე ვინმემ ამიხსნას, როგორ მოხდა, რომ თხუთმეტმა ახალგაზრდა, დიპლომირებულმა, ევროპეიზებულმა არაბმა, რომლებიც კოსტიუმში გამოწყობილნი დაიარებოდნენ, გერმანიასა და ამერიკაში ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ, ღვინოს სვამდნენ, ტელევიზორს უყურებდნენ, მანქანას დააქროლებდნენ, ავიასიმულატორზე ვარჯიშობდნენ და ყოველდღე Pizza Hut-ში სადილობდნენ, ერთ დღეს ბორტგამცილებელს პლასტმასის დანით ყელი გამოსჭრეს (არა, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ ქალი უნდა მაგრად დაიჭირო, იმიტომ, რომ მაგ ბორტგამცილებლებმა ხომ ხელიდან დასხლტომა და ბოლო ხმაზე კივილი იციან, მერე ეს დანის პირი საძილე არტერიასა და ტრაქეაზე ისე ძლიერად დააჭირო, რომ კანი გაუჭრა, სისხლი შადრევანივით ასხამს, ის კი ტლინკებს ისვრის, ქუსლებს ფეხებში გირტყამს, იდაყვებს –

მუცელში; არ არის ეს ადვილი საქმე!). როგორ მოხდა, რომ ამ ახალგაზრდებმა ოთხი «ბოინგის» მართვა და ალაჰის სახელით მათი ცათამბჯენებზე მილეწვა შეძლეს. გასაგებია, რომ ალაჰი ყოვლისშემძლეა, მაგრამ მთლად ასეთიც ხომ არ არის?! კლოდ ლანცმანი[494] ამბობდა: შოა გაუგებარი მოვლენაა. ასეთივე გაუგებარია 11 სექტემბერიც. რა სჭირდათ, კაიფში იყვნენ? თუ კაიფში იყვნენ, რა ნარკოტიკი იყო ამისთანა? კოკაინი? ამფეტამინი? ალკოჰოლო? ჰაშიში? ერითროპოეტინი? რა ჯანდაბა იყო? რა გასამრჯელოს ელოდნენ? ას ქალწულ მეძავს სამოთხეში? თუ სხვა რამეს? იქნებ მაყუთს შეჰპირდნენ? და საერთოდ, რამდენმა მათგანმა იცოდა, რომ თვითმკვლელობაზე მიდიოდა?

ჩემს ბავშვობაში ჟაკ მარტენს «ანტენ-2»-ზე მიჰყავდა გადაცემა, რომელსაც ერქვა „დაუჯერებელი, მაგრამ აშკარა“. ზუსტად „ფანატიკოსთა სკოლის» დაწყებამდე გადიოდა ხოლმე. წამყვანი „ამპირის თეატრთან» ავტობუსით მოყვანილ პენსიონერებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა:

– დაუჯერებელია, მაგრამ?

და ყველა ერთხმად პასუხობდა:

– აშკარა!

წესით, 11 სექტემბრისთვის მას სპეციალური გადაცემა უნდა მიეძღვნა. ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა გამორიცხული იყო, რადგან ასეთი რამის გაფიქრებაც კი შეუძლებელი იყო, ანუ იგი ადამიანის წარმოსახვაშიც კი არ ეწერებოდა. ვინ იყვნენ ისინი, ვისაც ასეთი საქციელის ჩადენა შეეძლო? ვინ იყვნენ მუჰამედ ატა, აბდულაზიზ ალ-ომარი, მარვან ალ-სეჰი და მათი მეგობრები?

ისინი იყვნენ (მონიშნეთ სწორი პასუხი):

ჩამოთრეული შავტრაკა ფანატიკოსები?

ფსიქიკური ავადმყოფები?

ნეოფაშისტები?

დოლბანდიანი წმინდანები?

იდიოტები, რომელთაც ამერიკის სპეცსამსახურების ყოფილი აგენტი, მილიონერი თავის ჭკუაზე ატრიალებდა?

დაჩაგრული მესამე მსოფლიოს გმირები?

კაიფისგან გამოსირებული პოსტპანკური „დისთროის» მიმდევრები?

აქლემების მჟიმავი ბედუინები?

დეპრესიაში ჩაცვენილი ნიჰილისტები?

ანტიგლობალიზაციისთვის მებრძოლები?

კამიკაძეები?

ახლა კი ყველანი ერთად: დაუჯერებელი, მაგრამ აშკარა!

10:03

ორი შეცდომა დავუშვი:

1. ბავშვები გავაკეთე.

2. ისინი საუზმეზე აქ წამოვიყვანე.

უკვე ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ: არა როგორც რეალურ მოვლენებს, არამედ, როგორც მოგონებებს. უჩვეულო შეგრძნებაა, როცა შენ ირგვლივ მომხდარს გარდაუვალი სიკვდილის პრიზმაში ხედავ. რა მშვენიერი ხდება ცხოვრება, როცა მასში თითქმის აღარ ხარ. ზუსტად ვიცი, რომ ეს ყოველთვის მემახსოვრება, მაშინაც კი, როცა უკვე აღარ მექნება მეხსიერება. ჩვენი სიკვდილის შემდეგ კი ჩვენ მაგივრად უკვე სხვებს ემახსოვრებათ.

10:04

killer-cloud-ი დაიძრა. დაიწყო სამშენებლო ნაგვის ტორნადო: ოცდაათმეტრიანი ფოლადის ძელები რკინიგზის რელსების წვიმასავით მოდიოდა ციდან, 10-კვადრატულმეტრიანი შუშის ნაჭრები გიგანტური სამართებლის ბასრი პირივით მიწას ეხეთქებოდა. მკვლელი ღრუბელი 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრავ მოქცევასავით მიიწევდა ვიწრო ქუჩებსა და ფულტონსტრიტზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს ყველაფერი აქ პირველად არ ხდება. მსგავსი

კადრები გვინახავს ფილმებში: „წვეთი“, „გოძილა“, „დამოუკიდებლობის დღე“, „არმაგედონი“, „კერკეტი კაკალი-2» და „დიდი დარტყმა“. იმ დილით რეალობა სპეცეფექტების იმიტაციას ჰგავდა. ზოგიერთი არც კი გაქცეულა, იმდენად შთამბეჭდავი იყო დეჟა-ვუ. ზოგი ალბათ იმიტომ დაიღუპა, რომ ახსოვდა: ბოლოს, როცა ასეთი რამ ნახა, კინოდარბაზში პოპკორნით ხელში იჯდა, ხოლო ნანახიდან ერთ საათში საღ-სალამათი გარეთ გამოვიდა.

10:05

ტელეფონმა საბოლოოდ დარეკა. მერი ტიროდა. მე არ მიცდია მისი დაწყნარება.

– We’re not going to make it out. Pray for us.[495]

– კიბით ვერ ჩამოდიხართ?

– აღარც გასასვლელებია და აღარც მაშველები. ძალიან გთხოვ, დამიჯერე, ნუ მისვამ მაგ კითხვებს. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. გააგრძელე 911-ში რეკვა, უთხარი, რომ სახურავზე გასასვლელი კარი გააღონ.

– მოიცადე... არ წახვიდე... გემუდარები...

გაითიშა. შენობა დაჭრილი დინოზავრივით გრგვინავს, ღმუის, როგორც კინგ-კონგი ფილმის ბოლოს. ჯიბიდან ასდოლარიანების შეკვრას ვიღებ და ფანჯრიდან სიცილით ვყრი. დაახლოებით ხუთი-ექვსი ათასი ბაქსი ჰაერში ფრიალებს. ყველა იცინის. გიჟური, სასოწარკვეთილი ხარხარი შუშის ციხის ბოლო სართულზე წრიულ ექოდ ტრიალებს.

10:06

ტერაქტის მეორე დღეს მთელ ნიუ-იორკში ამერიკის დროშები გამოიფინა. ზუსტად ერთი წლისთავზე კი გაქრა. რა? პატრიოტიზმი დაილია? არა. შიში დაბრუნდა. არ ღირს მტრის გაღიზიანება, ძალიან ბევრს აქვს ალერგია ვარსკვლავებიან ალამზე! რად გვინდა მათი გამოწვევა! ამ დროს მსოფლიოში შეიარაღებისთვის დახარჯული თანხის 40% ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის. რამდენიმე დღეა ვცდილობ

გავიგო, რაში მდგომარეობს ის ცვლილება, რომელიც იგრძნობა ამ ბოლო ხანს ამერიკაში? როგორც იქნა, მივხვდი: ამერიკა დაეჭვდა. ის არ იცნობდა ბლეზ პასკალს, ფროიდი მისთვის შავი ჭირივით იყო. ჩემი მშობლების აღთქმულმა მიწამ არ იცოდა, რა იყო დაეჭვება? აი, დღეს კი საითაც გაიხედავ, ყველგან ამერიკულ ფასეულობებში შეპარულ ეჭვს დაინახავ. განა მხოლოდ ადამიანები დაეჭვდნენ, დაეჭვნენ მანქანები, სუპერმარკეტები; პარკინგები აღარ არიან უკვე არაფერში დარწმუნებულნი. გაუქმებული ეკლესიები, დღეს უკვე დისკოთეკებად გადაქცეულნი, საკუთარ თავს გუმანით უყურებენ. საცობები ქუჩებში ვეღარ ხედავენ თავიანთ აუცილებლობას, ძვირფასი ბუტიკები მხრებს იჩეჩენ და კითხულობენ: ღირს კი ეს ყველაფერი ამად? შუქნიშანზე წითელი ფერი დიდხანს აღარ ჩერდება, რეკლამებს საკუთარი თავისა რცხვენიათ, თვითმფრინავები ფობიის დანერგვას შიშობენ. შენობები ყველაფერს სუფთა ფურცლიდან იწყებენ. ამერიკა პასკალის ერას დაუბრუნდა.

10:07

ქალებმა მიაღწიეს საწადელს: აღარავინ ხედავს მათ დაბერებას.

ცხოვრებაში იმდენი ვიჟიმავე, რომ ბოლოს Kleenex-ის შეკვრის დანახვაზეც მიდგებოდა. 40 წლის ბერბიჭა ვიყავი, რომელიც მთელი ცხოვრება ნონ-სტოპ რეჟიმში იღებდა სიამოვნებას. მეგონა, ეს იყო თავისუფლება, აღმოჩნდა, რომ ეს სიმარტოვე ყოფილა. სიყვარულზე უარი ვთქვი და ბედნიერებას სიამოვნება ვამჯობინე. წყვილების დანახვა დეპრესიაში მაგდებდა. ყველა ცოლიანი კაცი კასტრირებული ტუსაღი მეგონა. ვფიქრობდი: ის, რა კაცია, ყოველ საღამოს ახალ-ახალი ქალი თუ არ გადაზნიქა-მეთქი.

მე მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრება შემეძლო.

10:08

2001 წლის 11 სექტემბერს Burger King-ი მორგად გადაიქცა, Brooks Brothers-ის მაღაზია კირით შეთეთრებულს ჰგავდა. A პირსზე Apple-ს ორი გიგანტური ბილბორდი იდგა, სლოგანით Think different,[496] ზედ ფრანკლინ და ელეონორა

რუზველტების ფოტოები იყო გამოსახული (ფრანკლინ რუზველტი პერლ ჰარბორის დროს ამერიკის პრეზიდენტი იყო, თუმცა ეს უბრალო დამთხვევაა). ვესთსთრითზე გვამებისთვის ქსოვილი გადაეფარებინათ, მათი ჯერ კიდევ თბილი სხეულის ნაწილები კი აქეთ-იქით ეყარა. «ბოინგის» შასიმ რამდენიმე მანქანა მიწასთან გაასწორა. ჰაერი თაიმსსქვერამდე გაჯერებული იყო გამდნარი ლითონისა და დამწვარი სხეულის სუნით. მე-14 ქუჩამდე ყველა გასასვლელი გადაკეტილი იყო. სამხრეთ მანჰეტენზე შეწყდა ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მიწოდება. ტყუპის ძირში როდენის დამსხვრეული ქანდაკებები ეყარა, ქვის სხეულის ნატეხები და ადამიანის დასისხლიანებული ნაწილები ერთმანეთში არეულიყო. გრაუნდზეროს ქვეშ სიბნელით მოცული მეტროს სადგური იყო, ჩამონგრეული ჭერით, გაღუნული ძელებით და ჩამოცვენილი ბეტონით. გაზეთების ჯიხური თეთრი მტვრის ფენას დაეფარა, დამწვარი სადენები კი ჟურნალებისა და შოკოლადის ფილების თავზე კონწიალობდნენ. WTC Plaza-ზე შენობებიდან მოწყვეტილი სვეტები მოედანზე ქარიშხლის შემდეგ ხის დამტვრეული ტოტებივით ეყარა. ნიუიორკელები, ყველა ასაკის, რასისა და სოციალური ფენის წარმომადგენელნი უშველებელ, ოთხ კვარტალზე გადაჭიმულ რიგში იდგნენ, რათა სისხლი ჩაებარებინათ.

მიწა ისე დაეფარა ნანგრევებს, სამეჯლისო დარბაზის იატაკი გეგონებოდა დღესასწაულის მეორე დღეს, როცა ყველაფერი ისეთი დასალაგებელია, რომ არ იცი, საიდან დაიწყო; აქეთ-იქით იყურები, ხვნეში და იმასღა ახერხებ, საფერფლიდან სიგარეტის ნამწვავები გადაყარო. შამპანური აღარ ქაფდება ჭიქებში, მსოფლიოს ფანჯრები აღარ ანათებენ, ისინი ამოღამებული თვალებით იყურებიან. მხიარულება ადრე იყო, როცა თავად ღამე გიღიმოდა. დღეს კი გაყინულ ქუჩებში ხალხი ჩქარი ნაბიჯით დადის. უფრო სწორად, გარბის, იმიტომ, რომ გაჩერებისა ეშინია. აღარც კი ახსოვთ, რატომ ცდილობდნენ ადრე გამდიდრებას? ცათამბჯენებს შორის მანქანა ისე მოძრაობს, როგორც ბატარეებზე მომუშავე სათამაშო ავტომობილი. ჩვენ კი ვცდილობთ ისე ვიაროთ ტროტუარზე, რომ ვერავინ მიხვდეს, რა მძიმედ ვართ ყველანი დაჭრილნი. გამოჯანმრთელებას ვლამობთ.

აქედან უკვე იწყება ის, რისი თქმაც და აღწერაც შეუძლებელია. წინასწარ უნდა მოგიხადოთ ბოდიში იმის გამო, რომ ბევრი რამ

გამოვტოვე. აუტანელი ტანჯვის ამსახველი გვერდები უბრალოდ ამოვიღე. ოღონდ ეს სირცხვილის ან დაღუპულთადმი პატივისცემის გამო არ გამიკეთებია, რადგან მიმაჩნია, რომ მათი ნელი აგონიის, მათი გოლგოთის გზის ჩვენებაც პატივისცემის ნიშანია. მიზეზი სხვა რამეშია. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მიმაჩნია, მათი სასტიკი ტანჯვა-წამების თქვენთვის ჩვენება, არანაკლები სისასტიკე იქნებოდა.

10:09

ო, როგორ მინდა ახლა გუშინდელი დღე იყოს. როგორ მინდა წარსულში დაბრუნება. რომც შემეძლოს რამის შეცვლა, მაინც არაფერს შევცვლიდი. „ო, მე მჯერა გუშინდელი დღის» (ბითლზების სიმღერა).

ვერტმფრენებმა გვერდზე ჩაგვიფრინეს, თან ილუმინატორებიდან გვიყურებდნენ, როგორ ვიხოცებოდით.

– ახლა ერთადერთი ის შემიძლია, ღმერთს ვთხოვო, ასეთი რამ აღარ გამეორდეს.

როცა თქვენ გაჩნდით, გიყურებდით და სიხარულისგან ვტიროდი, შვილებო.

– მამიკო, – ამბობს დევიდი, რომელიც ძალიან ფერმკრთალია, – მუცელი მტკივა. შეგიძლია ექიმს დაურეკო?

– ნუ გეშინია, მამიკო, ექიმი აუცილებლად მოვა.

მისი მუცლის 40 პროცენტი დამწვარია.

– მეძინება, მამიკო. შეიძლება დავიძინო?

– არა! დევიდ, არა. გთხოვ! თვალები არ დახუჭო!

– ცოტას წავიძინებ, მა...

– არა, დევიდ, დამიჯერე. გემუდარები! თვალები გაახილე.

– გამაღვიძე, როცა გალაქტიკას გადაარჩენენ.

10:10

Windows on the world-ი ფეშენებელური გაზის კამერა იყო. მისი

კლიენტები მოწამლეს, დაწვეს და ფერფლად აქციეს, როგორც ოსვენციმში. ისინიც ისეთივე ხსოვნას იმსახურებენ.

10:11

„მხოლოდ სიკვდილი ანიჭებს ადამიანს ნამდვილ სახეს“.

ედგარ პო

10:12

აი, აქ კი ვიშიშვლებ ხმალივით ჩემს მორიგ ცნობილ smaoT-ს[497]. ეს ზღვარგადასული სიძულვილი ამერიკისადმი სხვა არაფერია, თუ არა – სიყვარული. ის, ვისაც ასე ძლიერ სძაგხართ და უნდა, რომ თქვენც მთელი არსებით გეჯავრებოდეთ, თქვენი ყურადღების მიქცევას ცდილობს. ანუ მას გაუცნობიერებლად უყვარხართ. ბინ ლადენმა შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ იგი აღმერთებს ამერიკას და უნდა, რომ ამერიკაც გიჟდებოდეს მასზე. ის ამდენ ძალისხმევას მხოლოდ ერთი მიზნის მისაღწევად შეიძლება ხარჯავდეს: უნდა, ამერიკა მუდამ მასზე ფიქრობდეს.

ვინ გიჟია და ვინ – წმინდანი? ჩვენი ღმერთი ჯვარზე გააკრეს. ჩვენ წელზე ქსოვილშემოფარებულ, წვერიან, ჯვარცმულ კაცს ვაღმერთებთ. დროა, ახალი რელიგია შემოვიღოთ, რომლის სიმბოლოც ორი ალმოდებული შენობა იქნება. ავაშენოთ ეკლესია, რომელსაც ორი პარალელეპიპედის ფორმა ექნება, ხოლო ზიარებისას მასში ორი ტელემართული თვითმფრინავი შემოვარდება. იმწამს, როცა თვითმფრინავები გვერდიგვერდ მდგომ შენობებს შეანგრევენ, მრევლს მუხლის მოდრეკას სთხოვენ.

10:13

ლიბერალიზმს არაფერი აქვს საერთო მორალთან. საფრანგეთის დევიზი „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა» მთელი მსოფლიოს დევიზი უნდა გამხდარიყო, თუმცა პრობლემა იმაშია, რომ ადამიანების ეს იდეალი არაადამიანური ტყუილია.

დასავლეთი ყველას გასაგონად გაჰყვირის, რომ მთავარია

თავისუფლება, რომ ყველა უნდა იყოს თავისუფალი; თავს იწონებს იმით, რომ თავისუფალია. ამბობს, რომ თავს გასწირავს ამისთვის. კარგი, ბატონო! მე თავისუფალი ვარ, მაგრამ ბედნიერი არ ვარ! დღეს, როცა ყველაფერი დასრულებულია, ჩემს ტეხასურ სიჯიუტეს უნდა გადავაბიჯო და ეს ვაღიარო. იცით, ახლა, სიცოცხლის ბოლო წუთებში რა მახსენდება? მერი – მამაჩემის ყვავილების სუნით გაჟღენთილ მანქანაში, გრძელი ფრჩხილებით, თვალებქვეშ ჩაშავებული უპეებით; მახსენდება მასთან გატარებული მოპარული წუთები, ჯერის დაბადება: ლურჯი, გაწებილი არსება, რომლის დანახვაზეც ვიფიქრე: ღმერთო, რა საშინელებაა, ამას უნდა ვუარო მთელი ცხოვრება?! მერე კი მან თვალები გაახილა და გამიღიმა.

თავისუფლებას ჩემთვის ბედნიერება არ მოუტანია.

10:14

I’m on a plane / I can’t complain. Nirvana.[498]

ალბერ ტიბოდე თავის „ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში“, რომელიც 1936 წელს გამოიცა, წერს, რომ თაობას ქმნის ასაკობრივი კლასი, რომლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზეც იმოქმედა ბოლო 20 წლის განმავლობაში მომხდარმა ამა თუ იმ მნიშვნელოვანმა მოვლენამ. მის შემთხვევაში (ტიბოდე 1874 წელს დაიბადა) ეს დრეიფუსის ჯაშუშური სკანდალი[499] იყო, შემდგომი თაობებისთვის – ორი მსოფლიო ომი, მერე კი – 1968 წლის მაისი. ჩემი მშობლების თაობა 1968 წლის მაისის პირმშოა. მათი საზოგადოება ამ მოვლენამ თავიდან ბოლომდე შეცვალა: შეცვალა ფასეულობები, ნორმები და ქცევის წესები, დაინერგა ჩაცმულობისა და მეტყველების ახლებური სტილი, დამკვიდრდა ახალი ტრადიციები და განათლების აქამდე არარსებული მეთოდები. ყველაფერი, რასაც ისინი ადრე სწავლობდნენ უკვე გამოუსადეგარი გახდა. 1968 წელი ჩემი დედ-მამისთვის ხელმეორედ დაბადების თარიღი გახდა, ამან განსაზღვრა მათი დაშორებაც. ისინი ავტორიტეტებისა და ორიენტირების გარეშე დარჩნენ, რადგან მათი მშობლები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათი რელიგიაც და სასაუბრო ენაც შვილებისთვის გაუგებარი გახდა. როგორ გინდა

ვინმეს გვერდიდან არ მოშორდე, როცა ირგვლივ ყველაფერი ფეთქდება. ჩემი თაობისთვის ასეთ გარდამტეხ მოვლენად 1989 წელი გახდა. მე მაშინ 25 წლის ვიყავი. ბერლინის კედლის დანგრევამ იდეოლოგიის რეკვიემად გაიჟღერა. გაჩნდა უმართავი იმედი, რომ ლიბერალიზმი მთელ მსოფლიოს შეცვლიდა. სწორედ მაშინ დავიწყე სარეკლამო სფეროში მუშაობა, რომელიც კაპიტალიზმის დამრტყმელი ძალაა. საბედნიეროდ, უკვე წამოვედი იქიდან, თუმცა ეს სულ სხვა და უკვე ნაამბობი ისტორიაა. ჩემი თაობის ყველა მწერლის მსგავსად, მეც 80-იანი წლების რელიგიის, ფულის მიერ სამუდამოდ დაღდასმული ვიქნები. ვეღარასდროს დავაღწევ თავს გლამურის ჰიპნოზს და იაპითაობის არაგანტულობას, თავისი სინთეტიკური მუსიკით, სახლების დიზაინით, მოდის დეფილეთი, პორნოს დემოკრატიზაციით, დისკოთეკების სიყვარულითა და აეროპორტების პოეტურობით. ასეა, მე ფრანსუა მიტერანის და ჟურნალ „გლობის» თაობას განვეკუთვნები. ეპოქას, როცა მემარცხენეები უტოპიაზე ფიქრს შეეშვნენ და რეალისტები გახდნენ. ჩემი ასაკის ადამიანებს სძულთ 1968 წლის მაისი, იმიტომ, რომ ყველა თაობის უპირველესი მიზანია, მოაშთოს თავისი წინამორბედი. ჩვენ მუდამ კომუნიზმით, მოდელი ქალებით და კოკაინით ტრავმირებულნი დავრჩებით. 80-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებიც უკვე ჩემს თაობას გადათელავენ, 2001 წლის 11 სექტემბერს 20 წლისანი იყვნენ. მათთვის მე და ჩემნაირები ფუფუნებაში გაზრდილი უდარდელი, «ჩანერგვის» საეჭვო პოლიტიკის პროდუქტი ვართ, გაყიდული მედიისა და ცინიკური ლაქლაქის ცოცხალი მაგალითი. ჩემს თავს სულ ერთსა და იმავე კითხვას ვუსვამ: შეძლებენ კი ეს ბავშვები „ცენტრის» ტრაგედიის დავიწყებას, მატერიალური კომფორტის კვამლიან ნანგრევებზე ნორმალურ პიროვნებებად ჩამოყალიბებას? რას ააშენებენ ისინი მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილას? რით ააგებენ საკუთარი ოცნებების ციხე-კოშკებს? გამდნარი ფოლადითა და დამწვარი შიგნეულობით? როგორ გინდა ჩემი თაობის ნანგრევებზე, 80-იანი წლების კრიზისსა და ბრენდების საზოგადოების კრახზე რაიმეს აშენება? რას დაინახავენ ეს ახალგაზრდები თავიანთი „მსოფლიოს ფანჯრიდან“? ნუთუ უტოპია აღესრულა? ნუთუ კომფორტის, სამომხმარებლო საზოგადოებისა და ფულის, როგორც ერთადერთი ხსნის, რელიგია სამუდამოდ დასამარდა 2001 წელს ნიუ-იორკში?

10:15

– ძუძუები მაჩვენე! – ამბობს კენეტ კოლიანი კაცი.

ორი ტრეიდერი საკონფერენციო დარბაზში წელამდე წყალში დგას და ბოლისგან იხრჩობა. უკვე იციან, რომ საშველი აღარ არის, მათი აღსასრულის დღე დადგა. ირგვლივ გადაბრუნებული სკამები და მათი კოლეგებისა და დამხრჩვალი შეფის გალურჯებული გვამები ყრია.

– ეს ფუჩუ შენთვის გავილამაზე, ლაზერული ეპილაცია გავიკეთე, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი.

– მოდი, აიღე ბოლოჯერ პირში, – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– მინდა გადავყლაპო, მინდა, პირში...

– ენა კარგად გამოყავი, მინდა შენი პირსინგი ვიგრძნო ასოს თავზე.

საკონფერენციო დარბაზის აბანოზის ხის რვამეტრიან, ოვალურ მაგიდაზე წვებიან. მამაკაცი შარვალს იწევს, ქალი ბლუზას იხდის. ორივეს სოლარიუმში გარუჯული, მუქი ფერის კანი აქვს, სიკვდილის სუნისა და აუტანელი სიცხის მიუხედავად, მშვენივრად გამოიყურებიან.

– გრძნობ ჩემს სამ თითს ტრაკში? – რალფ ლორენიანი ქალი.

– ბოლოკაბა აიწიე, ზემოდან დამაჯექი და ღრმად შეიდე, – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– ძუძუს თავები დამისრისე და ძუძუები მომიჭყლიტე, – რალფ ლორენიანი ქალი.

– გიყვარს ხომ, როცა კლიტორს გიღიზიანებ, შე ბინძურო ბოზო? – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– მთელ ბანდას გავაჟიმინებდი თავს, ოღონდ შენ გესიამოვნოს. გამჟიმე და მერე ვისაც გინდა, მიუგდე ჩემი თავი! – რალფ ლორენიანი ქალი.

– Oh yeah, დაგაბამდი და უცხო კაცებში დაგატრიალებდი. შენს უმცროს დას თვალწინ გაგიჟიმავდი, ბოზო!

– MMfuck-me deep, როგორ მინდა მამაშენმა გამილოკოს...

ირგვლივ აღარაფერი ჩანს. ფაქსები სიცხისგან თუხთუხებენ, იატაკი ფეხქვეშ დნება, კარადები წყალში ტივტივებენ, დილის მიუხედავად, უკუნეთი სიბნელე დგას, ალმოდებული კომპიუტერები 1000 ფარენჰეიტს უჩვენებენ.

– ახლა უკანალში ცხელ სპერმას შეგასხამ, – კენეტ კოლიანი მამაკაცი.

– უაააა, ვათავებ. მინდა, რომ მერე მოგიწოვო, – რალფ ლორენიანი ქალი.

– მოიცა, ნუ ჩქარობ, ჯერ მინდა ხელი შეგთხარო სველ საშოში, მინდა, რომ გტკიოდეს, როცა გავათავებ. ენა მაგრად გადმოყავი, მინდა ზედ დაგასხა.

– მიდი, შემასხი, დამკბინე, თმა დამაგლიჯე, გამჩაჩხე, ოოოოჰ, i'm comiiiing, I feel your cock in my ass, ვათავებ, შენს ასოს ვგრძნობ ტრაკში, – რალფ ლორენიანი ქალი.

– მინდა წამებით მოგკლა, მუცელი გაგიფატრო და ნაწლავები დაგიკოცნო, საშო გადაგიფატრო და მთელი ტანით შიგნით შევიდე, დავბრუნდე იქ, საიდანაც ვიშვი, ოოოო, გრძნობ, ჩემო საყვარელო, როგორ ვათავებ... აუ, რამდენ ხანს გრძელდება.

ისინი ერთდროულად ყვირიან და სპერმიანი ტუჩებით ლოშნიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მათ ირგვლივ ყველაფერი ინგრევა, როგორც „კატარინა ბლუმის შელახულ ღირსებაშია“[500], მათ მაინც უყვართ ერთმანეთი.

– სიამოვნებაში ვლევ სულს, – ამბობს რალფ ლორენიანი ქალი, – შენს სიყვარულში ვკვდები.

– სიკვდილი ვიაგრაზე ძლიერი ყოფილა, – პასუხობს კენეტ კოლიანი მამაკაცი, – შენ ჩემი ცხოვრების აზრი იყავი და ჩემს სიკვდილსაც აზრი მიეცი.

სამოთხეში ათასი ქალიშვილი მეძავი კი არა, ეს ორნი იყვნენ. დაწვით კი მხოლოდ ჯოჯოხეთში როდი იწვიან.

10.16

ახლახან ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის notebooks-ი ითარგმნა ფრანგულად. და იქ აღმოვაჩინე, რომ „დიდ გეტსბის» თურმე

სხვაგვარი სათაური უნდა ჰქონოდა: «ფერფლისა და მილიონერების გროვაში».

სიკვდილის მეშინია და ძალიანაც ვამაყობ ამ შიშით. სიმამაცის სრული არქონა მაიძულებს პოლიციასა და კანონს დავემორჩილო. სწორედ ამ სიმამაცის არქონით განვსხვავდები ცხოველებისგან.

ადვილია, როცა მომავალი ცხედარი ხარ, რთულია, როცა ცოცხალი მკვდარი ხარ. უნდა იცხოვრო, სანამ სიცოცხლის დრო ბოლომდე არ ამოგეწურება. გადაიხადო მადლობა და თან არ დაგავიწყდეს, რომ merci ინგლისურად „შებრალებასაც» ნიშნავს. არც წესის აგების დრო გრჩება და არც – ბრწყინვალე ეპიტაფიის, არც შთამომავლებისა და მიმდევრებისთვის ბოლო ამოსუნთქვასთან ერთად წარმოთქმულ სიტყვებზე ფიქრის. თუმცა სად არიან შთამომავლები და მიმდევრები? რა გეგონა, რომ ბოლო ამოსუნთქვა დღევანდელ დღეს იქნებოდა?

10:17

გავკარი თქვენს თანაგრძნობას. მაგ თანაგრძნობამ დაღუპა იუდოქრისტიანები, მის გამო გაასწორეს ისინი ასე ადვილად მიწასთან. სწორედ ეს დაამტკიცეს საჰაერო ყასბებმაც. უკვე აღარავინ გრძნობს თავს დაცულად ამ სათუთი და გულკეთილი ლიბერალური იუდოქრისტიანების ხელში. მათ უნდოდათ, რომ ამ სათნო, პრივილეგირებულ ადამიანებს ეგრძნოთ, თუ რა არის სიძულვილი? როგორც „მონადირის ღამეში“[501] აწერია მითჩემს[502] თითებზე: LOVE HATE – სიძულვილი სიყვარულია!

იესომ მეორე ლოყა შეუშვირა. გეთანხმებით, იესო არ იყო მოძალადე. მაგრამ მას სძულდა, რანაირადაც უნდა უარეყო ეს, რანაირადაც უნდა დაემალა, მასში არსებობდა სიძულვილი, რადგან იგი სამართლიანობის დაუოკებელი წყურვილით იყო აღსავსე. ჯვარზე გაკრული კი ყველას და ყველაფერს წყევლა-კრულვით ავსებდა, მამამისს უარყოფდა. ფეხებზე ეკიდა ჯვარზე გაკრულ ქრისტეს ეგ თქვენი თანაგრძნობა.

10:18

ჩემს მარტოობაში შენ მელანდებოდი,

შენგან შორს ჩემი გული ფანჯარასავით დაიმსხვრა.

ფრანგი დიზაინერის, კრისტიან ლიეგრის მიერ გაფორმებული Mercer Hotel-ი დაუნთაუნში, სოჰოს უბანში, სავაჭრო ცენტრიდან რამდენიმე კვარტალში მდებარეობს. ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ სწორედ იქ გავჩერდი. ნიუ-იორკის ახალმა მერმა, მიშელ ბლუმბერგმა, რომელიც იმიტომ აირჩიეს, რომ იტალიელი სილვიო ბერლუსკონივით ისიც ტელემაგნატია, ორი მიზანი დაისახა: გააქროს სიგარეტის მწეველები და ხმაური. მისმა წინამორბედმა მეძავების 42-ე ქუჩიდან განდევნა და უსახლკაროთა ვილეჯიდან გასახლება მოახერხა. ცოტა ხანში „გოთემსითი» გადაიქცევა ძალიან დიდ და სუფთა სავაჭრო ცენტრად. კუნძული, სახელად Trade center, მოწევა აკრძალულია ბარებში, რესტორნებსა და თქვენ წარმოიდგინეთ, ღამის კლუბებშიც კი. ზოგან ცეკვაც კი არ არის ნებადართული! ეს თავსმოხვეული სიმშვიდე და სისპეტაკე, როგორც ეტყობა, ქვეცნობიერი პასუხია ფანატიკოსი ისლამისტების, ამ წვერებიანი ტარტიუფების მიერ ჩატარებულ სიწმინდისა და სათნოების გაკვეთილებზე. ახალი წესები საფრთხის ქვეშ მყოფი მეტროპოლის შეშფოთებაზე მიანიშნებს. როცა დემოკრატიას რაიმე ემუქრება, ამერიკა ემსგავსება... შვეიცარიას.

Mercer-იდან არც კი გავდივარ. ვარ აქ განდეგილივით, როგორც პოლნარეფი[503] – „რუაიალ მონსოში». ვსაუზმობ და ვსადილობ Mercer Kitchen-ში პირველ სართულზე. Vodka-cranberry-ის დასალევად კი აქაურ ბარ Submercer-ში შევდივარ. ისე ვცხოვრობ ნიუ-იორკის ყველაზე მოდურ სასტუმროში, როგორც – ოჯახურ პანსიონში, ტოსკანში. პორტიე და რეცეფციონისტი თანაგრძნობით მიღიმიან და თან ფიქრობენ: ნეტავ, ამ მელანქოლიურმა ფრანგმა თუ იცის გასვლის დღეს რამსიგრძე ჩეკი მოუვა? ცნობილი სახეები, რომლებიც სასტუმროს ბარში შემოდიან (ბენისიო დელ ტორო, ამანდა დე კადენე, გიია უმ კანე, ტერი კლემენიუკი), ვერ მიმხვდარან, რას ჩალიჩობს ეს წვერიანი ტიპი, რომელიც სულ მარტო დადის, კეტ სტივენსის სიმღერებს ღიღინებს და მათ თითოეულ ჟესტს და მიმიკას უბის შავ წიგნაკში გულდასმით იწერს. მე მიზანმიმართულად ვთვრები, მოდურ დივანზე ვიშხლართები, არავის ხმას არ ვცემ, ხშირად ვტირი და სულ შენზე ვფიქრობ... შენ მოგტირი.

ალბათ მათ უნდათ, რომ თავი დამნაშავედ ვიგრძნოთ. მაგრამ რაში? განა რა წვლილი მიმიძღვის მე იმაში, რაც ჩემმა ქვეყანამ საკუთარი ძლიერებისთვის გააკეთა? ზანგების დამონება, ინდიელთა გენოციდი, ველური ლიბერალიზმი! ეგ მე არ ვიყავი, ბიჭებო, მე მერე მოვედი! უბრალოდ, ისე მოხდა, რომ აქ დავიბადე, პატრონებში, მაგრამ თავად არ ვარ პატრონი. ერთადერთი, რასაც ვმართავ, ჩემი უძრავი ქონების სააგენტოა. გეთანხმებით, რომ ბინებს განგებ ვუწევთ ფასს მაღლა. არ შემიძლია, არ ვაღიარო, რომ ყიდვა-გაყიდვის ყველა აგენტი თაღლითია და მეტი არაფერი. მათი საქმეა მოგყიდონ ის, რაც არასდროს იქნება თქვენი. არავინ მოგატყუოთ, რომ რაიმეს ფლობთ? ყველანი ხომ მდგმურები ვართ. მე ვყიდდი ჰაერს და ამას თქვენს საკუთრებაში მყოფ კვადრატულ მეტრებს ვეძახდი, რომლის გამოც მერე მთელი ცხოვრება ვირივით უნდა გემუშავათ, რათა ვალი დაგეფარათ. საშუალო ამერიკელის საბანკო დავალიანება მისი წლიური შემოსავლის 110 პროცენტს შეადგენს: მსოფლიო რეკორდია! ყველაზე სასაცილო ის არის, რომ მათ ძირითად ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ, რომლებსაც უხარიათ, რომ ბინის ქირაობა აღარ დასჭირდებათ. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ 30 წელიწადი ყოველთვიურად კრედიტის პროცენტი უნდა იხადონ. რა განსხვავებაა? უძრავი ქონების აგენტი ხალხს იძულებულს ხდის იმუშაონ, რათა იმ ქონების შესაძენად აღებული ვალი გადაიხადონ, რომელშიც მხოლოდ მდგმურად არიან, რადგან მესაკუთრე სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ ბინაში დატუსაღებული მდგმური, მოვალე, რომელიც საცხოვრებელი ადგილის შეცვლასაც კი ვეღარ შეძლებს.

კი, ბატონო, მამა აბრამის ბატკანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ რომელი კრიმინალი მე მნახეთ? მე არ ვიმსახურებ სიკვდილით დასჯას. მესმის, რომ ფრთაშესხმული ანგელოზი არ ვარ, მაგრამ ნურც ჯოჯოხეთის მაშხალობას დამაბრალებთ. ცოდვილი ვარ, მერის ვუღალატე, ოჯახი დავანგრიე, ჯერი და დევიდი მივატოვე, სამაგალითოდ არ მოვქცეულვარ, მაგრამ როდის მერე წვავენ ადამიანებს ცოცხლად ამის გამო? რა ჩემი ბრალია, თუ გვატემალელი ბავშვები დღეში თხუთმეტ საათს მუშაობენ და თანაც მიზერულ ხელფასზე? რა ჰიროსიმა და ნაგასაკი? თუ ღმერთი გწამს, for God’s sake, მაშინ დაბადებული არ ვიყავი! რა საერთო მაქვს, მაგის დედა ვატირე,

პალესტინელთა ლტოლვილთა ბანაკებთან, სადაც ეს შავ-შავი ტიპები ყოველდღე ტანკებს ქვებს უშენენ და ავტობუსებში თავს იფეთქებენ. იარონ ჩემსავით ადამიანურად სამსახურში და იმუშაონ! ეს ყველაფერი ჩემგან ძალიან შორსაა და არაფერი გამეგება მაგ ამბებში. სხედან ჩაცუცქული, ავტომატებით ხელში, ეს გაბანჯგვლული წვერიანი სიფათები, ქვიშას ჭამენ და თან რაღაც აბდაუბდა, ზიზღითა და სიძულვილით სავსე ლოზუნგებს ისვრიან. იმ ქვეყნებში თურმე ძალიან ბევრი მტვერია, თან ისეთი სიცხეა, სული გაგძვრება. რა თქმა უნდა, გაღიზიანებული ხარ, როცა სულ გცხელა, წყურვილისგან ყელი გიშრება და ჭამის დროს კბილებში ქვიშა გიხრაშუნებს. ბოლოს ან იძინებ, ან მთელ ქვეყანას უტრიალებ ცოცხალსა და მკვდარს.

ვინ შემოგვიტია? არაფატმა? უნაბომბერმა? თქვენ იტყვით: რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ვინ მოგკლავს, ბინ ლადენი თუ ტიმოტი მაქკეი? ალ-ქაიდა, თუ კუ-კლუქს-კლანი? Frankly, my dear, I don’t give a Saddam! სიმართლე გითხრათ, მიმისადამებია მაგათზე! ძალადობა ადამიანის ბუნებაშია. შეიძლება ითქვას, კულტურის, რელიგიის, საზოგადოებისა და ცივილიზაციის ფუნქციაც მისი მოთოკვა და შეკავებაა. ოღონდ მხოლოდ შეიძლება ითქვას! შეგვიბრალეთ! Oh Lord, ღმერთო, შეიბრალე ჯერი, დევიდი და ქართიუ იორსტონი ოსტინიდან, ტეხასის შტატიდან. Have mercy on us, შეგვიბრალე. ნეტავ, არაბულად როგორაა mercy?

10:20

„პორტი ცხოვრებასთან ბრძოლისგან გადაღლილი სულების ნავსაყუდელია. საკუთარი ფანჯრიდან დანახული უკიდეგანო ცა, ღრუბლების მოძრავი არქიტექტურა, ზღვის ფერთა მუდმივი ცვალებადობა, ფარების ციმციმი, ეს ის არის, რაც თვალს მუდამ ახარებს და არასდროს ღლის. მოხდენილი ფორმის ხომალდები, სრული აღკაზმულობით, რომლებიც ტალღების ტაქტში მსუბუქად ტოკავენ, ადამიანის გულში რიტმისა და ჰარმონიის შეგრძნებას აღძრავენ. გარდა ამისა, არის რაღაც არისტოკრატიული და მისტერიული იმაში, რომ შენ, ცნობისმოყვარეობისა და ამბიციებისგან დაცლილი, მშვიდად წამოწოლილხარ ტერასაზე ან მოაჯირს დაყრდნობიხარ და უყურებ სხვების ფუსფუსს, წამსვლელ-

მომსვლელს, რომელთაც ჯერ კიდევ შემორჩენიათ შეცნობისა და მოგზაურობის დაუოკებელი ჟინი“.

შარლ ბოდლერი, „პარიზის სპლინი[504]“. 1865.

ამას ნიუ-იორკის სპლინი უნდა ერქვას.

10:21

დევიდმა გონება დაკარგა. ჯერი ძმას გვერდიდან არ შორდება, ცივ შუბლზე ხელს უსვამს, დახუჭულ თვალებზე ეფერება. მე ვდგები და ბავშვს ხელში ვიყვან, პატარა პრინცს უმოძრაო სხეულითა და თხელი თმით. ჯერი ჩემს ჩანაფიქრს ხვდება და ცახცახი უვარდება. გმირის როლს ვეღარ ვთამაშობ. როგორც იმ ადმინისტრატორმა ქალმა თქვა, ეს ჩემთვის არ უსწავლებიათ. ჯერის ერთი ხელი ჩემთვის უკიდია, მეორით კი თავისი ძმის სველი, ჰაერში უძლურად დაკიდებული ხელი უჭირავს. გაოფლილ მკერდში ჩემს ხორცი ხორცთაგანს, ჩემს ღვიძლ შვილს ვიკრავ. მისი პატარა გაშავებული სახის შემხედვარეს 1997 წლის ზაფხული მახსენდება, როცა იოსემიტის პარკში ინდიელობანას თამაშობდა და სახე დამწვარი საცობით გაიმურა. აღარ შემიძლია აღარაფერზე ფიქრი, დამექანცა გული. წავედით, ბავშვებო, დროა, ჩვენ იმას ვიზამთ, რაც დიდი ხნის წინ უნდა გაგვეკეთებინა! სამივენი გავიქცევით აქედან, on the road again, adios amigos, hasta la vista baby. აი, იქ ფანჯარა ჩამტვრეულია, იქიდან შევხედოთ „მსოფლიოს ფანჯრებს“. ჯერი, ეს ხომ უმაღლესი თავისუფლებაა, let’s go, არა, ჯერი, ჩემო პატარა გმირო, don’t look down, ქვემოთ არ ჩაიხედო, ჰორიზონტს უყურე შენი ცისფერი თვალებით, ნიუ-იორკის სრუტეს, ვერტმფრენების უძლურ ფარფატს. შენ არ გინახავს ფილმი „აპოკალიფსი ახლა“, თქვენ ისეთი პატარები იყავით... როგორ გაბედეს ამ ნაძირალებმა, ამ მკვლელებმა! წავედით, ჩემო კარგებო, ჩემო უცოდველებო... ამასთან შედარებით „ამერიკული მთები» თოთო ბავშვების გასართობია. მაგრად მომკიდე ხელი, ჯერომ, მიყვარხარ, ჩემო ყველაფერო, წამოდი მამიკოსთან ერთად, სახლში ვბრუნდებით, შენი პატარა ძამიკოც თან მიგვყავს! წავედით, გავცუროთ ალისფერ ღრუბლებში, თქვენ ჩემი ანგელოზები იყავით, ამის მერე ჩვენ ვეღარაფერი დაგვაშორებს, სამოთხე თქვენთან ერთად ყოფნა იყო, ღრმად ჩაისუნთქე და თუ გეშინია, თვალები დახუჭე.

ჩვენც შეგვიძლია თავის გაწირვა.

გადახტომამდე რამდენიმე წამით ადრე ჯერიმ პირდაპირ თვალებში ჩამხედა. სახის ნაკვთები უთრთოდა, ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

– როგორ ფიქრობ, დედა ძალიან ინაღვლებს?

– ნუ ფიქრობ მაგაზე. ძლიერი უნდა იყო. მე შენ ყოველთვის მიყვარდი, შენ ყველაზე მაგარი ბიჭი ხარ მსოფლიოში.

– I love you daddy, მიყვარხარ, მამიკო! იცი, მე არ მეშინია დაცემის. ხედავ, აღარ მომდის ცრემლები და აღარც შენ ტირი.

– შენნაირი მამაცი ბიჭი არასდროს მინახავს, არასდროს. მზად ხარ, პატარავ? სამამდე ვითვლით?!

– ერთი... ორი... და... სამი!

სიჩქარისგან პირები გვეღრიჯებოდა. ქარი წარმოუდგენელ გრიმასებს ხატავდა ჩვენს სახეებზე. ახლაც ყურში მესმის ჯერის სიცილი, როცა სივრცეში გადაეშვა. ერთი ხელი ჩემთვის ჩაეჭიდა, მეორე კი – თავისი ძმისთვის. გმადლობთ, ამ ბოლო სიცილისთვის, ღმერთო! გმადლობთ! ჯერის ეს სიცილი რომ გამაგონე, იმ ერთ წამს მეც მეგონა, რომ მივფრინავდით.

10:22

ცვაიგი წერდა: „ქვეცნობიერად ნიუ-იორკი ჰბაძავს მთას, ზღვას და მდინარეებს“. სელინი კი „ფეხზე წამომდგარ ქალაქს» უწოდებდა, ეს იმიტომ, რომ მათ მიწაზე გართხმული მსოფლიო სავაჭრო ცენტრი არ უნახავთ.

ამერიკელები მთვარეზე გაფრინდნენ. 2001 წლის 12 სექტემბერს კი ასე შორს წასვლა საჭირო აღარ იყო: თავად ნიუ-იორკი გადაქცეულიყო მკვდარ პლანეტად. ასფალტზე თეთრი მტვრის სქელი ფენა იდო. 110-სართულიანი შენობებიდან მხოლოდ ლითონის ორი დაგრეხილი ძელი დარჩენილიყო, რომელიც ისე იდგა, თითქოს ცის დაკაწვრას ლამობდა. ჩამოვარდნილ კოსმოსურ მოდულს ჰგავდა. სიჩუმეს პოლიციის მანქანის სირენები არღვევდა. ამერიკაში ყველაფერი გრანდიოზულია, თვით ტერაქტებიც კი. ჩვენთან რანაირი

აფეთქებაც უნდა მოაწყონ მეტროს სადგურში ან ტანსაცმლის მაღაზიაში, სახლები იშვიათად ზიანდება. აქ კი პირველივე უცხო ძალის მიერ ორგანიზებული ტერაქტი ყველაზე სასტიკი აღმოჩნდა დასავლური სამყაროს მთელ ისტორიაში. ეს იყო ამერიკის შეერთებული შტატების დაარსებიდან დღემდე ამ ქვეყნის მოქალაქეთა ამოხოცვის ყველაზე მასშტაბური და შემაძრწუნებელი ფაქტი.

აქ ვაპირებდი კიდევ ერთი თავის დაწერას, რომელსაც ერქმეოდა: „სიკვდილის მოხმარების წესები“. ვითომ ჟორჟ პერეკმა სიმონ-კრუბელიეს ქუჩა 11 – ჩერჩის, ვიზის, ლიბერტის და უესტის ქუჩების კვეთით ჩაანაცვლა. მაგრამ გადავიფიქრე, ძალიან მეჩქარება უკან დაბრუნება, ჩემი საქორწინო ნამცხვრის შეჭმა და შენთან ჩახუტება.

ზემოთ ვიყურები და ქართიუს, დევიდს და ჯერის თანამზრახველურად ვუკრავ თვალს. ვინ იცის, იქნებ მხედავენ კიდეც? რა ვიცი, მეტი რა ვთქვა?

10:23

ხანდახან მესიზმრება ათასობით ტონა ნანგრევი, სადაც ადამიანის ხორცი და გამდნარი ფოლადი, სხეული და ქვა, მოგლეჯილი მკლავები და კომპიუტერები, დამწვარი ფეხები და ლიფტები, მორწმუნენი და ათეისტები, ცეცხლი და სისხლი ერთმანეთშია არეული... მერე ეს კოშმარული ხილვები გადამივლის ხოლმე, თუმცა ცოტა ხანში ისევ თავიდან იწყება: მელანდება კედლებში შერჭობილი თვალები, შუშით გადაპობილი თავის ქალები, ფაქსებზე დაყრილი ადამიანის შიგნეულობა და ქსეროქსზე მისხმული ტვინი. ესეც ღმერთმა შექმნა. მესიზმრება, რომ მე და ჩემი შვილები ამ ნანგრევების თავზე დავფრინავთ. ან იქნებ არც არის ეს სიზმარი? იქნებ WTC Plaza-ს თავზე ვბოინობთ, რომელიც ძველებურად ქარიანი, ხოლო ცათამბჯენების გარეშე კიდევ უფრო ცარიელია. ახლა მას Site-ს უწოდებენ და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაუქცევიათ. ქარი ზეროსა და უსასრულობას შორის მუდამ იქროლებს. ჩვენც მასში ვართ, ჩვენც ქარად ვიქეცით.

ოდესღაც აქ, გახსოვთ ალბათ, ადამიანებმა ორი კოშკი ააგეს. Rest in peace, განისვენე მშვიდობით: ჩვენ კი აქ ომსა და ტანჯვაში განვისვენებთ. მხოლოდ სიკვდილი ხდის ადამიანს

უკვდავს, ჩვენ კი არ ვართ მკვდრები, ჩვენ მზისა და თოვლის სამუდამო ტყვეები ვართ. ასე მგონია, რომ სხეული შუშის ნამსხვრევებით მაქვს სავსე. წარმოიდგინეთ, აბა, როგორია, როცა ძარღვებში შუშები გიფხაჭუნებს? წარმოიდგინეთ, ჩემი გულისთვის, რადგან მე თქვენი, თქვენი, თქვენი, თქვენი, თქვენი, თქვენი და კიდევ თქვენი გულისთვის მოვკვდი.

10:24

არც კი ვიცი, რატომ დავწერე ეს წიგნი? იქნებ იმიტომ, რომ ამაზე მეტად არაფერი მაწუხებდა. აბა, სხვა რაზე უნდა წერო? ყველაფერი, რაც საინტერესოა – ტაბუირებულია. წიგნი კი აკრძალულ თემაზე უნდა იყოს. ფრანგული ლიტერატურა ხომ დაუმორჩილებლობის საუკუნოვან ისტორიაზეა აგებული. დღეს წიგნებს ის ევალებათ, რაც ტელევიზიას არ ხელეწიფება: აჩვენონ უნახავი და დაწერონ უთქმელი. იქნებ ეს შეუძლებელიც იყოს, მაგრამ ამაშია მისი არსებობის აზრი. სწორედ ლიტერატურაა ის „შეუსრულებელი მისია“.

დემოკრატიაში ცხოვრების ერთადერთი უპირატესობა მისი კრიტიკის საშუალებაა. მხოლოდ ამით განსხვავდება იგი დიქტატურისგან. დიქტატურის კრიტიკა შეუძლებელია. დემოკრატიამ კი მაშინაც კი, თუ მას უტევენ, ემუქრებიან და აბუჩად იგდებენ, უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ჭეშმარიტი დემოკრატიაა, ამისთვის კი მხოლოდ ერთადერთი საშუალება არსებობს: ყველას მისცეს მისი გაკრიტიკების უფლება.

ამ სიტყვების წარმოთქმის მერე მივხვდი, რომ გულწრფელი არ ვარ. უნდა ვაღიარო, რომ მე, გამოვიყენე რა ჰიპერტერორიზმის შემთხვევა, ჩემს პროზას მივანიჭე აქამდე არნახული ძალა და დამაჯერებლობა. ანუ, მე ადამიანების ტრაგედია ლიტერატურული სარგებლისთვის გამოვიყენე. უვარგისი მწერლებისთვის ბოროტება უფრო ძლიერი წყაროა შთაგონების, ენერგიის, დიაპაზონისა და მრავალფეროვნებისთვის, ვიდრე – სიკეთე.

თუმცა არის მეორე მიზეზიც. ჩემი ამერიკელი წინაპარი იყო Patriot-ის ერთ-ერთი ხელისმომწერი, ამერიკული რევოლუციის გმირი, ამოს უილერი (დაიბადა 1741 წელს პეპერელში, მასაჩუსეტსის შტატში; გარდაიცვალა 1775 წლის 21 ივნისს კემბრიჯში, მასაჩუსეტსში, ბანკერჰილის შეტაკებიდან 5

დღეში, ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად). მისი სახელი ამოტვიფრულია ბანკერჰილის ბრძოლისადმი მიძღვნილ მონუმენტზე, ისევე, როგორც ვაშინგტონის ქანდაკებაზე. მას ერთადერთი ვაჟი დარჩა, ამოს უილერ II, რომელიც მამის გარდაცვალებიდან ერთ თვეში, 1775 წლის ივლისში მოევლინა ქვეყანას. მისი ქალიშვილი ოლივ უილერი გათხოვდა ვინმე ჯობ ნაითზე, რომელთა შვილმაც ცოლად შეირთო ფრენსის მატილდა ჰარბენი, სწორედ მათი შთამომავალი, ნელი ჰარბენ ნაითი, გახლდათ გრეის ქართიუ იორსტონის, ჩემი ბებიის, მამის მხრიდან, დედა. მე პატრიოტელი ამოს უილერის მე-8 თაობას წარმოვადგენ, დაბადებულს მისი გარდაცვალებიდან 228 წლის შემდეგ. გრეის ქართიუ იორსტონი ცოლად შეირთო ჩარლზ ბეგბედერმა, ანუ ბაბუაჩემმა. გრეისი საცხოვრებლად მეუღლესთან გადმოვიდა საფრანგეთში, ფუა-გრას ჭამისგან 50 კილო მოიმატა, ორი გოგო და ორი ბიჭი გააჩინა და ისე მოკვდა პოში, ბეარნში, რომ ვერ მოიშორა თავისი ამერიკული აქცენტი, რომელიც მუდამ ღიმილს იწვევდა „როტარი კლუბის» „პირენეა-ატლანტიკის» სექციის წევრებში.

თუ რვა თაობით უკან დავბრუნდებით, ყველა თეთრკანიანი ამერიკელი ევროპელი აღმოჩნდება. ჩვენ ვგავართ ერთმანეთს: ჩვენ ისინი ვართ, ისინი კი – ჩვენ, ჰოდა, მოვრჩეთ ახლა ამ სისულელეებს.

10:25

იმ დილით მე „მსოფლიოს» მწვერვალზე ვიდექი და სამყაროს ცენტრი ვიყავი.

ტყუილი არ მითქვამს ჯერი და დევიდისთვის, როცა ვარწმუნებდი ატრაქციონების პარკში ვართ-მეთქი: დღეს გრაუნდზეროზე ტურისტები დაჰყავთ. ეს ადგილი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობად გადაიქცა, როგორც თავისუფლების ქანდაკება, რომლამდეც ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ. გრაუნდზეროზე ბილეთების ასაღებად Sea Port-ში უნდა მიხვიდეთ. ბილეთები უფასოა, უბრალოდ ცარიელ ესპლანადაზე გადასახედად გრძელ რიგში მოგიწევთ დგომა. გიდი მნახველებს აჩქარებს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, აქ სანახავიც არაფერია: უშველებელი მოცემენტებული ადგილი

ცარიელი პარკინგით, – მსოფლიოში უდიდესი საფლავი. ამაზე ფიქრში ხანდახან ღამეც კი წითლდება სირცხვილისგან, ახლომახლო მდგომი შენობები კი აღარ ციმციმებენ. სიბნელე გვათბობს, მდინარე ზემოდან მოიისფრო-მოლურჯო ფერისაა. მშვენიერია ხედი ზემოდან.

აი, ხომ ხედავთ, ბავშვებო, ჩვენ ტურისტული ღირსშესანიშნაობა გავხდით. ახლა ხალხი აქ ჩვენს სანახავად დადის!

10:26

რესტორან „ნოუჩში» (ეს ის რესტორანია, რომელიც Windows on the world-ის მეპატრონემ დევიდ ემილმა თაიმსსკვერზე გახსნა) ერთ-ერთ მიმტანს გადავეკიდე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, „მსოფლიოს ფანჯრებში» მუშაობდა.

– მე ფრანგი მწერალი ვარ და ახლა რომანზე ვმუშაობ, რომელიც თქვენს ყოფილ რესტორანზე მოგვითხრობს.

– რატომ? რა საჭიროა?

– იმიტომ, რომ ბებიაჩემი ამერიკელი იყო, მას გრეის ქართიუ იორსტონი ერქვა. სამწუხაროდ, მე მის დაკრძალვაზე არ ჩავსულვარ. როცა მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ, მე, მამა და ჩემი უფროსი ძმა შვეიცარიაში ვიყავით. თხილამურებზე სრიალი ვამჯობინე, მშვენიერი ამინდი იყო, თანაც მამა მაშინ თავის ძმასთან იყო ნაჩხუბარი, ამიტომაც არ წავედით.

– I’m sorry Sir but I don’t understand what you’re talking about...[505]

– მე მას თითქმის არ ვიცნობდი. მისი სახელი იყო გრეისი, როგორც გრეის კელი, მაგრამ ჩვენ მას Granny-ს (ბებოს) ვეძახდით. იგი სამხრეთელი იყო, ძველი ბურჟუაზიული ოჯახის წარმომადგენელი. სიბერეში მისტერ მაგუს [506]დაემსგავსა. ხედავთ, ჩემ წინ გაშვერილ ნიკაპს? ეს მისგან მაქვს.

– Listen, I’ve got work to do. And I don’t understand french. You’re bothering me, Mister![507]

– იგი ამერიკის მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსის

შთამომავალი იყო. მე ბიძაშვილები მყავს დალასში, ჰარბენები, რომლებიც თითქმის 25 წელიწადია არ მინახავს. მათ მითხრეს, რომ ჩემი ერთ-ერთი წინაპარი ცნობილი მონადირე, დანიელ ბუნი ყოფილა.

– So what? მერე რა?

– We do not hate you, ჩვენ არ გვძულხართ თქვენ. უბრალოდ, გვეშინია თქვენი, რადგან მსოფლიოში პირველები ხართ. მაგრამ ჩვენს ძარღვებში ერთი სისხლი ჩქეფს. საფრანგეთი თქვენს ქვეყანას დაბადებაში დაეხმარა, მერე თქვენ ჩვენ გაგვათავისუფლეთ. ჩემი ბიძაშვილი კი თავის ორ შვილთან ერთად თქვენს რესტორანში დაიღუპა.

– Excuse me but I’m so sick and tired of Nine-Eleven.[508]

– არ გაბრაზდეთ, მე ახლავე წავალ. არ მინდოდა თქვენთვის თავი მომებეზრებინა. მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს: დიონ უორვიკის სიმღერა თუ იცით?

– Of course, რა თქმა უნდა.

და აი, ჩვენ პლანეტა „დედამიწის» ორი მკვიდრი ჩუმად ვღიღინებთ: The windows of the world are covered with rain.[509] თავიდან თავს უხერხულად ვგრძნობთ, აქეთ-იქით ვიყურებით, მოგუდულად ვმღერით, ხალხს აშკარად მთვრალები ვგონივართ. მერე კი მისამღერი იწყება და ნელ-ნელა ხმას ვუწევთ, დაბოლოს, დასაკლავი გოჭებივით ვჭყივით, ლოთებივით, ძმებივით ვღრიალებთ.

10:27

გაუგებარი ამაში არაფერია, ჩემო პატარა მოჩვენებებო, პაწაწკინტელა ხელებით. ჩვენ ტყუილუბრალოდ დავიხოცეთ. ჩრდილოეთი ცათამბჯენი ზუსტად ერთ წუთში ჩამოიშალა (დარტყმის ძალა 2,3 რიხტერის სკალით, ხანგრძლივობა 8 წამი), თუმცა ჩვენ ეს უკვე აღარ დაგვინახავს, იმიტომ, რომ უკვე იქ აღარ ვიყავით. სატელევიზიო ანტენა ბოლსა და ნანგრევებში ჯერ სწორად მოფრინავდა, მერე კი ოდნავ მარცხნივ გადაიხარა. შენობის შპილი ისე ეშვებოდა კვამლში, როგორც გემის ანძა – ოკეანის აქაფებულ ტალღებში. ცათამბჯენი #1 ზუსტად ათ წამში ჩამოიშალა, ისე სწორად და გამართულად დაეშვა,

როგორც რაკეტა აფრინდება ხოლმე, ოღონდ კადრი უკუღმა რომ გაუშვა. და მაინც, არ დაგვივიწყოთ, ძალიან გთხოვთ. ჩვენ სამი დამწვარი ფენიქსი ვართ, რომელიც ერთ დღეს საკუთარი ფერფლიდან აღდგება. განა მხოლოდ არიზონაში არიან ფენიქსები!

10:28

ღამით ნიუ-იორკის პროსპექტები მოციმციმე ბრილიანტის მდინარეებად იქცევა. ღამით ამ ქალაქში არ ბნელდება. დარწმუნებული ჩემს განუმეორებლობაში, ისე მივაბიჯებ West Side Highway-ზე, გეგონება «ოსკარის» მისაღებად მივდივარ. სიკვდილს დავვიწყებივარ ნიუ-იორკში. იმას, რაც დღეს დასავლეთში ხდება, ხშირად ადარებენ რომის იმპერიის დაშლას. ჩამორჩენილი ვარ? არა მგონია! ჩემი სიცოცხლის სტილია თვითმკვლელური და არა – მე. მე უბრალოდ ნიჰილისტი ვარ, რომელსაც სიკვდილი არ უნდა. გრაუნდზეროზე ღამე ეშვება. დღეს ეს ადგილი შუშის მთებში ჩაკარგული მოშიშვლებული მინდორია. ტრაგედიიდან წელიწად-ნახევარში მსოფლიო სავაჭრო ცენტრიდან მხოლოდ მოსწორებული მიწა და მავთულის ბადით შემოღობილი ნაცრისფერი მდელო დარჩა. არ ვიცით და ვერც ვერასდროს გავიგებთ, რა ხდებოდა სინამდვილეში დანგრეულ ცათამბჯენებში? ლარივით სწორი ქუჩები სირენების კივილს რიკოშეტით ისხლეტენ. კადილაკი For sale-სა და დაბზარულ ტროტუარს შორის, საკანალიზაციო ლუკიდან თეთრი კვამლი ამოდის. ისევ ის მუდმივი და უცვლელი თეთრი კვამლი, რომელსაც დღეს სულ სხვაგვარად აღვიქვამთ. მკვდარი სამყარო, რომელიც მარილიანი კრენდელების გამყიდველებითაა დასახლებული. ჰოლოკოსტის მონუმენტთან ახლოს (18 First Place-ზე, Battery Park City-ის სამხრეთით) ერთ-ერთი ფანჯრიდან მუსიკის ხმა, ქალების სიცილი, ჭიქებში ყინულის წკარაწკური და ამერიკული დღესასწაულისთვის დამახასიათებელი ყვითელი შუქი გამოდის. ვიცი ეს სიმღერა, მსოფლიო ჰიტია (ჯგუფი Praise Cats-ის Shine on me). პიანინო მაგრად უბერავს! აი, სიტყვები კი ასეთ ჰიტებს, როგორც წესი, სრულიად დებილური აქვთ:

I’ve got peace deep in my soul,

I’ve got love making me hope,

Since you opened up your,

heart and shined on me.[510]

უცებ გული სიხარულით მევსება, იმის მსგავსი მადლიერების გრძნობით, რომელსაც 1999 წლის 29 აგვისტოს განვიცდიდი, როცა ხელში აგიყვანე და შენი გაჩენისთვის ღმერთს მადლობა ვუთხარი. ჯიბეში Tiffany’s-ში ნაყიდი პატარა ცისფერი ყუთი მიდევს, რომელშიც საქორწინო ბეჭედია. გემის საყვირის ხმა ჩუმდება, მხოლოდ მუსიკა ისმის, – დინ-დინ-დინ, ტრინ-ტრინტრინ, – რომელიც გაღებული ფანჯრებიდან თბილი ნიავივით იღვრება და ზაფხულის ღამეში ფარდებს აფრიალებს. ყველაფერი სხვა დუმს. მეც ფსალმუნივით ვიმეორებ ამ სიმღერის სიტყვებს: I’ve got peace deep in my soul, I’ve got love making me hope. მრცხვენია ჩემი კათოლიკური ბედნიერების. მე არასაკადრისად გამოვიყურები მსოფლიოში უდიდესი კრემატორიუმის გვერდით, უსირცხვილოდ ბედნიერი ვარ ცხოვრებით, რადგან ჩემს საყვარელ ადამიანებზე ვფიქრობ.

თვითმფრინავები შენობებს და ჩვენს საზოგადოებას ასკდებიან. ჩვენ კამიკაძეები ვართ, რომლებსაც სიცოცხლე ჯერ არ მოჰბეზრებიათ. მხოლოდ სიყვარული მაძლევს ძალას, რომ იმედი არ დავკარგო. სატვირთო გემები სიბნელეში მოძრაობენ, წითელი შუქი ისე გადაადგილდება შავ სარკეზე, საზღვაო აეროსადგური გეგონება. ჩიტები მკვდარი ვარსკვლავებისკენ მიფრინავენ. Cunard Building-ს ჩავუარე, სადაც ერთი საუკუნის წინ „ტიტანიკის» მგზავრებმა გემის ბილეთები შეიძინეს. მდინარის ჭუჭყიანი შესართავი აქ თითქოს ცას ერევა. ჩვენ მუდმივად ყოფნა-არყოფნას ვეთამაშებით, სიკვდილი დად გვერგება, ბედნიერება კი სადღაც აქ, ამ ქაოსში იმალება. ოცდაათ წელიწადში მეც, სხვების მსგავსად, იმედგაცრუება მელის, მაგრამ ფეხებზე მკიდია, იმიტომ, რომ ოცდაათი წლის მერე სამოცდაათის ვიქნები. სადღაც შორს მთვარე ამოსვლას არ დააყოვნებს და ცაზე მისკენ მიმავალ ბილიკს გადმოფენს, რომელიც საცეკვაო ზოლივით გადაიშლება ან საფლავის ქვასავით. თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ ცოცხალი ვარ, მაგრამ, არა უშავს, ჩემი დროც მოვა. მოვა.

10:29

თვითმფრინავი, რომელიც პარიზისკენ მიმაფრენს, ზვიგენის ფარფლების მსგავსი ფრთებით ღრუბლებს არღვევს. სავარძელში ვზივარ და უკიდეგანო ოკეანის თავზე 2000 კმ/სთ სიჩქარით შენკენ მოვიჩქარი, რათა ცოლობა გთხოვო. ვგრძნობ, როგორ მიედინება ელექტრული დენივით სიცოცხლე ჩემს ძარღვებში. წელში გამართვა მინდა, ფეხზე ვდგები და წინ ვიხრები. მერე კი თავში უცებ გიჟური აზრი მომდის. ხალიჩაზე ვწვები და ორივე ხელს პილოტის კაბინისკენ ვიშვერ. ბორტგამცილებელი მიღიმის, დარწმუნებულია, რომ გაწელვას ვაკეთებ. მე კი იცით, რას ვფიქრობ? საკმარისია ასე დაწვე, თვალები დახუჭო, წარმოიდგინო, რომ არ არსებობს თვითმფრინავის კაბინა, რეაქტორები, ეს მგზავრები და იგრძნობ, როგორ მიფრინავ, როგორ აპობ ზებგერითი სიჩქარით ცის კამარას. ვაუუუ! რა მაგარია! მე ხომ სუპერგმირი ვარ!

პარიზი-ნიუ-იორკ სითი, 2002-2003 წწ.

მადლობა ბრუს სფრინგსთინს მისი ბოლო ალბომისთვის, ისევე როგორც სუისაიდს, შუგარ როსს, რიჩარდ ეშკროფთს, ზუანს და რა თქმა უნდა, ქეთ სთივენსს-იუსუფ ისლამსს თავისი ალბომისთვის In Search of the Centre of the Universe[511] (A&M Records).

მადლობა ამელის მხარდაჭერისათვის. მიყვარხარ.

მადლობა ემანუელ ობუაინოს ფინანსური ჟარგონებისთვის.

ფრანჩესკა მატეოლის – ფოტოებისთვის: «102 წუთი: ბოლო სიტყვები სავაჭრო ცენტრში» (ავტორები: ჯიმი დუეიერი, ერიკ ლიპტონი, კევინ ფლინი, ჯეიმს გლანცი და ფორდ ფესენდენი).

მადლობა დინ მერფის მოწმეების ჩვენებათა კრებულისთვის: September 11: An Oral History[512] (Doubleday).

მადლობა ბრუნო ლავენს ბაკარაკის სიმღერისთვის

ტერი გოუნაუდს ყდისთვის

მადლობა Canal+-ს ანაზღაურებული შვებულებისთვის

ასევე ვოგალენს, სმექტას, ლექსომილს,[513] რომელთა გარეშეც ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა.

მადლობა ნოელ რილი ფითჩის Walks in Hemingway’s Paris[514] (St Martin’s Griffin, New York): დასტურად იმისა, რომ ამერიკელებმა

პარიზი ჩვენზე უკეთ იციან.

მადლობა მარკ დე გონტო-ბირონს იმისთვის, რომ „სიელოში“, „ლოტუსში», და „ტაჯში» წამიყვანა.

მადლობა ჟულიენ ბარბერას „კიპრიანი დაუნთაუნში» საუკეთესო მაგიდის დაჯავშნისთვის.

მადლობა იან ლე გალეს შამპანურის წვიმისთვის.

მადლობა ნიკოს, რომელიც „პიანოს» თავზე ცხოვრობს.

მადლობა დევიდ ემილს და ჯოეი ნოუჩს.

გაუმარჯოს შონ პენს!

[1] პიერ დე რონსარი (1524-1585) – ცნობილი ფრანგი პოეტი.

[2] ინფანტერია – ქვეითი ჯარი.

[3] ანთროპომეტრი – ხელსაწყო ადამიანის სხეულის სიმაღლისა და პროპორციების გასაზომად.

[4] კალდერი, ალექსანდრ, იგივე სენდი კალდერი (1898-1976) – ამერიკელი მოქანდაკე. ცნობილი მობილის გამოგონებით. მოძრავ და სტაბილურ სკულპტურებთან ერთად შექმნილი აქვს ფერწერული ტილოები, ლითოგრაფიები და ხალიჩები.

[5] ზელიგი, ლეონარდ – თანამედროვე ამერიკელი რეჟისორისა და მსახიობის, ვუდი ალენის ფილმის გმირი. ეს არის ადამიანი-ქამელეონი, რომელიც ვირტუოზულად იცვლის ქცევებსა და გარეგნობას, იმისდა მიხედვით, თუ ვისთან აქვს ურთიერთობა კონკრეტულ მომენტში.

[6] A posteriori – ცდის საფუძველზე, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.

[7] Auto-flashbacks – კინემატოგრაფიული ტერმინია და ნიშნავს ფირის უკან გადახვევას. აქ: იგულისხმება წარსულის გადახვევა, წარსულში დაბრუნება.

[8] მარაბუტი – ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში: 1. მუსლიმი წმინდანი, რელიგიური ძმობის, დავრიშთა ორდენის ბელადი ან დამაარსებელი. 2. იგივეა, რაც დავრიში.

[9] ფროიდი, ზიგმუნდ (1856-1939) – ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

[10] მადამ სოლეი (1913-1996) – ცნობილი ფრანგი მკითხავი.

[11] ბარტი, როლან (1915-1980) – ფრანგი ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ლიტერატურისა და სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსი.

[12] პრუსტი, მარსელ (1871-1922) – ფრანგი მწერალი, მოდერნიზმის მამამთავარი, დეკადენტური რომანის ფუძემდებელი.

[13] პერეკი, ჟორჟ (1936-1982) – ფრანგი მწერალი და კინორეჟისორი.

[14] საკე – იაპონური სიტყვაა და ნიშნავს ალკოჰოლურ სასმელს. იაპონიის ფარგლებს გარეთ ბრინჯისგან გამოხდილი სპეციფიკური ალკოჰოლური სასმლის მნიშვნელობა მიიღო.

[15] Windows on the world (ინგლ.) – «ფანჯრები მსოფლიოზე» – ფრედერიკ ბეგბედერის გახმაურებული ბესტსელერი, რომელიც ეძღვნება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს ამერიკის შეერთებულ შტატებში (იხ. ამავე ტომში).

[16] სტივ უანდერი (ნამდვილი სახელი და გვარი – სტივლენდ ჰარდუეი ჯადკინსი. დაბ. 1950 წ.) – ცნობილი ამერიკელი ვოკალისტი, მუსიკოსი და პროდიუსერი.

[17] ჰედონიზმი (ბერძნ.) – ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

[18] რემბო, ჟან ნიკოლა არტურ (1854-1891) – ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი.

[19] Where Is My Mind – თანამედროვე ამერიკული ალტერნატიული ჯგუფის, Pixies-ის («ფიქსისების») პოპულარული სიმღერა.

[20] ლა ტური, ჟორჟ დე (ჟორჟ დიუმენილ დე ლა ტური. 1593-1652) – სახელგანთქმული ფრანგი ფერმწერი.

[21] ბოდლერი, შარლ პიერ (1821-1867) – თავისი ეპოქის ერთ-

ერთი ყველაზე გავლენიანი ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი.

[22] გოტიე, პიერ ჟული თეოფილ (1811-1872) – ფრანგი პოეტი, დრამატურგი, ნოველისტი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი.

[23] ელისი, ბრეტ ისტონ (დაბ. 1964 წ.) – თანამედროვე ამერიკელი მწერალი. მის რომანებში მოქმედება 1980-იან წლებში ხდება. მთავარი თემაა მერკანტილიზმი და გართობის ინდუსტრია, როგორც ამ პერიოდის მთავარი სიმბოლო. მერკანტილიზმი (ფრანგ.) – XVI-XVIII საუკუნეების ევროპის სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკური მოძღვრება და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის კეთილდღეობა თითქოს დამოკიდებულია არა წარმოების განვითარებაზე, არამედ სხვა ქვეყნებში საქონლის გატანასა და ამ გზით ფულის დაგროვებაზე.

[24] პოპულარული ფრანგული ტელეთამაში «ციფრები და ასოები».

[25] მაიკლ სკოფილდი – გახმაურებული ამერიკული ტელესერიალის, Prison Break-ის («ციხიდან გაქცევა». რეჟისორი და სცენარის ავტორი პოლ შერინგი) მთავარი გმირი (მსახიობი უენთუორთ მილერი).

[26] პიტერ პენი – შოტლანდიელი მწერლისა და დრამატურგის ჯეიმს ბარის (1860-1937) მიერ გამოგონილი პერსონაჟი. ონავარი ბიჭუნა, რომელსაც შეუძლია ფრენა და არასოდეს ბერდება.

[27] კარნე, მარსელ (1906-1996) – ფრანგი კინორეჟისორი. ფრანგული კინემატოგრაფიის პოეტური რეალიზმის მიმდინარეობის წარმომადგენელი. 600-მა ფრანგმა კინოკრიტიკოსმა კარნეს ფილმი «სამოთხის შვილები» დაასახელა საუკუნის საუკეთესო ფრანგულ ფილმად.

[28] კლარკ, ლარი (დაბ. 1943 წ.) – თანამედროვე ამერიკელი ფოტოგრაფი და კინორეჟისორი.

[29] აქ იგულისხმება შარლ ბოდლერის ცნობილი წიგნი «ხელოვნური სამოთხეები».

[30] კლოშარი (ფრანგ.) – საფრანგეთში: უსახლკარო, მათხოვარი, მაწანწალა.

[31] კაიაკი (ესკიმ.) – ტყავგადაკრული მსუბუქი ნავი (ბაიდარის მსგავსი). გავრცელებულია ესკიმოსებში, ალეუტებსა და ჩრდილოეთის სხვა ხალხებში.

[32] ინდიგო – მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება, რომელსაც ქიმიური წესით იღებენ (წინათ ამზადებდნენ ზოგიერთი ტროპიკული მცენარისგან).

[33] პოლო – აქ: ერთგვარი მაისური (ბლუზა). ნაწარმოებში რამდენჯერმე გვხვდება ეს სიტყვა, როგორც მაისურის, ასევე ცხენბურთის აღმნიშვნელი. პოლო ეწოდება აგრეთვე გასართობი თამაშობების ადგილს.

[34] პოლისტიროლი – პლასტიკური მასალა, რომელსაც იყენებენ ელექტრომრეწველობაში, საიზოლაციო პროდუქტების საწარმოებლად.

[35] პოპულარული ფრანგული საბავშვო ჟურნალი, რომელსაც კომიქსების მთავარი პერსონაჟი ძაღლის სახელი (პიფი) ჰქვია.

[36] ჩემო საყვარელო მამავ (იტალ.) – პუჩინის ცნობილი მელოდია.

[37] მეფის, მონარქიის მიმდევარი.

[38] «მშვენიერი ეპოქა» – 1890-1914 წლების ევროპის ისტორიის პირობითი აღმნიშვნელი ტერმინი.

[39] პლებეი – აქ: დაბალი წოდების წარმომადგენელი, მუშათა წრიდან გამოსული.

[40] მორიაკი, ფრანსუა (1885-1970) – ფრანგი მწერალი, ფრანგული აკადემიის წევრი. ნობელის პრემიის ლაურეატი.

[41] ფიცჯერალდი, ფრენსის სკოტ კეი (1896-1940) – ამერიკელი მწერალი.

[42] ოქსიმორონი (ითარგმნება როგორც მახვილგონივრულ-სულელური) – ლიტერატურაში სტილისტიკური ხერხი – ერთმანეთის საწინააღმდეგო, ერთმანეთის გამომრიცხველი სიტყვების შეხამება (მაგალითად, ცოცხალი ლეში).

[43] არმიის წინააღმდეგობის ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1943 წლის იანვარში გენერალ ფრერის მიერ.

[44] ითარგმნება, როგორც სიყვარულის გზა.

[45] შორტის სახეობა.

[46] აქ: სიყვარულის ოთახი.

[47] მნემონიკა (დახსომების ხელოვნება) – ერთობლიობა წესებისა და ხერხებისა, რომლებიც გამოგონილია საჭირო ცნობების დახსომების გასაადვილებლად (ხელოვნური ასოციაციების შექმნის გზით).

[48] ჰედონისტი – ჰედონიზმის მიმდევარი. ჰედონიზმი (ბერძნ.) – ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

[49] ამერიკელი რეჟისორის, ჯონ ჰიუსტონის (1906-1987) ცნობილი ფილმი «აფრიკელი დედოფალი» (გადაღებულია 1951 წელს).

[50] ღმერთო, გადაარჩინე მეფე და ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი (ინგლ.).

[51] გეთაყვა (გერმ.).

[52] ნახვამდის (გერმ.).

[53] ჯორჯ ბერნარდ შოუ (1856-1950) – ირლანდიელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

[54] კოლაბორაციონისტი – სამშობლოს მოღალატე, რომელიც თანამშრომლობდა ფაშისტ დამპყრობლებთან მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

[55] პეტენისტები – ანრი ფილიპ პეტენის (1856-1951), საფრანგეთში ფაშისტური რეჟიმის მეთაურის პოლიტიკის მიმდევრები.

[56] გოლისტები – გენერალ დე გოლის პოლიტიკური იდეოლოგიის, გოლიზმის მიმდევრები. შარლ დე გოლი (1890-1970) – ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1958-1969 წლებში.

[57] ჩემო ძვირფასო (ინგლ.).

[58] იად ვაშემის მემორიალი – ჰოლოკოსტის მსხვერპლთა

ნაციონალური მემორიალი იერუსალიმში.

[59] თალმუდი (ებრ.) – დიდი იუდეველი რაბინების (ღვთისმსახურების), თალმუდისტების მიერ შეკრებილი მოძღვრების კრებული (ძვ.წ. II საუკუნიდან ახ.წ. VI საუკუნემდე). მიიჩნევა თორას (ღმერთის მიერ მოსესთვის ზეგარდმოვლენილი წმინდა კანონის) ჭეშმარიტ განმარტებად.

[60] აქ: ჟარგონი (პოლიციელთა მისამართით).

[61] იგულისხმება თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ბრეტ ისტონ ელისის (დაბ. 1964 წელს) პოპულარული რომანი «მთვარის პარკი».

[62] ჟიონო, ჟან (1895-1970) – ფრანგი მწერალი.

[63] უაილდი, ოსკარ (1854-1900) – ირლანდიული წარმოშობის ინგლისელი დრამატურგი, მწერალი და პოეტი.

[64] შანზ-ელიზე (ელისეს მინდვრები) – პარიზის ყველაზე დიდი და ცნობილი პროსპექტი. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული მითოლოგიიდან, რომლის მიხედვით საიქიოში მდებარეობს ელისეს მინდვრები, სადაც სათნო სულები ბინადრობენ.

[65] ჟან-კლოდ ლამი – თანამედროვე ფრანგი ჟურნალისტი.

[66] საგანი, ფრანსუაზ (1935-2004) – ფრანგი მწერალი ქალი.

[67] ჩემი ბრალია (ლათ.).

[68] ფრუსტრაცია (ლათ.) – დამრგუნველი დაძაბულობის, მღელვარების, გამოუვალობისა და სასოწარკვეთილების მდგომარეობა.

[69] ნარკოტიკის შემცველი პრეპარატები.

[70] გრაფიტები – აქ: ამოკაწრული ან გაჩხაპნილი წარწერა კედლებზე.

[71] ექსჰიბიციონიზმი – სამედიცინო სექსოლოგია. აქ: სექსუალური დანაშაულისთვის.

[72] თუ მიმატოვებ ახლა (ინგლ.).

[73] ნაწყვეტი ცნობილი ბრიტანული ჯგუფის 10CC-ის

სიმღერიდან «თუკი მიმატოვებ, არ ვიქნები შეყვარებული» (ინგლ.).

[74] ფრანგული კოცნა (ინგლ.).

[75] მაქვს პრობლემები, / მაგრამ ვიცი, დიდხანს არ გასტანს, / მინდა წამოვწვე ბალახზე და / ყველა გავაქრო... / ეს იმიტომ, რომ, / მე ხომ ვცხოვრობ შაქრის ქალაქში... / შა-შა-შა-შა-შა... შაქრის ქალაქში...

[76] შოკოლადის დასახელება (ფრანგ.).

[77] მეტრდოტელი – 1. უფროსი ოფიციანტი, განმკარგულებელი რესტორანში; 2. ბურჟუაზიულ სახლებში: უფროსი მსახური, რომელიც განაგებს ჭამა-სმის საქმეს.

[78] პარბრიზი – საქარე მინა.

[79] ბრიტნი სპირსი (დაბ. 1981 წ.) – ამერიკელი მომღერალი.

[80] ჯოან ბაიეზი (დაბ.1941 წ.) – ამერიკელი მომღერალი და კომპოზიტორი.

[81] ა პოსტერიორი – ცდის საფუძველზე, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით.

[82] დეკლასირება – დეკლასირებულად ქცევა. დეკლასირებული – ვინც მოწყვეტილია თავის კლასს და არ მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში (მაგალითად, ქურდები, ქუჩის ქალები, მათხოვრები, მაწანწალები).

[83] დეკადანსი – კულტურის დაქვეითება, დაცემა.

[84] ტონი მონტანა – განგსტერი, ამერიკელი რეჟისორისა და სცენარისტის ოლივერ სთოუნის (დაბ. 1946 წ.) მიერ გამოგონილი გმირი ფილმიდან «ნაიარევი სახე».

[85] აბსოლუტი – აქ: სამყაროს უსასრულო პირველმიზეზი, საწყისი.

[86] სერ ალფრედ ჰიჩკოკი (1899-1980) – ინგლისური წარმოშობის ამერიკელი რეჟისორი.

[87] ეგზისტენციალიზმი – მიმართულება თანამედროვე ფილოსოფიაში. მისი ძირითადი თემაა პიროვნების ბედ-იღბალი თანამედროვე სამყაროში, რწმენა და ურწმუნოება,

სიცოცხლის აზრის დაკარგვა და შეძენა.

[88] საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა – საფრანგეთის მიმდინარე რესპუბლიკური კონსტიტუციაა, რომელიც 1958 წლის 5 ოქტომბრიდან მოქმედებს. მისი წინამორბედი იყო საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკა, რომლის დაშლამ გამოიწვია საპარლამენტო მთავრობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემით შეცვლა.

[89] ლიტოტა (ბერძნ.) – უბრალოება.

[90] ჟორჟ პომპიდუ (ჟორჟ ჟან რაიმონ პომპიდუ. 1911-1974) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. პრემიერ-მინისტრი (1962-1968), მეხუთე რესპუბლიკის პრეზიდენტი (1969-1974). მემარჯვენეების (გოლისტების) ლიდერი.

[91] კუსტურიცა, ემირ (დაბ. 1954 წ.) – ბოსნიელი სერბი კინორეჟისორი. საერთაშორისო აღიარება მოუტანა ფილმებმა «ბოშათა დრო», «არიზონას ოცნება» და «მიწისქვეშეთი» 1985 წელს გადაიღო ფილმი «როცა მამა საქმეზე იყო წასული».

[92] ევროპა ნომერი 1 (სატელევიზიო არხი).

[93] ჩემო პატარავ, შენ შეგიძლია წაიყვანო ჩემი მანქანა, ჩემო პატარავ, მე შენ მიყვარხარ .

[94] ნაბოკოვი, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ (1899-1977) – რუსი-ამერიკელი მწერალი. პირველი ნაწარმოებები რუსულად დაწერა. აღიარება ინგლისურ ენაზე დაწერილმა რომანებმა მოუტანა.

[95] ბორხესი, ხორხე ლუის (1899-1986) – არგენტინელი მწერალი და პოეტი.

[96] იგივე სტიკერი.

[97] ჯო დასენი (ჯოზეფ აირა დასენი. 1938-1980) – ამერიკული წარმოშობის ფრანგი მომღერალი და მუსიკოსი.

[98] ბრედბერი, რეიმონდ დაგლას (1920-2012) – ამერიკელი მწერალი, მოღვაწეობდა ფანტასტიკის, საშინელებათა, სამეცნიერო ფანტასტიკისა და დეტექტივის ჟანრში.

[99] სტივენსონი, რობერტ ლუის ბალფორ (1850-1894) – შოტლანდიელი მწერალი.

[100] უელსი, ჰერბერტ ჯორჯ (1866-1946) – ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი. ჟიულ ვერნთან ერთად მიიჩნევა სამეცნიერო ფანტასტიკის მამად.

[101] ბილალი, ენკი (ენეს ბილალოვიჩი. დაბ. 1951 წ.) – თანამედროვე ფრანგი მხატვარი, კინორეჟისორი, კომიქსების ავტორი.

[102] ბარჟაველი, რენე (1911-1985) – ფრანგი ფანტასტი მწერალი.

[103] ფანტასმი – მოჩვენება - ლიტერატურასა და ხალხში გარდაცვლილი ადამიანისა და ცხოველის სული, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს უხილავი ან სხვა სახით. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ისინი უხილავ სახეს ატარებენ, ზოგიერთი ოდნავ ხილვად ობიექტად ხედავს. გარდაცვლილ ადამიანთან კონტაქტის დამყარების სურვილს ნეკრომანტია ეწოდება, ხოლო სეანსის სახით ჩატარებულ პროცესს – სპირიტიზმი.

[104] ჰოლოგრამა (ბერძნ.) – მოცულობითი გამოსახულება, სურათი.

[105] დიკენსი, ჩარლზ (1812-1870) – ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინგლისელი მწერალი.

[106] როჟე მარტინ დიუ გარი (1881-1958) – ფრანგი მწერალი, ფრანგული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

[107] აღნიშნული ნახატი მართლაც არის გამოტანილი ფრედერიკ ბეგბედერის ამ რომანის ფრანგულენოვან გამოცემაზე (მთარგმნელის შენიშვნა).

[108] პელიკანი – ვარხვი, წყლის ფრინველი.

[109] კადრების შერჩევის (ინგლ.).

[110] სენეკა, ლუციუს ანეუს (ძვ.წ. 4-ახ.წ.65 წწ.) – რომაელი ფილოსოფოსი, ორატორი, დრამატურგი და იუმორისტი.

[111] როჟე მარტინ დიუ გარის ცნობილი რომანი.

[112] კონსოლი – კედლის გამონაშვერი, რომელსაც ეყრდნობა შენობის ზოგი ნაწილი (კარნიზი, აივანი), იგივე ბრჯენი, კრონშტეინი.

[113] ადეპტი – რაიმე მოძღვრების მომხრე, დამცველი.

[114] მამაშენი არის (ფრანგ.).

[115] ხოსე მონსერატ ფელისიანო გარსია (დაბ. 1945 წ.) – პუერტორიკოელი ვირტუოზი მუსიკოსი, კომპოზიტორი და მომღერალი.

[116] რეი ჩარლზი (1930-2004) – ამერიკელი პიანისტი და სოულის შემსრულებელი, რომელმაც დასაბამი მისცა რითმ-ენდ-ბლუზის მიმდინარეობას.

[117] სტრეიზანდი, ბარბრა ჯოან (დაბ. 1942 წელს) – ამერიკელი მომღერალი, თეატრისა და კინოს მსახიობი.

[118] რეჯიანი, სერჟ (1922-2004) – იტალიური წარმოშობის ფრანგი მსახიობი, მხატვარი და მომღერალი.

[119] მუსტაკი, ჟორჟ (1934-2013) – ფრანგი შანსონიე, ბარდი და კომპოზიტორი.

[120] კომპილაცია – ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს. აქ: სხვადასხვა სიმღერის ნაკრები.

[121] ეკვალაიზერი – ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ბგერის გამაძლიერებელ სისტემათა სიხშირული არხების კორექციისთვის.

[122] რითაც ის არის შთაგონებული.

[123] შენ მიღმა ვიყურები, / სად წახვედი? მეგონა გიცნობდი, / რა ვიცოდი (ინგლ.).

[124] ჰიპოთალამუსი (ბერძნ.) – (ანატ.) დიდი ტვინის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ე.წ. მხედველობითი ბორცვების ქვეშ. მონაწილეობს ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

[125] დიუტრუ, მარკ (დაბ. 1956 წ.) – ბელგიელი სერიული მკვლელი, პედოფილი.

[126] კანტი, იმანუელ (1724-1804) – გერმანელი ფილოსოფოსი.

[127] თანამედროვე ცნობილი პორნომსახიობი.

[128] პატერნალისტური – აქ: ვითომდა მამობრივი.

[129] რონსარი, პიერ დე (1524-1585) – ცნობილი ფრანგი პოეტი.

[130] ფროიდი, ზიგმუნდ (1856-1939) – ავსტრიელი ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი. ფსიქოანალიზის ფუძემდებელი.

[131] ერზაცი – რისამე არასრულფასოვანი შემცვლელი; სუროგატი. აქ: არასრულფასოვანი ვაჟიშვილი.

[132] ჟან ბერტრან ლეფევრ-პონტალისი (1924-2013) – ფრანგი ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი და მწერალი.

[133] ბასკური ეროვნული თამაში ხის ბურთით.

[134] ფირსაკრავი კაფე-ბარებში.

[135] კომუნისტური ჟურნალია.

[136] მოტოციკლეტების ცნობილი მარკა.

[137] ფრედერიკ ბეგბედერი აქ ჩამოთვლის თავის მასწავლებლებად მიჩნეულ სახელგანთქმულ მწერლებს, პოეტებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებმაც ტრაგიკულად დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე.

[138] ეპიკურეიზმი – აქ: მისწრაფება გრძნობების დაკმაყოფილებისადმი, ნებიერი ცხოვრებისამდი.

[139] მესიე-ლე პრენსის ქუჩაზე, ერთხელ პოტასიუმის პერმანგანატს წყალი გავურიე: მუქი იასამნისფერი ნაერთი მივიღე, რაც სასკოლო ჩანთაში ჩამესხა, დამისვარა ტანსაცმელი და ხელებზე ყავისფერი ნაკვალევი დამიტოვა, რომელიც ერთი თვე ვერ მოვიცილე. დღეს ამ ტიპის სათამაშოები აკრძალულია, პოტასიუმის პერმანგანატი ფეთქებად და ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებად არის მიჩნეული. როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდამ დავიწყე უკანონო პროდუქტების გამოყენება (ავტორის შენიშვნა, რომლის ამნეზიაც მით უფრო კლებულობს, რაც უფრო ახლოვდება თხრობაში კვანძის გახსნა).

[140] აბსოლუტურად ზღაპრული.

[141] დონჟონი (ფრანგ.) – ფეოდალური ციხე-დარბაზის

მთავარი კოშკი.

[142] ასე ეძახიან პარიზს.

[143] დედოფალი მარი-ანტუანეტა კონსიერჟერიში ჩასვეს 1793 წელს. მარი-ანტუანეტა (1755-1793) – საფრანგეთის დედოფალი. იმპერატორ ფრანც I-ისა და მარია-ტერეზას უმცროსი ქალიშვილი. საფრანგეთის მეფე ლუი XVI-ის მეუღლე.

[144] მაკონტროლებლად.

[145] იგივე პულვერიზატორი.

[146] შოპენჰაუერი, არტურ (1788-1860) – განთქმული გერმანელი ფილოსოფოსი-მიზანთროპი.

[147] «პატარა პრინცი» – ფრანგი მწერლისა და მფრინავის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის პოპულარული მოთხრობა.

[148] ოიდიპოსის კომპლექსი (მედ.) – აღნიშნავს მოვლენას, როცა ბავშვი 2-3 წლის ასაკში გრძნობს სიყვარულისა და სიძულვილის ნაზავს მშობლებისადმი. სახელი უკავშირდება ძველი ბერძნული მითის პერსონაჟს, ოიდიპოსს, რომელმაც მოკლა საკუთარი მამა და დედა შეირთო ცოლად, რადგანაც გაუცნობიერებლად დედა უყვარდა, როგორც ქალი.

[149] მიოპია – ახლომხედველობა.

[150] სნობიზმი – სნობის ქცევები. სნობი – ადამიანი, რომელიც ცდილობს ზუსტად დაიცვას მოდა და ე. წ. კარგი ტონის წესები; პირი, რომელსაც დახვეწილი გემოვნებისა და მანერების პრეტენზია აქვს და ამით ქედმაღლობს, თავი მოაქვს.

[151] თანამედროვე ამერიკელი რეჟისორის, ჯორჯ ლუკასის სრულმეტრაჟიანი ფილმი.

[152] პლოტინი – ნეოპლატონური სკოლის მთავარი ფილოსოფოსი.

[153] სოლიფსიზმი – იდეალისტური ფილოსოფიური თეორია, რომლის მიხედვითაც რეალურად არსებობს მხოლოდ ერთი სუბიექტი – «მე». მთელი დანარჩენი სამყარო კი შექმნილია ადამიანის ცნობიერების წარმოდგენათა მიერ; უკიდურესი სუბიექტივიზმი.

[154] ფლობერი, გიუსტავ (1821-1880) – ფრანგი მწერალი. რომანმა «მადამ ბოვარი – პროვინციული ზნე-ჩვეულებები» იგი XIX საუკუნის დასავლეთის ერთ-ერთ უდიდეს რომანისტად აქცია.

[155] მონდიალიზმი – გულისხმობს უნივერსალურ უნიფიკაციას (ანუ გაერთნაირებას), ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ერთიან მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას.

[156] ყოველდღიური გაზეთი «პარიზელი».

[157] საზაფხულო ბანაკი.

[158] ამერიკელი მწერლის, ჯერომ დეივიდ სელინჯერის (1919-2010) ცნობილი რომანის, «თამაში ჭვავის ყანაში» მთავარი გმირი.

[159] საშინელებათა შოუ.

[160] გეენა (ებრ.; ბერძნ.) – იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ვაკე, რომელიც ქრისტიანობასა და იუდაიზმში ასოცირდება განკითხვის დღედ, ხოლო მუსლიმურ რელიგიაში ნიშნავს ჯოჯოხეთს.

[161] რიკოშეტი (ფრანგ.) – სწრაფად მოძრავი სხეულის (ტყვიის, ჭურვის, კენჭის და სხვ.) ასხლეტა განსაზღვრული კუთხით რაიმე ზედაპირზე მოხვედრის შემდეგ.

[162] ჯაზური მუსიკის ერთ-ერთი მიმართულება.

[163] Windows on the world (ინგლ.) – ფანჯრები მსოფლიოზე.

[164] უიტმენი, უოლტ (1819-1892) – ამერიკელი პოეტი, ესეისტი და ჟურნალისტი.

[165] პასოსი, ჯონ დოს (1896-1970) – ამერიკელი მწერალი.

[166] Kill the Rockfellers (ინგლ.) – დახოცეთ როკფელერები.

[167] კობეინი, კურტ (1967-1994) – ამერიკელი მუსიკოსი, გიტარისტი, ჯგუფ «ნირვანას» ვოკალისტი.

[168] Holy Shit! (ინგლ.) – შენი დედა!

[169] ბეიჯი (ინგლ.) – უნიფორმის ნაწილი, მკერდზე მიბნეული გვარ-სახელი.

[170] Good morning, my name is Carthew Yorston (ინგლ.) – გამარჯობა, ჩემი სახელია ქართიუ იორსტონი.

[171] პიუპიტრი (ფრანგ.) – სპეციალური დახრილი ფიცარი ნოტების დასადებად. დამაგრებულია ვერტიკალურ ჯოხზე ან როიალზე.

[172] სკაილობი (ინგლ.) – შუალედური სართული, საიდანაც ჩქაროსნული ლიფტი ადის ცათამბჯენის ბოლო სართულზე.

[173] «ალგონქუინი» – სასტუმრო ნიუ-იორკში.

[174] სტარკი, ფილიპ პატრიკ (დაბ. 1949 წ.) – ფრანგი დიზაინერი, ე.წ. ახალი დიზაინის სტილის მიმდევარი. მისი ძირითადი მიმართულებებია ინტერიერის დიზაინი და მასობრივი წარმოების სამომხმარებლო საქონლის დიზაინი, ასევე ავეჯი და შენობებიც.

[175] Royalton – სასტუმრო ნიუ-იორკში.

[176] პარკერი, დოროთი (1893-1967) – ნამდვილი სახელი დოროთი როტშილდი. ამერიკელი მწერალი და პოეტი.

[177] «ცხოვრება ორისთვის» – იგულისხმება თანამედროვე ფრანგი მომღერლის, ჟან ფრანსუა ბროს სიმღერის ტექსტი.

[178] დაისპლიტა (ფინანსური სლენგი) – ნომინალის შემცირებით აქციების რაოდენობის გაზრდა.

[179] ფორდი, ტომ – თანამედროვე ამერიკელი დიზაინერი და კინორეჟისორი. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა გუჩის მოდის სახლში მუშაობისას.

[180] დევიდი და ნელსონი – ძმები როკფელერების სახელები, რომელთა დაფინანსებითაც აშენდა ტყუპი ცათამბჯენი.

[181] ფოლკნერი, უილიამ (1897-1962) – ცნობილი ამერიკელი მწერალი.

[182] Eurotrash (ინგლ.) – ევრონაგავი.

[183] American Trash (ინგლ.) – ამერიკული ნაგავი.

[184] Red Neck (ინგლ.) – „წითელი კისერი“ – გოიმი, ხეპრე.

[185] გეტი, პოლ (1892-1967) – ამერიკელი მილიარდერი, პოლ

გეტის მუზეუმის (კალიფორნია) დამფუძნებელი.

[186] გუგენჰაიმი, სოლომონ (1861-1949) – ამერიკელი მეცენატი, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დამფუძნებელი.

[187] კარნეგი, დეილ (1888-1955) – ცნობილი ამერიკელი პედაგოგი, ფსიქოლოგი და მწერალი.

[188] French fries (ინგლ.) – ფრანგული ფრი.

[189] French Toasts (ინგლ.) – ფრანგული ტოსტები.

[190] French kiss (ინგლ.) – ფრანგული კოცნა.

[191] French rubbers (ინგლ.) – ფრანგული პრეზერვატივები.

[192] French Connection (ინგლ.) – მხატვრული ფილმი «ფრანგი მეკავშირე».

[193] ლიმიტროფული – აქ: სასაზღვრო.

[194] ჟუვე, პატრიკ – თანამედროვე ფრანგი მუსიკოსი და მომღერალი.

[195] Bouillon de Culture (ფრანგ.) – ცნობილი ფრანგული სატელევიზიო გადაცემა, რომელიც ლიტერატურის სიახლეებს მიმოიხილავს.

[196] Actor’s studio (ინგლ.) – პოპულარული ამერიკული სატელევიზიო გადაცემა, რომელიც 1994 წლიდან გადის Bravo Cable Television-ზე.

[197] იზოლაციონიზმი – ამერიკის შეერთებულ შტატებში: პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ამერიკას არ უნდა მიეღო მონაწილეობა ევროპის ქვეყნების კონფლიქტებში; შეიქმნა მე-19 საუკუნეში.

[198] keep quiet (ინგლ.) – წყნარად იყავით.

[199] stop it, kids (ინგლ.) – გაჩერდით, ბავშვებო.

[200] Disney Channel (ინგლ.) – დისნეის არხი.

[201] Unbelievable (ინგლ.) – დაუჯერებელი.

[202] პაპიე-მაშე (ფრანგ.) – პლასტიკური ნივთიერება, რომელიც

მიიღება ქაღალდის მასაში წებოს, სახამებლის, თაბაშირის, ცარცის შერევით; იყენებენ ნაირ-ნაირი ნივთის დასამზადებლად.

[203] დონათსი – ამერიკული ფუნთუშა.

[204] ლორენი, რალფ – თანამედროვე ამერიკელი მოდელიერი.

[205] cool (ინგლ.) – მაგარი, საკაიფო.

[206] კოლი, კენეტ – თანამედროვე ამერიკელი მოდელიერი.

[207] იაპი (yuppi) – ახალგაზრდა, წარმატებული ამერიკელი.

[208] „ბულიში“ – ინგლისური სიტყვიდან Bullish, ანუ ხარისებრი – კურსის, აქციების სწრაფი ზრდის ტენდენცია.

[209] It’s none of your business (ინგლ.) – შენი საქმე არ არის.

[210] თარგმანი ინგლისურიდან:

«აწვიმს ფანჯრებს მსოფლიოზე,

სად გაქრა მზე, ოდესღაც რომ ანათებდა?!

ყველამ იცის, პატარებს რომ მზე სჭირდებათ,

ჯანმრთელად და ბედნიერად გასაზრდელად.

ამიტომაც, მუდამ უნდა იყოს მზე.

აწვიმს ფანჯრებს მსოფლიოზე,

ნეტავ მალე თუ იდარებს?

ყველამ იცის: იზრდებიან ბიჭები და,

მათ სამშობლო ერთ დღეს ერთად დაუძახებს.

ამიტომაც, მუდამ უნდა იყოს მზე.

აწვიმს ფანჯრებს მსოფლიოზე,

ნეტავ საით მიაქანებს ქვეყნიერებას?

ყველამ იცის, მამრები რომ ერთურთს შეერკინებიან,

მათი დავა ხშირად სიკვდილს იწვევს ერთ-ერთისას.

ამიტომაც, მუდამ უნდა იყოს მზე.

აწვიმს ფანჯრებს მსოფლიოზე,

ჩვენ ხომ მართლა შეგვიძლია რამის შეცვლა,

ყველამ იცის, რომ ეს წვიმა

ანგელოზის ცრემლებია,

ნუ ვატირებთ ასე დიდხანს ანგელოზებს...

ამიტომაც, მუდამ, მუდამ უნდა იყოს მზე».

[211] Shap! Crackle! Pop! – „რაის კრისპის“ ბურბუშელას სარეკლამო სიმღერის მისამღერი.

[212] I survived Jurassic Park (ინგლ.) – მე გადავრჩი იურული პერიოდის პარკში.

[213] GET THE FUCK OUT OF THIS BUILDING (ინგლ.) – გადით ამ დედააფეთქებული შენობიდან.

[214] „კოსმოსური ოდისეა 2001“ – რეჟისორ სტენლი კუბრიკის სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმი (1968).

[215] გრაუნდზერო (ინგლ.) – Ground Zero – ნულოვანი ნიშნული. ინგლისური ფრაზეოლოგიის მიხედვით: ადგილი, სადაც მოხდა უდიდესი კატასტროფა (ბირთვული ბომბის აფეთქება ან მიწისძვრა). ამ შემთხვევაში, იგულისხმება ის ადგილი, სადაც ტყუპი ცათამბჯენი მდებარეობდა.

[216] ფეტვა – ისლამურ რელიგიაში მუფტის მიერ გამოტანილი განაჩენი.

[217] World Trade Center (ინგლ.) – მსოფლიო სავაჭრო ცენტრი.

[218] მოკი, ჟან-პიერ – თანამედროვე ფრანგი რეჟისორი და სცენარისტი.

[219] Drugstore Publicis Saint Germain (ფრანგ.) – იგულისხმება კაფე სენ-ჟერმენის ქუჩაზე პარიზში, სადაც 1974 წელს ტერაქტი მოხდა.

[220] WASP (white, anglo-saxon, protestant) – თეთრი, ანგლოსაქსი, პროტესტანტი – ამერიკული საშუალო კლასის ელიტა; wasp – ბზიკი.

[221] Rainbow Room – რესტორანი და ღამის კლუბი ნიუ-იორკში.

[222] how hot she is (ინგლ.) – რა მაგარი ნაშაა, რა სექსუალური ქალია.

[223] ქეშ-ფლოუ – ინგლისური სიტყვიდან Cash-flow – ნაღდი ფულის მოძრაობა.

[224] გრინსპენი, ალან – ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი 1987-2006 წლებში.

[225] Sic (ლათ.) – აი, ასე.

[226] «დიდი მოლნი» – ალენ-ფურნიეს ცნობილი რომანი (1913). ალენ-ფურნიე ფსევდონიმია ფრანგი მწერლის ანრი ფურნიესი (1886-1914).

[227] ბერნსი, რობერტ (1759-1796) – შოტლანდიური წარმოშობის ინგლისელი პოეტი.

[228] The catcher in the Windows (ინგლ.) – აქ სიტყვების თამაშია და იგულისხმება «დამჭერი ფანჯრების ქვეშ».

[229] parvenu (ფრანგ.) – თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეებში: აგდებით ხსენება უგვარო პირისა, რომელმაც შეაღწია «უმაღლეს საზოგადოებაში» და ჰბაძავს იქ მიღებულ ცხოვრების წესსა და მანერებს.

[230] ბერნემი, ლესტერ – ამერიკული მხატვრული ფილმის «სილამაზე ამერიკულად» გმირი (რეჟისორი სემ მენდესი).

[231] so me (ინგლ.) – ჩემსავით.

[232] ფორტ ლოდერდალი – კურორტი ფლორიდაში.

[233] I love my country (ინგლ.) – მე მიყვარს ჩემი ქვეყანა.

[234] თარგმანი ინგლისურიდან:

შემოოოოდგომა ნიუ-იორკშიიი

რატომაააა ასეთი სევდიიიიანი?

ლიცლიიიცებს ხალხით თავსე ქუჩებიიი,

თვაააალს ატყუუუუებს ღრუბლებიიი.

ფოლადისფერი კაანიონები.

შემოოოდგომა ნიუ-იორკშიიი

ხშირა

[250] «მისია შეუსრულებელია» – ამერიკული მხატვრული ფილმი. რეჟისორი ბრაიან დე პალმა (1996).

[251] ფრიკასე – ფრანგული კერძი, რაგუ.

[252] ლაგერფელდი, კარლ – თანამედროვე გერმანელი მოდელიერი და ფოტოგრაფი.

[253] Have a nice day (ინგლ.) – ბედნიერ დღეს გისურვებთ.

[254] ლინჩი, დევიდ – თანამედროვე ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი.

[255] მერილ ლინჩი – 2008 წლამდე წარმოადგენდა მსხვილ საინვესტიციო ბანკს. შემდგომში შეისყიდა «ამერიკის ბანკმა».

[256] ფიუზელაჟი (ფრანგ.) – თვითმფრინავის კორპუსი.

[257] Look Dad! You see the plane? (ინგლ.) – შეხედე, მამიკო! ხედავ თვითმფრინავს?

[258] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.

[259] shock wave (ინგლ.) – აფეთქების ტალღა.

[260] ლუკასი, ჯორჯ – თანამედროვე ამერიკელი კინორეჟისორი და სცენარისტი, «ვარსკვლავური ომების» და «ინდიანა ჯონსის» შემქმნელი.

[261] Windows on the Planes; Windows on the Crash; Windows on the Smoke; Broken Windows (ინგლ.) – ფანჯრები თვითმფრინავზე; ფანჯრები კატასტროფაზე; ფანჯრები კვამლზე; დამსხვრეული ფანჯრები.

[262] ჰუისმანსი, ჟორის კარლ (1847-1907) – ფრანგი ნოველისტი.

[263] დეზ ესენტი – ჰიუსმანსის რომანის «პირიქით» მთავარი გმირი.

[264] Mass Murderers (ინგლ.) – მასობრივი მკვლელობის მომწყობნი.

[265] out of order (ინგლ.) – დაზიანებული, მწყობრიდან გამოსული.

[266] ლუკ სკაიუოკერი – მხატვრული ფილმის, «ვარსკვლავური ომების» მთავარი პერსონაჟი.

[267] ძმები ჰენსონები – თანამედროვე ამერიკული როკჯგუფის წევრები.

[268] მიზანთროპი – პირი, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებას გაურბის; უჟმური, კაცთმოძულე.

[269] «აქსიონ დირექტი» – ფრანგული მემარცხენე რადიკალური ორგანიზაცია, რომელმაც 1979-1987 წლებში რამდენიმე ტერორისტული აქტი განახორციელა.

[270] მენიგონი, ნატალი – მემარცხენე ტერორისტული ორგანიზაციის „აქსიონ დირექტის» აქტივისტი, რომელმაც 1986 წელს ჟოელ ობრონთან ერთად მოიტაცა და შემდგომ მოკლა „რენოს“ გენერალური დირექტორი ჟორჟ ბესი.

[271] სონიე-სეიტე, ალის – საფრანგეთის განათლების მინისტრი (1978-1981 და 1989-1995 წლებში).

[272] ვანეგეიმი, რაულ – თანამედროვე ბელგიელი მწერალი და ფილოსოფოსი.

[273] Oh Lord, tell me this is not happening (ინგლ.) – ღმერთო ჩემო, მითხარი, რომ ეს ტყუილია.

[274] სოლჟენიცინი, ალექსანდრ (1918-2008) – ცნობილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. «არქიპელაგ გულაგის» ავტორი.

[275] ლაბრო, ფილიპ – თანამედროვე ფრანგი რეჟისორი და სცენარისტი.

[276] ჰოუპი, ბობ (1903-2003) – ცნობილი ამერიკელი მსახიობი და ტელე-რადიოწამყვანი.

[277] Where are you from (ინგლ.) – საიდან ხართ?

[278] Nice to meet you (ინგლ.) – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

[279] Put your money where your mouth is (ინგლ.) – საქმე ლაპარაკის სანაცვლოდ.

[280] Big is beautiful (ინგლ.) – რაც მეტია, მით უკეთესია.

[281] Back-seat driver (ინგლ.) – უკან მჯდომი მძღოლი, ანუ „ნუ აძლევ მძღოლს შენიშვნებს“.

[282] Take it easy (ინგლ.) – გულთან ახლოს არ მიიტანო.

[283] Relax (ინგლ.) – მოეშვი.

[284] Give me a break (ინგლ.) – დამასვენე, ამომასუნთქე.

[285] You’re overreacting (ინგლ.) – ზედმეტად ნერვიულობ.

[286] For God’s sake (ინგლ.) – ღვთის გულისათვის.

[287] ჰაივეი (ინგლ.) – Highway – ფართო ავტომაგისტრალი.

[288] დრაგსთორი (ინგლ.) – Drugstore – აფთიაქი ამერიკაში.

[289] 1968 წლის მაისი – სოციალური კრიზისის ნიადაგზე დაწყებული მასობრივი საპროტესტო აქციები საფრანგეთში, რომლებიც შარლ დე გოლის გადადგომით დასრულდა.

[290] Snupi Sulci – ამერიკული კომიქსის გმირი.

[291] Let’s face it: this time it’s for real (ინგლ.) – მოდი, სიმართლეს თვალებში შევხედოთ. ამჯერად ეს ყველაფერი რეალობაა!

[292] So keep cool (ინგლ.) – ამიტომ არ ინერვიულოთ.

[293] Tough guy (ინგლ.) – მაგარო ბიჭო.

[294] It doesn’t look good, babe (ინგლ.) – აქაურობა კარგი სანახავი არ არის, პატარავ.

[295] Love, Carthew (ინგლ.) – სიყვარულით, ქართიუ.

[296] The Greatest Bar On Earth (ინგლ.) – მსოფლიოში ყველაზე მაგარი ბარი.

[297] Spectacular ხედით – შთამბეჭდავი ხედით (ინგლ.).

[298] Riverside Drive – ადგილი ნიუ-იორკის ცენტრში, მანჰეტენზე.

[299] მილკენი, მაიკ – თანამედროვე ამერიკელი ფინანსისტი და ფილანთროპი, მილიარდერი.

[300] ლიზონი, ნიკ – თანამედროვე ამერიკელი ბანკირი და ფინანსისტი.

[301] ბიურენი, დანიელ – თანამედროვე ფრანგი სკულპტორი.

[302] Who’s this guy? Are you crazy?! get your fucking hands off me! (ინგლ.) – ეს ვინაა? შენ გიჟი ხომ არ ხარ?! გასწიე ხელები!

[303] Brooks Brothers – ტანსაცმლის ამერიკული მარკა.

[304] Do you read me? (ინგლ.) – გამიგეთ?

[305] Ticker-tape parades (ინგლ.) – სადღესასწაულო აღლუმები ნიუ-იორკში, რომლის დროსაც მაღალი შენობებიდან ქუჩებში თეთრ ქაღალდებს ყრიან.

[306] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.

[307] ავტორი გულისხმობს, რომ ორი თვითმფრინავის შეჯახების შემთხვევაში უბედური შემთხვევის ალბათობა ნულის ტოლია. მისი აზრით, ეს უკვე ტერაქტია.

[308] Twister – სტივენ სპილბერგის ფილმი (1996).

[309] პინო, ფრანსუა – თანამედროვე ფრანგი ბიზნესმენი.

[310] ქეიჯი, ჯონ (1912-1992) – ამერიკელი კომპოზიტორი. ამერიკული ავანგარდული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[311] Damn it! You’re right! Gimme a hug (ინგლ.) – მართალია! მოდი, ჩაგეხუტოთ.

[312] Remember 93! We’ve got to get to the roof (ინგლ.) – გახსოვს 93! სახურავზე უნდა ავიდეთ.

[313] ბელვედერი (იტალ.) – Belvedere – შემაღლებულ ადგილზე დადგმული მცირე ზომის საპარკო ნაგებობა, საიდანაც იშლება შორეული ხედი.

[314] Twin Towers (ინგლ.) – ტყუპი ცათამბჯენი.

[315] Lonely Tower (ინგლ.) – მარტოხელა ცათამბჯენი.

[316] მაღრიბი – სამი ჩრდილოეთაფრიკული ქვეყანა: ტუნისი, ალჟირი და მაროკო.

[317] რუსული გორაკები (იგივეა, რაც – ამერიკული გორაკები) – პოპულარული საპარკო ატრაქციონი.

[318] Do I make myself clear? (ინგლ.) – ნათლად გამოვთქვი აზრი?

[319] EMERGENCY EXIT (ინგლ.) – საავარიო გასასვლელი.

[320] ბალარდი, ჯეიმს (1930-2009) – ინგლისელი მწერალი, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების ავტორი.

[321] ბერნარი, სარა – (1844-1923) ცნობილი ფრანგი მსახიობი, რომელიც ძირითადად დრამატულ როლებს თამაშობდა.

[322] Damn (ინგლ.) – ჯანდაბა.

[323] მორისონი, ჯიმ (1943-1971) – ცნობილი ამერიკელი მუსიკოსი, ჯგუფ «დორსის» სოლისტი

[324] «It's hard to be down when you're up». No comment (ინგლ.) – «რთულია დაბლა დაშვება, როცა მაღლა ხარ». კომენტარის გარეშე.

[325] One Nation Under God (ინგლ.) – ერთი ერი ღმერთის საუფლოში.

[326] Breaking News (ინგლ.) – ელვა, ახალი ამბავი.

[327] ბიძია სემი – ამერიკის შეერთებული შტატების პერსონიფიცირებული სიმბოლო.

[328] «ბონი და კლაიდი» – სერჟ გენზბურის და ბრიჟიტ ბარდოს მიერ შესრულებული ცნობილი ჰიტი (1968).

[329] შპენგლერი, ოსვალდ (1880-1936) – გერმანელი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, «ცხოვრების ფილოსოფიის» წარმომადგენელი».

[330] ჰანთინგტონი, სემუელ (1927-2008) – ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი, ცივილიზაციათა ეთნოკულტურული გაყოფის კონცეფციის ავტორი.

[331] ბოდრიარი, ჟან (1929-2007) – ფრანგი სოციოლოგი, კულტუროლოგი და ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტი.

[332] ჩომსკი (ხომსკი), ნოამ – თანამედროვე ამერიკელი ლინგვისტი, პოლიტიკური პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და თეორეტიკოსი. ენების კლასიფიკაციის ავტორი, რომელიც «ჩომსკის იერარქიის» სახელწოდებითაა ცნობილი.

[333] ადლერი, ალფრედ (1870-1937) – ავსტრიელი ექიმი და ფსიქოლოგი, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სისტემის ფუძემდებელი.

[334] ფუკუიამა, ფრენსის – თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგი, ეკონომისტი და მწერალი. ავტორი ნაშრომისა «ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი».

[335] რეველი, ჟან-ფრანსუა (1924-2006) – ფრანგი ინტელექტუალი, კლასიკური ლიბერალიზმისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრე და დამცველი.

[336] „ინვალიდები“ – ინვალიდების სახელმწიფო სახლი პარიზში, არქიტექტურული ძეგლი, რომელიც 1670 წელს ლუდოვიკო XIV-ის ბრძანებით აიგო.

[337] Peep-show – ოთახი, სადაც საგანგებოდ მოწყობილი ჭუჭრუტანიდან შეიძლება ეროტიკული სცენების ყურება.

[338] ვირილიო, პოლ – თანამედროვე ფრანგული კულტურის თეორეტიკოსი და ურბანისტი.

[339] Punching-ball (ინგლ.) – მოკრივეების სავარჯიშო „მსხალი“.

[340] კრეაციონიზმი (ლათ.) – იდეალისტური მიმართულება ბიოლოგიაში, რომელსაც მიაჩნია, რომ სამყაროს, დედამიწის, სიცოცხლის წარმოშობა, ორგანული სამყაროს ფორმების მრავალფეროვნება ღვთის შემოქმედების შედეგია. კრეაციონისტი – კრეაციონიზმის მიმდევარი.

[341] დარვინიზმი – მოძღვრება ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების, მცენარეებისა და ცხოველების სახეობათა წარმოშობის შესახებ ბუნებრივი შერჩევის გზით (მე-19 საუკუნის ინგლისელი ბუნებისმეტყველის, ჩარლზ დარვინის სახელის მიხედვით).

[342] პურიტანი (ლათ.) – 1. მე-16-17 საუკუნეებში: მონაწილე ინგლისის ბურჟუაზიის რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა ინგლისის ეკლესიის გაწმენდას კათოლიციზმის ნაშთებისგან. 2. ადამიანი, რომელიც მკაცრად (ხშირად მოჩვენებითად) იცავს ზნეობას.

[343] კალვინიზმი – ერთ-ერთი პროტესტანტული სარწმუნოება, რომელიც შეიქმნა მე-16 საუკუნეში, შვეიცარიაში და ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, ნიდერლანდში, ინგლისსა და ზოგ სხვა ქვეყანაში (შემქმნელის ჟაკ კალვინის სახელის მიხედვით).

[344] ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989.

[345] Spare me the bullshit (ინგლ.) – თავგზას ნუ მირევ, რაღაცას ნუ მიედ-მოედები.

[346] Cut the crap (ამერიკული სლენგი) – ნიშნავს საკითხის მთავარ ნაწილზე გადასვლას, სიტუაციის ზუსტად აღქმას.

[347] კოპები (ამერიკული სლენგი) – იგულისხმება პოლიციელები.

[348] Johnny got his gun – ამერიკული პაციფისტური ფილმი, გადაღებული 1971 წელს (რეჟისორი დალტონ ტრამბო).

[349] კარდალა – აქ: ჩაფხუტის ნაირსახეობა.

[350] ენიგმატური (ბერძ.) – საიდუმლოებით მოცული, გამოუცნობი.

[351] პლუმაჟი (ფრანგ.) – ფრთების კონა, ძუის ფუნჯი და მისთ. როგორც სამკაული ქუდზე ან ცხენის აღკაზმულობაზე (უცხოეთის ზოგიერთ არმიაში, ცირკში და სხვ.); ჯიღა.

[352] პატრიციატი – შუა საუკუნეებში: ქალაქის საზოგადოების უმაღლესი, ყველაზე მდიდარი ფენა, ქალაქის მმართველები. აქ: პრივილეგირებული, მდიდარი ფენა.

[353] კლარკ კენტი – მთავარი გმირი სერიალისა «სმოლვილის საიდუმლოებები».

[354] სტაინი, ჰერტრუდა (1874-1946) – ამერიკელი მწერალი.

[355] ტოკლასი, ალისა ბაბეტ (1867-1977) – ამერიკელი მწერალი, ჰერტრუდა სტაინის ახლო მეგობარი.

[356] ანდერსონი, შერვუდ (1876-1941) – ამერიკელი მწერალი.

[357] დუნკანი, აისედორა (1877-1927) – ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე, სერგეი ესენინის მეუღლე.

[358] ტცარა, ტრისტან (1896-1963) – რუმინელი პოეტი, დადაიზმის ფუძემდებელი.

[359] რეი, მან (1890-1976) – ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფი და კინორეჟისორი.

[360] პომპიდუ, ჟორჟ (1911-1974) – საფრანგეთის პრეზიდენტი

(1969-1974), მემარჯვენე გოლისტების ლიდერი.

[361] მილერი, ჰენრი (1891-1980) – ამერიკელი მწერალი და მხატვარი.

[362] პაუნდი, ეზრა (1885-1972) – ამერიკელი პოეტი, ინგლისურენოვანი მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[363] Devil (ინგლ.) – ჯადოქარი.

[364] Aware (ინგლ.) – საქმის კურსში ყოფნა.

[365] It’s a really strong feeling (ინგლ.) – ნამდვილად ძლიერი გრძნობაა.

[366] Close your eyes (ინგლ.) – თვალებს ხუჭავ.

[367] Strong (ინგლ.) – ძლიერი.

[368] Right or wrong (ინგლ.) – მართალი ან მტყუანი.

[369] Kiff-ობ night – გევასება ღამე.

[370] World-ის words-ები – მსოფლიოს სიტყვები.

[371] Anyway, whatever (ინგლ.) – ნებისმიერ შემთხვევაში.

[372] Sixties (ინგლ.) – სამოციანელები.

[373] Womanizer (ინგლ.) – მექალთანე.

[374] ჯონსი, ტომ – თანამედროვე ბრიტანელი მომღერალი.

[375] საქსი, გიუნტერ – გერმანელ ფოტოგრაფი და მულტიმილიონერი, ბრიჟიტ ბარდოს მეუღლე.

[376] რუბიროზა, პორფირიო (1909-1965) – დიპლომატი, ცნობილი ფლეიბოი.

[377] მალკო ლინგე – ჟერარ დე ვილიერის რომანის «S.A.S.»-ის გმირი.

[378] იურგენსი, კურტ (1915-1942) – ავსტრიელი მსახიობი.

[379] მური, როჯერ – თანამედროვე ინგლისელი მსახიობი.

[380] ვადიმი, როჟე (1928-2000) – ცნობილი ფრანგი რეჟისორი.

[381] ბიტი, უორენ – თანამედროვე ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი და სცენარისტი.

[382] ბარქლეი, ედი (1921-1905) – ცნობილი ფრანგი მუსიკალური პროდიუსერი.

[383] დისტელი, საშა (1939-2005) – ფრანგი მომღერალი და გიტარისტი.

[384] ჟუნო, ფილიპ – თანამედროვე ფრანგი ბიზნესმენი.

[385] ჰედონიზმი (ბერძნ.) – ეთიკის იდეალისტური მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანს წარმოადგენს უდიდესი სიამოვნება, სიტკბოება.

[386] «The only thing standing between me and greatness is me». Woody Allen (ინგლ.) – „ერთადერთი რამ, რაც ჩემსა და დიდებულებას შორის დგას, ვარ მე». ვუდი ალენი.

[387] What the hell! Come on! Enjoy! (ინგლ.) – რა სისულელეა! მოდი! ისიამოვნე!

[388] Don’t worry be happy (ინგლ.) – ნუ მოიწყენ, იყავი ბედნიერი.

[389] Come on! Could be anybody (ინგლ.) – კაი რა! ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო.

[390] Give me a break, man (ინგლ.) – თავი დამანებე.

[391] Goddam door (ინგლ.) – წყეული კარი.

[392] Dust in the wind, / All we are is just, / Dust in the wind (ინგლ.) – მტვერი ქარში, ჩვენ მხოლოდ მტვერი ვართ ქარში.

[393] უელსი, ჰერბერტ ჯორჯ (1866-1946) – ინგლისელი მწერალი.

[394] „სამოთხე“ – მუსიკალურ-პოეტური ნაწარმოებების ჟანრი სამხრეთ აფრიკაში.

[395] 2000 წლის 25 ივლისს «ეარ ფრანსის» თვითმფრინავი «კონკორდი» აფრენიდან რამდენიმე წუთში შეასკდა პარიზის გარეუბანში, გონესში ერთ-ერთ სასტუმროს. კატასტროფის შედეგად დაიღუპა 113 კაცი.

[396] „ჯეტ-ლაგი“ – ინგლისური სიტყვიდან jet-lag, რაც

ხანგრძლივი გადაფრენით გამოწვეულ ბიორიტმების დარღვევას გულისხმობს.

[397] Poussez (ფრანგ.) – გაიჭინთეთ. ეს სიტყვა ფრანგულად გაწევასაც ნიშნავს და გაჭინთვასაც.

[398] ზედა ტბა – ყველაზე დიდი მტკნარი ტბა მსოფლიოში. მდებარეობს კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარზე.

[399] «დიდი ვაშლი» – ნიუ-იორკის მეტსახელი.

[400] I’m gonna be a part of it, If I can make it there, / I’ll make it anywhere (ინგლ.) – მე მისი ნაწილი გავხდები, თუ ამას შევძლებ იქ, / ამას შევძლებ ყველგან.

[401] Gate (ინგლ.) – გასასვლელი.

[402] ფარმერი, მილენ – თანამედროვე ფრანგი მომღერალი და მსახიობი.

[403] No smoking zone (ინგლ.) – არამწეველთა ზონა.

[404] You mean the World Trade Center Site? (ინგლ.) – მსოფლიო სავაჭრო ცენტრს გულისხმობთ?

[405] ელისი, ბრეტ ისტონ – თანამედროვე ამერიკელი მწერალი, რომანის Less than Zero-ს («ნულზე ნაკლები») ავტორი.

[406] Modus operandi (laT.) – მოქმედების საშუალება.

[407] No man’s land (ინგლ.) – მიწა, რომელიც არავის ეკუთვნის, სადავო მიწა.

[408] ნოტომი, ამელ – თანამედროვე ფრანგი მწერალი.

[409] ფონდიუ – ყველისგან მომზადებული ფრანგული კერძი.

[410] „ცხრა-ორი“ – პარიზის პრესტიჟული გარეუბნების საფოსტო ინდექსი.

[411] კოზეტი – ვიქტორ ჰიუგოს რომანის «საბრალონის» გმირი.

[412] გარი, რომენ (1914-1980) – ფრანგი მწერალი და დიპლომატი, ლიტერატურული პრემიის, გონკურის ორგზის მფლობელი.

[413] God save us, please save us! (ინგლ.) – ღმერთო, გვიშველე, გთხოვ, გვიშველე!

[414] Olé! Esta magnifico! Muy muy caliente! (ესპ.) – გამარჯობა! მაგარია! ძალიან ცხელია!

[415] Swinging lite (ინგლ.) – მსუბუქი სვირინგი.

[416] Eat me (ინგლ.) – შემჭამე.

[417] I ESCAPED THE BETTY FORD CLINIC (ინგლ.) – მე ბეტი ფორდის კლინიკიდან გავიქეცი (ბეტი ფორდის კლინიკაში ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს მკურნალობენ).

[418] You're not on my to-do list (ინგლ.) – ჩემს დღევანდელ გასაკეთებელ საქმეთა სიაში არა ხარ.

[419] Scram! Beat it (ამერიკული სლენგი) – დაახვიე აქედან.

[420] Speed dating (ინგლ.) – ხანმოკლე სასიყვარულო შეხვედრები.

[421] ლუზერი – სიტყვიდან loser (ინგლ.) – დამარცხებული, წაგებული.

[422] შატობრიანი, ფრანსუა რენე (1768-1848) – ცნობილი ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი რომანისა «მოგზაურობა ამერიკაში».

[423] ტოკვილი, ალექსის დე (1805-1859) – ფრანგი პოლიტიკოსი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1849), ავტორი ისტორიულ-პოლიტიკური ტრაქტატებისა, მათ შორის «დემოკრატია ამერიკაში».

[424] სკვო (ინგლ.) – ინდიელი ქალი ჩრდილოეთ ამერიკაში. ამერიკულ სლენგზე ნიშნავს ქალს, მეგობარ გოგონას, ცოლს.

[425] მორანი, პოლ (1888-1976) – ფრანგი დიპლომატი, ნოველისტი, პოეტი და დრამატურგი.

[426] სტრობოსკოპი – ხელსაწყო, რომელიც სინათლის იმპულსებს აღბეჭდავს. ხშირად იყენებენ დისკოთეკებზე.

[427] ალტრუიზმი (ფრანგ.) – უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის. მზადყოფნა, სხვას შესწიროს თავისი ინტერესები. ალტრუისტი – ალტრუიზმით გამსჭვალული.

[428] They can see us! Hello there! (ინგლ.) – გვხედავენ! ჰეი, მანდ!

[429] Look at the door! OPEN THE DOOR (ინგლ.) – შეხედეთ კარს! გაგვიღეთ კარი.

[430] Have you been to Windows on the World – Windows on the World-ში ნამყოფი ხართ?

[431] Ghost Diner (ინგლ.) – აქ: რესტორანი-მოჩვენება.

[432] Ma qué esta muy interessante and I lova youra countrya – ძალიან საინტერესოა და მე უყვარს თქვენი ქვეყანა (დამახინჯებული ესპანურ-ინგლისური).

[433] ტომპსონი, ჰანტერ (1937-2005) – ამერიკელი მწერალი და ჟურნალისტი. ავტორი რომანისა «შიში და ზიზღი ლას-ვეგასში».

[434] Aim high (ინგლ.) – დაუმიზნე მაღლა.

[435] იმბეცილი (ლათ.) – გონებასუსტი ადამიანი.

[436] In my solitude, you haunt me (ინგლ.) – ჩემს სიმარტოვეში შენ ჩემთან მოდიხარ.

[437] შპილი (გერმ.) – პირამიდის ან კონუსის ფორმის მაღალი სვეტი შენობის თავზე.

[438] სკვოტი (ინგლ.) – სხვისი სახლის ან მიწის უკანონოდ დაკავება (ჟარგ.).

[439] პარკ-ავენიუს მემარცხენეობა – იგულისხმება გამდიდრებული მემარცხენეები.

[440] გიბერი, ერვე (1955-1991) – ფრანგი მწერალი, ფოტოგრაფი და ჟურნალისტი, რომელიც დაავადებული იყო შიდსით და ბევრს წერდა ამ თემაზე.

[441] მეგალომანია (ბერძნ.) – განდიდების მანია.

[442] ონტოლოგია (ბერძნ.) – ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების შესახებ. დიალექტიკურ მატერიალიზმში ეს ტერმინი იხმარება მოვლენათა დასახასიათებლად ობიექტური სინამდვილის კანონების თვალსაზრისით.

[443] უისტენ ჰიო ოდენი (1907-1973) – ინგლისელი პოეტი. 1939

წლიდან ცხოვრობდა ამერიკაში.

[444] The winds must come from somewhere when they blow; There must be reasons why the leaves decay; Time can say nothing but I told you so (ინგლ.) – როცა ქარი უბერავს, იგი საიდანღაც მოდის; როცა ხეს ფოთლები სცვივა, ამასაც რაღაც მიზეზი აქვს; დრომ შეიძლება არაფერი გითხრას, მაგრამ მე ხომ გეუბნებოდი.

[445] What are you writing? Nothing darling (ინგლ.) – რას წერ? – არაფერს, საყვარელო.

[446] ფრუსტრაცია (ლათ.) – დამთრგუნველი დაძაბულობის, მღელვარების, გამოუვალობისა და სასოწარკვეთილების მდგომარეობა.

[447] Don’t be fooled by the rocks that I got / I’m still I’m still Jenny from the block / Used to have a little now I have a lot / No matter where I go I know where I came from (ინგლ.) – ნუ მოტყუვდები იმ მაყუთით, რომელიც მე დღეს მაქვს, / მე ისევ ის ჯენი ვარ ქალაქის კვარტალიდან. / მიჩვეული ვიყავი, რომ ცოტა მქონდა, ახლა კი ბევრი მაქვს. / არა აქვს მნიშვნელობა, სად მივდივარ, / მე ყოველთვის მახსოვს, საიდან მოვდივარ.

[448] დეფინიცია (ლათ.) – ცნების ზუსტი განსაზღვრა მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით.

[449] Dad you’re not a super hero? (ინგლ.) – მამიკო, შენ არა ხარ სუპერგმირი?

[450] ხერესი – ერთგვარი მაგარი ღვინო (ესპანეთის ქალაქ ხერეს-დე-ლა-ფრონტერას სახელის მიხედვით).

[451] ბეროუზი, უილიამ (1914-1997) – ამერიკელი მწერალი და ესეისტი. მიეკუთვნებოდა «ბით ბაობის» მწერლებს.

[452] Naked Lunch (ინგლ.) – „შიშველი სადილი“, უილიამ ბეროუზის რომანის სახელწოდება.

[453] უაითი, ედმუნდ – თანამედროვე ამერიკელი მწერალი, დრამატურგი და კრიტიკოსი.

[454] რობ-გრიიე ალენ (1922-2008) – ფრანგი პროზაიკოსი, სცენარისტი, კინორეჟისორი, «ახალი რომანის» მთავარი იდეოლოგი.

[455] I am dazzled by the glorious collapse of the world (ინგლ.) – გაოცებული ვარ მსოფლიოს დიდებული კრახით.

[456] Star-ობამდე – აქ: ვარსკვლავობამდე.

[457] ჰოჯა, ენვერ (1908-1985) – ალბანეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი 1945-1955 წლებში.

[458] კადარე, ისმაილ – თანამედროვე ალბანელი მწერალი.

[459] Are U on the list? My name is Oussama. Oussama Ben Fucking Laden, OK? (ინგლ.) – ხართ სიაში? ჩემი სახელია უსამა. უსამა ბინ დედანატირები ლადენი, გასაგებია?

[460] A hundred times I have thought: New York is a catastrophe, And fifty times: It is a beautiful catastrophe. Le Corbusier (ინგლ.) – „ასჯერ მიფიქრია: ნიუ-იორკი კატასტროფაა, ორმოცდაათჯერ: ის მშვენიერი კატასტროფაა“. ლე კორბუზიე.

[461] Hey, what’s up? (ინგლ.) – გაუმარჯოს, რა ხდება?

[462] ამალგამა (ფრანგ.) – ხსნარი ან შენადნობი, რომელიც მიღებულია ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის შერევით. გამოიყენება სარკის უკანა მხარის დასაფარავად.

[463] რემინისცენცია (ლათ.) – პოეტის მიერ შეგნებით თუ უნებლიეთ სხვა მხატვრული ნაწარმოებიდან აღებული, ნასესხები ფრაზა, მხატვრული კონსტრუქცია, რომელიც მკითხველში იწვევს რთულ ასოციაციას და ხელს უწყობს ნაწარმოების აღქმას.

[464] Sir, you can’t stay here. But I worked here a long time ago (ინგლ.) – სერ, თქვენი აქ ყოფნა არ შეიძლება. მაგრამ მე აქ ვმუშაობდი დიდი ხნის წინ.

[465] Ooh baby baby, /it’s a wild world (ინგლ.) – ო, ბეიბი, ბეიბი, / ეს ველური მსოფლიოა.

[466] იანგი, ნილ – თანამედროვე კანადელი როკმუსიკოსი და გიტარისტი.

[467] ტეილორი, ჯეიმს – თანამედროვე ამერიკელი მუსიკოსი და მომღერალი, სოფტ-ფოლკ-როკის შემსრულებელი.

[468] Times leaves you nothing, / Nothing at all (Time, 1970) – დრო

არაფერს გიტოვებს, / სრულიად არაფერს (Time, 1970); Oh mama mama see me, I'm a pop star, / Oh mama mama see me on the TV (Pop Star, 1970) – დედა, დედა, შემომხედე, პოპვარსკვლავი ვარ, / დედა, დედა, შემომხედე, ტელევიზორში ვარ (Pop Star, 1970); Trouble oh trouble set me free (Trouble, 1970) – დამეხსენი, გასაჭირო (Trouble, 1970).

[469] Where do the children play (ინგლ.) – სად თამაშობენ ბავშვები.

[470] Well I think it's fine building Jumbo planes (…), / Will you tell us when to live, / Will you tell us when to die? (ინგ.) – ვფიქრობ, მშვენიერი შენობაა / ჯუმბოთვითმფრინავები (...), / გვითხარით, როდის ვიცხოვროთ, / გვითხარით, როდის მოვკვდეთ?

[471] Morning has broken, Home in the sky, The view from the top can be oh so very lonely (ინგლ.) – „გათენდა", „სახლი ცაში", „ო, რა სევდიანი შეიძლება იყოს ხედი მაღლიდან.

[472] garbage cans (ინგლ.) – ნაგვის ურნები.

[473] კინგი, ბენ ე. – თანამედროვე ამერიკელი მომღერალი, სოულის შემსრულებელი.

[474] You may still be here tomorrow, / But your dreams may not (ფრანგ.) – შენ ხვალ შეიძლება ისევ აქ იყო, / შენი ოცნებები კი – აღარ.

[475] standing ovations (ინგლ.) – ფეხზე წამომდგარი მაყურებლის ოვაცია.

[476] Peace Train (ინგლ.) – მშვიდობის მატარებელი.

[477] Ooh baby baby it's a wild world (ინგლ.) – ო, ჩემო პატარავ, ეს სამყარო ველურია.

[478] მასტოდონტი (ბერძნ.) – დიდი განათხარი ცხოველი, სპილოს მსგავსი.

[479] ჯულიანი, კარლო (1978-2001) – იტალიელი ანტიგლობალისტი, რომელიც გენუაში დიდი რვიანის სამიტის წინააღმდეგ მოწყობილი მანიფესტაციის მსვლელობის დროს მოკლეს.

[480] პორტო ალეგრეს შეკრება – 2001 წლის 30 იანვარს

ბრაზილიურ ქალაქ პორტო ალეგრეში ჩატარდა მსოფლიო სოციალური ფორუმი, რომლის დევიზიც იყო «შესაძლებელია ახალი მსოფლიო».

[481] შოა (ივრით.) – ჰოლოკოსტი.

[482] Good defeats evil (ინგლ.) – სიკეთე ამარცხებს ბოროტებას.

[483] ენტოვენი, ჟან-პოლ – თანამედროვე ფრანგი მწერალი, კრიტიკოსი და გამომცემელი.

[484] იუ, რობერტ – თანამედროვე ფრანგი პოლიტიკოსი, რომელიც ორჯერ მონაწილეობდა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში.

[485] შევენმანი, ჟან პიერ – თანამედროვე ფრანგი მემარცხენე პოლიტიკოსი, საფრანგეთის მემარცხენეთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

[486] არუნდატი როი – თანამედროვე ინდოელი მწერალი ქალი, ბუკერის პრემიის ლაურეატი.

[487] ლულა, და სილვა – ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი (2003-2011).

[488] ტობინის გადასახადი – ამერიკელი ეკონომისტი ჯეიმს ტობინი მიიჩნევდა, რომ უცხო ქვეყნის ვალუტის ყოველგვარ სპეკულაციაზე უნდა დაწესებულიყო გადასახადი, რაც საზღვარგარეთ ფულის გადარიცხვებს წამგებიანს გახდიდა. ამით კი შემცირდებოდა ის ზარალი, რაც მსგავს ოპერაციებს მოაქვს განვითარებადი ქვეყნებისთვის.

[489] ფურიე, შარლ (1772-1837) – ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი. მიიჩნევა ტერმინ ფემინიზმის დამმკვიდრებლად.

[490] Wall Street, Wall City, Wall Countries, Wall World (ინგლ.) – კედლის ქუჩა, კედლის ქალაქი, კედლის ქვეყანა, კედლის სამყარო.

[491] ალგონკინები – ინდიელ ტომთა დიდი ჯგუფი ჩრდილოეთ ამერიკაში. ამჟამად ცხოვრობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის რეზერვაციებში.

[492] Black-out (ინგლ.) – სიგნალის ჩახშობა.

[493] «ღამე და ნისლი» (1955) – ალენ რენეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელთა დეპორტაციას ასახავს.

[494] ლანცმანი, კლოდ – თანამედროვე ფრანგი ჟურნალისტი და კინორეჟისორი.

[495] We’re not going to make it out. Pray for us (ინგლ.) – აქედან ვეღარ გამოვალთ. ილოცე ჩვენთვის.

[496] Think different (ინგლ.) – იაზროვნე განსხვავებულად.

[497] სმაოთ – აბრევიატურა: სპონტანური, მაგრამ არა აუცილებლად ორიგინალური თეორია.

[498] I’m on a plane / I can’t complain (ინგლ.) – თვითმფრინავში ვარ, / ვერ დავიჩივლებ – ჯგუფ «ნირვანას» ერთ-ერთი სიმღერა.

[499] დრეიფუსის ჯაშუშური სკანდალი – ცნობილი სასამართლო პროცესი, რომელზეც ებრაელი ალფრედ დრეიფუსი გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის გამო გაასამართლეს.

[500] „კატარინა ბლუმის შელახული ღირსება“ – ამერიკელი რეჟისორის ფოლკერ შლენდორფის ფილმი (1975), ჰაინრიხ ბიოლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით.

[501] „მონადირის ღამე“ – თანამედროვე ამერიკელი რეჟისორის ჩარლზ ლოუტონის ფილმი.

[502] მითჩემი, რობერტ (1917-1996) – ამერიკელი მსახიობი.

[503] პოლნარეფი, მიშელ – თანამედროვე ფრანგი მუსიკოსი და კომპოზიტორი.

[504] სპლინი (ინგლ.) – სევდა, ნაღველი, მოწყენილობა.

[505] I’m sorry Sir but I don’t understand what you’re talking about (ინგლ.) – მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ვერ ვიგებ, რას მეუბნებით.

[506] მისტერ მაგუ – ამერიკული კომედიური ფილმის გმირი.

[507] Listen, I’ve got work to do. And I don’t understand french. You’re bothering me, Mister! (ინგლ.) – მისმინეთ, სამუშაო მაქვს, თან მე არ მესმის თქვენი ფრანგული. მაცდენთ, ბატონო!

[508] Excuse me but I’m so sick and tired of Nine-Eleven (ინგლ.) – მაპატიეთ, მაგრამ ძალიან დავიღალე ამ 11 სექტემბრით.

[509] The windows of the world are covered with rain (ინგლ.) – მსოფლიოს ფანჯრებს წვიმა ფარავს.

[510] I’ve got peace deep in my soul, / I’ve got love making me hope, / Since you opened up your, / heart and shined on me (ინგლ.) – მშვიდობაა ჩემს სულში, სიყვარული მაიმედებს, მას შემდეგ, რაც ჩემი გულის კარი გააღე და გაანათე.

[511] In Search of the Centre of the Universe (ინგლ.) – სამყაროს ცენტრის ძიებაში.

[512] September 11: An Oral History (ინგლ.) – „11 სექტემბერი: ზეპირი ისტორია“.

[513] ვოგალენს, სმექტას, ლექსომილს – მედიკამენტების სახელწოდებები.

[514] Walks in Hemingway’s Paris (ინგლ.) – „გასეირნება ჰემინგუეის პარიზში“.